N13 (512) 1/IV-7/IV-2010 ფასი 1 ლარი

1168
2010

გზა

ქართული პროზის საგანძური

ტომი №5
გურამ რჩეულიშვილი

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად 4 ლარი ღირს

შემდეგი ტომი
ვაჟა-ფშაველა

რატომ ფიქრობდა ირაკლი ალასანია შურისძიებაზე

ექსკლუზიური ინტერვიუ პოლიტიკოსის მეუღლესთან

ტრაგედია, რომლის შესახებაც ალასანიები იშვიათად ლაპარაკობენ

ვისთვის მოიპარა რატი დურგლიშვილმა 8 მარტს გეტრი

„ხელი აღარ მემორჩილება“



რუსებს აფხაზთა ბედ-იღბალი გადაწყვეტილი ჰქონდათ

აფხაზეთის სამთავროს გაუქმების გეგმა

„გზის“ დარტყმა

საპირველაპრილო მახეში გაბმულები

ISSN 1987-5029

თურქეთში გადახვეწილი ქართველი მოცეკვავეების ოცნება

„კვირის პალიტრის“ კოლექცია
„დიდი მხატვრები“

წიგნების სერია რჩეულ ფერმწერებზე - შედევრები და ისტორიები

წიგნი VI

დეგა

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის სპეციალური ფასი 15 ლარი!

ყურადღება: I, II, III, IV და V წიგნი – ვანგოგი, გოგენი, მონე, კლიმტი და დავინჩი წიგნის მაღაზიებში გაყიდვაშია!

„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ! წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდით „ელვა.ჯი“-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ

№13 (512)
1 - 7 აპრილი. 2010 წ.
ფასი 1 ლარი

■ მინიატიურები 5
„ვალინკების“ მოდა
■ ღიმილი 6
■ პოლიტიკა 8
■ პროექტი 10
■ თემიდა 14
ცოტნე გამსახურდიას დაზარალებული არ ამხელს
■ ოჯახი 17
„მან ჩემზე გაცნობისთანავე მოახდინა შთაბეჭდილება“
■ მსახიობი 20
სოხუმური შეხვედრების ნოსტალგია, პიჯაკის უბეში დამალული იები და ქმრის ცრემლები, რომელმაც კულისებში მდგომი მსახიობი გააოგნა
■ ამპლუა 22
„არ მჭირდება აფხაზეთი აფხაზების გარეშე“...
■ მხატვარი 24
„როცა ხელოვანი პოლიტიკაში ერევა, ეს ქვეყანას მთლად კარგად არ უბრუნდება“ ანუ მხატვრის თვალით დანახული პარლამენტი
■ კონკურსი 26
„მის თინეიჯერის“ ზამთრის სეზონის 13 წლის გამარჯვებული
■ ვარსკვლავები 27
■ მინირომანი 29
■ ოჯახი და სამართალი 32
ოჯახიდან გაპარული მამა, მარტოხელა დედა და ქალისთვის დაკისრებული ალიმენტი
■ ნამდვილი ამბავი 36
უცნაური შურისძიება...
■ ოსტატი 37
ზღვის კენჭებისა და ქვებისაგან დამზადებული ნივთები

ქვეყანა



ცოტნე გამსახურდიას დაზარალებული არ ამხელს

„ეჭვი მეპარება, რაც მოსამართლემ წაიკითხა, ეს მე მეთქვას. პოლიციელები წერდნენ, ისინი ჩემი ძმის ამხანაგები არიან და იმიტომ დაველაპარაკე. განყოფილებაში არავის წავუყვანივარ, სახლში დამკითხეს. ასეთი რამეები არ მითქვამს“.

8

სახე

სოხუმური შეხვედრების ნოსტალგია

„ჩემი ყველაზე დიდი ტკივილი ის არის, რომ გავიზარდე სოხუმში, რომელიც აღარ გვაქვს... პატარაობიდან, 7-8 წლიდან ვცეკვავდი. სოხუმში, პატარა სტუდიაში ყველაფერს გვასწავლიდნენ, რაც იმ ასაკის ბავშვს შეეძლო აეთვისებინა“.

17

ცხოვრება

ოჯახიდან გაპარული მამა

„ბუნებით ეჭვიანი არა ვარ და მის ერთგულებაში ეჭვი არასდროს შემპარვია. რას წარმოვიდგენდი, ასე საშინლად თუ მოგვექცეოდა?! ერთ დღეს გამომიცხადა, — ვალებში ჩავვარდი და დროებით, ბინა უნდა ვიქირაოთო“.

29

ფიქრები

დღეს პირველი აპრილია

„თურმე ლექტორებმა გამიჩალიჩეს და ბოთლში ჭურჭლის სარეცხი სითხის ნაცვლად, მანქანის ზეთი ჩამისხეს. უნდა გენახათ, ლექტორები როგორ ხარხარებდნენ. ერთმანეთს ძლივს იჭერდნენ, სიცილით რომ არ წაქცეულიყვნენ. ასე გავხდი ლექტორების მსხვერპლი. კოზანოსტრა“.

77

■ ეს სამყაროა 38
■ ისტორიის ლაბირინთები 40
აფხაზთა მუჰაჯირობა — კიდევ ერთი
რუსულ-ოსმალური გარიგების შედეგი

■ ავტო 43
■ საკითხავი ქალებისათვის 44
■ შეუცნობელი 46
ციური იეროგლიფები

■ ტაძარი 48
ვნების გზა და აღდგომაში განცხადებული
კაცობრიობის გამოხსნა

■ ჯანმრთელობა 50
საკვერცხეების პოლიკისტოზი

■ ემიგრანტი 53
„მინდა, მოცეკვავის კარიერა საქართველოში
დავასრულო“

■ წარმატება 56
პატრული, რეკორდსმენი და ჩემპიონი ანუ კაცი,
რომელიც თავისუფალ დროს „გრელკას“ გახეთქს

■ თინეიჯერული პონტები 58
■ წვეთი პოეზია 61
■ ავტოპორტრეტი 62
ლალი მოროშკინა. მე, პრეზიდენტი და მსოფლიო
ჩემპიონი (გაგრძელება)

■ ქართული დეტექტივი 66
გოჩა მანველიძე. ძმები (გაგრძელება)

■ რომანი 70
სვეტა კვარაცხელია. სევდის სურნელი
(დასასრული)

■ გზავნილები 77
■ ყველა ერთისათვის 81
■ გონიერი მკითხველი 83
■ მობილი-ზაცია 84
■ მოზაიკა 89
■ ასპარეზი 90
ერთ მუშტად შეკრული, 6 ათასი ქართველი
და ქვეყანა, რომელიც რაგბით ცხოვრობს

■ ერუდიტი 92
საკუთარ მსმენელზე შეყვარებული მომღერალი

■ გასართობი 94
■ ასტროლოგია 96
■ სკანვორდი 97
■ საფირმო კროსვორდი 98

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე

დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი,
რეზო თხილიშვილი

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სამყარო



რატომ ასოცირდება გეიშა მეძავთან

ცოტა ხნის წინ გეიშებმა თანამედროვე კოსმეტიკის გამოყენება დაიწყეს, ძველად კი თვალებს ნახშირით იღებავდნენ, ხოლო პომადაში, მეტი ბრწყინვალებისათვის, შაქრის კრისტალებს ურევდნენ.

37

ადამიანი

პატრული, რეკორდსმენი და ჩემპიონი

„გადმომცეს მოოქრული სტატუეტი და დიპლომი, სადაც აღნიშნულია, რომ მსოფლიოს ჩემპიონი და ამავე დროს, მსოფლიოს რეკორდსმენი ვარ. აგრეთვე, ამ ჩემპიონატზევე წლის საუკეთესო ამწევის ტიტულიც მარგუნეს“.

53

ბიბლუსი

„იმ დღეს მე კაზაკთა დიპლომით დამაჯილდოეს, — კაზაკი ოფიცრის წოდება და შესაბამისად, ფორმისა და იარაღის ტარების უფლება გადმომეცა. გაერთიანებულ კაზაკთა ჯილდო დღესაც ამშვენებს ჩემს სამუშაო ოთახს“.

61

ტაიმ-აუტი

საკუთარ მსმენელზე შეყვარებული მომღერალი

„ხატვა 4-5 წლის ასაკიდან დავიწყე. ერთხელ დედამ ჩემი ნახატები პედაგოგს უჩვენა, მას კი ძალიან მოეწონა, — ერთ სიბრტყეზე არ არის შესრულებული, ჩრდილები და სიღრმეები ისე კარგად აქვს გაკეთებული, რომ ბავშვის ნამუშევარს არ ჰგავსო“.

89

„ვალინუების" მოდა

შესავლის ნაცვლად დღეს პირველი აპრილია, მეგობრებო, და „ძველი, კაი დრო" რომ იყოს, ვიღადავებდით მე და თქვენ, ცოტას ვიხუმრებდით, ცოტას მოგატყუებდით, ვიხალისებდით... აბა, რა შეგვრჩება ამქვეყნად... მაგრამ ისეთი ნანერვიულები ვარ, რა მეხუმრება და მეტინგიცება? ექვსი თვის წინ, დარღვევისთვის პატრულის მიერ გამოწერილი ათლარიანი ჯარიმა, რომელიც ერთი თვის შემდეგ გადავიხადე, ახლა გაახსენდათ: ის თვე 30-ით კი არა, 31-ით იყო, ეი. 30 დღეში გადახდა ვერ მოგისწრიაო და ერთწლიან „ლიშენიას" 160 ლარიც დაამატეს დაგვიანებისთვის (10 ლარის 1 დღით დაგვიანებისთვის!!!) და თუ არ გადაიხდი, ტელევიზორს, მაცივარს და ჯამჭურჭელს წავიღებთო, აღმასრულებელმა!

ჰოდა, რადგან არც ქვეყანას და არც პირადად მე, არ გვაქვს საქმე საღლაბუცოდ და სახუმაროდ, ამიტომ ამჯერად გონების სავარჯიშო, სასარგებლო თამაშს შემოგთავაზებთ, სადაც „საპირველაპრილო-სავალდებულო" ელემენტი ნახევრად მაინც იქნება გათვალისწინებული. (მართლა, ჩვენი პრეზიდენტი, ნეტავ, პირველ აპრილს არ გამოაცხადებს საერთო-სახალხო დღესასწაულად?)

მაშ ასე, ყურადღებით წაიკითხეთ:

1) „იმედის" მოდელირებული ქრონიკის შემქმნელი ჯგუფი არხის ხელმძღვანელობამ პრემიებით დაჯილდოვა.

2) „რუსთავი 2"-ის საინფორმაციო გამოშვებების სარედაქციო ჯგუფი და ჟურნალისტები არხის ხელმძღვანელობამ დასაჯა ქართული ენის ნორმების მუდმივი და უხეში დარღვევებისთვის, ასევე ფაქტობრივი საინფორმაციო შეცდომებისათვის ანუ მარტივად რომ ვთქვათ — უკაცრავად პასუხია და, უწიგნურობისთვის.

3) რიკი მარტინი პედერასტი ყოფილა.

4) ელტონ ჯონი პედერასტი არ ყოფილა.

5) რადიო „პალიტრის" პირდაპირ ეთერში, დიმა ობოლაძესთან საუბრისას გუბერნატორმა კირკიტაძემ თქვა, რომ ვიღაც არაკაცი ცდილობდა მსაჯი მოესყიდა, რათა მას საქართველოს ნაკრებისათვის ხელი შეეშალა ესტონელებთან გამარჯვებაში.

6) აღნიშნული არაკაცი გამოვლენილ იქნა და უახლოეს დღეებში სასამართლოს წინაშე წარდგება.

7) სააღდგომოდ, ავიაკომპანია „აირზენა" ჩარტერულ რეისებს შეასრულებს მოსკოვში და უკან. კომპანიის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ამაში მას არც მთავრობა დახმარებია და არც ოპოზიცია.

8) ნოღაიდელი დაეთანხმა „აირზენას" განცხადებას და თქვა, რომ თვითონ არავითარი დამსახურება არ მიუძღვის ამ რეისების ორგანიზებაში.

9) საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალები უქმდება, ხოლო სამხედრო-საზღვაო ძალები ჯერ კიდევ შარშანწინ გაუქმდა და მალე მხოლოდ სახმელეთო ჯარები დაგვრჩება — ხომ გახსოვთ, ჯარისკაცის მამა: „ვპერიოდ კალი — რაზ, დვა! ნაზად კონდახ — რაზ, დვა!"

10) საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალები შეივსო 30 ბომბდამშენით, 35 გამანადგურებლით. დასრულდა თბილისის საავიაციო ქარხნის მოდერნიზაცია და წლის ბოლოს აწყობილი იქნება 40 სამხედრო შვეულმფრენი. საზღვაო ძალებს ნატომ გადასცა 1 კრეისერი და 2 სასაზღვრო კატარღა, გერმანიის მთავრობამ — მცირეგაბარიტიანი წყალქვეშა ნავი.

11) გემებზე გამახსენდა — აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა, რობერტ გეიტსმა განაცხადა: რა თქმა უნდა, საფრანგეთს უფლება აქვს, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი იარაღის გაყიდვის თაობაზე, მაგრამ როდესაც „მისტრალისნაირ" მონსტრს რუსეთს გადასცემს, ამის შესახებ მაინც ნატოსთან ერთად უნდა იმსჯელოსო.

12) სარკოზიმ ის კი არ უპასუხა საჯაროდ, პრესკონფერენციაზე — შენ შენს საქმეს მიხედე, რუსეთი ჩვენი მეგობარიაო; ააარა, პირიქით, დაეთანხმა — ბოდიში, შევცდი, კიდევ კარგი, ჯერ არ გადაგვიცია, არც ახლაა გვიანი უარის თქმაო.

13) ე.წ. ქრისტიანულ-დემოკრატიულ მოძრაობაში „ბოტების მოდა" გაბატონდა: წინა კვირას თარგამაძე დარბოდა „ვალინკებით", ახლა მათმა მერობის კანდიდატმა, ჭანტურიამ „ჩაიზომა" და გუბესაც მიაგნო.

14) ლევან გაჩეჩილაძემ, როგორც იქნა, მიიღო გადაწყვეტილება არჩევნებში მონაწილეობის შესახებ. და საერთოდ: ყველამ — ამომრჩევლებმაც და ჟურნალისტებმაც — ბოლოს და ბოლოს, გავიგეთ, რა უნდა ამ პატიოსან კაცს.

რაშია თამაშის არსი? თქვენ უნდა გამოიცნოთ, ჩამოთვლილთაგან, რომელი „ნიუსი" მართალია, და რომელი — ტყუილი. ჯერ თვითონ სცადეთ და შემდეგ პასუხები ასე გადაამოწმეთ: აიღეთ კალამი და კენტ ნომრებს დააწერეთ: „მართალია", ლუწს: „ტყუილია" (თვალსაჩინოებისათვის, ლუწებს მუქი შრიფტით ვბეჭდავთ) და მიხვდებით, რა „საამურია" ცხოვრება...

P.S. კიდევ ერთი კითხვა (ესეც „საამური" ცხოვრების ნაწილია): აბა, თუ მიხვდებით, იუსტიციის სამინისტროს ზემოთ აღნიშნულ სააღსრულებო დეპარტამენტში, თანამშრომლები მოქალაქეებს კომპეტენტურ პასუხს სცემენ თუ არა? მათ პრობლემებს გულისხმიერად ეკიდებიან თუ არა? ელემენტარული ზრდილობა გააჩნიათ თუ არა? მაღალკვალიფიციურ და ღვაწლმოსილ პედაგოგებზე 7-8-ჯერ მაღალი ხელფასი აქვთ თუ არა?

იუსტიციის მინისტრს, შეუძლია, პასუხი შეგვატყობინოს.

პროვოკატორი

„ბრავო, ბრავო! რა მაგრები ხართ! საიდან მოიფიქრეთ ასეთი რამ?!“

„თქვენ გიჟები ხართ?! რას მალანძღვინებთ თავს?!“

„დღეს პირველი აპრილია, მოტყუება ადვილია“ — ეს ფრაზა ყველა ადამიანისთვის ალბათ ბავშვობას უკავშირდება და მერეც, ცხოვრების გზაზე მიჰყვება. იმის გამო, რომ ჩვენი ჟურნალის მორიგი ნომერი სწორედ პირველ აპრილს გამოდის, გადავწყვიტეთ, რამდენიმე ცნობილ ადამიანს გავხუმრებოდით. მაგრამ ვიდრე მათთან ჩაწერილ დიალოგებს შემოგთავაზებდეთ, იმასაც გაცნობებთ, რომ „გზას“ ამ პირველ აპრილს, გაღიმების კიდევ ერთი, თან ძალზე მნიშვნელოვანი საფუძველი აქვს: ჩვენი ჟურნალის დაარსებიდან 10 წლისთავს აღვნიშნავთ და ეს, ხუმრობა არ გეგონოთ — „გზის“ პირველი ნომერი 2000 წლის 31 მარტს გამოვიდა დღის სინათლეზე...

ახლა კი რამდენიმე ტყუილი, რომელიც საგანგებოდ ცნობილი ადამიანებისთვის „გამოვაცხვე“. ბუნებრივია, პირველად, იუმორისტს — „კომედი შოუს“ მსახიობსა და სცენარისტს ვასო ფხაკაძეს დავუკავშირდი.

ნათია ჟივიძე

— ვასო, გამარჯობა! ნათია ჟივიძე გაწუხებ, ჟურნალიდან „გზა“.

— გამარჯობა, გენაცვალე! რამ შეგაწუხა?

— რედაქციაში ერთი ქალბატონი მესტუმრა, რომელიც აცხადებს, რომ შენგან 2 წლის შვილი ჰყავს. მთხოვა, მასთან ინტერვიუ ჩავწერო, რადგან უნდა, რომ ეს ამბავი ყველამ გაიგოს. თანაც, ალიმენტის მოთხოვნას აპირებს...

— (*იცინის*) ჩაწერე მერე, რატომ არ წერ?.. მეც ძალიან მაინტერესებს, რას გეტყვის.

— და შენ ასე, ჩვეულებრივად იღებ ამ ამბავს?!. ეი. ამის შესახებ ინფორმირებული ხარ.

— მე იმის შესახებ ვარ ინფორმირებული, რომ დღეს პირველი აპრილია.

— დღეს 30 მარტია.

— ჰო, მაგრამ „გზა“ პირველ აპრილს გამოდის.

— ყოჩაღ, რა მიხვედრილი ხარ!

— გოგო, მასეთებს მე ვიგონებ და როგორ ფიქრობ, შენ მომატყუებ (*ხარხარებს*)?! თანაც, ზუსტად ვიცი, რომ ასეთი ადამიანი არ არსებობს, არანაირი შვილი არ მყავს.

ჩვენი მომდევნო „მსხვერპლი“, პარლამენტარი **ჯონდი გალათურია** *გახლდათ, რომელსაც ასევე ტელეფონით დავუკავშირდი, ოღონდ პირველად მის ნაცვლად, სატელეფონო ზარს მისი პრესსამსახურის ხელმძღვანელმა, ირინამ უპასუხა და ბატონ ჯონდისთან მანამდე არ დამაკავშირა, ვიდრე არ ვუთხარი, რა საკითხზე მსურდა მასთან საუბარი. როდესაც ჩემი ჩანაფიქრი გავუმხილე, გაიცინა და მითხრა, — აუცილებლად დაგეხმარები, ახლა დაკავებულია და 10 წუთში დამირეკეო. მერე თავადვე მომწერა მესიჯი, — ჯონდიმ მოიცალა და დარეკეო.*

— ბატონო ჯონდი, გამარჯობა! უკვე შევიტყვეთ, რომ სულ მალე მინისტრთა კაბინეტი იცვლება და თქვენ თავდაცვის მინისტრად დანიშნას გიპირებენ. პირველ რიგში, გილოცავთ კარიერულ წინსვლას!..

— მეხუმრები თუ სერიოზულად მელაპარაკები?

— რა დროს ხუმრობაა?!

— ამ ინფორმაციის შესახებ ნამდვილად, არაფერი მსმენია. არ ვიცი, თქვენ საიდან შეიტყვეთ, მაგრამ გეტყვით, რომ თავდაცვის მინისტრის სავარძელი ნამდვილად არ მხიბლავს და ამ შემოთავაზებას არ დავთანხმდები, მით უმეტეს, რომ პრეზიდენტობაზე მაქვს პრეტენზია. როცა შეიტყობთ, რომ ქვეყნის პრეზიდენტად მოვიაზრები, კომენტარისთვის მაშინ დამირეკეთ.

— ბატონო ჯონდი, პირველი აპრილი რომ მოდის, არ გახსოვთ?

— გასაგებია (*იცინის*). თავიდანვე მივხვდი, რომ მეხუმრებოდით, რადგან ჩემ შესახებ რაიმე ინფორმაციას ჩემზე ადრე ვერ შეიტყობდით. თუმცა პირველ აპრილთან ნამდვილად ვერ დავაკავშირე...

ჩვენს ტყუილებში ყველაზე მეტად, მომღერალი **მაკა ზამბახიძე** *გაება. იმდენად მოეწონა ჩვენ მიერ მოფიქრებული ახალი ამბავი, რომ მგონი, ბოლოს სიმართლის დაჯერება აღარც სურდა:*

— მაკა, თურმე საქართველოში დიმა ბილანი ჩამოდის და გრანდიოზული კონცერტის ჩატარებას გეგმავს, მანამდე კი შენთან დუეტი უნდა ჩაწეროს.

— ასეთი რამ პირველად მესმის. ძალიან მაინტერესებს, ვინ იგონებს ამ ჭორებს?

— ჭორი არ არის. ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტოს საიტზე განთავსებულია ინტერვიუ დიმა ბილანთან, სადაც ის ამბობს, რომ ძალიან მოსწონს შენი სიმღერა და შენთან დუეტის ჩაწერას აპირებს...

— ვაიმე, ეს ძალიან კარგი ინფორმაციაა! შოკის მომგვრელია ჩემთვის. სად არის ეს ინტერვიუ, მე ვერ წავიკითხავ?

— ინტერნეტის მეშვეობით მოვიძიეთ.

— უნდა ვნახო აუცილებლად.

გაგრძელება იხ. გვ. 12

„ქართული პროზის საგანძური“

თქვენთვის
და თქვენი შვილებისთვის!



ყოველ ხუთშაბათს, ჟურნალ „გზასთან" ერთად
შეიძინეთ ცნობილი ქართველი მწერლების თითო ტომი

ქართული კლასიკისა და თანამედროვე პროზის რჩეული ნიმუშები

ტომი №5 - გურამ რჩეულიშვილი

წიგნის ფასი 3! დიახ, სამი ლარი!

ეს ფასი, მეხუთე ტომისთვის,
ძალაშია მხოლოდ
1 აპრილიდან - 8 აპრილამდე!

გამოიწერეთ გზა და საგანძურის ყველა ტომს ადგილზე მოგართმევთ „ფლეშჯი“ ტელ: 38 26 73; 38 26 74

სპეციალური პირობები სკოლებისთვის

„ქართული პროზის საგანძურის“ I-IV ტომი — გურამ დოჩანაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, ნოდარ დუმბაძე და ილია ჭავჭავაძე — შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში.

ქვეყანა

„აფეთქებულ დენთის კასრს რუსეთი ვერ გადაურჩება“

ნოყიერი ნიადაგი დემაგოგიური პოლიტიკისთვის თუ შურისძიების წყურვილით შეპყრობილი შაჰიდების ნამოქმედარი

„კავკასიაში მალე დენთის კასრი აფეთქდება, რუსეთში ტერაქტების სერია დაიწყება...“ — ასეთი კომენტარები ქართველმა პოლიტიკურმა და სამხედრო ექსპერტებმა მოსკოვის მეტროპოლიტენის სადგურებში — „ლუბიანკასა“ და „კულტურის პარკში“ მომხდარი ტერორისტული აქტების შეფასებისას გააკეთეს. რუსეთში ტერაქტების სერიის გაგრძელებასა და კავკასიაში ახალი ომის დაწყებას უცხოელი ექსპერტები და ჟურნალისტებიც ვარაუდობენ. მათი ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ მოსკოვის მეტროში მომხდარი აფეთქებები ე.წ. ბოევიკების ლიდერთა ლიკვიდაციისთვის ჩადენილი შურისძიებაა და ეს ყველაფერი ვლადიმირ პუტინის მცდარი პოლიტიკის ნაყოფია; ნაწილი კი ფიქრობს, რომ ტერაქტები კრემლში არსებული დაჯგუფებების ურთიერთდაპირისპირების შედეგია და ინსპირირებული ტერაქტებით, მედვედევს რეფორმების გატარებაში სწორედ პუტინი უშლის ხელს. არსებობს მესამე ვერსიაც: მავანთა აზრით, ტერაქტი კრემლშია ინსპირირებული, მაგრამ ეს რუსი პოლიტიკოსების ურთიერთდაპირისპირების შედეგი კი არა, მედვედევისა და პუტინისთვის საბაბია საიმისოდ, რომ კავკასიაში ახალი ომი წამოიწყონ. ვინ შეიძლება იდგეს რეალურად, მოსკოვში მომხდარი ტერქატების უკან, რა შედეგს მოუტანს კავკასიაში „აფეთქებული დენთის კასრი“ რუსეთს და რა საფრთხეების წინაშე აღმოჩნდება საქართველო? — ამ საკითხების გარკვევას პოლიტოლოგ სოსო ცინცაძესთან და სამხედრო ექსპერტ კახა კაციტაძესთან საუბრისას შევეცადე.

ეთო ყორღანაშვილი

— თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ წლების წინ, ჩეჩნეთის მეორე ომამდე, მოსკოვში ორ და ვოლგოდონსკში ერთ აფეთქებას სწორედ რუსეთის სპეცსამსახურების ნამოქმედარ აქტებად მიიჩნევენ, რამდენად შეიძლება ვირწმუნოთ, რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ტერაქტი ჩეჩენმა და ინგუშმა შაჰიდმა ქალებმა შურისძიების მიზნით განახორციელეს?

სოსო ცინცაძე:

— ვფიქრობ, ეს ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება. ჩეჩნეთის მეორე ომამდე, როგორც რუსეთში, ისე კავკასიაში, სხვა სიტუაცია იყო და კრემლს შესაძლოა, მართლაც, ხელს აძლევდა ტერაქტის განხორციელება საკუთარი მიზნების მისაღწევად. მსოფლიო საზოგადოებრიობა, საერთაშორისო ორგანიზაციები მოსკოვს ჩრდილო კავკასიაში ადამიანის უფლებების დარღვევისთვის, ყველა ფორუმზე, სამიტსა და კონფერენციაზე აკრიტიკებდნენ. კრემლს ჩეჩნეთში ჩადენილი არაადამიანური ქმედებები რაღაცით უნდა გაემართლებინა, ტერაქტი კი ამისთვის შესანიშნავი საბაბი იყო. მაშინ მოსკოვმა საერთაშორისო საზოგადოების გაჩუმებაც მოახერხა და ადამიანის უფლებების დამცველი რუსების ერთი ციცქნა ჯგუფს, რომელიც ხელისუფლებას გამუდმებით აკრიტიკებდა, მთელი რუსეთის მოქალაქეებიც დაუპირისპირა. დღეს სიტუაცია რადიკალურად განსხვავებულია, მთელი ჩრდილოეთ კავკასია დუღს... აღსანიშნავია ისიც, რომ პოლიტიკური მიწისძვრის ეპიცენტრმა ჩეჩნეთიდან ინგუშეთსა და დაღესტანში გადაინაცვლა და ეს ყველაფერი რუსეთისთვის სერიოზული საფრთხის მომტანია.

კახა კაციტაძე:

— უფრო მეტსაც გეტყვით — ეს ტერაქტი პუტინსა და მედვედევს სერიოზულ პრობლემებს უქმნის. ორივე მათგანი რუს ხალხს დიდი გულმოდგინებით არწმუნებდა, ჩრდილო კავკასიაში სიტუაცია საბოლოოდ დავაწყნარეთო; ამ განცხადებებით ისინი გარკვეულ პოლიტიკურ დივიდენდებს იწერდნენ, ახლა კი აღმოჩნდა, რომ ორივე მატყუარა ყოფილა, — ჩრდილო კავკასიაში სიტუაცია კი არ დაწყნარდა, არამედ პარტიზანული ომი ტერორისტულ ომში გადაიზარდა. ამ ტერაქტის შემდეგ უკვე ძალიან სერიოზული ეჭვის ქვეშ დადგა ოლიმპიადის სოჭში ჩატარების საკითხიც. არადა, ეს ოლიმპიადა პუტინისა და მედვედევისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო.

სოსო ცინცაძე:

— შესაძლოა, ოლიმპიადის სოჭში ჩატარება არ გადაიფიქრონ, ძალიან ცოტა დროა დარჩენილი იმისთვის, რომ სხვა ქვეყანაში მისი გამართვა დაიგეგმოს, მაგრამ ვფიქრობ, სოჭში ჩასულ სტუმართა რაოდენობა ძალიან მცირე იქნება. სხვათა შორის, 1980 წელს მოსკოვის ოლიმპიადაზე ისე ცოტა ხალხი ჩავიდა, რომ ამ ღონისძიებისთვის შეძენილი ნაყინი მთელ 8 თვე იყიდებოდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკაში.

— იმ მოსაზრებას თუ იზიარებთ, რომ მოსკოვში მომხდარი ტერაქტები პუტინის პოლიტიკის შედეგია?

— არა, ეს მხოლოდ პუტინის კი არა, ზოგადად რუსული პოლიტიკის შედეგია. კავკასიელების დამორჩილებისკენ სწრაფვა — ეს ტრადიციული რუსული პოლიტიკაა, რომელსაც ჯერ კიდევ 300 წლის წინ, მეფის რუსეთის დროს დაედო სათავე. დააკვირდით ქალაქ ვლადიკავკაზის სახელწოდებას: პირდაპირ გვეუბნება — დაიპყარი კავკასიაო!.. ასეთივე პოლიტიკას აგრძელებდა საბჭოთა კავშირიც და ამასვე აკეთებს პუტინი-მედვედევის ტანდემიც.

— შესაძლებელია თუ არა ტერორისტული აქტების გამართლება იმ მოტივით, რომ რუსეთმა ჩრდილოკავკასიელებს სხვა გზა უბრალოდ, აღარ დაუტოვა?

— არავითარ შემთხვევაში! ტერორისტულ აქტს სამართლიან პოლიტიკურ ბრძოლასთან საერთო არაფერი აქვს. რა დააშავეს რიგითმა მოსკოველებმა, რომელთა შორის შესაძლოა, ის ადამიანებიც იყვნენ, რომ-

ლებიც თავიანთი ხელისუფლების პოლიტიკით კავკასიელებზე არანაკლებად არიან აღშფოთებულნი?! თუ ვინმეს იმის ილუზია აქვს, რომ მეტროთი მაღალჩინოსნები სარგებლობენ, ნეტარმორწმუნეები ყოფილან.

— როგორ ფიქრობთ — ტერაქტების სერია გაგრძელდება?

— სამწუხაროდ, დღეს არსებული რეალობა იმაზე მეტყველებს, რომ ტერაქტების სერია ისევ გაგრძელდება. უნდა აღვნიშნო, რომ მე ამას რუს ხალხს ნამდვილად, არ ვუსურვებ. ტერორიზმი „ისეთი აქლემია, რომელიც ყველას კარზე დაიჩოქებს“...

— პუტინის განცხადებას იმის შესახებ, რომ ტერორისტები მკაცრად დაისჯებიან, ჩრდილო კავკასიაში ფართომასშტაბიანი კონტრტერორისტული ოპერაცია ხომ არ მოჰყვება?

— ვფიქრობ, რომ მოჰყვება. ეს კრემლის სტილია... კრემლის მიერ ჩრდილოეთ კავკასიაში განხორციელებულ კონტრტერორისტულ ოპერაციას შესაძლოა, ბოევიკები გადაურჩნენ, მაგრამ უბრალო ხალხი ნამდვილად შეეწირება, როგორც ეს ჩეჩნეთის პირველი და მეორე ომების დროს მოხდა.

კახა კაციტაძე:

— პარტიზანული ბრძოლების დროს რუსეთს ნამდვილად შეეძლო ფართომასშტაბიანი ოპერაციების ჩატარება, ტანკებისა და სხვა მძიმე ტექნიკის საშუალებით, იმიტომ, რომ ერთიან სივრცეში ლოკალიზებულ ძალებთან ბრძოლა უწევდა. საინტერესოა, ტერორიზმს როგორ შეებრძოლება?!. ცალკეული დაჯგუფებისა და კონკრეტული პიროვნების ლიკვიდაციით პრობლემას კიდევ უფრო გაართულებს, იმიტომ, რომ ამას, შურისძიების მიზნით, ახალი ტერაქტი მოჰყვება. ტერორიზმი კლასიკურ ომად იმიტომ არ მიიჩნევა, რომ ეს პროცესი ღია და მასშტაბურ ოპერაციებს არ ექვემდებარება...

— ამ ყველაფრის საბოლოო შედეგი რა შეიძლება იყოს და რამდენად შესაძლებელია, რომ რუსულ-კავკასიურ დაპირისპირებაში საქართველოც ჩაითრიონ?

სოსო ცინცაძე:

— ბოლოს და ბოლოს, ჩრდილოეთ კავკასიაში აფეთქებულ დენთის კასრს რუსეთი ვერ გადაურჩება, მაგრამ ნაპერწკლები საქართველოშიც გადმოიყრება. ჩვენ ახლა ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ ამ ნაპერწკლებმა სერიოზული პრობლემები არ შეგვიქმნას. მეტი სიფხიზლე უნდა გამოვიჩინოთ, ბოლოს და ბოლოს, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა დაიწყოს იმ პროცესის შესწავლა, რომელიც დღეს რუსეთის ფედერაციაში მიმდინარეობს, — დაწყებული ხაბაროვსკიდან, დამთავრებული ნაზრანით. სულ იმას გავიძახი, — რუსეთში მიმდინარე პროცესები და იქიდან მოსალოდნელი საფრთხეები მეცნიერულ დონეზეა შესასწავლი-მეთქი, — მაგრამ ეს ხელისუფლება ყურსაც არ იბერტყავს. პრობლემისადმი ასეთმა არასერიოზულმა დამოკიდებულებამ შესაძლოა, კონფლიქტშიც ჩაგვითრიოს და უარესიც დაგვმართოს.

კახა კაციტაძე:

— ჩაითრევს თუ არა რუსეთი კონფლიქტში საქართველოს, ეს დღევანდელ ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. წესით, ვერ მოახერხებს. მართალია, ჩრდილოკავკასიელებს თავისუფლებისათვის ბრძოლაში მხარს ვუჭერთ, მაგრამ ფუნდამენტალისტური ისლამის წარმომადგენლებთან, შაჰიდებთან და ტერორისტებთან საერთო რომ არაფერი გვაქვს, ეს ძალიან ადვილი მისახვედრია. რუსულ-კავკასიურ ურთიერთდაპირისპირებას ყველაზე ცუდი შედეგი ისევ რუსეთისთვის მოჰყვება. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, მთელ ქვეყანაში ნერვიული ატმოსფერო შეიქმნება და ადამიანები სტრესულ მდგომარეობაში ჩაცვივდებიან, რაც შიდა პოლიტიკურ ვითარებას მკვეთრად გააუარესებს.

— ლავროვმა მოსკოვში მომხდარი ტერაქტი საერთაშორისო ტერორიზმის თემას დაუკავშირა. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ რუსეთი ცდილობს, ამერიკა და ევროპა კავკასიას დაუპირისპიროს?

სოსო ცინცაძე:

— ეს ტერაქტი რუსეთის დემაგოგიური პოლიტიკისთვის შესაძლოა, მართლაც იქცეს ნოყიერ ნაიდაგად. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ რამდენიმე თვის წინ ინგლისმა დიდი ტერორისტული აქტები აიცილა თავიდან, შესაძლოა, მოსკოვმა მართლაც დაიწყოს იმის მტკიცება, რომ კავკასიიდან, რუსეთთან ერთად, ევროპასა და ამერიკასაც ემუქრება საფრთხე. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ერაყშიც, ავღანეთსა და მოსკოვშიც ტერორისტული აქტების მიღმა, ისლამურ-ფუნდამენტალისტური წრე დგას. ის, რომ მათ ბრძოლისთვის სხვადასხვა მოტივაცია აქვთ, არაფერს ცვლის. სხვათა შორის, არც ავღანელი და ერაყელი ტერორისტები არიან გიჟები ან კაციჭამიები, ზოგი პოლიტიკური, ზოგიც სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ იბრძვის, ყველას თავისი სიმართლე აქვს... სამწუხაროდ, ცივილიზებულმა მსოფლიომ ამ ბრძოლის საწინააღმდეგოდ, სწორი და ეფექტიანი სტრატეგია დღემდე ვერ შეიმუშავა. ფაქტია, რომ რეპრესიებმა, კონტრტერორისტულმა ოპერაციებმა და ტერორისტთა ფიზიკურმა განადგურებამ შედეგი ვერ გამოიღო, ამიტომ სხვა „რეცეპტია“ საჭირო. სანამ მუსლიმანებს ექნებათ უსამართლობის განცდა, შაჰიდებიც იქნებიან, თვითმკვლელებიც და ტერორისიტებიც...

— ცივილიზებულ მსოფლიოს ტერორიზმისგან განსაკურნებლად, „რეცეპტი“ იმიტომ არა აქვს, რომ ჯერჯერობით არ იცის, როგორ უნდა მოამზადოს, თუ სხვა მიზეზიც არსებობს?

— ეს ძნელი სათქმელია. ერთი რამ ცხადია — ტერორიზმი სერიოზული პრობლემაა და მის გამომწვევ მიზეზებს გულდასმით შესწავლა სჭირდება. ახალგაზრდა კაცი, განსაკუთრებით კი ქალი სიცოცხლეს ასე ადვილად არ წირავს; მათი ქმედება სასოწარკვეთილი ადამიანის საქციელს ჰგავს. აშკარაა, რომ ძალიან დიდი უსამართლობის განცდითაა ნაკარნახევი... ■

ტყავის სამეულები 2300 ლარი

ფერთა არჩევანი
კრემისფერი
ბორდოსფერი
ყავისფერი
www.classica.com.ge
კლასიკა Classica
ალ. ყაზბეგის გამზ.14ბ
ვაჟა-ფშაველას გამზ. 25
38 88 11
37 11 11

„რამ შეემქმნა ადამიანად?“

ერთ კვირაში თქვენს წიგნის თაროს ვაჟა-ფშაველას პროზა შეემატება

„ისე დავბერდი, სიხარული რასა იქვიან, არ ვიცი... მე და მამას ერთ კალაპოტში გვიდგა ფეხები და ერთნაირად დავბერდით. მამაჩემი იყო ტანჯული და ეხლა მენა ვარ ასეთი. მე და მამამ ხო წუთისოფლისა ვერაფერი გავიგეთ. თავის დედის სახელი დამარქვა — გულქანი. სიკვდილის წუთებში ეთქო, გულქანი დამრჩა შუა გზაზედაო... ხუთმეტისა ვიყავ, მამა რო დამელუპა... დღე-ღამეს ასწორებდა მამაი, მე ჭრაქს უზიდავდი საქონიდან, ღამე იმას უნთიებდი და ისა სწერდა. რო დასწერდა, მკითხავდა, მოგწონსო? ალბათ მცდიდა, როგორ ესმისო. კარგია, მამაო, რო ვეტყოდი, სახესა ნათელი გადაუვლიდა... ალბათ მცდიდა, განა მესმოდა, მაგრამა, მამა რო მიყვარდა, ვეტყოდი, კარგია, მამაო, კარგიო. — ყოჩაღ, ჩემო ქალო, ყოჩაღო!.. ბეჩავი მამაი!..“ — ვაჟა-ფშაველას ქალიშვილის, გულქან რაზიკაშვილის მოგონებიდან...

ირმა ხარშილაძე

მგონი, იოლად გამოიცანით, რომ მომავალ ხუთშაბათს თქვენს საოჯახო ბიბლიოთეკას ვაჟა-ფშაველას მოთხრობების კრებული შეემატება. ამჯერად ჟურნალ „გზასთან“, თან უკვე იუბილარ „გზასთან“ ერთად, მკითხველი „ქართული პროზის საგანძურის“ მეექვსე ტომს მიიღებს.

ვაჟა-ფშაველა — ლუკა რაზიკაშვილი 1861 წლის 14 ივლისს ფშავში, მდინარე ჩაგლურას ნაპირას, პატარა ქვიტკირის სახლში დაბადებულა. ჩვილს შავი თმა თვალებზე ჰქონია ჩამოფარებული. მნახველებს უთქვამთ: თმიანობა მიანიშნებს, რომ ვაჟი დავლათიანი და სახელიანი იქნებაო. მამა — პავლე, რომელსაც ექვსი შვილიდან მესამე — ლუკა განსაკუთრებით ჰყვარებია, ძალიან ნიჭიერი, მჭევრმეტყველი, მწიგნობარი კაცი ყოფილა. თვითონ შეუსწავლია წერა-კითხვა და მღვდელი გამხდარა. მანვე ჩაუნერგა შვილებს წიგნის სიყვარული, უამბო დავით აღმაშენებელზე, ქართველ და უცხოელ გმირებზე, შეაყვარა „ვეფხისტყაოსანი“, საასულიერო ლიტერატურა და მის თანამედროვეთა — ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედება.

მამამ თქო ერთხელა, მახსონ: გულქანი მე მგავსო ხასიათშიო, ნუღარ ელაპარაკებით, ერთს რო იტყვისო...

ვაჟა-ფშაველას მოგონებიდან: **„მე ვარ წმინდა ფშაველი ჩამომავლობით, როგორც დედით, ისე მამით. დედაჩემი იყო ივრელი ქალი, სოფელ სხლოვნიდან, ფხიკლიანთ გვარისა... სათემო გვარი ფხიკლეშვილებისა არის გაბიდოური. ღვიძლი ბიძა დედაჩემისა პარასკევა პირველი მოლექსე იყო ფშავში. საუბედუროდ, წერა-კითხვა სრულიად არ სცოდნია... წერა-კითხვა არც დედაჩემმა იცოდა, თუმც ბუნებით იყო ფრიად ნიჭიერი, შესანიშნავი მეოჯახე და მოწყალე, გლახის გამკითხველი, მეზობლის დამხმარე“...**

დედა შვილებს თურმე საგმირო ამბებს, ფშაურ თქმულებებსა და ლექსებს აცნობდა....

22 წლის ლუკა რაზიკაშვილი სწავლის გასაგრძელებლად, პეტერბურგში გაემგზავრა, თუმცა ხელმოკლეობის გამო ერთ წელიწადში კვლავ საქართველოში დაბრუნდა. მაინც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა პეტერბურგში გატარებული ერთი წელიწადი; იქ ყოფნას უკავშირდება მისი ფსევდონიმიც — ვაჟა-ფშაველა, რომელიც მისმა თუშმა მეგობარმა, დიმიტრი ცისკარიშვილმა შეარქვა: მთიელმა მეგობარმა კარგად იცოდა, რომ ფშავ-ხევსურეთში „ვაჟა“ „კარგ ბიჭს“, „ვაჟკაცს“ ნიშნავდა. ლუკა რაზიკაშვილი კი სწორედ ასეთი ყოფილა. მაგალითად, პეტერბურგში ვაჟასა და მის უფროს ძმას, გიორგის ფული სულ გამოლევიათ. შეხვედრიათ ნაცნობი, გერმანელი სტუდენტი, რომელსაც უთქვამს: წამოდით, ბილიარდი ვითამაშოთ და ვინც წააგოს, სადილის ფულიც იმან გადაიხადოსო. წასულან სათამაშოდ. თურმე არც იმ სტუდენტს ჰქონია ფული და საბილიარდოდან გაპარულა, ფულის გადაუხდელობის გამო კი მუშტი-კრივი გამართულა. ამ ჩხუბში ვაჟას ცნობილი მოკრივე გაულახავს...

გულქან რაზიკაშვილის მოგონებიდან: **„მამა სიმართლის მთქმელი იყო, სიმართლისა. თავს არ დაზოგავდა, არც ვიცი, რადა იქონდა ეგეთი ხასიათი. მამამ თქო ერთხელა, მახსონ: გულქანი მე მგავსო ხასიათშიო, ნუღარ ელაპარაკებით, ერთს რო იტყვისო... ვაი, რა წუთისოფელი გაიარა მამამა, ვერა გაიგო რა თავისი შრომისა და დაღალვისა, თავისი დაქანცვისა და სახელისა“...**

1886 წლის გაზაფხულზე, თავად ამილახვრის ოჯახში რეპეტიტორობისას, ვაჟა-ფშაველას იმავე ოჯახში აღზრდილი თავადის უკანონო შვილი, ძალიან ლამაზი და მაღალი სულიერი თვისებებით გამორჩეული, იმხანად დაქვრივებული ეკატერინე (კეკე) ნებიერიძე შეჰყვარებია და ცოლადაც შეურთავს. ეს ხანა განსაკუთრებული ნაყოფიერებით გამოირჩეოდა ვაჟას შემოქმედებაში. მაგრამ 1902 წელს, 36 წლის ასაკში, მწერლის საყვარელი მეუღლე გარდაიცვალა — „მეხუთე

შვილზე უმტყუნა“. ვაჟა-ფშაველამ ამ ტკივილს მიუძღვნა ლექსი:

იას უთხარით ტურფასა,
მოვა და შეგჭამს ჭიაო...
მიწავ, შენ გებარებოდეს
ეგ ჩემი ტურფა იაო,
შენ უპატრონე, უმშობლე,
როგორიც შენი ზნეაო.

გულქან რაზიკაშვილის მოგონებიდან: **„მამა ყვარელში იყო წასული, იქ სანადიროდ ნამყოფისთვინა, ცოლი მოგიკვდა, წვრილშვილი ლოგინში ჩამსხდარი გიჟივისო... ნეტა აქ ყოფილიყო, იქნება დედას ეცოცხლა!.. ირემი მოუკლავს მამასა, მოამბე იმ დროს მისვლია. შინ რო მოსულა (მაგარი ყოფილა მამაი, ალბათ ფიქრობდა, გავერთო რამითაო, ჯავრმა არ მაჯობოს, ხალხმა არ შემატყოს ნაღველიო), აუღია ფანდური. უკრავს ფანდურსა და თან დამღერის: ნუ მოხვალ, თორო ინანებ, მოსვლაში არა ყრიაო, — თურმე დედას ეუბნებოდა, სანამ მაიყვანდა ჩარგალსა, რო შენ იქაურს ჯაფასა**

ვაჟა-ფშაველას საწერი მაგიდა ჩარგალში

და ცხოვრებას ვერ შეეგუვდებიო. — კიო, კიო, კიო! — დედასა... ნუ მოხვალ, თორო ინანებო, — აი, ამას აგონებდა კეკეს — დედასა“.

1904 წელს ვაჟა-ფშაველამ მეორე ცოლი შეირთო — გიორგი დიდებაშვილის ქალიშვილი ნინო, შემდეგში თამარად წოდებული. მასთან ერთი ვაჟი, ვახტანგი შეეძინა. ის გახლდათ ვაჟას მეხუთე შვილი.

ვაჟა-ფშაველას მეუღლის, თამარის მონათხრობი: **ლუკას ხასიათი გაგებული მქონდა, ამიტომ ხელს ვუწყობდი, ვერ ვუბედავდი, დაჟინებით მეთქვა, ოჯახს შენახვა სჭირდება, გაისარჯე, ცოლ-შვილს რჩენა უნდა-მეთქი. როგორც იყო, ერთხელ გაბრაზებულმა გავბედე და ვუთხარი: რა არის, კაცო, ცოლ-შვილი მშიერ-ტიტველი გყავს, შინ არაფერი გვაქვს. ყველაფერი თავდება, შენ კი ზიხარ, ჯღაბნი და სულ ჯღაბნი-მეთქი. მოველოდი, ძალიან გაჯავრდებოდა, ჩემი ნათქვამის მევე შემეშინდა. მაგრამ საქმე სხვაგვარად დატრიალდა. გაიცინა და მითხრა: ეეჰ, შე საწყალო, უსწავლელი ხარ და რა გითხრა, ნასწავლი რომ იყო, მაგ სიტყვას არ გაპატიებდიო.**

ცნობილი ექიმისა და მოღვაწის, პროფესორ მიხეილ (ქაიხოსრო) ზანდუკელის მოგონებიდან: **„ვაჟა თბილისში იშვიათად ჩამოდიოდა. შევეკითხე, თუ რატომ ხშირად არ ჩამოდის. — ქალაქში ჩასვლას ბევრი რამ უნდა! უნდა ჩაიცვა, დაიხურო და სამაგისო ქონება არ მაქვსო. ღარიბი იყო ვაჟა, მაგრამ სიღარიბეზე ერთი სიტყვაც არ უთქვამს, მეტად ამაყი იყო. ერთხელ მოვიდა ჩემთან, არანისში, ძალიან მოეწონა ჩემი კულტურული ცხოვრება, როიალი მედგა შინ, — აი, აქ შეიძლება მუშაობაო. მე ვიგრძენი, რომ ვაჟას სიღარიბე ძალიან მძიმედ აწვა...“**

და მაინც... როცა კი თბილისში მოდიოდა, თავის ნაწერებს თურმე ერთ ჭრელ ხურჯინში ჩააწყობდა ხოლმე და პირველად ილია ჭავჭავაძესთან შეივლიდა — ხურჯინის „დასაბერტყად“.

მწერლის თანამედროვე კრიტიკოსი, პუბლიცისტი და ჟურნალისტი, „ხომლელის“ ფსევდონიმით ცნობილი რომანოზ ფანცხავა იხსენებს: **„როცა მთელ საქართველოში მარტო ერთადერთი გაზეთი „ივერია“ ისტამბებოდა, ვაჟა-ფშაველას ჩვენ ვხედავდით ამ გაზეთში მომუშავეს... ილია ისე ღრმად იყო დარწმუნებული ვაჟას პოეტური ტალანტის დიადობაში, რომ სიტყვის შებრუნება არ ხერხდებოდა მასთან... ილიამ გასამხნევებლად ჰონორარიც კი დაუნიშნა ვაჟა-ფშაველას და სტრიქონობით აძლევდა რედაქცია ჯილდოს, როგორც პროზის, ისე ლექსისთვის. პირველად სტრიქონში სამ-სამ კაპიკს აძლევდა, შემდეგ ჰონორარი გადიდებულ იქნა და ლექსებში შაური ეძლეოდა. ბოლოს ეგ ჰონორარი თვიურ ჯამაგირად გაუხადა და თვეში ოცდახუთი მანეთი დაუნიშნა. თუ არ ვცდები, ვაჟა-ფშაველა იყო ერთადერთი მწერალი, რომელსაც ამ პირობებში ეძლეოდა ჯამაგირი. ახლა ადვილად წარმოიდგენთ, პატიოსანი, თავმოყვარე, ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალი თუ რატომ იყო გაუტეხელი, დაუზარებელი და თავდადებული ქართული მწერლობისთვის და ჩვენ ამას უნდა ვუმადლოდეთ ილიას, და მხოლოდ მარტო ილიას...“**

თურმე, მთასა და მთის წყალს ნაგრობდა

დაძაბულმა ფიზიკურმა და შემოქმედებითმა ცხოვრებამ ვაჟა-ფშაველას ჯანმრთელობა ძალიან შეარყია. გარდაცვალებამდე ბევრი იავადმყოფა. აკაკი წერეთლის დაკრძალვასაც კი ვერ დასწრებია. 1915 წლის გაზაფხულზე თბილისში სამკურნალოდ ჩამოსულა. ოდნავ მოიკეთა და 23 მაისს სიტყვაკაზმული საზოგადოების სახელით, ლიტერატურული საღამო მოუწყვეს. იმ საღამოზე მიურთმევიათ დაფნის გვირგვინი წარწერით: „ქართული პოეზიის არწივს“. საღამოს შემდეგ კვლავ ლოგინად ჩავარდნილა. მისი მკურნალი ექიმის, იმავდროულად, ცნობილი კრიტიკოსის, ივანე გომართელის დასკვნით, ვაჟა-ფშაველა პლევრიტით იყო ავად. 14 ივნისს მწერალი წმინდა ნინოს სახელობის ქართულ ლაზარეთში (დღევანდელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) გადაიყვანეს. თურმე, მთასა და მთის წყალს ნატრობდა. 27 ივლისის დილას უკეთ უგრძნია თავი, შუადღეს კი კვლავ ცუდად გამხდარა. რომელი საათიაო? — უკითხავს. — სამიო, — უპასუხია მოწყალების დას, ანიკო კობიაშვილს. ვაჟას უთხოვია: თუ ღმერთი გწამს, ლოგინი იატაკზე გამიშალე და გარშემო ყვავილები დამაყარეთ, — იქნებ მაშინ მაინც წარმოვიდგინო ჩემი ძვირფასი მთაო...

ვაჟა-ფშაველა საღამოს 7 საათზე გარდაცვლილა. ის დიდუბის პანთეონში ფშაური წესისა და დატირების გარეშე დაკრძალეს. ფშავში კი „წესი დაუყენებიათ“ და დამარხვის გარეშე დაუტირებიათ: ვაჟას ნაბადი გაშალეს თურმე ეზოში და ზედ მისი ხმალ-ხანჯალი, თოფი და ფარი დააწყვეს...

ვაჟას ნათლულმა, დიდმა ქართველმა მწერალმა გიორგი ლეონიძემ და „ცისფერყანწელებმა“ 20 წლის შემდეგ ვაჟას ნეშტი დიდუბიდან მთაწმინდაზე გადაასვენეს.

P.S.

„...თოვლად ქცეულსა გულშია
ცეცხლად იმედი მრჩებოდა,
რომ ისევ ჩემი სიკვდილი
სიცოცხლედ გადიქცეოდა...“

— ვაჟა-ფშაველა

დასაწყისი იხ. გვ. 6

— შენ თვითონ მოგწონს დიმა ბილანი და გსურს, მასთან ერთად იმღერო?

— რა თქმა უნდა! ბილანი რუსეთში ერთ-ერთი წამყვანი მომღერალია და მასთან დუეტზე უარს ვერ ვიტყვი.

— რატის „ულალატებ“?

— არა, რატომ? ეს ხომ ერთჯერადი დუეტი იქნება! მერე ისევ რატისთან ერთად გავაგრძელებ სიმღერას.

— ჰო, ეს ამბავი ალბათ მართლაც სასიამოვნო იქნებოდა, მაგრამ შენ ისეთი გულუბრყვილო ყოფილხარ, პირველი აპრილის ამბავი საერთოდ გადაგაიწყდა...

— ვაიმეეე!!! არ არსებობს, დაუშვებელია!.. ბრავო, ბრავო! რა მაგრები ხართ! საიდან მოიფიქრეთ ასეთი რამ?! კი გამიკვირდა, რადგან „იურმალიდან“ რამდენიმე მომღერალს ვიცნობ, დიმა ბილანს კი — არა, მხოლოდ ერთხელ მყავს ნანახი... არა, მაინც, ჩემი რატი მირჩევნია ყველას (*იცინის*).

ყველაზე სერიოზული რესპონდენტი — მსახიობი ***ია სუხიტაშვილი*** *აღმოჩნდა:*

— ია, თურმე ჰოლივუდი კიდევ ერთ ფილმს იღებს საქართველოში და ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებლად ჯგუფი შენს მიწვევას აპირებს.

— აზრზე არა ვარ, რაზე მელაპარაკები. ეს ამბავი პირველად მესმის. ამის შესახებ არავინ დამკავშირებია.

— ალბათ უახლოეს მომავალში დაგიკავშირდებიან და მაინტერესებს, რა პასუხს გასცემ?

— ნორმალური მსახიობი ჰოლივუდელ რეჟისორთან მუშაობაზე უარს არ იტყვის. არა მგონია, მათ ისეთი რეჟისორი ჰყავდეთ, რომელიც კარგ ფილმს ვერ გადაიღებს.

— შენთვის მნიშვნელობა არა აქვს, რა როლს შემოგთავაზებენ?

— არა. ჩემთვის ყველა როლი მნიშვნელოვანია. მთავარია, რეჟისორი როგორ დაინახავს მსახიობს და ფილმს როგორ გააკეთებს.

— გისურვებ, რომ ოდესმე ჰოლივუდში მართლაც მიგიწვიონ, ამჯერად კი იმედი უნდა გაგიცრუო: ეს, ჩვენი საპირველაპრილო ხუმრობაა.

— (*იცინის*). პირველი აპრილი რომ მოგვიახლოვდა, სულ დამავიწყდა.

ჩვენს ხუმრობას ყველაზე აგრესიულად, ჟურნალისტი ***ნანუკა ჟორჟოლიანი*** *შეხვდა, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მისთვის ცოტა „ბოროტი“ ხუმრობა მოვიფიქრე:*

— ნანუკა, როგორც გაირკვა, ხორვატიის ერთ-ერთ არხს შენი ფორმატის გადაცემა ჰქონდა; თქვენ იქიდან გაქვთ ყველაფერი გადმოღებული — ქუდიც, მწვანე ვაშლებიც, ძაღლიც... ამის გამო, ხორვატიის ტელევიზია ევროსასამართლოში გიჩივით, რის შედეგადაც, ან სოლიდურ ფულად ჯარიმას დაგაკისრებენ, ან გადაცემას დაგიხურავენ...

— ვინ მოგაწოდათ ეს „თეთრი“ ინფორმაცია?! შეიძლება, რომ ყვითელი პრესა სულ ასეთ ინფორმაციებს ავრცელებდეს?! რამდენ აბსურდულ შეკითხვას უნდა გავცე კიდევ პასუხი?! მე რაიმე ინფორმაცია რომ ჩამივარდება ხელში, აუცილებლად ვამოწმებ. თქვენ გადაამოწმეთ, ასეთი გადაცემა ნამდვილად არსებობს თუ არა?

— რასაკვირველია. ხორვატიის ერთ-ერთ არხზე რამდენიმე წლის წინ ასეთი გადაცემა ნამდვილად არსებობდა. ინტერნეტის საშუალებით ამის გარკვევა რთული არ არის.

— კი, მაგრამ დარეკეთ იმ ტელევიზიაში და დაგიდასტურეს ასეთი რამ?

— არ დამირეკავს.

— მერე მე რატომ მისვამ ასეთ შეკითხვებს?! ჯერ იქ დარეკე და კარგად გაარკვიე. მე რომ შენზე მითხრან, კაცი მოკლაო, ვიდრე შენთან დავრეკავ, ჯერ ხომ უნდა გავარკვიო, ის კაცი ნამდვილად მოკვდა თუ არა?!

— გასაგებია, მაგრამ ინტერნეტში ნამდვილად არსებობს იმ გადაცემის შესახებ ინფორმაცია. რისთვის უნდა დამერეკა?!

— შენზე გავიგე, კაცი იყო და ქალად გადაკეთდაო, მართალია?

— არა.

— მერე ეს შეკითხვა კორექტულია?

— ნანუკა, ეს კორექტული არ არის, მაგრამ რაც გითხარი, ის საპირველაპრილო ხუმრობაა და იმედია, არაკორექტულობაში არ ჩამეთვლება.

— ხალხო, თქვენ გიჟები ხართ (*იცინის*)?! რას მალანძღვინებთ თავს?! საიდან მოიფიქრე ასეთი ტყუილი, გავგიჟდი კინაღამ!..

სულ ბოლოს, მსახიობსა და რეჟისორს, ***სოსო ჯაჯვლიანს*** *დავუკავშირდი. ჩემი ხუმრობა ისე სერიოზულად მიიღო, როცა „კარტი გავუხსენი“, აღარც მომისმინა:*

— ბატონო სოსო, მსახიობი და ტელეწამყვანი ნანკა კალატოზიშვილი გამოსაცემად ამზადებს ავტობიოგრაფიულ წიგნს, სადაც ერთი თავი მთლიანად თქვენ გეძღვნებათ. ნანკასთან რომანი გქონდათ?..

— არა, კაცო, რა რომანი?! საერთოდ არ ვიცნობ ნანკას. ტელევიზიით მინახავს რამდენჯერმე და ვიცი, რომ ფიზიკურად, კარგი გოგონაა, მაგრამ პირადად არ ვიცნობ. ვაა, უყურე შენ ნანკას! რაო, რას წერს ჩემზე?

— ჯერ არ ვიცი, წიგნი ხომ არ წამიკითხავს. ამის გაგება თქვენგან მინდოდა.

— რას ლაპარაკობთ?! ნამდვილად, არაფერი ვიცი ამის შესახებ.

— ბატონო სოსო, ორ დღეში პირველი აპრილია...

— ეგ წიგნი როდის იქნება გაყიდვაში? (*ჩემი ნათქვამისთვის ყურადღება არ მიუქცევია*)

— ერთ თვეში.

— ვაა, ნეტავ ვიცნობდე მაინც ახლოს!..

— ეს ჩვენი საპირველაპრილო ხუმრობა იყო.

— (*იცინის*) კარგია. ისე, რომ იცოდეთ, მსგავსი რაღაცები არ მაღელვებს, რადგან კარგად ვიცი, ვინც ვარ...

■

სპეციალურად პედაგოგებისთვის!

„მედია პალიტრა“ წარმოგიდგენთ!

ყოველთვიურ ჟურნალს „სკოლა“

- აქტუალური თემები
- სერტიფიცირება
- პროფესიული სტანდარტი
- მასწავლებლის მეგზური

ეს თქვენი ჟურნალია!
პასუხი ყველა თქვენს კითხვაზე!

ჟურნალი გამოდის
განათლების და მეცნიერების სამინისტროს,
მასწავლებლთა პროფესიული განვითარების ცენტრის,
საგამმართველო ცენტრს „დიდაქტიკის,“
მასწავლებლთა დახელოვნების ინსტიტუტის
და განათლების ეროვნული ცენტრის ხელშეწყობით.

ეშაფდ ფიეენშოი ენაშოყლი სკოლის საყვეფილი პოპეფალზე.
ბეენოფან თქვენი აზეი ამალიან პროაქტიულეფია...

დაკვეთა: (032) 38 38 71 skola@palitra.ge ჟურნალ „სკოლის“ ბეგალეა

ცოტნე გამსახურდიას დაზარალებული არ ამხელს

თბილისის საქალაქო სასამართლოში ბრალდებულ ცოტნე გამსახურდიას საქმის განხილვა გრძელდება. მას დავით ბაჯელიძის დაჭრა და იარაღის უკანონოდ ტარება-შენახვა ედება ბრალად.

საზოგადოების მხრიდან ამ პროცესით დიდი დაინტერესების გამო, ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტების ამსახველ მასალას („გზის“ მომდევნო ნომრებში გაგრძელებით) შემოგთავაზებთ.

მთავარმა მოწმემ ჩვენება შეცვალა

პროცესზე მოწმეების დაკითხვა მიმდინარეობს. გამოძიების მთავარი მოწმის — რაისა საიადოვას დაკითხვა 7 საათი გაგრძელდა. მოწმე პროცესზე ძალოვანთა თანხლებით მივიდა; არც ის დაუმალავს, რომ დაცვა დაუნიშნეს: „ბიჭები მთელი დღეები, ღამის 2 საათამდე სახლთან დგანან. პოლიციელთა მანქანები იცვლება. მერიდება, პრეზიდენტი ხომ არა ვარ, დაცვა რომ მყავდეს“, — აღნიშნა მან. რატომ გახდა აუცილებელი მოწმისთვის დაცვის გამოყოფა? — ამაზე პასუხი საიადოვას არა აქვს. მოგვიანებით კი ამის გარკვევას პოლიციის უფროსთან, ნიკოლოზ გოგიშვილთან შეეცადნენ. მან არ დაადასტურა მოწმისთვის დაცვის დანიშვნის ფაქტი. თავად დაზარალებული ბაჯელიძეც აცხადებს, რომ სახლთან ძალოვანთა მანქანები დგანან. ამ კუთხით ბევრი კითხვა დაუსვეს მოწმე გოგიაშვილს, რომელმაც ბოლოს დაასკვნა, — ალბათ დღისით იქ ისვენებენ ჩემი პოლიციელები და ამის უფლება აქვთო...

რაისა საიადოვა:

„განსასჯელს ვიცნობ, დათოც მეზობელია... წაკუზული ვიყავი, შეშით სავსე ტაშტი უნდა ამეღო, ცოტნე რომ შემოვიდა; ატმის ხესთან, 5-6 მეტრში დავინახე, ხელში იარაღი ეჭირა, იარაღის თავი და ბოლო დავინახე, მუქი შინდისფერი; სულ ერთი წამით შეეხედე, მეტხანს რატომ უნდა შემეხედა?! შემეშინდა, მეგონა, ჩემს მოსაკლავად მოდიოდა. შევძვერი „კუხნაში“ და დავიმალე. ისეთ შოკში ვიყავი, გარეთ ერთი საათის შემდეგ გამოვედი. მთელი უბანი იქ იყო — პოლიცია, „სასწრაფოები“. გარეთ გამოსული ცოტნე არ მინახავს. იმ დღეს ჩხუბის ხმა არ გამიგონია და არც ხმაური. დათოს ბებია ყვიროდა, მიშველეთო, მაგრამ არ გავსულვარ. არც პოლიციელებს გავსაუბრებივარ. არავისთვის მითქვამს, რომ დათო ცოტნემ დაჭრა, ეს ტყუილია. წინა დღეებში ჩემმა ძმამ მითხრა, ცოტნეს ფული უნდა და მერე მოგცემსო, 25 ლარი გამომართვა...“

გამსახურდიას ადვოკატი გიორგი ქოიავა საიადოვას მხედველობის მდგომარეობით დაინტერესდა. მოწმე ამბობს, რომ სათვალეს, მინუს 3-ს, 20 წელია ატარებს.

ადვოკატმა ბექაურმა მოწმეს 3 მეტრის მანძილიდან ფოტო უჩვენა და სურათზე გამოსახული ფერების დასახელება სთხოვა, მაგრამ საიადოვამ ვერ უპასუხა. ფაქტია, მხედველობის სერიოზული პრობლემა აქვს. ამის გათვალისწინებით, შეძლებდა თუ არა ცოტნეს ხელში იარაღისა და, მით უფრო, ფერის გარჩევას, ამას ალბათ სასამართლო შეაფასებს.

წინასწარი გამოძიებისას მიცემული მისი ჩვენება მოსამართლემ გამოაქვეყნა. იქ მოწმე დეტალურად ჰყვება, როგორ გაიგონა ჩხუბის ხმა „პროფილაქტიკაში“, როგორ შევიდა კოლხურ კოშკში იქიდან გამოსული გამსახურდია, მერე კოშკიდან, შეიარაღებული გამოვიდა, აირბინა ბაჯელიძეების კიბე, შევარდა ოთახში, გაისროლა, მერე ჩაირბინა კიბე, ეზოში კიდევ ერთი გასროლა მოახდინა და გაიქცა... სასამართლოზე კი აბსოლუტურად განსხვავებული ჩვენება მისცა:

„ეჭვი მეპარება, რაც მოსამართლემ წაიკითხა, ეს მე მეთქვას. პოლიციელები წერდნენ — ისინი ჩემი ძმის ამხანაგები არიან და იმიტომ დაველაპარაკე. განყოფილებაში არავის წავუყვანივარ, სახლში დამკითხეს. ასეთი რამეები არ მითქვამს. არც ის მითქვამს, ანზორი ყვიროდა, რა უქენით ჩემს ძმასო, არც „პროფილაქტიკიდან“ გამოსული გამსახურდია დამინახავს, ესეც არასწორია, ან კოლხური კოშკიდან მის გამოსვლას როგორ დავინახავდი? — ესეც ტყუილია. არც ის მითქვამს, რომ მათ შორის ჩხუბს შევესწარი. არც პოლიციელებს უკითხავთ ჩემთვის არაფერი და არავისთვის მითქვამს, რომ ცოტნემ დაჭრა. ვისგან გავიგე კონკრეტულად ფაქტი, არ მახსოვს, იმდენი ხალხი ირეოდა... ცოტნე, ბაჯელიძესთან ხშირად მოდიოდა, ერთად ჩაის სვამდნენ, აღებდა ფანჯარას და მაგინებდა... ეზოში დავინახე, მაგრამ ყარაულად ხომ არ ვიდექი, მენახა, სად შევიდა ცოტნე და საიდან გამოვიდა. კიბეზე რომ ასულიყო, ფეხის ხმას გავიგონებდი, მაგრამ არ გამიგონია; გამოძიებაში არ მითქვამს, რომ კიბეზე ასვლის ხმა გავიგონე და იქიდან გამოსული ცოტნე დავინახე. გასროლის მაგვარი ხმა გავიგონე... ბაჯელიძეებთანაც ნაჩხუბარი ვარ... დღეს სასამართლოს სიმართლე ვუთხარი. ის ჩვენება ასე ვინ დაწერა და რატომ, არ ვიცი, ვინც ეს დაწერა, ის ყოფილა აისორი და მე — ქართველი. ასეთი რამეები მე არ მითქვამს“.

ადვოკატები იმითაც დაინტერესდნენ, თუ რა ურთიერთობა ჰქონდა მოწმეს გამსახურდიებთან.

„კარგი ურთიერთობა მქონდა მანანა არჩვაძესთან. მათ სახლს ცეცხლი რომ წაუკიდეს, პირველად მე ვნახე, მან კი დამაბრალა, „შუბა“ მომპარაო...“ — *დასძინა მოწმემ და განაგრძო:* „არავისთვის მითქვამს, რომ ცოტნეს სხვაც ჰყავდა დაჭრილი. ტელევიზიით გავიგე, რომ ვიღაც ბაჯელიძე კიდევ ჰყავდა დაჭრილი, ის გარდაცვლილა და მამამისი საუბრობდა“.

მოწმის განსხვავებულმა ჩვენებამ განსასჯელი გააღიზიანა და მან განცხადება გააკეთა.

ცოტნე გამსახურდია:

„თქვენ კარგად ხედავთ ბრალდების მოწმეებს და იმას, თუ ვის სიტყვაზე ვიმყოფები სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. არ ვწუწუნებ იმ პირობებზე, რაშიც ვარ. მაგრამ ამ ყველაფრის ავტორებსა და მესვეურებს აუცილებლად მოუწევთ პასუხისგება, სცენირებულ ტრაგიკომიკურ სიყალბეში მონაწილეებს, ჩემი პატივის და ღირსების შელახვისთვის. რამდენი წელიც უნდა გავიდეს, ეს მოხდება, კონკრეტულად ამას კუპატაძეს ვეუბნები“.

დღის ბოლოს პროცესზე განსასჯელი ცუდად გახდა და ექიმიც გამ-

გაგრძელება იხ. გვ. 16

ავერსი ვილოცავთ

ალილუიის ბრწყინვალე დღესასწაულს!



დასაწყისი იხ. გვ. 14

ოიძახეს. მორიგ სხდომაზე მან განმარტება გააკეთა:

„ბატონო მოსამართლევ, ვითვალისწინებ შს სამინისტროსა და პროკურატურის ტერორისტულ ხასიათს, მოგახსენებთ, რომ წინა სხდომაზე მტკიცედ დავპირდი პროკურორ კუპატაძეს, პასუხს აგებდა ჩემ მიმართ ჩადენილი უკანონობისა და არაადამიანობისათვის. ხაზგასმით ვაკონკრეტებ, ამ სიტყვებში ვიგულისხმე მხოლოდ შს პასუხისმგებლობა და ჩემთვის მორალური, მატერიალური და ჯანმრთელობის ზიანის ანაზღაურება... ვინაიდან არ გამოვრიცხავ, რომ მისმა მესვეურებმა მას თავად მოუსწრაფონ სიცოცხლე და შემდეგ, პროკურორმა, ვინმე ზოდელავამ ესეც მე არ დამაბრალოს; ჩემი განცხადება პრევენციულ ხასიათს ატარებს... კარგად მესმის, რომ პროკურატურა მძიმე ნოკაუტშია, მაგრამ ეს ხდება ისევ და ისევ მათივე ინსპირირებული სიცრუიდან გამომდინარე... აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და მადლობას გადავუხდი აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტს, ბატონ ჯოზეფ ბაიდენს, ჩემი მოკრძალებული პერსონის ირგვლივ არსებული სიტუაციით დაინტერესებისთვის და ოფიციალური კორესპონდენციისთვის დედაჩემის სახელზე. დიდ მადლობას ვუხდი ქალბატონ კლინტონს, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელს, მისი ვრცელი და ობიექტური მოხსენებისთვის, საქართველოში გამეფებული საშინელებების შესახებ. დასასრულ კი გულწრფელ მადლობას გიხდით თქვენ, ბატონო მოსამართლევ, რომ თავის დროზე არ დააკმაყოფილეთ შუამდგომლობა, ჩემს თავდებით გათავისუფლებაზე, რითაც, ვთვლი, რომ უდავოდ ხელი შეუწყვეთ ბრალდების ირგვლივ ობიექტური ჭეშმარიტების დაუყოვნებლივ დადგენას. 2008 წლის სექტემბერში ერთხელ უკვე გამათავისუფლეს გირაოთი, შეთითხნილ, აბსურდულ „საქმეზე“, შემდეგ კი დამოკლეს მახვილივით დაკიდეს ბრალდება ჩემს თავზე — უსასრულოდ, ვინაიდან, მოგეხსენებათ, „ლიბერალური“ კანონმდებლობის მიხედვით, თუ პირი პატიმრობაში არ იმყოფება, მისი ბრალდების საქმე შეიძლება, განუსაზღვრელი ვადით იმყოფებოდეს სასამართლოში, განხილვის გარეშე, — შეიძლება, ბრალდებულის მიწიერი ცხოვრების დასასრულამდეც კი...“

ახლა წინა სხდომებს მივუბრუნდეთ.

დაზარალებულმა — დავით ბაჯელიძემ, ადვოკატი ზურაბ როსტიაშვილი მას შემდეგ აიყვანა, რაც ძალოვანთა მხრიდან მასზე ზეწოლა განხორციელდა.

სასამართლო სხდომაზე ცოტნე გამსახურდიამ ისიც განაცხადა, რომ მასთან ციხეში შევიდა სრული აღნაგობის მამაკაცი და თავისუფლების სანაცვლოდ, მისთვის სუკ-ის კარტოთეკის გადაცემა მოითხოვა.

„ვაცხადებ, ამ ადამიანებს არ მინდა, ილუზია ჰქონდეთ...“ — *თქვა ცოტნე გამსახურდიამ და ისიც დასძინა, რომ საქართველოში სასამართლოს სამართლიანობის იმედი არა აქვს. მოსამართლე მერაბ ჯორბენაძემ სასამართლოს მიმართ გამოთქმული აზრის გამო შენიშვნა მისცა.* „თქვენთვის არ მომიყენებია შეურაცხყოფა, უბრალოდ, ჩემი აზრი გამოვხატე. ვერ შეგეწინააღმდეგებით: თქვენ იქ ზიხართ, მე კი — აქ, მაგრამ ამ აზრამდე ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა მიმიყვანა,“ — *უპასუხა განსასჯელმა მოსამართლეს.*

სხდომაზე გამოქვეყნდა ფარული ვიდეო-აუდიოჩანაწერი, რომელიც სასამართლო განხილვის დაწყებით ეტაპზე ნივთმტკიცებად გაჩნდა. დაზარალებული დავით ბაჯელიძე, მისი ძმა ანზორი, გამოძიების მთავარი მოწმე რაისა საიადოვა და ცოტნე გამსახურდია ფარულად ჰყავს ჩაწერილი ძველი თბილისის რაიონის პოლიციის მესამე განყოფილების უფროს ნიკოლოზ გოგიაშვილს. მწოლიარე დაზარალებული ფარულად სახლში ჩაწერეს.

დავით ბაჯელიძე:

„საშიში არაფერიაო. ტყვია ჯერ დარჩეს, არ შეგაწუხებსო — მუცელში მომხვდა ტყვია... არაფრის გულისთვის მოგვივიდა ჩხუბი. ერთმანეთს დავეძიძგილავეთ, წიხლი რომ ვკარი, ერთი-ორჯერ გადავარდა, მეც წავიქეცი... დავიშალეთ, ვუთხარი, ხვალ დაგელაპარაკები-მეთქი. „ბუხოი“ იყო და სახლში წამოვედი. კაკუნი გაისმა. გავიხედე — ისროლა, არც არაფერი უთქვამს; თითქოს ფეხზე მდუღარე დამასხეს, ფეხები წამერთვა... მესროლა და გაიქცა...“

საუბრისას კონკრეტულად ცოტნეს არ ასახელებს, პოლიციის უფროსი კი ცოტნეს ახსენებს და ამბობს, — სანამ გამომძიებელი მოვა, დავლაგდეთ და ისე მიეცი ჩვენებაო.

რაც შეეხება რაისა საიადოვას, — როგორც ძიების მასალებში, ასევე ფარული ჩანაწერში ამბობს, რომ ბაჯელიძე ცოტნე გამსახურდიამ დაჭრა და ეს საკუთარი თვალით ნახა. დაჭრილის ძმა, ***ანზორ ბაჯელიძე*** *ფარულად ჩაწერეს პოლიციის განყოფილებაში დანაშაულის დღეს. ამ ჩანაწერში ის ამბობს:*

„მასთან შელაპარაკება მოუხდა, დათოც ნასვამი იყო. სახლში შევიყვანე, ოთახში ვიყავი, ხმა რომ გავიგონე, მეგონა, რაღაც აფეთქდა. გაიქცა. ნუ გარბიხარ, გაჩერდი, რა!.. ეგ იყო. ჩემთანაც მეგობრობდა... მერე ნანობდა. ჩავუსაფრდები და მაგრად ვცემ“.

ბაჯელიძეს პოლიციის უფროსი იმასაც ეუბნება, ჩემი გამოცდილებიდან ვიცი, ეს ტყვია შეიძლება, თავში ავიდესო. ასევე ფარულად ჩაწერეს პოლიციის განყოფილებაში მიყვანილი ცოტნე გამსახურდიაც. გოგიაშვილი ეკითხება, სად მიიღო დაზიანებაო? — ვიღაცამ მხია თავში... ვერ ავიტან უსამართლობასო, — ამბობს აღელვებული ცოტნე და გოგიაშვილის კითხვებს აპროტესტებს...

განსასჯელის ადვოკატმა გიორგი ქოიავამ ფარული ჩანაწერების დაუშვებლად ცნობა მოითხოვა, რადგან მოსამართლის ნებართვის გარეშე იყო ჩაწერილი.

გიორგი ქოიავა:

„ფაქტია, სამძებრო ღონისძიების ჩამტარებელი ყველანაირად ცდილობს, მოატყუოს თანამოსაუბრე და ათქმევინოს მისთვის სასურველი ფრაზა. ბაჯელიძეს არც ერთხელ ცოტნე არ უხსენებია, თუმცა გოგიაშვილი ამბობს, — ეძახე ახლა შენ გამსახურდია, ზვიადას ბიჭი!.. ასევე ცდილობს, ათქმევინოს ცოტნეს, ვისროლეო. აშკარაა, რომ საუბრისას ცოტნე გამოხატავს პროტესტს...“

ადვოკატის დასაბუთებულ შუამდგომლობას პროკურატურა არ დაეთანხმა და არც მოსამართლემ დააკმაყოფილა. ჯორბენაძე მიიჩნევს, რომ განხილვიდან ჩანაწერის ამოღების საკითხი მტკიცებულებათა გამოკვლევის დასრულების შემდეგ უნდა დადგეს. საბოლოოდ, ამ ფარულ ჩანაწერს მიიღებს თუ არა მტკიცებულებად სასამართლო, მოგვიანებით გახდება ცნობილი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

სახე

„მან ჩემზე გაცნობისთანავე მოახდინა შთაბეჭდილება“

ირაკლი ალასანიას მეორე ნახევრის აუხდენელი ოცნება

„ირაკლის არ უყვარს განცდების გაზიარება, მისი უსიტყვოდ მესმის. ვიცი როდის, რა ინტენსივობით უნდა ვიყო მის გვერდით“, — ამბობს თბილისის მერობის კანდიდატის — ირაკლი ალასანიას მეუღლე — ნათია ფანვზიკიძე. წინასაარჩევნო კამპანიაში აქტიურად ჩართვას არ აპირებს, არ უნდა, რომ საზოგადოებას საკუთარი პერსონით თავი მოაბეზროს. ეს ინტერვიუ რამდენიმე თვის წინ დაიგეგმა, მაგრამ მაშინ შეხვედრა არ შედგა. მოგვიანებით, ჩემი რესპონდენტი საქართველოდან წავიდა, თუმცა დადებული პირობა მას თბილისში დაბრუნებისთანავე შეავახსენე... ქალბატონმა ნათიამ ინტერვიუსთვის შინ მიმიპატიჟა.

თამუნა კვინიკაძე

— ნათია, როგორც ვიცი, პროფესიით ფსიქოლოგი ხართ. ნიუ-იორკში რას საქმიანობთ?

— ერთ წელზე მეტია, რაც ფსიქიატრიულ ჰოსპიტალში ვმუშაობ. ის ნიუ-იორკის ყველაზე ძველი ჰოსპიტალია. კლინიკურ ფსიქოლოგიაში ამერიკელებთან ერთად მუშაობა საინტერესოა. ეს დარგი (ისევე, როგორც ბევრი სხვა) მათთან კარგად არის განვითარებული. ახლა თბილისში რამდენიმე დღით ჩამოვედი.

— ოჯახის ასე გაყოფილად ცხოვრება ძნელი არ არის?

— ძალიან ძნელია და მაისიდან თბილისში საბოლოოდ დავბრუნდები. ისე, ძალიან მინდა, რომ ჩვენმა უფროსმა შვილმა — ნიკუშამ სწავლა იქ გააგრძელოს. 17 წლის არის და მისი განვითარებისთვის იქ მეტი შესაძლებლობაა. პარადოქსულია ისიც, რომ ნიუ-იორკის ქალაქის კოლეჯებში სწავლის საფასური ბევრად დაბალია, ვიდრე თბილისში გახსნილ კერძო სკოლებში. გოგონას წამოყვანა კი აუცილებლად მომიწევს. ეკა უკვე 13 წლის არის და მათემატიკურ სკოლაში სწავლობს.

— სამშობლოში დაბრუნება თქვენს შვილებს თავად თუ უნდათ?

— მთავარია, ადამიანი, სადაც უნდა იყოს, თავად გრძნობდეს თავს კომფორტულად. ვეცადე, მათ, როგორც სტუმრებს, ისე ჰყვარებოდათ ამერიკა — მასპინძელი ქვეყანა. ამასთან, არც სამშობლოსთან გაეწყვიტათ კონტაქტი. თბილისში ყოველ ზაფხულს ჩამომყავდა...

— ნიუ-იორკში ბინა გაქვთ?

— არა, იქ ჩემი პაციენტის ბინაში ვცხოვრობთ. ის 45 წლის ასაკში ახალი ცხოვრების დასაწყებად სხვა შტატში გაემგზავრა. ამაში ჩემი წვლილიც იყო. მადლიერების ნიშნად, ბინა დროებით დამითმო.

— ნათია, ირაკლი როგორ გაიცანით?

— უნივერსიტეტში გავიცანი... მანამდე მას კაფეშიც შევხვდი, მაგრამ იქ ერთმანეთს არ გამოვლაპარაკებივართ.

— მაგრამ ერთმანეთი ორივეს დაგამახსოვრდათ, არა?

— ასე იყო... მაშინ ირაკლი საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტზე სწავლობდა, მე — ხელოვნებათმცოდნეობის. სიმართლე გითხრათ, ამ ფაკულტეტზე შემთხვევით მოვხვდი, ამიტომ არასდროს მითქვამს, ხელოვნებათმცოდნე ვარ-მეთქი. შემდეგ ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე ჩავაბარე და სანამ სწავლას დავასრულებდი, ვამბობდი — ფსიქოლოგი ვარ-მეთქი.

უცხო ენების სასწავლო ცენტრი

OXFORD HOUSE

გთავაზობთ უცხო ენების შესწავლას უმოკლეს ვადაში:

- ზოგადი ინგლისური
- ბიზნესინგლისური
- პოლიტიკური ტერმინოლოგია
- საბავშვო პროგრამები.

სწავლება მიმდინარეობს უახლესი სახელმძღვანელოებითა და მეთოდებით. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა საუბარს, მოსმენას, გრამატიკას, წერისა და კითხვის უნარების გაუმჯობესებას.

კურსდამთავრებულები მიიღებენ საერთაშორისო სერტიფიკატს, ხოლო წარჩინებული სტუდენტები გაიგზავნებიან საზღვარგარეთ სასწავლებლად.

მოიგეთ დრო! მიიღეთ განათლება პროფესიონალებთან!

მის.: რეზო თაბუკაშვილის ქ. №1 (კოლმეურნეობის მოედანთან)
ტელ.: 99-56-76; 890 115-115

— ერთმანეთს ადვილად გაუგეთ?

— ძალიან ადვილად გავუგეთ. ზოგადად, ირაკლისნაირი ადამიანები ძალიან მომწონს... ბევრს არ ლაპარაკობს...

— ოჯახშიც ასეთია?

— ის ასეთია, არ თამაშობს. ირაკლიმ გაცნობისთანავე ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. კარგადაც გამოიყურებოდა. მის გვერდით თავს კომფორტულად ვგრძნობდი...

— და ოჯახის შექმნის გადაწყვეტილებაც მიიღეთ...

— ბევრი არ გვიფიქრია. მაშინ ირაკლი 18 წლის იყო, მე — 20-ის. ის ჩვენთან ოჯახში სტუმრად ხშირად მოდიოდა. დასამალი არაფერი მქონდა. იმ აზრს, რომ სიყვარულს მალვა უნდა, არ ვეთანხმები. სიყვარულს მალვა კი არა, ხმამაღლა აღიარება უნდა! იმ ასაკში, როცა ოჯახი შევქმენით, შეყვარებული წყვილები ხშირად სადღაც „იპარებიან“ ხოლმე. ჩვენ მსგავსი რამ აზრადაც არ მოგვსვლია. ირაკლიმ თავის თავს არ აკადრა, რომ ვინმეს

მამია ალასანია უშიშროების გენერალი იყო

ძალიან მინდა, რომ ჩვენმა უფროსმა შვილმა — ნიკუშამ სწავლა იქ გააგრძელოს

გაჰპარვოდა, გაჰქცეოდა... ოჯახი ტრადიციის დაცვით შევქმენით — ნიშნობა გვქონდა, თუმცა ქორწილი არ გადაგვიხდია.

— რატომ?

— იმ წლებში თბილისში ძალიან დაძაბული მდგომარეობა იყო. მამებმა გვითხრეს, იმდენი ახალგაზრდა ბიჭი იღუპება, ვერაფერს აღვნიშნავთ, სირცხვილიაო. ამაზე ცოტა გულიც კი მწყდებოდა, რადგანაც სადედოფლო კაბის ჩაცმაზე მეც ვოცნებობდი. შემდეგ მე და ირაკლი ვამბობდით, თბილისის ომი რომ დამთავრდება, ჩვენი ერთად ყოფნა აღვნიშნოთ-თქო, მაგრამ შემდეგ აფხაზეთის ომი დაიწყო...

— აფხაზეთის ომში სამწუხაროდ, ირაკლის მამა — მამია ალასანია დაიღუპა...

— ეს უმძიმესი ტრაგედია იყო.

— ამ ტრაგედიაზე ირაკლი და მისი ოჯახის წევრები ნაკლებად ლაპარაკობენ...

— მამია ალასანია უშიშროების გენერალი იყო, სანამ აფხაზეთში წავიდოდა, 6 წლის მანძილზე ავღანეთში იბრძოდა. თავისი საქმე კარგად იცოდა, პროფესიონალი გახლდათ. როცა აფხაზეთში მდგომარეობა დაიძაბა, ირაკლი იქ, როგორც რიგითი ჯარისკაცი, ისე წავიდა. იმ დროს მამამისი ზუგდიდის მისადგომებთან იყო განაწილებული. როგორც ჩანს, გული უფრო ცხელი წერტილისკენ მიუწევდა, თან ისიც იცოდა, რომ სოხუმში მისი შვილი იბრძოდა. იქ ჩავიდა და ჟიული შარტავასთან ერთად გამაგრდა (ჟიულისთან მამიას ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებდა). როცა სოხუმს უკვე ყველა ტოვებდა, ირაკლი მინისტრთა საბჭოს შენობასთან მივიდა. იქ მამიასა და ჟიული შარტავასთან ერთად, სხვა ქართველებიც იყვნენ, სოხუმი იცლებოდა. ირაკლისთვის მამიას უთქვამს: შენ თბილისში დაბრუნდი, მე აქ დავრჩებიო. ირაკლიმ სვანეთი ფეხით გადმოიარა და შინ ისე დაბრუნდა (*პაუზის შემდეგ*)... ის ამ თემაზე ნაკლებად ლაპარაკობს. ამდენი წელია, ერთად ვცხოვრობთ და მისგან არასდროს მსმენია სიტყვები: „მე ეს განვიცადე“, „ცუდად ვარ“, „ძალიან მეტკინა“, „თანამიგრძნე“... მას არ უყვარს გრძნობებით მანიპულირება. ყველაფერი უხმოდ და უსიტყვოდ გადაიტანა. საკუთარი განცდები არც ამ შემთხვევაში გაუზიარებია. მამის ხსენება საერთოდ შეწყვიტა. მაშინ ძალიან ახალგაზრდა — 19 წლის იყო.

— როგორც ვიცი, მამის გვამს დიდხანს ეძებდა...

— ძალიან დიდი ხნის მანძილზე... ამის შესახებ ნორმალურად არაფერი ვიცოდით. იყვნენ ადამიანები, რომლებიც გვეუბნებოდნენ, რომ მამია ალასანია ცოცხალია და მისი გათავისუფლების სანაცვლოდ თანხას ითხოვდნენ. ზოგჯერ ვიღაც დაბეჯითებით გვიმტკიცებდა, გარდაცვლილია და გვამსაც გადმოგცემთო. ეს კოშმარი 4 წლის მანძილზე გრძელდებოდა. ირაკლი მიდიოდა, თუთიის კუბო მიჰქონდა და ყოველ ჯერზე მამის ნაცვლად სხვა მიცვალებულის გვამი გადმოჰქონდა...

— 4 წლის შემდეგ რა მოხდა?

— შემდეგ გაირკვა, რომ მამია ალასანია 47 ქართველთან ერთად დახვრიტეს. გვამები კი საერთო საფლავში ჩაყარეს. როგორც ხდება ხოლმე — ომს მთავარსარდლები იგებენ, ჯარისკაცების სახელები კი არავინ იცის. ახლა ირაკლი ასპარეზზეა და მამამისის სახელიც რამდენჯერმე ამიტომ გაისმა, მაგრამ მასთან ერთად დახვრეტილების სახელები არავინ იცის. აღარავინ ახსენებს 47 უერთგულეს კაცს. მათ დიდი გმირობა ჩაიდინეს და ვალდებულები ვართ, სათანადო პატივი მივაგოთ...

— მათი განსასვენებლის ზუსტი ადგილი დღეს მაინც თუ არის ცნობილი?

— ირაკლიმ იცის. ტრაგედიის გადატანასაც თავისი ეტაპები აქვს. ჯერ გაოგნებული ხარ, მერე — დეპრესია გეუფლება, შემდეგ კი უმძიმეს მდგომარეობას ეგუები. ყველაზე რთული დროში გაწელილი სტრესია, როცა გარდაცვლილ ადამიანს ვერ ნახულობ და ურთ-

ირაკლი ალასანიას ცოლ-შვილი

იერთგამომრიცხავ უამრავ ინფორმაციას ისმენ. ალბათ ამ ყველაფერმა განაპირობა ისიც, რომ ირაკლი სასწავლებლად სამხედრო აკადემიაში წავიდა. ახალგაზრდა ყოველთვის რევანშზე ფიქრობს, ალბათ ირაკლისაც ჰქონდა იმის განცდა, რომ ეს არავისთვის შეერჩინა... შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, რის გამოც მას დიდ პატივს ვცემ.

— „ბევრი რამის შეცვლაში“ რას გულისხმობთ?

— როცა აფხაზეთში მოსალაპარაკებლად ჩავიდა, თავისი ტკივილიდან გამომდინარე, სხვისი ტკივილიც გაიზიარა. მიხვდა, რომ მაშინ გავიმარჯვებთ, თუ ერთმანეთს ვაპატიებთ და სიყვარულს დავთესავთ. ჯერ სიძულვილით არავის გაუმარჯვია! „ბალადა ვეფხისა და მოყმისა“ ასე იმიტომ გვიყვარს, რომ მას საფუძვლად ჩვენი გენეტიკა უდევს. პატიებაში ხომ უფრო მეტი ვაჟკაცობაა, ვიდრე — შურისძიებაში?! შეიძლება, ადამიანი ფიზიკურად გაანადგურო, მაგრამ მასზე ვერ გაიმარჯვო. ქართველებს და აფხაზებს შორის სიყვარული უნდა აღდგეს. ჩვენ უფრო მეტი გვაქვს საერთო, ვიდრე აფხაზებსა და რუსებს.

— ამ ყველაფერმა ირაკლი გულჩათხრობილ ადამიანად ხომ არ აქცია?

— შეიძლება... დღეს ქართველი პოლიტიკოსები გაუთავებლად ლაპარაკობენ, მათ რომ აჯობო, რეკორდსმენი უნდა იყო. მათი მოსმენა კი ძალიან დამღლელია. არანორმალურად მიმაჩნია ის, რომ ქვეყანაში თეატრის მსახიობებზე მეტად პოპულარულები პოლიტიკოსები არიან. ირაკლი ევროპული ყაიდის პოლიტიკოსია...

— რჩევას ხშირად აძლევთ?

— პროფესიული თვალსაზრისით რჩევას ვერ მივცემ, ისევე როგორც ის — მე (როგორც ფსიქოლოგს), ვერაფერს მირჩევს. ადამიანურად, რჩევებს, რა თქმა უნდა, ვაძლევ.

— რისკზე ხშირად მიდის?

— სულ ექსტრემალურ სიტუაციაშია, მაგრამ ყოველთვის მშვიდი სახე აქვს. ის ასეთი მშვიდი სახით წავიდა აფხაზეთში, პანკისში, „ებრძოდა“ ჩურკინს გაეროში. არასდროს კარგავს წონასწორობას, სალანძღავ სიტყვებს ვერ წამოაცდენინებ, ხმას არ აიმაღლებს. ძლიერი და მყარი ფსიქიკის ადამიანია!

— ოჯახურ გარემოშიც ასეთია?

— რა თქმა უნდა, კარადაზე გადაუწმენდავ მტვერზე საყვედურს არ გეტყვის. მეწვრილმანე არ არის, ბევრის პატიება შეუძლია. ამ შემთხვევაშიც ძალიან მამაკაცურია!

— როგორი მეუღლეა?

— ეს ძალიან ინტიმური თემაა. მოდი, ნუ ვისაუბრებთ...

— რომანტიკულია? სიურპრიზების გაკეთება ეხერხება?

— სახლიდან იმდენი ხნით არის ხოლმე წასული, რომ შემდეგ ჩემი გულის მოსაგებად, რაღაც განსაკუთრებულის გაკეთება ძალაუნებურად უწევს... ირაკლიმ იცის, ის ჩემთვის რამდენად მნიშვნელოვანია და როგორ მჭირდება.

— ხშირად კამათობთ?

— ხშირად არა, მაგრამ ვჩხუბობთ ხოლმე. სადაც არ კამათობენ, იქ ჯანსაღი ურთიერთობაც ვერ იქნება.

— შემდეგ როგორ რიგდებით?

— დიდხანს წარბშეკრული სახით ყოფნა მწყინდება. პირველ ნაბიჯს ყოველთვის მე ვდგამ. ირაკლი ჩხუბსაც და ჩემს გაბუტვასაც იუმორით უყურებს.

— კარგი იუმორი აქვს?

— ბოლო დროს დამცინის: — რა არის, ისე უნდა მოკვდე, სადედოფლო თეთრი კაბა ერთხელ მაინც ვერ ჩაიცვაო (*იცინის*)? ვეუბნები, ქორწინების რომელიმე წლისთავი აღვნიშნოთ-მეთქი. თეთრი კაბის ჩაცმის იმედს მაინც არ ვკარგავ. ეს, მართალია, სასაცილო იქნება, მაგრამ მე მაინც გამიხარდება.

— თბილისში დაბრუნების შემდეგ თქვენი პროფესიით საქმიანობას გააგრძელებთ?

— სანამ ამერიკაში წავიდოდი, ქალაქის №1 ბავშვთა სახლში მოზარდებთან ვმუშაობდი. ბავშვები ძალიან მიყვარს. მათთან ურთიერთობას მომავალშიც აუცილებლად გავაგრძელებ. ბოლო დროს ნარკომანიის პრობლემებითაც დავინტერესდი. ასეთ პატარა ქვეყანაში 300000 რეგისტრირებული ნარკომანი კატასტროფაა! სურვილი მაქვს, რომ მომავალში ნარკომანიის ცენტრთან ვითანამშრომლო.

— ახლა თქვენი მშობლების სახლში ვიმყოფებით...

— ეს ადგილი სპეციალურად შევარჩიე, მყუდრო გარემოა.

— როგორი მამა იყო — მწერალი გურამ ფანჯიკიძე?

— მამა ძალიან თბილი და პოზიტიური ენერგიის მატარებელი ადამიანი გახლდათ. ყველა კატეგორიის ადამიანთან ურთიერთობა უყვარდა. როცა ოჯახში მამის თაობის შემოქმედები იკრიბებოდნენ, ნიჭიერების ფეიერვერკი იყო: ხუმრობა, სიცილი, სიმღერა, ცეკვა, მუდმივად გაშლილი სუფრა — ეს ყველაფერი ძალიან მომწონდა. ზოგჯერ მაკარონზეც კი უქეიფიათ. მამა წერდა მაშინაც, როცა სახლში აუტანელი ხმაური იყო. თუ დაიღლებოდა, დივანზე წამოწვებოდა და იმ „გრუხუნში“ იძინებდა. მისი მეგობრები სოხუმშიც ხშირად იკრიბებოდნენ, მათ გენო კალანდია მასპინძლობდა. სოხუმში იყვნენ მაშინაც, როცა ომი იყო. იქ ერთმანეთის გულის გასამაგრებლად იკრიბებოდნენ, ღვინოს ვეღარ, მაგრამ ჩაის სვამდნენ საწვიმარი მილიდან შეგროვებული წყლით.

— თქვენი და — მაია ფანჯიკიძე საქართველოს ელჩი იყო ნიდერლანდების სამეფოში. ის ამ ცოტა ხნის წინ გაათავისუფლეს. მიგაჩნიათ, რომ ამაში „დამნაშავე“ ირაკლია?

— რა თქმა უნდა, მთავარი „დამნაშავე“ ირაკლია. მიზეზად კი დაასახელეს, თითქოს ჰოლანდიაში დაკავებულ ქართველს სათანადო ყურადღება არ მიაქცია. ჯერ ერთი, ეს კონსულის საქმეა და არა — ელჩის. მეორეც, მაიამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ დაკავებული გაეთავისუფლებინათ. ამის დამადასტურებელი დოკუმენტაციაც უხვად აქვს. იმ პიროვნებას ჰოლანდიის პოლიციამ ბოდიში მოუხადა. 24 საათში გაათავისუფლეს. ელჩს მეტი რა უნდა გაეკეთებინა?! ყველაზე დიდი ცინიზმი ის არის, რომ მოქალაქის მიმართ გულგრილობაში ბრალს გდებს სახელმწიფო, რომელმაც 7 ნოემბერი მოაწყო...

— დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის!

■

როცა ოჯახში მამის თაობის შემოქმედები იკრიბებოდნენ, ნიჭიერების ფეიერვერკი იყო (დალი და გურამ ფანჯიკიძეები)

სოხუმური შეხვედრების ნოსტალგია,

პიჯაკის უბეში დამალული იები და ქმრის ცრემლები, რომელმაც კულისებში მდგომი მსახიობი გააოგნა

უამრავი პერსონაჟი თეატრში, კინოროლი, სუხიშვილების ანსამბლი — ასეთია მოკლედ გზა, რომელიც მსახიობმა გურანდა გაბუნიამ ხანგრძლივი კარიერის მანძილზე გაიარა. ამ ყველაფერსა და ოთარ მეღვინეთუხუცესის გვერდით გატარებულ ცხოვრებაზე მოსაყოლად ერთი ინტერვიუ ნამდვილად არ კმარა, მაგრამ მთავარი სათქმელი, „ესკიზურად", იმედია, მაინც გამოგვივიდა.

თამთა დადეშელი

— ჩემი ყველაზე დიდი ტკივილი ის არის, რომ გავიზარდე სოხუმში, რომელიც აღარ გვაქვს... პატარაობიდან, 7-8 წლიდან ვცეკვავდი. სოხუმში, პატარა სტუდიაში ყველაფერს გვასწავლიდნენ, რაც იმ ასაკის ბავშვს შეეძლო აეთვისებინა. სოხუმში ძალიან ლამაზი და დიდი ფილარმონია გვქონდა. მახსოვს, მოისეევის (რუსული ხალხური ცეკვისა და სიმღერის) ანსამბლი იყო ჩამოსული და დიდი წარმატება ჰქონდა. მთელი ქალაქის ღირსშესანიშნაობები რომ დაათვალიერებინეს, მერე ჩვენს სასწავლებელშიც მოიყვანეს. მოვეწონე და მამაჩემს სთხოვეს, — წავიყვანთ, ვასწავლით და მისგან არაჩვეულებრივი მოცეკვავე დადგებაო (მამა, გიორგი გაბუნია თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო, დედა, თამარ მაკარაშვილი — წამყვანი მსახიობი). მამა გადაირია, — რას ჰქვია, მოსკოვში წაიყვანთ და მოცეკვავე გახდებაო?! თუ უნდა, იცეკვოს სახლში, ეზოში, „ნაძვის ხეზეო"... ამით ცეკვაზე საუბარი დამთავრდა... გავიდა წლები, მამა სამუშაოდ ფოთში გადაიყვანეს. იქ მე თვითონ დავდგი გოგოლის „რევიზორი"; ბიჭს ვთამაშობდი. მამაჩემს ძალიან მოეწონა. მაშინ 11 წლის ვიყავი. სკოლა სოხუმში დავამთავრე. შემდეგ, მშობლები გაიყარნენ და დედაჩემი თბილისში წამოვიდა, მის დედასთან ერთად ვცხოვრობდით. როცა დედას ვუთხარი, თეატრალურზე ჩავაბარებ-მეთქი, უპრობლემოდ დამთანხმდა. დედა გურამ საღარაძეს იცნობდა და სთხოვა, მოვემზადებინე. კარგად ჩავაბარე, ხუთებზე. მერე გურამი ჩემი პედაგოგიც იყო, რუსთაველის თეატრში — პარტნიორიც. ჩემს ჯგუფში სულ ვარსკვლავები სწავლობდნენ: ბელა მირიანაშვილი, ჯულიეტა ვაშაყმაძე, თენგიზ დაუშვილი, გრიშა წიტაიშვილი, ნოდარ ფირანიშვილი, მალხაზ გორგილაძე, სოსო გოგიჩაიშვილი, იმედა კახიანი — სულ „კინოშნიკები". რობერტ სტურუა სარეჟისოროზე სწავლობდა და პირველი საკურსო სპექტაკლი რომ დადგა — ტურგენევის „ძაფი იქ წყდება, სადაც წვრილია", — შემიძლია ვიამაყო, რომ მთავარ როლზე, ვერაჩკაზე ამიყვანა. ისეთი ბედნიერი ვიყავი!.. ჩემი პარტნიორი მალხაზ გორგილაძე იყო. არაჩვეულებრივი სპექტაკლი იყო. სადიპლომო სპექტაკლში მე და ბელა დებს ვთამაშობდით. ასევე ვითამაშე ლილი იოსელიანის სპექტაკლში, რომელიც მან ამერიკელი დრამატურგის, ჯონ პრისტლის პიესის მიხედვით დადგა. დედაჩვენს ჯულიეტა განასახიერებდა. ძალიან ლამაზი კოსტიუმები იყო, ისე კარგად მახსოვს — ბელას შიფონის ვარდისფერი კაბა ეცვა, ფირუზისფერი ქამარი ჰქონდა, ნამდვილი ვარსკვლავი იყო... ლილისგან ვისწავლეთ, რა არის მსახიობობა. მან ცვლილებები ჩემს გარეგნობასა და ბუნებაშიც შეიტანა. მანამდე ცოტა ბიჭური ტიპი ვიყავი, „ჩოლკა" დამიმოკლა, ქუსლებზე შემაყენა, რომ როლისთვის შესაფერისი ვყოფილიყავი. მეუბნებოდა, — ჩუმად, ნელა ისაუბრე და სხვისი მოსმენა ისწავლეო... ინსტიტუტის შემდეგ, მე და ბელა განაწილებით, რუსთაველის თეატრში გაგვგზავნეს. გაგეცინებათ და, იმედა კახიანს დიპლომი ისე მისცა ილია თავაძემ, არც უვლია ინსტიტუტში. გააღებდა კარს, შემოიხედავდა, რას შვრებითო? — მოგვიკითხავდა; ვეტყოდით, რა როლზე დაამტკიცეს და წავიდოდა; კინოში იღებდნენ და იღებდნენ გაუთავებლად... არასდროს დამავიწყდება ჩემი პედაგოგები — აკაკი გაწერელია (როგორ გვიყვებოდა ხოლმე ბაირონზე!), ნადია შალუტაშვილი, ეთერ გუგუშვილი, მალიკო მრევლიშვილი, რომელიც მეტყველებას გვასწავლიდა. ბედნიერი წლები იყო.

— **„სანიტარიული კულტურის თეატრი" ვისი დაარსებული იყო?**

— ლილი იოსელიანის თაოსნობით დაარსდა. ახალგაზრდები წაგვიყვანა — ნოდარ მგალობლიშვილი, ოთარი, მე, გრიშა წიტაიშვილი, მალხაზ გორგილაძე... „ჩვენი ერთი საღამოთი" გაიხსნა თეატრი. ლილიმ ეს სპექტაკლი თავისი დაწერილი პიესის მიხედვით დადგა, სადაც მის გარდაცვლილ დას, ნათელას განვასახიერებდი; მას მიუძღვნა... ერთი წელი ვიყავით იქ, სანამ სუხიშვილების ანსამბლში მივიდოდი, შემდეგ დაგვშალეს.

— **როგორ გაიხსენებდით რუსთავის თეატრში მუშაობის პერიოდს?**

— ბედნიერება მხვდა წილად, იქ მემუშავა. შემიძლია ვთქვა — რაც ამ თეატრში ვნახე, არსად მინახავს. გიგა ლორთქიფანიძემ მარჯანიშვილის თეატრის მთელი ნარჩევი ახალგაზრდობა წაიყვანა და საოცარი სპექტაკლი დადგა — როსტანის „სირანო დე ბერჟერაკი", რომელშიც მთავარ როლს ოთარი თამაშობდა. ყველა კულისებში იდგა და ერთმანეთს ამხნევებდა, ანთებული თვალებით, — აბა, მიდი, აბა, შენ იციო!..

— **თქვენი სასცენო პერსონაჟებიდან უფრო გამორჩეული რომლებია?**

— ძნელია გამოყოფა, თუმცა ვფიქრობ, ჩემთვის ყველაზე ნაყოფიერი მედიკო კუჭუხიძესთან მუშაობის პერიოდი იყო: ბევრი როლი მქონდა და ყველა — განსხვავებული.

ლუვრში
ორჯერ ვიყავი

სხვავებული; მან ძალიან კარგად იცის ჩემი ხასიათი. 3 სპექტაკლში ვმონაწილეობდი: ლალი როსებას „პრემიერაში“, „პროვინციულ ამბავსა“ და „სახლის ანგელოზებში“. ყველა სპექტაკლს თავისი ეშხი და გემო აქვს. როგორც ყველა შვილი უყვარს ადამიანს, რამდენიც უნდა ჰყავდეს, ისეა როლებიც. მაგრამ მაინც, განსაკუთრებით მიყვარდა კოროსტილიოვის „ასი წლის შემდეგ“, რომელიც გიგამ რუსთავში დადგა; დეკაბრისტის შეყვარებულს განვასახიერებდი. სხვათა შორის, ამ დრამატურგმა სპეციალურად ოთარისთვის დაწერა „ფიროსმანი“, სადაც მარგარიტას ვთამაშობდი; ესეც ბედნიერება იყო. მადლიერი ვარ ბატონი გიგასი. საერთოდ, ჩემი პარტნიორი ძირითადად, მალხაზ გორგილაძე იყო და ასეთი მეგობარი ბიჭი სხვა არც მყოლია. მისი სიკვდილის ამბავი რომ გავიგე, გული წამივიდა. ასე მომივიდა მამაზეც: ქუჩაში გავიგე მისი გარდაცვალების ამბავი, მისი მეგობარი შემხვდა და მკითხა, — რატომ არ ჩახვედი მამაშენთან წუხელ? როგორ გელოდებოდაო: მამიდაჩემმა არ დამირეკა ღამე, იფიქრა, მეორე დღეს შევატყობინებო, დილით კი აღარ იყო ცოცხალი... თურმე მთელი დღე და ღამე მელოდებოდა, იქნებ რისი თქმა უნდოდა?!. ძალიან განვიცადე, მერე, წლების მანძილზე მესიზმრებოდა მამა...

— კინოში უმეტესად, ლანა ღოლობერიძე გიწვევდათ. მეგობრობდით?

— ლანას კი ვიცნობდი, მაგრამ უფრო ახლოს, მანანა ბარათაშვილთან (კინოსტუდიის რედაქტორი) ვიყავი და ჩემი ფილმში მიწვევა მისი მიწოდებული აზრი იყო. სურათის — „ერთი ცის ქვეშ“ სინჯებზე ბევრი ქალი ჰყავდათ მიწვეული და, ჩემდა გასაკვირად, როლზე დამამტკიცეს. პირველ ნოველაში, „თავადის ქალი მაია“, ოთარი თამაშობს; ჩემი აზრით, ეს ლანას ყველაზე კარგი ფილმია, ლიანა ასათიანი კი არაჩვეულებრივია. ძალიან მიყვარს ჩემი ნოველა — „ფრესკა“, სადაც თენგიზ არჩვაძე მყავდა პარტნიორად. საერთოდ, ჩემს თავს არ მივიჩნევ კინომსახიობად, იმიტომ, რომ არ მომეცა საშუალება, კინოში გამეკეთებინა ის, რაც შემეძლო. „მზე შემოდგომისა“ მიყვარს, კარგი როლი მაქვს, თან, ჩემი გოგონაც მონაწილეობს, ჩემი პერსონაჟის შვილს თამაშობს.

— როგორი პარტნიორია ბატონი ოთარი თქვენთვის?

— უბედნიერესი ვარ, რადგან ოთარისნაირი პარტნიორი მგონია, არ არსებობს. ვისაც მასთან უმუშავია, ყველა ამას ამბობს. მედეა ჯაფარიძეს უყვარდა ძალიან ოთართან ერთად თამაში. „ოტელოში“ ოთარი ოტელოს თამაშობდა, მე — ემილიას. ერთხელ, რომ ვუყურებდი, ეს შეშლილი კაცი როგორ ეძებდა დეზდემონას ცხვირსახოცს, ცრემლი კი არ ჩამოუგორდა, პირდაპირ იფეთქა თვალებიდან ცრემლების ნაკადმა, კულისებში ვიდექი და გავოგნდი... მე ქალბატონი ვერიკოს დიდი თაყვანისმცემელი ვიყავი, სულ თვალებში ვუყურებდი. ასეთი უდიდესი არტისტი სხვა არ მინახავს სცენაზე. ტალანტითა და გენიალურობით 3 ადამიანს გამოვარჩევდი: ვერიკო ანჯაფარიძეს, ანა მანიანის და ნინო რამიშვილს. რაღაც საერთოც აქვთ გარეგნობაშიც, გენიალური შინაგანი ბუნება ჰქონდათ და უდიდესი პროფესიონალები იყვნენ.

— ბატონი ოთარი რჩევებს თუ გაძლევთ ხოლმე?

— იცით, როგორ მიშლიდა ხელს პირველ პერიოდში?.. საშინლად! უცებ პარტერიდან დამიყვირებდა, — რა არის, ვერ უნდა გააკეთოო?!. ერთხელაც ვუთხარი: ოთარ, ძალიან გთხოვ, აღარ დამიყვირო პარტერიდან; დაიმახსოვრე, ჩაიწერე და სახლში რომ მივალთ, იქ მითხარი-მეთქი. როგორ შეიძლება, არტისტს დაუყვირო?! მე ხომ იმწამსვე ვიკეტები! არტისტს ქება სჭირდება, რომ ფანტაზია, ემოცია მოეძალოს და გაიხსნას. აი, ეს არის სწორედ, რაც მედეა კუჭუხიძემ იცოდა და იცის.

— ოჯახში როგორია თქვენი მეუღლე? ყოველთვის მკაცრი ჩანს...

— სულ თავისთვისაა, ჩუმად, არ შეგაწუხებს; კითხულობს, ტელევიზორს უყურებს; მე ჩემს საქმეს ვაკეთებ, ან მეზობელთან, ამხანაგთან მივდივარ.

— რამდენად რომანტიკული ადამიანია? როგორი ურთიერთობა გქონდათ, როცა შეყვარებულები იყავით?

— კი, რომანტიკული იყო. ჩვენ ვხვდებოდით ხოლმე, ახლა რომ საკრებულოა, იქ დიდ საათთან. ერთხელ, 8 მარტი იყო — მივედი პაემანზე და ვხედავ, ხელში არაფერი უჭირავს; გული დამწყდა — ყვავილებს ველოდი... უცებ გადაიწია პიჯაკი და იების კონა ამოიღო; დამალული ჰქონდა, რომ არავის დაენახა, ამხელა კაცი იებით ხელში (*იცინის*)...

— თქვენი ცხოვრების რომელი პერიოდი გახსენდებათ ყველაზე ტკბილად?

— ახალგაზრდობის წლები, აფხაზეთის პერიოდი. ძალიან კარგი დრო იყო.

არაჩვეულებრივ ხალხთან, მსახიობებთან გვქონდა ურთიერთობა: ნონა მორდიუკოვა ჩამოდიოდა, მიშა ულიანოვი, ინოკენტი სმოკტუნოვსკი (სამწუხაროდ, ცოცხლები აღარ არიან)... როგორი კარგი მეგობრობა გვქონდა რუს ხელოვნებთან... გაუგებარია ის, რაც დღეს ხდება ჩვენ შორის. ჩემს რუს ახლობლებთან მაინც მაქვს ურთიერთობა და არც დავკარგავ არასდროს. მჯერა, ყველაფერი შეიცვლება. უნდა დავიბრუნოთ აფხაზეთი და ყველამ უნდა გაიგოს, რომ ჩვენი იყო და არა რუსეთის!

— „დათა თუთაშხიას“ გადაღებების პერიოდს როგორ გაიხსენებთ? რამდენად ხშირად ნახულობდით მეუღლეს? ალბათ, ძალიან დატვირთული იყო.

— მიმაჩნია, რომ ეს ფილმი კინოში ოთარის გვირგვინია. „დიდოსტატის მარჯვენაში“ მეფე გიორგი კარგი როლი იყო, მაგრამ დათა მაინც სხვაა. არაჩვეულებრივი სცენები აქვს ოთარს. ყველა მსახიობი ბრწყინვალეა, ამ ფილმში არ არსებობს ცუდად ნათამაშები როლი. ეს გიგას დიდი დამსახურებაა.

— ხშირად მოგზაურობდით. საზღვარგარეთული ვოიაჟებიდან რომელს გამოარჩევდით?

— ბევრგან ვყოფილვართ, მაგრამ ყველაზე გარმორჩეული, ვაიმარი იყო: ფესტივალზე, რომელშიც 200 შექსპიროლოგი მონაწილეობდა, თემურ ჩხეიძის „ოტე-

ლოს“ დიდი მოწონება ხვდა წილად. ოთარს სახეზე ისეთი გრიმი ჰქონდა, ნახევარი სახე თეთრი ჰქონდა, ნახევარი — შავი და ეს გადაწყვეტა ძალიან მოეწონათ... რა ხდებოდა მოსკოვში ჩვენს სპექტაკლებზე, ვერ წარმოიდგენთ. მილიცია ძლივს აკავებდა ხალხს, კარს ამტვრევდნენ, ოღონდ შემოსულიყვნენ; ლენინგრადში კი დაამტვრიეს კიდეც ერთხელ შუშის კარი და შემოცვივდნენ. იატაკზე ისხდნენ „ოტელოზე“. ბედნიერი წლები იყო...

— როგორც ვიცი, სუხიშვილების ანსამბლშიც ცეკვავდით.

— დიახ, რაღაც პერიოდი. რუსთაველის თეატრიდან წამოსვლის შემდეგ, 3 წელი მათთან ვცეკვავდი და არაჩვეულებრივ გასტროლებზეც ვიყავი. მაშინ სუხიშვილების საუკეთესო საგასტროლო მარშრუტი ასეთი იყო: ავსტრალია, ამერიკა, საფრანგეთი, ბელგია, ჰოლანდია. პარიზში თვე და 12 დღე ვცხოვრობდი. გადასარევი იყო; თეატრშიც ვიყავი, შარლ აზნავურის კონცერტზეც, „ლიდოშიც“, „კაზინო დე პარიში“, მუზეუმებში, ლუვრში — ორჯერ, როდენის მუზეუმში — სამჯერ... მოკლედ, მოვიარე, თუ რამე შეიძლებოდა. იტალიაშიც ვიყავი რამდენჯერმე.

— ანსამბლში როგორ მოხვდით?

— გასინჯვაზე მივედი, მოვეწონე და ამიყვანეს. მანამდე, ბუხუტი დარახველიძესთან ვცეკვავდი, „კომკავშირულ ანსამბლში“.

— ამჟამად ახალ სპექტაკლზე თუ მუშაობთ?

— იცით, არ მიყვარს წინასწარ ლაპარაკი — რამე რომ მოხდეს და არ გამოვიდეს?.. ორმა დრამატურგმა შემომთავაზა, პიესები დაწერეს ჩემთვის და ვნახოთ, რა გამოვა. საერთოდ კი ინგა გარუჩავასა და პეტია ხოტიანოვსკის სამჯერ აქვთ ჩემთვის და ოთარისთვის პიესა დაწერილი, ერთხელ კი — პირადად ჩემთვის. „მიტევების დღე“, რომელიც შემდეგ, ქეთი დოლიძემ დადგა, სადაც კი წავიღეთ, ყველგან მოეწონათ. მოსკოვში ორჯერ ვითამაშეთ და სულ აწშლაგებით, ასევე იყო შოტლანდიაში, ედინბურგში. ქეთი იყო ჩვენი მენეჯერიც და ჩემი რეჟისორიც. საერთოდ უნდა აღვნიშნო, რომ ყველა რეჟისორის მადლიერი ვარ, ვისთანაც მიმუშავია... ■

ოთარი საოცრად რომანტიკული იყო

„არ მჭირდება აფხაზეთი აფხაზების გარეშე“...

გიორგი ზანგური, ფართო საზოგადოებამ როგორც პოეტი, ისე გაიცნო... სულ მალე კი, ეკრანზე მის მიერ შესრულებული როლებიც გამოჩნდა... გიორგისთან საუბრის დაწყებისთანავე მიხვდებით, რომ საქმე ჭეშმარიტ პატრიოტ ადამიანთან გაქვთ. „შეიძლება, შოვინისტად მომნათლოთ, მაგრამ ამ სამყაროში ქართველები ყველაზე მეტად მიყვარს“, — მითხრა გიორგიმ. მიიჩნევს, რომ მისი შემოქმედება მისივე ემოციებისა და შეგრძნებების „ნაგავსაყრელია“.

ელენე ბასილიძე

— მსახიობობა როდის გადაწყვიტე?

— თავდაპირველად, მეზობლების, მეგობრებისა და ოჯახის წევრების პაროდიებს ვაკეთებდი, მათ საუბრისა და სიარულის მანერაში ვაჯავრებდი. ერთხელაც, მეგობარმა შემომთავაზა: იქნებ, მსახიობობა გეცადაო და იმ დროიდან დაიწყო ჩემი, როგორც მსახიობის ცხოვრება. 13-14 წლის ვიყავი, როდესაც ახალგაზრდულ თეატრში მივედი, დღესაც არის ის დასი, რომელსაც „ცეტები“ ჰქვია. მოგვიანებით კი თეატრალურ უნივერსიტეტში ჩავაბარე.

— მაგრამ თავიდან საზოგადოებამ როგორც პოეტი ისე გაგიცნო.

— ჰო, მაგრამ სანამ ჩემი ლექსების პირველ წიგნს დავბეჭდავდი, თეატრალური უნივერსიტეტი უკვე დამთავრებული მქონდა. თუმცა, ჯერ არ მქონდა შესრულებული ცნობილი როლები... ბევრი დღემდე, გიორგი ზანგურს, როგორც პოეტს, ასე იცნობს. ჩემთვის ორივე საქმე მნიშვნელოვანია. ხშირად ვამბობ, რომ ჩემს ლექსებში, პატარ-პატარა ეტიუდები და განუხორციელებელი როლებია ჩაქსოვილი, რომლებიც არ მითამაშია-მეთქი. ისეთი პოეზია და საერთოდ ლიტერატურა მიყვარს, სადაც მეტი დრამატიზმი და მოქმედებაა. მოქმედებაში მხოლოდ ფიზიკურ ქმედებას არ ვგულისხმობ, ის დატვირთული სულიერადაც უნდა იყოს. ამიტომ ვცდილობ, ჩემს ლექსებში, ჩემი შინაგანი ქმედება გადმოვცე.

— განსხვავდება ერთმანეთისგან პოეტი — გიორგი ზანგური მსახიობი — გიორგი ზანგური?

— არა, „ესენი“ ერთი და იგივე ადამიანები არიან, ერთი და იმავე მუხტით, ემოციით, შეგრძნებებითა და ცხოვრების წესით... მაგალითად, რეპეტიციაზე სრულიად სხვანაირი ვარ. ხშირად ხდება, რომ რეპეტიციაზეც ვწერ და ის ადგილი და გარემო, ჩემთვის, როგორც მსახიობისა და პოეტისთვის სრულიად მისაღებია... ცხოვრებაში კი ოდნავ განსხვავებული ვარ, ვიდრე — შემოქმედებასა და საქმეში.

— და როგორი ხარ ცხოვრებაში?

— განვსხვავდები შემოქმედი გიორგისაგან... (*იღიმის*), ჩვეულებრივი ადამიანი ვარ... არადა, რაკი პოეტი ხარ, ბევრს ჰგონია, რომ რაღაც განსაკუთრებულად უნდა ცხოვრობდე, არანაირი ნიშანი, რაც სხვებისგან განმასხვავებს, ნამდვილად არ მაქვს (*იცინის*). ჩემს შინაგან მდგომარეობას შემოქმედების საშუალებით გამოვხატავ. მიხარია, თუ ვინმეს მოსწონს ჩემი შემოქმედება.

— შენი ლექსების კითხვისას, მრჩება შთაბეჭდილება, რომ თავად სიყვარული, გრძნობა გიყვარს...

— სწორად შენიშნე, არა მარტო ჩემთვის, ყველა ადამიანისათვის ამ გრძნობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს... ისე, ბევრი რამ მიყვარს და არ მიყვარს. პირველ რიგში, არ მიყვარს ცუდი ხასიათის ადამიანები, რადგან თვითონაც უხასიათო ვარ და საკუთარი უხასიათობაც მყოფნის (*იღიმის*). ხშირად, საკუთარ ხასიათში ვპოულობ იმას, რაც ყველაზე მეტად არ მომწონს და ვცდილობ, მას ვებრძოლო. ადამიანებს ხშირად გვიწევს იმის გაკეთება, რაც არ მოგვწონს, მაგრამ მაინც ვაკეთებთ, რაც ძალიან მაწუხებს...

— შენი, დეფისა (დავით გოგიბედაშვილი) და გიორგი შალამ-

ბერიძის მიერ ჩამოყალიბებულ პოეტური ჯგუფ „სამკაულზეც“ მომიყევი...

— თავის დროზე, „სამკაულმა“ ის გააკეთა, რაც მაშინ ყველაზე საჭირო და საინტერესო იყო. რაც მთავარია, მის არსებობას ცუდი არაფერი მოუტანია. იყვნენ ადამიანები, რომლებიც დადიოდნენს ჩვენს საღამოებზე და გვისმენდნენ... მათ ჩვენს პოეზიას ვუზიარებდით...

— მოკლედ, მსახიობობა და პოეტობა ერთმანეთს ხელს არ უშლის, არა?

— არა, ორივე ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და ორივე მავსებს... რადგან საქართველოში დავიბადე, მქვია ქართველი, ჩემი ყოველი ნაბიჯი, რასაც უნდა ვაკეთებდე, საკუთარი ქვეყნისა და ერისთვის გადადგმული ნაბიჯი გახლავთ. ხოლო თუ ჩემი შემოქმედება, ვინმეს რაიმე ახალს დაანახვებს და რამეში დაეხმარება, მაშინ, ამ ცხოვრებაში ჩემს არსებობას აზრი ჰქონია... ბედნიერებაა, გაჩნდე ქართველად და თუ მეორედ მოსვლა არის შესაძლებელი, ვისურვებდი, ისევ ქართველად დავბადებულიყავი!

— ცოტა ხნის წინ საზოგადოებამ, ტელესერიალ „კლინიკაში“ გიხილათ...


ამ სერიალში შესრულებულმა როლმა, ჩემს კარიერაზეც დადებითად იმოქმედა

— ამ სერიალში შესრულებულმა როლმა, ჩემს კარიერაზეც დადებითად იმოქმედა. მაგრამ სამწუხაროდ, „კლინიკას“ მოულოდნელად შეუწყდა დაფინანსება. კულუარებში იმასაც ამბობდნენ, რომ ამ სერიალის სცენარის მიხედვით, ფილმის გადაღებას აპირებენ. იმედია, ასეც იქნება.

— ფილმ „ბამბაზიის სამოთხეში“, აფხაზის როლს ასრულებ. როგორია შენი თვალით დანახული აფხაზი ხალხი?

— ლადო მესხიშვილის თეატრში ამ სპექტაკლს დღემდე ვთამაშობ, რომლის სცენარის მიხედვითაც ეს ფილმი შეიქმნა. ამ ფილმით მნიშვნელოვანი სათქმელია გადმოცემული. იგი ჩვენს თანამოძმეებს — აფხაზ ადამიანებს ეხება... იმედი გვაქვს, რომ მას აფხაზეთშიც ნახავენ... აფხაზები ძალიან ამაყი, ძლიერი და ადათ-წესების მოყვარული ხალხია; ხისტი ბუნება აქვთ, გულში წყენა თუ ჩაიდეს, ამ წყენას დიდი ხნის განმავლობაში ვერ ივიწყებენ. მათ ვერასოდეს შევხედავ, როგორც სხვა ერის ადამიანებს, ისინი ჩვენი ქვეყნის ნაწილები არიან, არ მჭირდება აფხაზეთი აფხაზების გარეშე, ფეხსაც არ დავდგამ იმ მიწაზე. მე აფხაზების დაბრუნება მინდა და არა მხოლოდ მიწის, ლამაზი ზღვის, პლაჟის. კარგი ბუნება ადამიანების გარეშე არაფერია. დიდებული ბუნება და სილამაზე, ისევ და ისევ ადამიანში შეიძლება აღმოაჩინო.

— როგორც აღნიშნე, ქუთაისში, ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრშიც თამაშობ...

— კი, ქუთაისში მიწვევით ვარ და 2 სპექტაკლში — „ბამბაზიის სამოთხესა“ და „ანა კარენინაში“ ვთამაშობ. ქუთაისში მაყურებელი ინტენსიურად დადის, თეატრს მოწყურებულია და ანშლაგიც ხშირია. თბილისში კი ჯერჯერობით არც ერთ თეატრში არ ვმოღვაწეობ. იყო პერიოდი, როდესაც „სამეფო უბნის თეატრსა“ და თუმანიშვილის სახელობის თეატრში ვთამაშობდი...

— როგორც ვიცი, შენი მონაწილეობით კინოეკრანზე სულ მალე კიდევ ერთი ფილმი გამოვა...

— დიახ, ეს არის ლევან თუთბერიძის ფილმი — „უშენოდ ალბათ მოვკვდები“. ინგისურად მას „I love you baby“ ჰქვია, რომელიც აკა მორჩილაძის სცენარის მიხედვით შეიქმნა... ფილმში მწერალ ზაზას ვთამაშობ. ჟანრობრივად კი ახალი ფილმი კრიმინალურ დრამას მიეკუთვნება. ბევრი როლია ისეთი, რომელსაც დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი, მაგრამ რომ გითხრა, რომელიმე როლზე ვოცნებობ-მეთქი, მოგატყუებ...

— სამომავლო გეგმებზე რას მეტყვი?

— ჯერჯერობით, თეატრალური ცხოვრებისგან ვისვენებ და ვწერ... ერთ ადგილზე გაჩერებას და უქმად ყოფნას ვერ ვიტან.

■



„როცა ხელოვანი პოლიტიკაში ერევა, ეს ქვეყანას მთლად კარგად არ უბრუნდება“

ანუ მხატვრის თვალით დანახული პარლამენტი

საქართველოს პარლამენტში, გასულ კვირას, დიდი გამოცოცხლება იყო. ერთ-ერთ ფოიეში პარლამენტარების მეგობრული შარჟები გამოფინეს, რომლის ავტორი — მხატვარი ბესიკ დულაშვილი გახლდათ (ბესიკი გაზეთ „კვირის პალიტრის“ მხატვარიცაა). ერთი სიტყვით, მოწყობილმა გამოფენამ ქართველი პარლამენტარები დიდად გაამხიარულა. თუმცა ზოგიერთ მათგანს საკუთარი შარჟი არ მოეწონა და თქვა: — არ მგავსო... მაგრამ ამაზე — ქვემოთ. მანამდე კი იმის შესახებ, საერთოდ როგორ მოხვდა მხატვრის ნამუშევრები პარლამენტში...

ლალი ფაცია

— არაერთგზის მცდელობის შედეგად, ერთხელაც გამიმართლა და მოვხვდი მიღებაზე პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილე მიშა მაჭავარიანთან. მას ჩემი ნამუშევრები, კერძოდ, პორტრეტები (თავად მიშა მაჭავარიანის, გია თორთლაძის, დავით დარჩიაშვილისა და კიდევ რამდენიმე მსახიობის) წარვუდგინე- და ვთხოვე, რომ იქნებ ჩემთვის გამოფენა დაეფინანსებინათ. მან მითხრა, რომ ის და მისი კოლეგები გამოფენებს არ აფინანსებენ, ამისთვის სხვა გზები არსებობსო... მაგრამ იმის გამო, რომ მას ჩემი ნამუშევრები მოეწონა, გადაწყვიტა, რაღაცნაირად დამხმარებოდა და იქვე გაუჩნდა იდეა, გამოფენა სწორედ პარლამენტში, პარლამენტარებისთვის ჩემ მიერ შექმნილი მათი მეგობრული შარჟებით მოწყობილიყო — რაც პარლამენტის ცხოვრებაში იუმორისტულ განწყობილებას შეიტანდა ანუ ცოტას გაიღიმებდნენ... დავიწყე ამ პროექტისთვის მზადება და 60 პარლამენტარის მეგობრული შარჟი დავხატე. 23 მარტს კი, ეგრეთ წოდებულ, „პრეზიდენტის ფლიგელის“ ფოიეში ჩემი ნამუშევრები გამოიფინა.

— როგორც შევიტყვე, ამ გამოფენამ დიდი გამოხმაურება პოვა...

— კი. პარლამენტარების უმრავლესობას ნამუშევრები მოეწონა, ზოგიერთს კი — არა. როდესაც ამა თუ იმ მეგობრული შარჟის ადრესატმა იქ საკუთარი თავი აღმოაჩინა, თქვა, რომ მისი შარჟი არ ვარგოდა...

— მაინც ვის არ მოეწონა?

— მაგალითად — ხათუნა გოგორიშვილს, ლევან ვეფხვაძეს... არადა, სხვები აღნიშნავდნენ, რომ ვეფხვაძეც და გოგორიშვილიც ნამდვილად ჰგავდნენ საკუთარ თავებს...

— რაკი მათ დასახატავად მეგობრული შარჟი აირჩიე და არა კარიკატურა, ეი. ქართველი პარლამენტარების მიმართ ზოგადად თბილი და მეგობრული დამოკიდებულება გაქვს?

— პოლიტიკას სრულიად განსხვავებულად ვუყურებ. საერთოდ, ვცდილობ, რომ ამ სფეროში არ ჩავერიო, რადგანაც როცა მხატვარი და ზოგადად, ხელოვანი პოლიტიკაში ერევა, ეს საქმე ქვეყანას მთლად კარგად არ უბრუნდება... ამიტომ ამ ყველაფრისგან შორს ვდგავარ.

— კარიკატურა არასდროს დაგიხატავს?

— როგორ არა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაც დამიხატავს, იმას აუცილებლად ვეთანხმებოდი...

— რას გულისხმობ?

— იმას, რომ დაკვეთა მიმიღია და შემისრულებია. ამ შემთხვევაში გავიხსენებ ლეონარდო და ვინჩის სიტყვებს: „ვემსახურები მას, ვინც გასამრჯელოს მომცემს“... ასე რომ, შეიძლება, დავხატო, გასამრჯელო ავიღო, მაგრამ იმას, რაც დავხატე, არ ვეთანხმებოდე...

— გამოფენის მოწყობის წინ იმაზე არ გიფიქრია, რომ ის 1-ელი აპრილისთვის დაგემთხვია?

— 1-ელ აპრილს კატეგორიულად არ მოვაწყობდი გამოფენას, რადგანაც უკვე რამდენიმე წელია, ჩემი დიდი ხნის მეგობარი, კარიკატურისტი — ზალიკო სულაკაური გამოფენას 1-ელ აპრილს მართავს ხოლმე. სხვათა შორის, გუშინ, მე, ზალიკო და კემო (ნიკა კემულარია — ისიც ცნობილი კარიკატურისტია) ერთმანეთს შევხვდით და ბევრი ვისაუბრეთ. სამომავლოდ გეგმებიც დავსახეთ... სხვათა შორის, ჩემს

პოლიტიკას სრულიად განსხვავებულად ვუყურებ

პარლამენტარების უმრავლესობას ნამუშევრები მოეწონა, ზოგიერთს კი — არა

გამოფენაზე გარკვეულწილად ჩემი და ზალიკოს შაჯახების მცდელობაც იყო...

— **როგორ?**

— ხათუნა გოგორიშვილმა თქვა, რომ ეს მხატვარიც კარგია, მაგრამ ზალიკოს ნამუშევრები სჯობიაო. ეს ფრაზა ზოგიერთმა ჟურნალისტმა ხელზე დაიხვია და ცდილობდა, ზალიკოზე რაღაცნაირად ცუდი წამოეცდენინებინათ. ზალიკოზე ცუდს არასდროს ვიტყვი!

— **ვიცი, რომ ფერმწერიც ხარ და გრაფიკოსიც... შარჟების ხატვა რატომ დაიწყე?**

— დიახ, ფერმწერიც ვარ, გრაფიკოსიც, დიზაინერიც, არქიტექტორიც, ჰოლანდიაში ორთოპედიული ფეხსაცმლის დიზაინერ-კონსტრუქტორის სპეციალობის კურსებიც გავიარე, რეჟისორიც ვარ, კონცერტებიც წამიყვანია და ორგანიზატორიც გახლავართ. მოკლედ, ბევრი პროფესია მომისინჯავს... საერთოდ მიყვარს, როდესაც საკუთარ თავს ახალ-ახალ სფეროში აღმოვაჩენ ხოლმე; როდესაც ამა თუ იმ საქმიანობას პროფესიონალის დონეზე შევისწავლი და იმ საქმეში წარმატებას მივაღწევ. თუ სრულყოფილი მხატვარი ხარ, ყველაფერის დახატვა უნდა შეგეძლოს... შეიძლება, ძალიან ცოტამ იცის, რომ კარიკატურისტი — ზალიკო სულაკაური საკმაოდ ძლიერი ფერმწერია. ეს ალბათ იმის ბრალია, რომ ზალიკომ იმ პერიოდში დაიწყო კარიკატურების კეთება, როცა პრაქტიკულად არავინ იყო ამ საქმით დაკავებული, რადგანაც იმ დროისათვის აღარ იყო არც გიგლა ფირცხალავა, არც ჯემალ ლოლუა, არც ვახტანგ კუცია... აღარ გამოდიოდა ჟურნალი „ნიანგი“. ეს ჟანრი, შეიძლება ითქვას, რომ ზალიკომ ააღორძინა და ასე გაიცნეს ის მასობრივად... პირადად მე, შარჟებს ჯერ კიდევ სკოლის პერიოდიდან ვხატავ... ერთხელ კურიოზი მოხდა, რომელიც მაშინ შეურაცხყოფად მივიღე. დიპლომის დაცვისას, პედაგოგმა ჩემი წარდგენისას თქვა, რომ არაჩვეულებრივი კარიკატურისტიაო. არადა, „ერეკლე II-ის დასაფლავება“ — დიდი ისტორიული პანო მქონდა დახატული... მაგრამ გავიდა დრო და მივხვდი, რომ კარიკატურისტობა არც ისე იოლი საქმე ყოფილა... ერთია, როცა ნატურიდან ხატავ და ხატავ იმას, რასაც ხედავ და მეორე — იმაში, რასაც ხედავ, ისეთი რამ აღმოაჩინო, რომ სახალისო გახდეს შენთვისაც და მნახველისთვისაც.

— **დღეს ფერწერული ტილოების დასახატავად თუ იცლი?**

— ვცდილობ, რომ ამისთვისაც დამრჩეს დრო და შეიძლება ითქვას, რომ ღამე არ მძინავს. სახლში მყავს ორი მცირეწლოვანი შვილი, რომლებიც ისეთი მოძრავები არიან, ვერც კი ვაჩერებ. ამიტომ, სანამ პატარები არ დაიძინებენ, ხატვისთვის ვერ ვიცლი... აქვე იმ საინტერესო სიახლის შესახებ მინდა, გითხრათ, რომელიც დაჩი გრძელიშვილის იდეით, გამომცემლობა „პალიტრა L“-მა დაიწყო — მზადდება ყმაწვილებისთვის გასაგებ ენაზე, ადაპტირებული „ვეფხისტყაოსანი“. ბედმა გამიღიმა და წიგნისთვის ნახატების შექმნა მომანდვეს ანუ წიგნი მხატვრულად მე უნდა გავაფორმო.

— **მოკლედ, ამიერიდან, ზიჩის, ქობულაძესა და თოიძეს — როგორც „ვეფხისტყაოსნის“ მხატვარ-გამფორმებლებს — შორის, შენც მოგიხსენიებენ?**

— სხვათა შორის, ამ პროექტზე მუშაობს ისტორიკოსიც, რომ ნამუშევრებში ისტორიულად არანაირ ცდომილებას არ ჰქონდეს ადგილი. სწორედ ის მაწვდის ინფორმაციას. გარდა ამისა, ვფიქრობ საკუთარ გამოფენაზეც, სადაც მინდა, რომ ჩემი ყველა ჟანრში შექმნილი ნამუშევარი (შარჟი, ფერწერული ტილო, გრაფიკა...) მოხვდეს — ანუ რაშიც კი მიმუშავია და ძალები მომისინჯავს. სხვათა შორის, ექსპონატები უკვე მომზადებული მაქვს. უბრალოდ, ამ გამოფენისთვის კვლავაც ფინანსები არ გამაჩნია... ამასთან, სიახლეა ის, რომ ქართველი კარიკატურისტები (მე, ზალიკო და კემო) ქართული იუმორის დღის დაწესებას ვაპირებთ. მას წელს, სავარაუდოდ, 5 ივნისს აღვნიშნავთ. ტრადიციულად კი ეს დღე ზაფხულის პირველ შაბათს აღინიშნება ხოლმე. ვაპირებთ, მოვაწყოთ აქცია. ამ დღეს ყველა ქართველი იუმორისტი უნდა გაერთიანდეს (ვინც კი ჩვენში იუმორის სფეროს ემსახურება). შეიძლება აქციაზე უბრალოდ გამვლელ-გამომვლელსაც კი ვთხოვოთ, რომ შარჟი ან კარიკატურა დახატოს... არა აქვს მნიშვნელობა, როგორ დახატავს, მთავარია, დახატოს... მოკლედ, წინ ძალიან ლამაზი დღეები გველოდება.

— **კარგი იდეაა... წარმატებები მინდა გისურვო.**

— დიდი მადლობა.

„მის თინეიჯერის“ ზამთრის სეზონის 13 წლის გამარჯვებული

ჟურნალ „ოსკარის“ ინიციატივით, ფოტოკონკურსი — „მის თინეიჯერი“ უკვე მეორედ ჩატარდა. კონკურსანტების ფოტოები 11 იანვრიდან 23 მარტის ჩათვლით, „ოსკარში“ იბეჭდებოდა. ცოტა ხნის წინ, კლუბში FLAT გამართულ საღამოზე „მის თინეიჯერი“ — 13 წლის თეკლე თორთლაძე გამოვლინდა. გოგონამ სასიამოვნო პრიზები მიიღო, თუმცა კონკურსის ორგანიზატორებს ტრადიციულად, „მის თინეიჯერის“ სხვა მონაწილეებიც არ დავიწყებიათ — ყველა გოგონამ გარკვეულ ნომინაციაში გაიმარჯვა.

ეთო ყორღანაშვილი

თეკლე თორთლაძე:

— კონკურსში მონაწილეობა მეგობრებმა მირჩიეს. მათი რჩევა გავითვალისწინე და პროექტისთვის ფოტო გავგზავნე. საბოლოოდ, გავიმარჯვე კიდეც.

— კონკურსანტებს შორის, ასაკით ყველაზე პატარა შენ ხომ არ იყავი?

— არა, 13 წლის კიდევ რამდენიმე გოგონაა. ყველანი ლამაზები არიან. არ

მეგონა, თუ გავიმარჯვებდი. ისე, ცოტათი კი მეგონა (*იცინის*).

— „მის თინეიჯერის“ სტატუსი შენთვის რას ნიშნავს?

— დიდ სიხარულს! მართლა ძალიან გამიხარდა...

— კონკურსისთვის კაბა ვინ შეგირჩია?

— ხატვა ძალიან მიყვარს. კაბის მოდელი დავხატე, ცოტათი დედაც დამეხმარა და ჩემი გემოვნების გათვალისწინებით, კაბა შევქმენით.

— მომავალი პროფესია არჩეული გაქვს?

— დიზაინერის პროფესია მომწონს. ამას წინათ, ბებია საფრანგეთში მივლინებით გაემგზავრა და მეც თან ვახლდი. მინდა, პარიზში ვისწავლო. რომელ პროფესიას ავირჩევ, ჯერ ბოლომდე გადაწყვეტილი არ მაქვს. ამჟამად სკოლაში ვსწავლობ, ინგლისურ ენას ვეუფლები, ვხატავ, ვქარგავ, ბისერებით მძივებს ვაკეთებ, პიანინოზე ვუკრავ...

— ძალიან სასიამოვნო გოგონა ყოფილხარ. გასართობად დრო გრჩება?

— გასართობად დროს მაინც გამოვნახავ ხოლმე და მეგობრები ვიკრიბებით.

— როგორ ერთობით თინეიჯერები?

— ვჭორაობთ, ვსეირნობთ, ფოტოებს ვიღებთ...

— „მის თინეიჯერის“ კონკურსისთვის ვისი გადაღებული ფოტოები გაგზავნე?

— დედაჩემის, ჩემი მეგობრების... სპეციალურად კონკურსისთვის არ გადამიღია — რამდენიმე ფოტო მქონდა და იქიდან შევარჩიე.

— თეკლე, პრიზები მოგეწონა?

— კონტრაქტი სააგენტო „სლაიდთან,“ ოქროს საყურე, საგზური — ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, მომეწონა, ძალიან ბედნიერი ვარ!

ნინო ავსაჯანიშვილი, *„მის შარმი“:*

— შარშანდელ „მის თინეიჯერის“ კონკურსს თვალს ვადევნებდი და მონაწილეობის სურვილი მეც გამიჩნდა. კონკურსში ჩემი მეგობრებიც მონაწილეობდნენ, თავს ერთმანეთის კონკურენტებად არ მივიჩნევდით.

— „მის შარმის“ ნომინაციაში გამარჯვება ძალიან კარგია, გილოცავ, მაგრამ „მის თინეიჯერი“ რომ ვერ გახდი, გული ხომ არ დაგწყდა?

— არა, ძალიან კარგად გავერთე. ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონია, „მის თინეიჯერი“ გავხდებოდი თუ — არა.

— მოდელობას არ აპირებ?

— მინდა, მაგრამ ჯერ ზუსტად არ გადამიწყვეტია.

მართალია, საღამოს წამყვანმა — ნინო მურღულიამ აღნიშნა, — თანამედროვე კონკიას ორივე ფეხსაცმელი აცვიაო, მაგრამ კონკურსის დასრულების შემდეგ, ერთ-ერთი გოგონა კიბეზე წაბორძიკდა და ცალი ფეხსაცმელი გასძვრა. აღმოჩნდა, რომ ეს გოგონა სწორედ „მის კონკიას“ ნომინაციაში გამარჯვებული 15 წლის **თამუნიკა კვინიკაძე** *გახლდათ:*

— არ ვიცი, ამ ნომინაციაში რატომ გავიმარჯვე. ალბათ, ქერა რომ ვარ, იმიტომ (*იცინის*)? შარშანდელი „მის კონკიაც“ ქერა გოგონაა.

— „მის თინეიჯერის“ შარშანდელ კონკურსს თვალს აქტიურად ადევნებდი?

— კი, და ხმას ჩემს მეგობრებს ვაძლევდი. სხვათა შორის, შარშანდელი კონკურსის გამარჯვებული — ირინა მწარიაშვილი ჩემი მეგობარია.

ირინა მწარიაშვილი:

— „მის თინეიჯერის“ კონკურსში გამარჯვების შემდეგ, ძალიან პოპულარული გავხდი — ქუჩაში ხალხი მცნობს. ახლა ოპერატორებმა და ჟურნალისტებმაც მიცნეს. ერთმა კაცმა მითხრა: შარშანდელ

კონკურსზე შენთან ერთად სურათი გადავიღე და იმ ფოტოს დღემდე ვინახავო. მისმა ნათქვამმა ძალიან გამახარა (*იცინის*)!

— მას შემდეგ, რაც „მის თინეიჯერი“ გახდი, შენს ცხოვრებაში რა შეიცვალა?

— ცოტა არ იყოს, პროფესიის არჩევასთან დაკავშირებით, აზრი შემეცვალა: მოდელობაც მინდა, მსახიობობაც, ჟურნალისტობაც. კონკურსში გამარჯვების შემდეგ სააგენტო „სლაიდში“ დავდიოდი, ეგვიპტეში ვიმოგზაურე (მოგეხსენებათ, როგორც გამარჯვებულს, ერთ-ერთ პრიზად საგზურიც გადმომცეს), ბრილიანტის საყურე ახლაც მიკეთია...

— ეგვიპტეში როგორი დრო გაატარე? მახსოვს, დედასთან ერთად გამგზავრებას გეგმავდი...

— ეგვიპტეში მოგზაურობა ძალიან მაგარი იყო! ყველას ვეუბნებოდი, — საქართველოში „მის თინეიჯერი“ გავხდი-მეთქი. მიწინასწარმეტყველებდნენ, — მალე მის მსოფლიო გახდებიო. დედაჩემს ჰკითხეს — ამ გოგოში რამდენ აქლემს ითხოვთო (*იცინის*)?.. კონკურსებში მონაწილეობა კიდევ მინდა!

— დღეს გამოვლენილი „მის თინეიჯერი“ თუ მოგეწონა?

— კონკურსში ჩემი მეგობარი მონაწილეობდა და სიმართლე რომ გითხრა, მას ვგულშემატკივრობდი, მაგრამ „მის თინეიჯერის“ გამარჯვებული ძალიან მომეწონა — თეკლე თორთლაძე კარგი გოგონაა, წარმატებას ვუსურვებ!

ნინო ტურაშვილი, *ჟურნალ „ოსკარის“ რედაქტორი:*

— ჟურნალ „ოსკარის“ ინიციატივით, „მის თინეიჯერის“ კონკურსი უკვე მეორედ ჩატარდა, ამჯერად — ზამთრის სეზონის დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. საღამოს წამყვანის — ნინო მურღულიას ჩაცმულობაზე ტრადიციულად დიზაინერმა — ნანა მელქაძემ იზრუნა. კონკურსამდე 3 დღით ადრე, „მის თინეიჯერის“ მონაწილეები კლუბში რეპეტიციას გადიოდნენ. მათ „სლაიდის“ მოდელი — ელენე ძაძუა ეხმარებოდა. კონკურსის გამარჯვებულმა — თეკლე თორთლაძემ 2-კაციანი საგზური მიიღო სასტუმროების ქსელ „რჩეულისგან“: თეკლეს შეუძლია, ბათუმში, სიღნაღში ან თელავში ძალიან კომფორტულ გარემოში დაისვენოს. ასევე, გამარჯვებულს სამოდელო სტუდია „სლაიდმა“ კონტრაქტი გაუფორმა, მაღაზია „დელფოსმა“ კი ოქროს სამკაული აჩუქა. კონკურსზე გოგონებმა „ევიტა პერონის“ აქსესუარების ჩვენება მოაწყვეს. ნომინაციის გარეშე არც ერთი მონაწილე არ დაგვიტოვებია. მაგალითად, „კვირის პალიტრის“ ინტერნეტპორტალზე გოგონების ფოტოები იყო განთავსებული. 1-ელი იანვრიდან 23 მარტის ჩათვლით, მსურველებს მათთვის ხმის მიცემა შეეძლოთ. ასე გამოვავლინეთ ნომინაციაში — „მის ონლაინი“ — გამარჯვებული. სამომავლოდ, უფრო გლობალური პროექტის განხორციელებას ვგეგმავთ. ■

უიტნი ჰიუსტონის პირველი კონცერტი ავსტრალიაში სამარცხვინოდ ჩაფლავდა

მომღერლის იმედგაცრუებულმა თაყვანისმცემლებმა კერპის სანახავად სოლიდური თანხა გადაიხადეს, მაგრამ სცენიდან მხოლოდ მომღერლის ჩახლეჩილი ხმა მოისმინეს. თვითმხილველთა თქმით, უიტნი გამოსვლის დროს ხანგრძლივ პაუზებს აკეთებდა, სცენაზე დაბრუნებული კი დაქანცული და გამოფიტული ჩანდა. როგორც ამბობენ, მომღერალს სული ეხუთებოდა და ძლივს მღეროდა. „სამარცხვინოა, მას სიმღერა არ შეუძლია. ხეირიანად ერთი სიმღერაც კი ვერ შეასრულა. სცენაზე ორიენტაციას კარგავდა და 20-წუთიან პაუზებს აკეთებდა“, — ამბობენ იმედგაცრუებული ფანები, რომელთა უმრავლესობამ კონცერტი მსვლელობისას დატოვა. მომღერლის დაცვა მისმა პრომოუტერმა Andrew McManus-მა სცადა და 46 წლის მომღერლის თაყვანისმცემლებს აუხსნა, რომ უიტნის უკვე აღარ შეუძლია ისე იმღეროს, როგორც 20 წლის წინ მღეროდა. პრომოუტერმა იმ ჭორების გაქარწყლებაც სცადა, რომელთა თანახმად, უიტნი მძიმედაა დაავადებული და ექიმთა პროგნოზის მიხედვით, მხოლოდ 5 წლის სიცოცხლე თუ დარჩა. ■

ორსულმა მონიკა ბელუჩიმ მუცელი გამოაჩინა

მსოფლიო კინემატოგრაფის ერთ-ერთი ულამაზესი მსახიობი — მონიკა ბელუჩი, რომელიც გაზაფხულზე მეორე გოგონას ელოდება, ჟურნალ Vanity Fair-ის იტალიური გამოცემის გარეკანზე ქვედა საცვლებით გამოჩნდა. 45 წლის ორსული ვარსკვლავის, უკვე საკმაოდ შესამჩნევი მუცელი ცნობილი ჟურნალის ბოლო ნომრის მშვენებაა. მონიკასა და მისი მეუღლის, მსახიობ ვენსანტ კასელის ოჯახში 5 წლის ქალიშვილი დევა იზრდება. „დევას დაბადების შემდეგ ექიმები მეორე ბავშვის გაჩენას მირჩევდნენ, მაგრამ მაშინ მე მზად არ აღმოვჩნდი.

რაღაც პერიოდის შემდეგ ამის სურვილი გამიჩნდა, მაგრამ ბავშვის გაჩენა ხომ ფილმი არ არის, რომელსაც რეჟისორთან და პროდიუსერთან ერთად დაგეგმავ...“, — ამბობს მსახიობი. ასაკის მიუხედავად, მონიკას გაუმართლა და დაორსულებასთან დაკავშირებულ პრობლემებს გადაურჩა. მკურნალობა ან სუროგატი დედის ძებნა არ დასჭირვებია. ბელუჩი დარწმუნებულია, რომ ამაში გენეტიკა დაეხმარა, რადგან მისმა ბებიამ შვილი 47 წლის ასაკში გააჩინა. „გამიმართლა! ვიცი, რომ უამრავი ქალი უდაბნოს ფეხშიშველი გადაივლის, ოღონდ ღმერთმა შვილი აჩუქოს. პრობლემები რომ შემქმნოდა, მეც ერთ-ერთი მათგანი ვიქნებოდი“. ორსულ მეუღლეს ვენსანტი ყველაფერში ეხმარება და მონიკაც გულწრფელად აღიარებს, რომ წლებთან ერთად, მეუღლისადმი გრძნობა კიდევ უფრო უძლიერდება. „როდესაც ვენსანტს შევხვდი, ის 29 წლის იყო, ახლა მოწიფული მამაკაცია. მას უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს და ბედნიერებას მანიჭებს. დევას მამა ისევე სჭირდება, როგორც — მე. ვიცი, უეცრად რამე რომ მომივიდეს, ის ჩვენი გოგონების გვერდით იქნება. ბევრი ქალი შვილებს მხოლოდ საკუთარი თავისთვის აჩენს, მაგრამ ქალისთვისაც და შვილებისთვისაც უკეთესია, თუკი პარტნიორი გვერდით გეყოლება“, — ამბობს მონიკა. ■

„ჰარი პოტერი“ პოლიტიკაში მიდის

ნორჩი ჯადოქრის შესახებ გადაღებული ფილმის ვარსკვლავმა, ცნობილმა ბრიტანელმა მსახიობმა — დენიელ რედკლიფმა ძალზე გადატვირთულ სამუშაო გრაფიკში მორიგი გასართობისთვის დრო მაინც გამონახა. გაზეთ Daily Express-ის ცნობით, ცოტა ხნის წინ, მსახიობი პოლიტიკაში გადაბარგდა. ცნობილი გახდა, რომ მან ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლის თანახმად, დიდი ბრიტანეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის მრჩევლის სტატუსი მიიღო. პარტი-

ის ლიდერი, ყოფილი ჟურნალისტი და ევროპარლამენტის დეპუტატი — ნიკ კლეგია. თავად მსახიობი ამბობს, რომ კლეგმა მას პირადად დაურეკა და მხარდაჭერა სთხოვა. პოლიტიკოსის შთამბეჭდავი სიტყვით აღფრთოვანებულმა დენიელმა პარტიის ლიდერს გავლენის გაძლიერებაში დახმარება აღუთქვა. „მე უეჭველად ნიკ კლეგს მივცემ ხმას. მან დამირეკა და ვისაუბრეთ. კლეგმა ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა“, — განაცხადა მსახიობმა. როგორც ანონიმმა რესპონდენტმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რედკლიფი მხოლოდ პარტიის მხარდამჭერი როდი იქნება, იგი პარტიის სახელითაც გამოვა. ნიკი იმედოვნებს, რომ დენიელის მხარდაჭერა ხანგრძლივი იქნება.

■

კლაუდია შიფერს ქალიშვილი შეეძინება

ცნობილი სუპერმოდელი, 39 წლის კლაუდია შიფერი დედობისთვის ემზადება. კლაუდიამ და მისმა მეუღლემ, რეჟისორმა — მეთიუ ვონმა მომავალი შვილის სქესი უკვე იციან და ბავშვისთვის საჭირო ნივთებიც შეიძინეს. მოდელი ჟურნალისტებს გამოუტყდა, რომ ნებისმიერი ორსული ქალის მსგავსად, საჭმელს გულგრილად ვერც ის უყურებს, მაგრამ ცდილობს, კვების ჯანსაღი რაციონი არ დაარღვიოს. რამდენიმე დღის წინ, კლაუდია და მეთიუ რეჟისორ აარონ ჯონსონის ფილმის Kick-სს პრემიერაზე ბრედ პიტთან ერთად მივიდნენ, რომელიც პრემიერაზე ანჯელინა ჯოლის გარეშე გამოცხადდა. გეომეტრიული პრინტებით დამშვენებულ გრძელ სვიტერში გამოწყობილი მოდელი შესანიშნავად გამოიყურებოდა. ჟურნალისტებთან საუბრისას ვარსკვლავმა განაცხადა, რომ მაისის დასაწყისში გოგონას ელოდება. „ბავშვის სქესი ახლახან გავიგეთ და ცოტა არ იყოს, აღელვებულები ვართ“. ცოლ-ქმარს ბავშვის სახელზე ჯერ სერიოზულად არც უფიქრია. უფრო ადრე, კლაუდიამ ერთ-ერთ ინტერვიუში გულწრფელად აღიარა, რომ მესამე ორსულობის დროს უჩვეულო სურვილები გაუჩნდა. „ნებისმიერი ქალის მსგავსად, მეც რაღაც კონკრეტული საკვების მიღება მინდება. სულ ლუდის (უალკოჰოლო) დალევის სურვილი მაქვს“, — დასძინა მოდელმა. მეთიუ ვონი ბოლო ხანებში ცოლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გამო სერიოზულადაა შეშფოთებული. მისი აღელვების მიზეზი კლაუდიას თაყვანისმცემლები არიან, რომლებიც მათ სახლში შეჭრას ხშირად ლამობენ. ცოტა ხნის წინ, მეთიუმ სამზარეულოში უცნობი მამაკაცი აღმოაჩინა. მეთიუმ სიმშვიდე შეინარჩუნა, პოლიციას არ მიმართა და ცოლის ფანს ჭიქა ჩაიც კი შესთავაზა. კიდევ ერთმა ფანატმა ქალბატონმა კლაუდიას ერთი ბოთლი საკუთარი სისხლი მიართვა... „გიჟები მუდამ თან დაგვდევენ. მე ცნობილი ადამიანი არ ვარ, მაგრამ მეუღლის გამო სერიოზულად ვღელავ, რადგან ყველას კარგად გვახსოვს, თუ რა დაემართა ჯონ ლენონს“, — ამბობს რეჟისორი.

■

ტომ კრუზი დევიდ ბექჰემს ჰოლივუდში უხმობს

ჰოლივუდის ვარსკვლავ ტომ კრუზს მიაჩნია, რომ ინგლისელმა ფეხბურთელმა დევიდ ბექჰემმა „მზერა კინემატოგრაფს უნდა მიაპყროს“, რადგან მუხლის სერიოზული ტრავმის გამო შესაძლოა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მსოფლიოს ჩემპიონატზე ვეღარ ითამაშოს და საფეხბურთო კარიერა საერთოდ ვერ გააგრძელოს. როგორც ცნობილია, ტომ კრუზი დევიდს დიდი ხანია იცნობს და მისი თავგადაკლული გულშემატკივარია. ფილმების — „ნვიმის კაცი“, „ინტერვიუ ვამპირთან“, „შეუსრულებელი მისია“ და ჰოლივუდის სხვა ბლოკბასტერების ვარსკვლავი აცხადებს, რომ დევიდმა კინოკარიერის დაწყებაზე სერიოზულად უნდა იფიქროს. „დევიდის სპორტული მიღწევების შესახებ ფილმის გადაღება შესანიშნავი იქნებოდა. იგი მთელ მსოფლიოში ჭეშმარიტი სპორტული დესპანია და შეუძლია, ჰოლივუდის ნამდვილი ვარსკვლავი გახდეს. თუ ტრავმის შემდეგ ჯანმრთელობის აღდგენას და სპორტული კარიერის მაღალ ნოტებზე დასრულებას შეძლებს, მისთვისაც და ფილმისთვისაც კარგი იქნება“, — განაცხადა კრუზმა. მის სიტყვებში სიმართლის მარცვალი მართლაც მოიძებნება, რადგან დევიდ ბექჰემი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სახეა.

როგორც მოგეხსენებათ, თავად ტომ კრუზი ჰოლივუდის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსახიობი და ძალზე წარმატებული პროდიუსერია. მისი პროდიუსერობით გადაღებულმა ცნობილმა ფილმების საერთო შემოსავალმა მსოფლიო კინოგაქირავებაში ორ მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

■

ცხოვრება

ისე, როგორც ფილმში

მარი ჯაფარიძე

„ზაფხულის ამ ცხელ დღეს დიანას სულაც არ ეხალისებოდა, „მარშრუტკაში“ ჯდომა და ადუღებული ჰაერის სუნთქვა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა. ბოლოს და ბოლოს, შინ ხომ უნდა დაბრუნებულიყო?

„რაც კარგია, ყველაფერი მალე მთავრდება,“ — გაიფიქრა და სადგურის შენობაში შევიდა. მოსაცდელ დარბაზში ბევრი ადამიანი ირეოდა... ვიდრე მისი „მარშრუტკა“ გავიდოდა, დროის მოსაკლავად, გაზეთების ჯიხურს მიადგა და პრესის თვალიერება დაიწყო. თუმცა, სასურველი ჟურნალის მშვიდად ამორჩევა არ დასცალდა, რადგან მის უკან ჟურნალ-გაზეთების ყიდვის მსურველი ხალხი მოგროვდა და რიგი დადგა. მათი უკმაყოფილო ბუზღუნისგან და მუჯლუგუნებისგან თავი რომ დაეღწია, იძულებული გახდა, რამდენიმე ჟურნალი ჰაიჰარად ეყიდა და განზე გამდგარიყო. ჟურნალები მომცრო, სამგზავრო ჩანთაში ჩაალაგა და დარბაზს თვალი მოავლო. მისი ყურადღება შავ მაისურსა და ჯინსის შარვალში გამოწყობილმა, ახალგაზრდა, მაღალმა, მამაკაცმა მიიქცია. ის მოშორებით იდგა და დიანას თვალს არ აშორებდა.

„უცნაურია, წეღან ეს კაცი ჯიხურთან იდგა, მაგრამ არაფერი უყიდია, — გაიფიქრა ქალმა, — ახლა კი დგას და მითვალთვალებს... ეტყობა დავიღალე, ან მზემ დამკრა... თითქოს მეცნობა, მაგრამ რატომ მითვალთვალებს, რა უნდა? და ამდენ ხალხში რატომ მაინცდამაინც — მე?“

— ბოლოს და ბოლოს, შემოვა, თბილისისკენ მიმავალი „მარშრუტკა“? — დიანამ თავი სალაროს სარკმელში შეყო.

— საღამოს 6 საათამდე ვერ შემოვა, გადაიდო რეისი. ბილეთებს კი მაშინ გავყიდით, როცა ტრანსპორტი ჩამოდგება, — რაღაცნაირი, საზიზღარი ხმით უთხრა მოლარემ.

„ესღა მაკლდა“, — გაბრაზებულმა გაიფიქრა და შემობრუნდა თუ არა, იმ მამაკაცს გადააწყდა, რომელიც წეღან შორიდან უთვალთვალებდა.

დიანას გულმა უგრძნო, რომ იმ დღეს თბილისში წასვლას ვერ მოახერხებდა და საკუთარ თავზე გაბრაზდა, რადგან წინასწარ არ დაიჭირა თადარიგი. აგვისტოს მიწურული იყო და ყველა დამსვენებელი ბათუმიდან მიემგზავრებოდა. არც მატარებლის ბილეთები იშოვებოდა...

დიანა მოსაცდელი დარბაზის შუაგულში გაჩერდა და უმწეოდ მიმოიხედა.

„შვებულება გრძელდება, — გაიფიქრა და ამოიოხრა. — ჯობია, ისევ სასტუმროში დავბრუნდე“...

— დიანა, შენ ხარ? — აზრი მამაკაცის ხმამ გაუფანტა.

„ნეტავ ვინაა?“ — გაიფიქრა ქალმა და ნელა შებრუნდა იმ მხარეს, საიდანაც ხმა მოესმა.

— უჩა, შენ ხარ? — მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა.

— გამარჯობა, აი შეხვედრაც ამას ჰქვიაააა... აქ საიდან მოხვდი? სად მიდიხარ? მარტო ხარ? — უჩამ კითხვები დააყარა.

— შვებულებაში ვიყავი და შინ მივდივარ. შენ როგორ მოხვდი აქ? — გაუცინა ქალმა. — შენ იყავი, არა, გაზეთების ჯიხურთან და მერე შორიდან მითვალთვალებდი? ვერც კი გიცანი. რომელმა ქარმა გადმოგაგდო ბათუმში?

— მეც შინ მივდივარ, — უხერხულად შეიშმუშნა უჩა, — თავიდან ვერც მე გიცანი. როგორ მოულოდნელად შევხვდით, არა?

— უჩა, მოდიხარ? — მათ მაღალი, ქერა, ძალიან ლამაზი ქალი მიუახლოვდა, უჩას ძალიან თბილად ჰკითხა და დიანა შემფასებელი მზერით აათვალიერა.

— კი, მოვდივარ, — გაიღიმა მამაკაცმა, — დიანა, გაიცანი, ეს ჩემი... ეს ნინოა, ჩემი...

— საცოლე, — დაასრულა მისი ნათქვამი ქალმა.

— მართლა? ძალიან მიხარია, — ღიმილითვე უპასუხა დიანამ, — გამიხარდა, რომ შეგხვდით, ბედნიერად...

ის შებრუნდა და გასასვლელისკენ გაემართა. უჩამ შეაჩერა.

— მოიცა, სად მიდიხარ? რამდენი ხანია, ერთმანეთი არ გვინახავს.

— უჩა, მიხედე შენს საცოლეს, საყვარელო, მიდი, ბილეთი იყიდე და შინ გაემგზავრე. მე ცოლიანი მამაკაცები არ მხიბლავენ.

— უჩა, წავიდეთ, — ეძახდა ნინო.

— ნინო, რიგი დაიკავე და ახლავე მოვალ, დიდი ხანია, მე და დიანას ერთმანეთი არ გვინახავს და ცოტა ხანს ვილაპარაკებთ, აქვე, გასასვლელთან. კარგი? ნუ გაიბუსხე, სიხარულო, — უჩამ ნინოს ლოყაზე აკოცა და მისი თანხმობის შემდეგ დიანასთან ერთად გავიდა სადგურის შენობიდან.

ისინი იქვე, კიბესთან შეჩერდნენ და მართალია, ცხელი, მაგრამ სუფთა ჰაერი სიამოვნებით ჩაისუნთქეს.

— ბოლოს და ბოლოს, ცოლი მოგყავს, არა? — ირონია ჩააქსოვა ნათქვამში.

— იცი, დიანა, — დაიწყო მამაკაცმა, მაგრამ დიანამ სიტყვა გააწყვეტინა.

— იცი, რა მაინტერესებს? რატომ დამიხვიე ხელზე? რატომ დაფრინავდი ღრუბლებში და მეც რატომ გამიყოლე თან? რა შეგვიძლია ახლა ერთმანეთს ვუთხრათ?

— დიანა, მაპატიე, ასე გამოვიდა...

— მოდი, არ გვინდა ამაზე ლაპარაკი, კარგი? შენ ჩემთან ვალში არ ხარ და ჩავთვალოთ, რომ ერთმანეთს არ შევხვედრივართ. ასე უკეთესი იქნება. დაბრუნდი შენს საცოლესთან, მე კი...

— შენ...

— მე სასტუმროში წავალ, ხვალ კი ვეცდები, დილით ადრე გამოვიდე, რათა თბილისში გავემგზავრო. ოღონდ, ასეთი თვალებით ნუ მიყურებ... ურცხვად...

დიანამ წინადადების დასრულებაც ვერ მოასწრო, რომ უჩა მოეხვია და ნაზად აკოცა.

— აი, თურმე რაზე საუბრობთ, — ნინოს ხმა ზარივით გაისმა.

უჩას საცოლის წინაშე თავის მართლებაც არ უცდია.

— ჩემი ნივთები მომეცი ახლავე! — ხმამაღლა დაიყვირა ქალმა.

უჩამ მოზრდილი, სამგზავრო ჩანთა გაუწოდა. ვიდრე ჩანთას ჩამოართმევდა, ქალმა ერთი მაგარი ალიყურიც მოსცხო. მერე შემობრუნდა და სწრაფი ნაბიჯით დატოვა იქაურობა.

— რას დგახარ სულელივით? გაიქეცი და დაეწიე, სანამ გვიან არაა, — შეაგულიანა დიანამ.

— არ მინდა, — დამაჯერებელი ხმით თქვა მამაკაცმა, — ჩვენი შეხვედრა გავაფუჭე ისედაც.

— რატომ გააფუჭე? — ხმამაღლა გაიცინა ქალმა. — გინდოდა, რომ შეხვედრის სცენა ისეთი ყოფილიყო, როგორც ჰოლივუდის ფილმებში ხდება ხოლმე და გამოგვიდა კიდეც. სწორედ ისე მოხდა, როგორც ფილმში. სილაც კი გაგაწნეს, როგორც სცენარში იყო გათვლილი და თანაც ისეთი, რომ ლოყა გაგიწითლდა და გიხურს.

დიანამ ლოყაზე ხელისგული ჩამოუსვა. თითქოს სიწითლის მოშორება სურდა. მამაკაცმა ღიმილით უპასუხა და ხელისგული დაუკოცნა.

უჩამ დიანასა და საკუთარ ჩანთებს ხელი წამოავლო.

— რომელ სასტუმროში წავიდეთ?

— ქალაქის ცენტრში, მაგრამ ჯერ სადმე ვისადილოთ, თორემ ძალიან მშია.

როგორც კი სასტუმროს ნომერში შევიდნენ, დიანა მაშინვე ფანჯარასთან მივიდა და სკამი მიაჩოჩა.

— სად მიდიხარ? — ჰკითხა გაოცებულმა უჩამ.

— სარკმელს გამოვაღებ, თორემ აქაურობა ძალზე ჩახუთულია, — სკამზე შემდგარმა დიანამ სარკმლისკენ ხელი გაიწვდინა.

— აბა, ჩამოდი ახლავე, — უჩამ ქალს წელზე მკლავები მოხვია და სკამიდან ჩამოიყვანა, — მე გავაღებ, ეგღა მაკლია, ფანჯრიდან გადავარდე.

დიანა მაგიდის კიდეზე ჩამოჯდა და იქიდან ადევნებდა თვალყურს, როგორ წვალობდა უჩა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა, რადგან როგორც ჩანს, სარკმელი არ იღებოდა.

— ფანჯარა რომ გავაღოთ, რა უჭირს? სარკმელი არ იღება და, — თავისთვის ჩაილაპარაკა უჩამ.

— ფარდებს არ ჩამოაფარებ? — ხმამაღლა გადაიხარხარა დიანამ.

— როგორ, უკვე? — სიცილითვე უპასუხა მამაკაცმა. ოთახი ჩამოაბნელა და დიანასთან მივიდა. — მაგიდაზე რატომ ჩამოჯექი, დი?

— ახლოს მოდი და გაიგებ. კისერი მეტკინა, ზევით ყურებით, ისეთი მაღალი ხარ... ასე კი ჩემი თვალები შენი თვალების გასწვრივაა.

უჩა მიუახლოვდა და წვრილ წელზე ხელები ნაზად მოჰხვია“.

* * *

— არა, არა, გენაცვალე, ასე არ გამოვა, — პროტესტი გამოთქვა დიანამ, — სად მაქვს მე წვრილი წელი?

— რა გესმის შენ მწერლობის? ხომ არ დავწერ, „პუტკუნა წელზე ხელი მოხვია“? ცოტა რომანტიზმი ხომ უნდა დავამატო?

— ამის შემდეგ როგორ გაგრძელდება ეს ამბავი? — დიანა კომპიუტერის ეკრანს ჩააშტერდა.

— შემდეგ... — თვალები დავხუჭე. — დიანაც მოეხვევა და ჩაიხუტებს... შემდეგ...

— არა, ასე არ მოხდება. მე მას კისერზე არ ჩამოვეკიდები ასე უცებ, — კატეგორიული ტონით თქვა დიანამ.

— შენ რა იცი? ახლა შენ ყველაფრისთვის მზად ხარ... არადა, მხოლოდ მესიჯებს გწერს და ლამაზ, სასიყვარულო სიტყვებს გეუბნება. არაა გამორიცხული, შეხვედრისას სიტყვაც არ ათქმევინო, ისე „მიახტე“. პირველი შეხვედრა ყოველთვის მოულოდნელობებითაა სავსე.

— შენ შეგიძლია, წარმოიდგინო, როგორ „მივახტები“ მამაკაცს? გაგიჟდი? — გაოცებული ხმით წამოიძახა დიანამ. — შენ ხომ იცი, რომ არც ერთი თაყვანისმცემლისთვის იოლად მისაღწევი ქალი არ ვყოფილვარ? იქნებ ერთ-ერთ ჩვენგანს არც გაუჩნდეს „მიხტომის“ სურვილი?

— დიანა, შენ მთხოვე, შენსა და შენს შეყვარებულზე რაიმე საინტერესო ამბავი დამეწერა...

— რა შეყვარებული, გაგიჟდი?

— ნუ, შესაძლოა, შეყვარებული არა, მაგრამ ის მამაკაცი, რომელიც შენ გიყვარს. ერთი და იგივე არაა? — ხელი ჩავიქნიე. — მაგრამ ამ ამბის ავტორი ხომ მე ვარ და არა — შენ. ასე რომ, ჩემს ფანტაზიას გასაქანი მიეცი და ფრთებს ნუ შემიკვეცავ. ხომ გინდოდა ისეთი შეხვედრა, როგორიც ფილმებშია? ჰოდა, ასეც დავწერე. გინდოდა კომფორტულ გარემოში, ყველასგან შორს მომხდარიყო ეს შეხვედრა და ასეც დავწერე. სასტუმროში შეგახვედრებ, რა პრობლემაა? ოღონდ ხელს ნუ მიშლი.

— ჰო, მაგრამ იცი, რა მინდა? „ის“ რომ წაიკითხავს, მაშინვე მიხვდეს, რომ ეს მოთხრობა ჩვენზეა. გესმის, რა მინდა? — დიანამ ხმას აუწია, — აბა, სად მაქვს მე ნაზი და წვრილი წელი? ან მაღალი და ლამაზი ფეხები, ყურებიდან რომ იწყება, ისეთი? და საერთოდ, რა ნახე ჩემს აღნაგობაში რომანტიკული, მოქნილი და ეროტიკული? შენ ხომ ძალიან კარგად მიცნობ.

— როდის მოვასწარი ნეტავ, შენი კარგად შესწავლა? — ავხითხითდი. — დამანებე თავი, რა... მაშინ ჩამოწერე შენი ყველა ნაკლი. არაფერი გამოგრჩეს, დაწვრილებით მოუყევი. აუხსენი, რომ ისეთი სულაც არ ხარ, როგორიც წარმოუდგენიხარ, რომ ახლა ისეთ ასაკში ხარ, როდესაც დაწოლამდე ნახევარი საათით ადრე წნევა უნდა გაიზომო და წამლებიც მიიღო.

— არა, მაგას არ ვეტყვი. ავდგები და ანეკდოტს მოვუყვები, საქორწილო ღამის შესახებ. შენ იცი?

— არა, არ ვიცი.

— იცი, როგორ არა, ძველი ანეკდოტია. პატარძალმა გაიხადა, პარიკი მოიძრო, წამწამები მოიხსნა, მაკია-

ჟი ჩამოიბანა... ქმარმა შეხედა და.... თავი ჩამოიხრჩო, — ერთად გადავიხარხარეთ, უკბილო ანეკდოტზე.

— საამისოდ, — როგორც იქნა, ამოვისუნთქე, — თქვენ ახლო მომავალში კი არა, 10 წლის შემდეგ უნდა შეხვდეთ. ახლა ისეთ „ვიდზე“ არ ხარ, რომ ეგ ანეკდოტი სიტუაციას მოარგო.

— ჰო, მაგ დრომდე ჯერ მხოლოდ ნახევარი გზა მაქვს გავლილი, — გაიცინა დიანამ, — ხუმრობა იქით იყოს და მისი უკანასკნელი სიყვარული ჩემზე 10 წლით უმცროსი იყო და შენ როგორ ფიქრობ, ჩვენი შეხვედრა რამეს შეცვლის?

— თქვენს შეხვედრაზე ანეკდოტის მოგონება გაცილებით იოლია, ვიდრე რომანტიკულ-ეროტიკული ამბისა. — დაფიქრებით ვთქვი. — თუმცა, შენ როგორ ფიქრობ, ის კარგ ფორმაში იქნება? შენზე უკეთ გამოიყურება? ამ ხნის განმავლობაში ისიც ხომ დაბერდებოდა, ცოტა მაინც?

— ჰო, მაგრამ ის ხომ მამაკაცია? მამაკაცებს კი ყველაფერი ეპატიებათ. ღიპიც, ნაიარევებიც და ღაბაბიც.

— მაშინ ნუ შეხვდები, — შევთავაზე მე, — ასე უფრო იოლი იქნება. ერთმანეთი მეხსიერებაში შეინახეთ და ძველებურად გააგრძელეთ ცხოვრება. ერთმანეთი კი მუდამ ახალგაზრდა და ლამაზი გემახსოვრებათ.

— მაშ, შენ ფიქრობ, ჯობია, არ შევხვდეთ? — დაფიქრდა დიანა.

* * *

გაზაფხულის პირველმა დღეებმა გული გაათბო. გვიან გავიღვიძე, შხაპი აუჩქარებლად მივიღე, ვისაუზმე, საწოლში დავბრუნდი, ბალიშებს შორის ჩავჯექი და მუხლებზე ლეპტოპი დავიდე. თან ფანჯარაში ვიყურებოდი და გაზაფხულის მზეს ვუღიმოდი. ახლა არაფერზე ფიქრი არ მინდოდა და არც ლეპტოპის ცარიელ ეკრანზე პირველი სიტყვების აკრება მსურდა.

— რას გავაკეთებდი, მათ ადგილზე რომ ვიყო? — სახეზე ღიმილი გამომესახა. თვალები მივლულე და თავი მოთხრობის გმირების ადგილზე წარმოვიდგინე.

რესტორნიდან გამოსული წყვილი ნელა მიუყვებოდა ტროტუარს. ლამპიონები გზას უნათებდნენ... მაგრამ ისინი მხოლოდ უზარმაზარ მთვარეს ხედავდნენ, რომლის შუქიც მათ სულებს ანათებდა. არა... მე ასე არ მინდა... მათ ადგილზე მთვარის ყურებას პატარა სოფელში, კოხტა სახლის უკან, თივის ზვინში ჩამჯდარი ვარჩევდი... ახლა ძალიან კარგ რამეს მოვიფიქრებ...

ფიქრი ტელეფონის ზარმა გამაწყვეტინა.

— ალო, — უხალისოდ ვუპასუხე.

— მე ვარ, — მხიარულად მომმართა დიანამ, — როდის შეიძლება შენთან მოსვლა?

— თუ გინდა, ახლავე მოდი და ერთად ვისადილოთ. რამე გემრიელი გამოაყოლე ხელს.

— ძალიან კარგი, — მაშინვე დამთანხმდა მეგობარი, — 1 საათში შენთან ვიქნები.

მის მოსვლამდე ისევ მონიტორს დავყურებდი. თავში არანაირი სიუჟეტი არ მომდიოდა. საბნისა და ბალიშების გროვას თავი დავაღწიე და ფანჯარასთან მივედი. ხის ძირში კატა იჯდა, თვალებს ლულავდა და გაზაფხულის მზეს ეფიცხებოდა... კარზე ზარი დარეკეს და სტუმრის მისაღებად გავემართე.

— ისეთი ნამცხვარი მოვიტანეე... თითებს ჩაიკვნეტ, — დიანა პირდაპირ სამზარეულოსკენ გაემართა.

დამეხმარა და სამზარეულოს მაგიდაზე თანდათან გაჩნდა თეფშები, ჩანგლები, დანები, ჭიქები...

ჭამის დროს კი დიანა ენას არ აჩერებდა.

— მე არაფერს გეკითხები და შენც ხმას არ იღებ, არა? — თვალებმოჭუტულმა და პირგამოტენილმა მკითხა.

— ჯერ ჭამე, მერე ილაპარაკე. ხომ იცი, მშიერი ადამიანი ემოციებს აჰყვება და ისე ლაპარაკობს, მაძღარი კი ჭკუას დაეკითხება, ვიდრე რამეს იტყვის.

— კარგი, გავჩუმდები, — შემპირდა მეგობარი, — ოღონდ, ის მითხარი, მოთხრობისთვის სიუჟეტი მოიფიქრე?

— არა, დი, ვერ მოვიფიქრე. ამ დილით ფანტაზია რატომღაც არ მეწვია.

— ეს იმიტომ, რომ მამაკაცის არარსებობა მოქმედებს შენზე.

— ამას ვინ ამბობს? შენ არ ხარ ის ქალი, ღამღამობით მესიჯებს რომ წერს, იმის მაგივრად, რომ მამაკაცის მკერდზე თავდადებულმა დაიძინოს?

— მოიცა, მოიცა, ზედმეტი არ მოგივიდეს... ჩემი ამბავი სულ სხვაა. მინდა, ერთი ღამე იმ მამაკაცთან გავატარო, რომელიც მიყვარს და არა იმასთან, ვისაც ვუყვარვარ.

— რაში გჭირდება ეს ყველაფერი, დი? რამდენი ქალი ცხოვრობს დედამიწის ზურგზე, რომელსაც მხოლოდ ოცნებად აქვს პირველ სიყვარულთან სარეცელის გაყოფა, მაგრამ... სულაც არ განიცდიან ამას... სხვა მამაკაცებთან ფლირტიც აქვთ. შენ კი აუხდენელი ოცნების რეალობად გადაქცევა მოგინდა. არ შეგიძლია, ისე იცხოვრო, როგორც სხვები ცხოვრობენ?

— შემიძლია, როგორ არ შემიძლია! — დაუფიქრებლად მიპასუხა. — მაგრამ არ მინდა. უბრალოდ, ვცხოვრობ და მეტი არაფერი. მე კი დიდი სიყვარული მინდა.

— რად გინდა? — კითხვა შევუბრუნე. — დილით მის გვერდით გაიღვიძებ და მიხვდები, რომ არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა. ყველაფერი ისევე იყო, როგორც სხვასთან. მითხარი, რას ელოდები ამ ადამიანისგან და რისი მიცემა შეგიძლია? სადაა გარანტია, რომ შეხვდები და ყველაფერი კარგად იქნება?

— საერთოდ, არაფრის გარანტია არ არსებობს, შენ მართალი ხარ, — ამოიოხრა დიანამ, — იმის გარანტიაც კი არ არსებობს, რომ შევხვდებით, არც იმის, რომ ერთმანეთთან რამე მოგვინდება...

ჩვენი სადილობის პროცესი ნელ-ნელა მოსაწყენ პიესას ემსგავსებოდა.

— უი, სიუჟეტი მოვიფიქრე, — გახარებულმა წამოვიძახე, — მოდი, ასე გავაკეთოთ: ამ მოთხრობის გმირები ერთი მატარებლით მგზავრობენ. უეცრად, ტამბურში ძველი და საყვარელი სიმღერის ჰანგები დაიღვრება და ორივე კუპეებიდან გამოვა, რათა სიმღერას მოუსმინოს და ასე შეხვდებიან ერთმანეთს.

— ეს სიუჟეტი არ მომწონს, — უარი განაცხადა დიანამ, — იქნებ ეკლესიაში შეახვედრო ერთმანეთს? შეხვდებიან თუ არა, მაშინვე ჯვარსაც დაიწერენ ბარემ...

არაფერი ვუპასუხე. სალათა გადმოვიღე თეფშზე და უხალისოდ დავიწყე მასში ჩანგლით ჩიჩქვნა. კარგა ხანს ვერ მოვახერხეთ შეწყვეტილი საუბრის გაგრძელება.

— რატომ გქონდა ასეთი რეაქცია ეკლესიის ხსენებაზე? თუ მომეჩვენა? — ვკითხე დიანას.

— მოდი, თემა შევცვალოთ.

— ეს პასუხი არაა, მიდი მომიყევი შენი ცოდვების შესახებ.

— მე ერთი ცოდვა მაქვს და ამის შესახებ უკვე მოთხრობას წერ, სადაც ჯერ არშემდგარი შეხვედრა უნდა აღწერო.

— როგორ, შენ მაგას ცოდვას უწოდებ? მე კი მეგონა, სიყვარული ღვთიური გრძნობაა და ცოდვა ვერანაირად ვერ იქნება. ხომ არაფერი გეშლება?

— ეს სიყვარული დამანგრეველია... ის არაფერს აშენებს. ამაშია განსხვავება.

— სულაც არ „განგრევს“... განსაკუთრებით კი ბოლო პერიოდში. ხედავ, როგორ გახდი? ფორმაში ჩადექი, თვალსა და ხელს შუა გარდაისახე და გაახალგაზრდავდი. სხვათა შორის, მოკლე კაბები გიხდება. შენი ლამაზი ფეხები შესაძლოა, ბევრს შეშურდეს.

— იქნებ ჩემი ნაოჭებიც შეშურდეს ვინმეს? ჩემი სულელური სიყვარულის გამო, მაშინ ვცოდავდი ხოლმე, მაშინ დრო სულაც არ იყო. სიმართლე გინდა? მაშინ მომისმინე, მაგრამ არ გაიკვირვო. ამაზე რომ ვფიქრობ, თავადაც მიკვირს ხოლმე. ჩემს პირველ ქორწილში...

— ეგ ხომ ვიცი, რომ ქორწილის დღეს ქმარს ეჩხუბე... მაგით როგორ გამაკვირვებ? — ხელი ჩავიქნიე. — და მომდევნო დღეებში მას ვერც კი ამჩნევდი, არსებობდა თუ არა. ეს უკვე ნაამბობი გაქვს.

— იცი, როდესაც მმაჩის ბიუროში ხელს ვაწერდით, ვფიქრობდი: „უჩა, შემომხედე! ხედავ, ვთხოვდები! რისთვის ვთხოვდები? რატომ ვაკეთებ ამას, მე ხომ გათხოვება არ მინდა!“

— ასეთი აზრებიც ბევრს აწუხებს. ასე ხშირად ხდება და მომაკვდინებელი სულაც არაა, — შვებით ამოვისუნთქე.

— სამშობიაროში, როცა ბიჭი შემეძინა, ვფიქრობდი: „უჩა, შეხედე, ბიჭი შემეძინა! შენ ხომ ოცნებობდი ვაჟზე? შენ გყავს შვილები?“

— მას ხომ გოგონა ჰყავს და შენ ეს ძალიან კარგად იცოდი.

— საიდან უნდა მცოდნოდა? მეორე ქორწილზე კი საერთოდ ვერ ვაზროვნებდი. თითქოს საკუთარი ცხოვრებით ვთამაშობდი და წინასწარ ვიცოდი, რომ 1 თვის მერე ამ კაცს გავცილდებოდი. მართალია, მტკივნეული იყო, მაგრამ ზუსტად ვიცოდი, რომ ჩემსა და ჩემს წარსულს შორის ყრუ კედლის აშენებას ვცდილობდი. საყვარელი ადამიანის დასავიწყებლად ხშირად სჩადიან სისულელეებს და ცდილობენ, მისკენ სავალი გზა სამუდამოდ ჩახერგონ. უბრალოდ, ადამიანებს ავიწყდებათ, რომ ასეთ დროს შორს მხოლოდ სხეულით მიდიან, ხოლო სული იქვე რჩება, იმ სამყაროში, სადაც საყვარელი ადამიანი ეგულებათ. ცხოვრება სხვებზე ზრუნვასა და პრობლემების მოგვარებაში გადის და ამიტომ გგონია, რომ დრო ყველაფრის მკურნალია და ყველაფერს დაგავიწყებს ახალ ცხოვრებაში...

მან ფრაზის დასრულება ვერ შეძლო. თვალებიდან ცრემლი ჩამოუგორდა. თითქოს ამ ტკივილის ჩამორეცხვას ცდილობდა...

* * *

„მზის სხივები მხოლოდ მათ სხეულებს კი არა, სულებსაც ათბობდა. რა თქმა უნდა, ორივეს სურდა, ეს დღე რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელებულიყო და ორივესთვის დაუვიწყარი ყოფილიყო.

— პლაჟზე გავიდეთ? — შესთავაზა უჩამ.

— არა, მოდი, ისე გავისეირნოთ, რა გვინდა პლაჟზე?

ისინი ნავსადგურში მივიდნენ. საკმაოდ ბევრი ადამიანი ირეოდა. ყველანი ისეთივე ადამიანები იყვნენ, როგორც დიანა და უჩა. იდგნენ და უზარმაზარი გემის ცქერით ტკბებოდნენ.

— აქ კარგი ფოტოები გამოვა, — დიანას იქვე მჯდომი მამაკაცი შეეხმიანა, რომელსაც ლამაზ ქალზე ხელი ჰქონდა გადახვეული, — გინდათ, სურათი გადაგიღოთ?

— გვინდა, — უპასუხა დიანამ და გემთან ახლოს დადგა. უჩამ ხელი მოხვია და ორივე გაირინდა.

— გმადლობ, გნებავთ, თქვენც გადაგიღებთ სურათს, — შესთავაზა დიანამ.

წყვილებს შორის საუბარი გაიბა. ისინი კარგა ხანს ლაპარაკობდნენ, იცინოდნენ. შემდეგ უჩამ ყველა კაფეში, აჭარულ ხაჭაპურზე დაპატიჟა. უჩა და ახალგაცნობილი გოგონა ერთმანეთს რაღაცას ეჩურჩულებოდნენ, იცინოდნენ... დიანას არ მოსწონდა ეს სიტუაცია, მაგრამ ცდილობდა, არაფერი შეემჩნია. ბოლოს, როდესაც წყვილები ერთმანეთს დაშორდნენ, გოგონამ უჩას უთხრა:

— დამირეკე, საყვარელო... — ხელი დაუქნია და თავის კავალერს გაჰყვა.

— კისერი არ მოგეგრიხოს, — უსაყვედურა დიანამ უჩას, როდესაც შენიშნა, რომ ქალს თვალს ვერ აშორებდა, — და ლოყიდან პომადა მოიშორე!

უჩას არ დალოდებია, ისე ჩაჯდა გაჩერებულ ტაქსიში“...

* * *

— ხომ არ გეჩვენება, რომ ეს უკვე მეტისმეტია? — დიანამ გაოცებულმა შემომხედა. — შენ ფიქრობ, რომ შეიძლება, ასეც მოხდეს?

— რატომაც არა? — მშვიდად ვუპასუხე. — ის ხომ ჩვეულებრივი ადამიანია? თანაც — მამაკაცი და რატომ არ შეიძლება, რომ ახალგაზრდა, ლამაზი ქალით დაინტერესდეს? სინამდვილეში შესაძლოა, თქვენი შეხვედრა გაცილებით უარესად დასრულდეს. შესაძლებელია, პირველივე წუთებიდან უცხოდ იგრძნოთ თავი და მიხვდეთ, რომ ერთმანეთისთვის არ ხართ გაჩენილი. შესაძლოა, კამათიც კი მოგიხდეთ პატარა მიზეზის გამო. ეს უფრო ცუდი იქნება, ვიდრე ის, რომ ლამაზი ქალი შენიშნა და ყველაფერი თავისთავად გადაწყდა.

— ამ შეხვედრას თითქმის 20 წელია, ველოდები, გესმის? შენ კი დგახარ და ჩხუბზე, გაუგებრობაზე, განშორებაზე მელაპარაკები. ძალიან სასტიკი ხარ, — ნაწყენმა მითხრა, — შენ შემპირდი, რომ რეალურ, ლამაზ ამბავს დაწერდი ჩვენს შეხვედრაზე. სადაა ეს ლამაზი ამბავი?

— მაგალითად, როგორი ამბავი გინდა? — მეც დამეტყო გაღიზიანება. — შეხვდით, შეგიყვარდათ ერთმანეთი ხელახლა, დაქორწინდით და ერთ დღეს მოკვდით? ის შენს ნაოჭებს შეიყვარებს, შენ კი მის გამო კიდევ უამრავ სისულელეს ჩაიდენ? ასე არ ხდება ცხოვრებაში და არც არასოდეს მოხდება. თქვენ ხომ სრულიად განსხვავებული ადამიანები ხართ და შორეული წარსულის გარდა, საერთოც არაფერი გაქვთ. გესმის? შემიძლია, დაგენაძლევო რაზეც გინდა, რომ თქვენ შეხვდებით და ერთმანეთს უცხო ადამიანებივით დაშორდებით. არც პირველები ხართ და არც — უკანასკნელები, ვინც ასეთ ცხოვრებას გადის. რამდენი ბავშვობის მეგობარი გყავდა, გახსოვს? მათ შორის ისეთებიც იქნებიან, ვინც გარკვეული დროის განმავლობაში გიყვარდა. ეს რას ცვლის? არაფერს! ქვეყნად სასწაულები არ ხდება... ჯობია, შემეშვა ამ შენი მოთხრობით და შეხვედრით.

დიანას არაფერი უთქვამს. უხმოდ ადგა, ჩანთას ხელი წამოავლო და ჩემი სახლიდან წავიდა.

■

ოჯახიდან გაპარული მამა, მარტოხელა დედა და ქალისთვის დაკისრებული ალიმენტი...

სამწუხაროდ, ჩვენში ხშირად ინგრევა ოჯახები. დიდი ნაწილი ამის საფუძვლად, ცოლ-ქმრის ხასიათის შეუთავსებლობას ასახელებს. მაგრამ ამ „მშრალი“ ფორმულირების მიღმა, ათასგვარი მიზეზი იმალება, მათ შორის — ერთ-ერთი მეუღლის არაგულწრფელი დამოკიდებულება, რომელიც ადრე თუ გვიან, აშკარავდება და გაყრით გვირგვინდება. ასე ესმება წერტილი თანაცხოვრებას და, თუკი ოჯახში შვილია, იწყება ახალი ურთიერთობა, რომელიც ბრძოლას უფრო ჰგავს...

თეა ხურცილავა

36 წლის ნათია წლებია, მარტო ზრდის გოგონას. ნინი 6 წლის იყო, როცა მოულოდნელად მამამ თბილისში, ნაქირავებ ბინაში დედასთან ერთად დატოვა და მას შემდეგ არ უნახავს. პატარას მამა ძალიან ენატრებოდა და დედას გამუდმებით ეკითხებოდა, — მამა როდის მოვაო?.. ამ კითხვაზე ნათიას პასუხი არ ჰქონდა. მერე ყველაფერი გაირკვა: ქალმა 3 წლის შემდეგ შეიტყო, რომ ყოფილმა ქმარმა მასთან განქორწინების გარეშე, სხვა ოჯახი შექმნა. გოგონას მამა ალიმენტსაც არ უხდის...

ნათია:

— ვერასდროს წარმოვიდგენდი, ასეთი რთული პრობლემების წინაშე თუ აღმოვჩნდებოდი, ამდენი ტკივილიანი დღეების გადატანა თუ მომიწევდა. დათო ჩემს მეგობართან სტუმრობისას გავიცანი. ისინი კლასელები იყვნენ და მეგობარს ხშირად აკითხავდა. ერთმანეთი შეგვიყვარდა და მესამე კურსზე რომ ვსწავლობდი, ცოლად გავყევი. როგორ შეიძლება, ასეთი კაცი შემყვარებოდა?!. ფაქტია — სიყვარულისგან თვალები დაბრმავებული მქონდა და ის უარყოფითი თვისებები, რომლებიც მას ჰქონდა, არ დამინახავს.

— **შვილი მალე შეგეძინათ?**

— მალე დავორსულდი და გოგონა გამიჩნდა. ნინის დაბადებით ძალიან ბედნიერი ვიყავი. ერთმანეთს ვეხმარებოდით. ასე, ქმრის ხელშეწყობით, დავამთავრე უნივერსიტეტი. დათო იმერეთის ერთ-ერთი ქალაქიდან იყო ჩამოსული. ოჯახი რომ ერჩინა, ვაჭრობა დაიწყო. ნაქირავებში ვცხოვრობდით, ჩემს მშობლებს შევეცოდეთ და ბინა დაგვიგირავეს. ცოტა ფულიც მისცეს, რაღაც საქმე რომ წამოეწყო და თითქოს ყველაფერი ნორმალურად აეწყო. ძირითადად, შინ ვიყავი, შვილს ვუვლიდი. ბუნებით ეჭვიანი არა ვარ და მის ერთგულებაში ეჭვი არასდროს შემპარვია. რას წარმოვიდგენდი, ასე საშინლად თუ მოგვექცეოდა?! ერთ დღეს გამომიცხადა, — ვალებში ჩავვარდი და დროებით, ბინა უნდა ვიქირაოთო. დავეთანხმე. ჩემი მშობლების დაგირავებული ბინიდან გამომიყვანა და ქირით გადავედით. ჩემი მშობლების მოცემული 5.000 დოლარი წაიღო. იმის გარდა, 1.000 დოლარი სავაჭროდ ჰქონდათ მიცემული. ვხედავდი, ბოლო დროს უხასიათოდ იყო, საუბარსაც გაურბოდა. ამბობდა, პრობლემები მაქვსო. არ ვიცოდი, რით დავხმარებოდი და ჩემი თხოვნით, ჩემმა ძმამ კიდევ 1.000 დოლარი მისცა. ბოლოს სახლშიც აღარ მოდიოდა, მევალეებს ვემალებიო; როცა ვურეკავდი, მეუბნებოდა, — ქალაქიდან ვარ წასულიო. სინამდვილეში კი თურმე ქუჩის მეძავში გამცვალა...

— **საყვარელი გაიჩინა?**

— ფაქტობრივად გამძარცვა — ჩემი მშობლების ფული მიითვისა და გადაიკარგა. ნინი 6 წლის იყო, მამამისი სახლიდან რომ წავიდა. წარმოიდგინეთ — არც გვიჩხუბია. სახლიდან ისე გაიპარა, პურის ფულის გარეშე დაგვტოვა ნაქირავებში... რომ არ გამოჩნდა, ახლობლები ავაწრიალე. მის მშობლებსაც შევატყობინე და ვუთხარი, რომ პოლიციაში გაცხადებას ვაპირებდი. კატეგორიულად შემეწინააღმდეგნენ. მითხრეს, — პრობლემებს შეუქმნი, მევალეებს ემალებაო. ამიტომ ველოდებოდი... წლების შემდეგ გავიგე, რომ დედამისმა ყველაფერი იცოდა. უფრო მეტიც — დათო, საყვარელთან ერთად, თავის რაიონშიც ყოფილა ჩასული!.. სადაც მუშაობდა, იქაც ვერაფერი მითხრეს. ძალიან მიჭირდა, პურის ფულს მეგობარი მაძლევდა. შემდეგ, როცა უკვე ბინის ქირასაც ვეღარ ვიხდიდი, მის მშობლებთან წავედი.

— **როგორ მიგიღეს?**

— თითქმის ერთი თვე ვიყავით მე და ჩემი შვილი. ნელ-ნელა იქ ცხოვრება აუტანელი გახდა. ხშირად ვკამათობდი იმის გამო, რომ დათოს არ ეძებდნენ და ბოლოს ჩემს მშობლებთან წავედი. ვეძებდი ქმარს და მის შესახებ ვერაფერს ვიგებდი. წარმოიდგინეთ, ასეთ გაურკვევლობაში ვიცხოვრე თითქმის 3 წელი.

— **შემდეგ რა გაირკვა?**

— შემთხვევით, ახლობლისგან გავიგე, რომ ჩემმა ქმარმა ქუჩის მეძავში გამცვალა და ცოლადაც შეირთო. ვერ წარმოიდგენთ, ეს რამხელა შოკი იყო ჩემთვის. როცა გავიგე, რომ ჩემმა დედამთილმა იცოდა ეს ყველაფერი, ველარ მოვითმინე და სახლში მივუვარდი. ვიჩხუბეთ; ბოლოს მითხრა, — ჩემს შვილს ვინც უყვარს, მეც ის მინდაო. ძალიან შეურაცხყოფილი და დამცირებული ვიყავი. ქალისთვის ოჯახის დანგრევა ადვილი არაა, ამას ვერასდროს წარმოვიდგენდი. მით უმეტეს, რომ არც გვიჩხუბია, ქურდივით გამძარცვა და წავიდა... ხელფასით ვერ შევძლებდი შვილის რჩენას, ამიტომ ვაჭრობა დავიწყე. ძალიან ვწვალობ, ახლობლებიც მეხმარებიან; ვცდილობ, ჩემს შვილს არაფერი მოვაკლო და უმამობით გამოწვეული ტკივილი შევუმსუბუქო.

— ბავშვი არ უნახავს?

— ნინი უკვე სკოლას ამთავრებს და მამამისს ერთხელაც არ უნახავს. შვილი არ აინტერესებს. დედამისმა ერთხელ ნახა და მერე აღარც მოუკითხავს... ახლა ჩემი ყოფილი ქმარი რაიონში ცხოვრობს და იმ ქალთან ორი შვილი ჰყავს.

— ბავშვს ალიმენტსაც არ უხდის?

— არა. თავიდან ალიმენტის გაგონებაც არ მინდოდა, მაგრამ როცა გავაანალიზე, მივხვდი — ეს ჩემი შვილისთვის იყო საჭირო, ამიტომ, სასამართლოში განცხადება შევიტანე. ყველაზე მეტად ჩემი მშობლებისგან წართმეული ფულის დაბრუნება მინდოდა. სასამართლოში ვეღარ შევძელი იმის დამტკიცება, რომ ეს ფული მან წაიღო. მხოლოდ 1.000 დოლარის აღება აღიარა, მაგრამ არც ეს თანხა მოუტანია. სასამართლომ თვეში 100 ლარის გადახდა დააკისრა, მაგრამ არ იხდის. უკვე საკმაოდ დიდი თანხა დაუგროვდა. ბავშვის სახელზე ანგარიში გავხსენი, მაგრამ ფულს არ რიცხავს.

— სააღსრულებო ბიუროს არ მიმართეთ?

— როგორ არა?! ერთი პერიოდი თითქმის ყოველდღე ვურეკავდი აღმასრულებელს, მაგრამ ვერაფერს მივაღწიე. შემდეგ განცხადება თბილისში, სააღსრულებო დეპარტამენტის უფროსის სახელზეც დავწერე: ვეჭვობდი, რომ ადგილობრივი აღმასრულებელი, რადგან მისი რაიონელი იყო, ფულს არ მოსთხოვდა. საჩივრის შემდეგ, 100 დოლარი გადმორიცხეს და ამით დამთავრდა ყველაფერი. არ მინდა, შერჩეს ის თანხები. აღმასრულებელი მეუბნება, რომ ჩემი ყოფილი ქმრის სახელზე არანაირი ქონება არ ირიცხება და თანხის ამოღებას ვერ ახერხებს. სახლი და მანქანაც მამამისის სახელზეა გაფორმებული. ამბობს, რომ უმუშევარია და ფულს ამიტომ ვერ იხდის. არადა, ვიცი, პატარა ბიზნესიც აქვს, მაგრამ ეს ოფიციალურად არ ჩანს, თვითონ კი არ კადრულობს, საკუთარ შვილს ის მიზერული თანხა მაინც მიაწოდოს, რაც სასამართლომ დაუწესა. რას ვიზამთ?

— ასეთი მამებიც არსებობენ. მაგრამ ერთი რამ მინდა, იცოდეს: არ მოვუშვები, სანამ ბავშვის კუთვნილ თანხებს არ გადმოვარიცხვინებ ჩემი შვილის ანგარიშზე. უკან არ დავიხევ და რომ დამჭირდეს, ციხეშიც გავუშვებ. მან მე და ჩემს შვილს იმხელა ტკივილი მოგვაყენა, ამას ღმერთი არ აპატიებს.

ეს ერთი, მეტ-ნაკლებად ტიპური მაგალითია იმისა, თუ როგორ სწირავს მამაკაცი ცოლ-შვილს, უმისოდ ცხოვრებისეულ სიძნელეებთან ჭიდილისთვის. მაგრამ მოვლენის მორალური მხარე მხოლოდ ამ ნაბიჯით როდი ამოიწურება: ერთ-ერთი მშობელი საკუთარ ზნეობრივ სახეს იმითაც ავლენს, თუ რას მოიმოქმედებს, როცა ალიმენტის საკითხი დადგება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა მოწინააღმდეგე მხარე ვერ ერკვევა სამართლებრივ საკითხებში და საკუთარი უფლებების დაცვა უჭირს.

ალიმენტის თემა მრავალ ასპექტს შეიცავს, ამიტომ პროფესიონალს — ადვოკატ ციცინო ცხვედიანს მივმართეთ, რათა დაინტერესებულმა მკითხველმა რაც შეიძლება მეტ კითხვაზე მიიღოს პასუხი.

როგორც ირკვევა, მამაკაცების დიდ ნაწილს გაყრის შემდეგ, საკუთარ შვილზე ზრუნვა არ სურს და პასუხისმგებლობას გაურბის. ამიტომაც, მარტოხელა ქალებს ყოფილ ქმრებთან ალიმენტზე დავა უწევთ. ასეთი მოთხოვნით სასამართლოში სარჩელის შეტანა უფასოა. ცნობილია, რომ მშობლებს შვილების მიმართ საალიმენტო ვალდებულება აკისრიათ. ამასთან, ბევრმა არც კი იცის, რომ კანონით, იგივე ვალდებულება ერთმანეთის მიმართ და-ძმასაც აქვს დაკისრებული და შვილებსაც — მშობლების მიმართ. ბევრი ადამიანისთვის აქტუალურ ამ საკითხში უფრო ღრმად ჩახედვას ადვოკატ ***ციცინო ცხვედიანთან*** *საუბრისას შევეცადეთ.*

— ქალბატონო ციცინო, განქორწინებული წყვილი სასამართლოში ხშირად ალიმენტზე დავობს, რატომ არის ეს საკითხი სადაო და მამაკაცები პასუხისმგებლობას რატომ გაურბიან?

— როცა წყვილი მოლაპარაკებით, სკანდალის გარეშე ერთმანეთს შორდება, ალიმენტის ოდენობაზეც სიტყვიერად თანხმდება და უპრობლემოდ, მოლაპარაკების შემდეგ თანხას ერთი მხარე იხდის. მაგრამ უფრო ხშირად, სასამართლოში მეუღლეები სწორედ ალიმენტზე დავობენ. კანონით, არასრულწლოვან შვილებზე მშობლების საალიმენტო ვალდებულება ვრცელდება. სრულწლოვან შვილთან მიმართებაში კი სიტუაცია განსხვავებულია და მშობელს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს ვალდებულება, თუ შვილი დახმარებას აუცილებლად საჭიროებს. სასამართლოში დავა ჩვეულებრივ, გაყრილ მშობლებს აქვთ, მაგრამ კანონი არ ამბობს, რომ წყვილი მაინცდამაინც გაყრილი უნდა იყოს; ბავშვის მშობლები შესაძლოა, გაყრილები არ იყვნენ, მაგრამ ოჯახში მწვავედ იდგეს რაღაც პრობლემა. გვხვდება ფაქტები, როცა მამა პასუხისმგებლობას გაურბის; იმის ნაცვლად, რომ თანხა ოჯახს, შვილს მოახმაროს, კაზინოში, სასმელში, რესტორნებში ფლანგავს. ამის შედეგად ბავშვი სარჩოს გარეშე რჩება. ამიტომ, ცოლს შეუძლია, სასამართლოს გზით მოითხოვოს, რომ ქმარს შვილების სასარგებლოდ, ალიმენტის გადახდა დაეკისროს.

— საერთოდ, როგორ ხდება თანხის განსაზღვრა?

— ადრე მოქმედი კანონმდებლობით, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა ხელფასის მიხედვით ხდებოდა; იმაზეც იყო დამოკიდებული, თუ რამდენი არასრულწლოვანი შვილი ჰყავდათ. ახლანდელი კანონით კი ალიმენტის ოდენობას სასამართლო, ალიმენტის გადამხდელი მშობლის ქონებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე განსაზღვრავს, ითვალისწინებს — მუშაობს თუ არა ის, რამდენი აქვს ხელფასი; თუ ბიზნესმენია, მაშინ მისი წილის ოდენობა, შემოსავალი დგინდება და ალიმენტი ამის მიხედვით ინიშნება. სოფელში მცხოვრებთ უთვლიან მიწის ნაკვეთს, იმას, თუ დაახლოებით რამდენია შემოსავალი და დეტალების დადგენის შემდეგ, სასამართლო გადაწყვეტილებით, საალიმენტო თანხის განსაზღვრა ხდება.

— იქნებ შემოსავალი დაკარგა — თანხა მაინც უნდა გადაიხადოს?

— თუ ალიმენტის გადამხდელი მშობლის მატერიალური მდგომარეობა გაუარესდა ან, პირიქით, გაუმჯობესდა, ალიმენტის საკითხი გა-

დაისინჯება და თანხის განსაზღვრა თავიდან მოხდება.

— ხშირად, მამაკაცები ფულის არგადახდის მიზეზად უმუშევრობას ასახელებენ. სასამართლო ალიმენტის გადახდას უმუშევარსაც აკისრებს?

— ალიმენტი ყველა შემთხვევაში ინიშნება. თუ კაცი უმუშევარია, ასეთ დროს მხარეს თვეში საშუალოდ, 20-30 ლარის გადახდა მაინც ეკისრება.

— პრაქტიკაში თუ გქონიათ ისეთი შემთხვევა, როცა ქმარს ცოლისთვის ალიმენტი მოუთხოვია?

— ერთხელ ჩემთან კონსულტაციაზე სწორედ ამ საკითხის გასარკვევად მოვიდა მამაკაცი. შვილებს მარტო ზრდიდა, იმის გარკვევა უნდოდა, შეეძლო თუ არა, ცოლისთვის მოეთხოვა ალიმენტი. გაირკვა, რომ ქალი სხვაზე გათხოვდა და შვილები მამასთან დარჩნენ. მამაკაცი ძალიან გაბრაზებული იყო ქალზე ამ საქციელის გამო, უფრო ამის გამო სურდა, მისთვის ალიმენტი დაეწესებინა, თორემ შვილების რჩენის პრობლემა არ ჰქონდა... კანონში გადაჭრითაა განსაზღვრული, რომ მშობელს აქვს უფლება, მოითხოვოს ალიმენტი. მეც ამ უფლების არსი განვუმარტე, ოღონდ არ ვიცი, მიმართა თუ არა სასამართლოს ამ მოთხოვნით... ალიმენტთან ერთად, მხარეს სწავლისა და ბავშვის აღზრდისთვის საჭირო სხვა თანხის მოთხოვნის უფლებაც აქვს. თუმცა სასამართლოში დავა ძირითადად ალიმენტზეა. ხშირად განქორწინებულები, როცა იგებენ, უმუშევარ მეუღლეს თვეში მხოლოდ 20 ლარი შეიძლება დაეკისროს, მიიჩნევენ, რომ ამ თანხისთვის ნერვების შლა არ ღირს და საერთოდ უარს ამბობენ ალიმენტის მოთხოვნაზე.

— გადაუხდელობის შემთხვევაში სასჯელი თუ არსებობს?

— კანონით, ურჩ გადამხდელებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც ეკისრებათ, ამიტომ სასამართლოს მიერ განსაზღვრული თანხის გადახდას ცდილობენ. თუ პირი უმუშევარია, თანხა დაუგროვდა და მას რაიმე ქონება აქვს, აღმასრულებელი დააყადაღებს და აუქციონზე გაუყიდის... ბევრმა ალბათ არც კი იცის, რომ შვილებსაც აკისრიათ მშობლების მიმართ ვალდებულება.

— კონკრეტულად რა ვალდებულება იგულისხმება?

— როგორც მშობლებს აკისრიათ არასრულწლოვანი შვილების მიმართ ვალდებულება, ასევე შვილებს — მშობლების მიმართ. თუ შვილი შრომისუუნარო, ხანში შესულ მშობელზე არ ზრუნავს, მატერიალურად არ ეხმარება, მშობელს უფლება აქვს, შეიტანოს სარჩელი სასამართლოში და შვილისგან ალიმენტი მოითხოვოს.

— პროცესზე კონფლიქტი ხშირია?

— მოპასუხე მამაკაცს პროცესზე პრეტენზია ხშირად, ალიმენტის ოდენობის გამო აქვს, ირწმუნება, რომ არ შეუძლია ამხელა თანხის გადახდა. როცა არ მუშაობს, ცდილობს, თავი იმართლოს სასამართლოს წინაშე და ამბობს: არ ვმუშაობ, არ მაქვს მატერიალური შესაძლებლობა, ამის საშუალება რომ მქონდეს, ისედაც არაფერს მოვაკლებდი ჩემს შვილსო, — მაგრამ მართლა ასე იქნებოდა თუ არა, არავინ იცის. საქმის შესწავლის შემდეგ, ალიმენტის ოდენობას მოსამართლე თავისი შეხედულებით ადგენს.

— იქნებ გაიხსენოთ თქვენი პრაქტიკიდან, ყველაზე დიდი თანხა, რომელიც სასამართლომ მხარეს დააკისრა?

— როგორც აღვნიშნე, მინიმალური თანხა — 20 ლარია. იყო შემთხვევა, ქალი უცხოელი ქმრისგან, ალიმენტის სახით, თვეში 1.000 დოლარს ითხოვდა. სასამართლომ მოპასუხეს 500 დოლარის გადახდა დააკისრა. როცა მხარეს ამ საკითხზე უცხოეთის მოქალაქესთან აქვს დავა, მაშინ საერთაშორისო კერძო სამართალით ვსარგებლობთ.

— როგორც ვიცი, გარკვეული ვალდებულება და-ძმას შორისაც არსებობს. იქნებ დავა-კონკრეტოთ, კანონი რას ამბობს ამ შემთხვევაში?

— თუ ადამიანს შრომისუუნარო და ან ძმა ჰყავს, მისი რჩენის ვალდებულება აკისრია, — ოღონდ ეს ხდება იმ შემთხვევაში, როცა შრომისუუნაროს სხვა მარჩენალი არ ჰყავს. თუ შრომისუნარიანი მშობლები ჰყავს, მაშინ ისინი არიან ვალდებულნი, მასზე იზრუნონ; ასევე, თუ შრომისუუნარო ადამიანს მეუღლე ჰყავს, მაშინ ვალდებულება მას აკისრია. ეს ყველაფერი განსაზღვრულია კანონით, მაგრამ პირადად მე ასეთი შემთხვევა პრაქტიკაში არ მქონია.

უცნაური შურისძიება...

ინგა ჯაყელი

ნათელა ადრე დაქვრივდა. პატარა გოგონა დარჩა და ცხოვრება მის აღზრდას შეალია. გათხოვება აღარ უფიქრია: — თუ საჭირო იყო, ღმერთი ჩემს გივიას შემარჩენდა; ალალი კაცი იყო, მშრომელი, ცოლ-შვილის მოყვარული. აბა, მე ისეთ ანგელოზს სადღა ვიპოვი?! ერთი იყო ქვეყანაზე და ამიტომაც დააბრუნეს ნაადრევად ზეცაშიო! — იტყოდა.

თავადაც მშრომელი ქალი იყო. დღისით სამსახურში არ ჩაიხრებოდა მისი მუხლი (ექთნად მუშაობდა რაიონულ საავადმყოფოში), შინ დაბრუნებული კი ბაღსა და ვენახში ტრიალებდა. კაცებზე უკეთესი მოვლილი ჰქონდა ერთიც და მეორეც.

შვილი პატიოსნად გაზარდა და არც სწავლის გარეშე დაუტოვებია. მერე სამსახურიც თავად უშოვა: სოფლის სკოლა არ აკადრა და რაიონის საუკეთესო სასწავლებელში დააწყებინა მუშაობა მაიას. ახალგაზრდა მასწავლებლის რძლობა ბევრმა ინდომა, მაგრამ სხვას რა დაბრალოს ნათელამ, როცა მის გოგოს „არ აღმოაჩნდა მეტი ტვინი და ღირსება“ (ასე თავად ამბობდა)?! — შოფერ ზურიას გაეკიდა, ყოველ შაბათ-კვირას რომ დაჰყვეოდა აქეთ-იქით სწავლისას; მაშინ შეყვარებოდა...

შესახედავად მართლა კაი ბიჭია ზურია, მაგრამ მისი შოფრობის მონელება ისე გაუჭირდა ნათელას, ღამის უარი თქვა ერთადერთ შვილზე და მხოლოდ მაშინ შეირიგა, შვილიშვილი რომ გაუჩინა გოგომ. მერე კი ზედსიძედაც მოიყვანა უდიპლომო სიძე. აბა, იმოდენა სახლ-კარი რა ჭირად უნდოდა, თუ ბავშვების ჟრიამული არ აავსებდა ყოველ კუთხე-კუნჭულს?!

ჰოდა, ზურამ იქით დაამადლა თავი სიდედრს, — რომ არ მეცოდებოდეს, მაგისი სახლ-კარი რად მინდა?! დედაქალაქში წავიყვანდი ცოლ-შვილს, სხვაზე ნაკლებები რითი მყვანან, რომ ამ პატარა რაიონში არ ჩავტოვოო!.. ამას ნათელა უპასუხოდ რომ არ დატოვებდა, თავადაც მიხვდებით და დაიწყო კიდევ ერთი გაუთავებელი ომი სიძე-სიდედრს შორის...

ყველა უბედურებასთან ერთად, ზურიამ სმას მოუხშირა და შინ ფხიზელი აღარ ბრუნდებოდა: ფხიზელმა მტერმა უყურა სიდედრის ბოღმით გალურჯებულ სიფათსო!.. — იტყოდა ხოლმე.

ისე, ნათელას მართლა ახრჩობდა ბოღმა და რას არ მისცემდა, ოღონდ საძულველი სიძე არ დაენახა ეზოში მობარბაცე ან ტელევიზორის წინ იდიოტივით მუდამ კარგ ხასიათზე მჯდომი, მაგრამ არც იმდენად გიჟი იყო, კაცის სისხლში გაესვარა ხელი, ამიტომ, ბევრიც არ უწვალია, ისე მოიფიქრა მეტისმეტად უცნაური შურისძიება: ერთხელაც, ისევ მთვრალი რომ მობარბაცდა შინ ზურია და სამზარეულოში შესვლაც არ იკადრა, პირდაპირ სასტუმრო ოთახში მოითხოვა სუფრის გაშლა, ნათელამ მაცივრიდან ჩაცივებული ღვინო გამოიღო გრაფინით და მაგიდის შუაგულში ჩადგა. მერე კი სიძეს წინ დაუსკუპდა: თუ ასე აიოლებს ღვინო ცხოვრებას, მეც დავთვრები და იქნებ მართლა შევძლო შენი სიყვარულიო?! — ისე საეჭვოდ შესცინა სიძეს, ზურია უცებ გამოფხიზლდა, თუმცა იხტიბარი არ გაიტეხა და სიძე-სიდედრს შორის ზუსტად ისეთი დიალოგი გაიმართა, როგორიც ერთ ცნობილ ფილმშია:

— ამასა დალევ შენა?.. შენ დალევ ამასა?!.

— დამისხი და დავლევ! — მაგიდას მუშტი დაჰკრა ნათელამ და ისე მოუჭირა ჩაის ჭიქას ხელი, დაფშვნა...

...ვერც წარმოიდგენდა ზურია, თუ ქალს ამდენის დალევა შეეძლო. უფრო მეტიც — მთვრალმა ნათელამ საკოცნელადაც კი გაიწია მისკენ და ცხოვრებაში პირველად, „შვილო“ დაუძახა...

— აოეეეე! — ძლივს მოიშორა ქალი ზურიამ. — კმარა, არაა ღვინო ქალის საქმე!

— ეგ შენი გადასაწყვეტი არაა! — თითი დაუქნია ნათელამ და შვილს

გასძახა: — განსხვავებული სასმისი მოგვიტანეო!..

...ზურიას ეგონა, „პახმელიით“ დატანჯული ნათელა, დილით საკუთარი დაბადების დღეს დაიწყევლიდა და ღვინოს სათოფეზეც აღარ გაეკარებოდა, მაგრამ ქალმა მშვენიერ ხასიათზე გაიღვიძა. სხვა დროს რომ იღრინებოდა, სამზარეულოში ღიღინ-ღიღინით შემოვიდა და მაგიდაზე შინნახადი არყის ბოთლი დადგა:

— გაგვიმარჯოს!.. აწი ველარც მნახავ ფხიზელს. კაი რამე ყოფილა მხიარული ჭკუით ქვეყნის ცქერა...

ზურია აღარ აჰყვა. დილის რეისიც რომ არ ჰქონოდა შესასრულებელი, ნათელასთან არაყს რა დაალევინებდა?! უსიტყვოდ ადგა და გაეცალა.

ჭიშკარში რომ გადიოდა, მაშინ მიაძახა სიდედრმა:

— შინ დროზე მოდი! ასფუთიანი მოვხადოთ — თუ ქეიფია, ქეიფი იყოს!..

საღამოს რაიონის სასადილოში შევიდა სხვა შოფრებთან ერთად ზურია და ლამის კედელს ატაკა თავი, როცა გაშლილ სუფრასთან მჯდომ სიდედრს მოჰკრა თვალი, რომელმაც შორიდან დაუქნია ხელი:

— აქეთ, ბიჭებო! ვიცოდი, აქ მოხვიდოდით, სუფრა უკვე გავაშლევინე! — და მერე ისე მოილხინა ზურიას ძმაკაცებთან ერთად, გადარია ბიჭები:

— სიდედრი მყავსო, შენ უნდა თქვა, ჩვენს უცხვირ-პირო „დედიკოებს“ კი არ ჰგავს!

და მართლაც, შეშურდათ მისი. არადა, ზურიას დანა პირს არ უხსნიდა. თანაც, მობარბაცე ნათელა, სახლში მისი „წასაღები“ გახდა...

იმ ღამეს — არა და მეორე დღეს, დილაადრიანა დაადგა სიდედრს თავზე ზურია:

— აღარ უნდა მოეღოს ბოლო ამ უმსგავსობას?! — ყვიროდა ჭკუაზე აჭრილი კაცი და გულიანად ხარხარებდა გამხიარულებული ნათელა, რადგან ასეთი შედეგიანი აღმოჩნდა მისი შურისძიება.

ლოთობა არც უნდოდა და არც შედიოდა მის გეგმებში, ამიტომაც იოლად დათანხმდა სიძესთან გარიგებას: თუ ზურია ლოთობას არ მოიშლიდა, ნათელაც დალევდა, რომ „სიძის გაგება“ შესძლებოდა...

ასე „გამოაფხიზლა“ სამუდამოდ, სიძე მოხერხებულმა ნათელამ: ზურია სათოფეზე აღარ ეკარება სასმელს, ოღონდ მთვრალი სიდედრი არ დაინახოს... ფხიზელმა კი სხვა რა უნდა აკეთოს და საქმეს მიეძალა. დროის გასაყვანად, ხან რას ჩხირკედელაობს, როცა შინაა და ხანაც — რას... ეგ კი არა, ცოტა ხნის წინ წიგნების კითხვაც კი დაიწყო... ■



სამყარო

ზღვის კენჭებისა და ქვებისაგან დამზადებული ნივთები

ოდესმე თუ წარმოიდგენდით, რომ ზღვის კენჭებისა და ქვიშისაგან სახლეების, საკანფეტეების, ლარნაკებისა და ვაზების შექმნა შეეძლო ვინმეს? რუსთაველის გამზირზე გამოფენილმა ნივთებმა არა მარტო ჩემი, არამედ თითოეული გამვლელის ყურადღება მიიქცია. აღმოჩნდა, რომ ამ უჩვეულო მასალით ქალბატონი მაყვალა ბოლქვაძე უკვე რამდენიმე წელია, ნივთებს ამზადებს.

„ხელოვან ხალხს ყურადღებას არავინ აქცევს“

ელენე ბასილიძე

— რამდენიმე წლის წინ ცხოვრებამ უსიამოვნო სიურპრიზი მომიწყო და უსახლკაროდ დავრჩი. ვინაიდან იმ პერიოდში ოჯახის არც ერთი წევრი არ მუშაობდა, იძულებული გავხდი, რაიმე ისეთი მომეფიქრებინა, რაც ჩვენს საარსებო წყაროდ იქცეოდა და აი, უკვე 3 წელია, ზღვის კენჭებისა და ქვიშისგან ნივთებს ვამზადებ. ხომ გაგიგონიათ, — გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო?!.

— უსახლკაროდ რატომ აღმოჩნდით?

— ხულოში ვცხოვრობდით. 1989 წელს, ეროზიის გამო, ჩვენი სახლი მთლიანად დაინგრა; იქიდან აბაშაში ჩაგვასახლეს, სადაც სახლი დაგვეწვა. სამწუხაროდ, სახელმწიფო აღარ დაგვეხმარა და დიდი ხნის განმავლობაში ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდით, შემდეგ კი მშენებარე სახლში გადავედით საცხოვრებლად, რომელიც ჩვენს სახელზე არაა გაფორმებული. სხვათა შორის, იქ ბევრი ჩვენნაირი, უსახლკარო ადამიანი ცხოვრობს და ჯერ არ ვიცით, იმ ბინიდან როდის გამოგვყრიან.

— თბილისში ბათუმიდან ჩამოხვედით?

— კი, ბათუმელი ვარ და ზაფხულში, როდესაც იქ ბევრი დამსვენებელი იყრის თავს, ჩემი ნამუშევრები ბულვარში გამაქვს. სხვათა შორის, ბათუმში გაცილებით მაღალ ფასად იყიდება, ვიდრე აქ. ჩემი შემოქმედებით ძირითადად, უცხოელები ინტერესდებიან. აბა, ჩვენს ხალხს პურის ფული არა აქვს და ლარნაკებს როგორ იყიდიან?! თბილისში მხოლოდ დღესასწაულებზე ჩამოვდივარ და აქაც, ძირითადად, ყველაფერს არაქართული ეროვნების ადამიანები ყიდულობენ... ხელოვნებისადმი ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება მქონდა. დღემდე ვწერ ლექსებს, მაგრამ ისინი არასოდეს გამომიქვეყნებია. ბავშვობაში ქსოვით, ხატვითა და ხაზვით ვიყავი გატაცებული... გული მტკივა, რომ დღეს საქართველოში ხელოვან ხალხს ყურადღებას არავინ აქცევს, არავინ ინტერესდება ხელნაკეთი ნამუშევრებით. იმის საშუალებაც არა გვაქვს, რომ საკუთარი ნახელავის რეალიზაცია მოვახდინოთ.



ნებისმიერი ფორმისა და ზომის ნივთს ვაკეთებ



შემიძლია, კენჭებისაგან გული, სურათის ჩარჩოები დავამზადო...

— როგორც ვიცი, ამას წინათ, ერთმა ქალბატონმა თქვენგან ბევრი ნივთი შეიძინა...

— ჰო, მოვიდა ვიღაც ქალი, რაღაცები იყიდა და მითხრა, — ამ ყველაფერს იტალიაში წავიღებ და თუ კარგად გავყიდე, აუცილებლად დაგიკავშირდებით და ვითანამშრომლოთო... ნებისმიერი ფორმისა და ზომის ნივთს ვაკეთებ; შემიძლია, კენჭებისაგან გული, სურათის ჩარჩოები დავამზადო...

— ამ ნივთების დამზადების საიდუმლოს ვერ გაგვანდობთ?

— პირველ რიგში, მუყაოს ვჭრი და ისეთ ფორმას ვაძლევ, რა ფორმის ნივთიც



ნივთები, რომლებსაც ახლა უყურებთ, მუქი ყავისფერი ლაქითაა შეღებილი

მინდა, დავამზადო, შემდეგ მასზე ქვებსა და კენჭებს ვაწებებ, ზემოდან კი ხან ფერად, ხანაც — უფერულ ლაქს ვუსვამ... ძალზე შრომატევადი სამუშაოა. ერთი დიდი ლარნაკის დამზადებას დაახლოებით, 6-7 დღე სჭირდება. ალბათ ამიტომაც, მათი გაყიდვისას ხელი მიკანკალებს...

— ვინმე თუ გეხმარებათ?

— ამ საქმიანობაში მთელი ოჯახი ჩაბმული ვართ: მეუღლეს ქვები მოაქვს, შვილი და რძალი მუყაოს შოულობენ; მეორე ვაჟი თურქეთშია წასული, სამუშაოდ და ამიტომ ვერ მეხმარება (*იღიმის*)... ჩემი ბავშვები ზღვის კენჭებისაგან ჯვრებს, ეკლესიებს ამზადებენ და ყიდიან. მოკლედ, რაზედაც ხელი და გონება მიგვიწვდება, ყველაფერს ვამზადებთ.

— შეკვეთებს თუ იღებთ?

— ბათუმში ძალიან ხშირად ვაფორმებ საქორწინო დარბაზებს და ამ ცერემონიალისთვის სპეციალურ ლარნაკებსაც ვამზადებ.

— მუყაოზე ქვის დასაწებებლად სპეციალურ წებოს იყენებთ?

— მათ სპეციალური ქვის წებოთი ვაწებებთ. ქვასა და კენჭებს ზღვის სანაპიროზე, სათითაოდ ვაგროვებთ. ნივთები, რომლებსაც ახლა უყურებთ, მუქი ყავისფერი ლაქითაა შეღებილი, მაგრამ ზოგიერთ კლიენტს შეუღებავი ნივთი უფრო მოსწონს. რას გაუგებ კლიენტებს (*იღიმის*)?!. იმდენად ვიწროდ ვცხოვრობთ, რომ სამუშაო ადგილიც კი არა მაქვს. მას შემდეგ, რაც შვილიშვილი შემეძინა, აივანზე გავდივარ და იქ ვმუშაობ. სიამოვნებით გავაფართოებდი ჩემს პატარა ბიზნესს, ბევრს დავასაქმებდი, მაგრამ მე ისიც კი არ ვიცი, ამ საქმეში დახმარებისთვის ვის უნდა მივმართო...

რატომ ასოცირდება გეიშა მეძავთან

„რამდენიმე გეიშა იაპონიის პრემიერ-მინისტრის საცოლედ მიიჩნევა"

ევროპელი ადამიანისთვის იაპონია სამურაებთან, საკურასთან, საკესთან, ხარაკირისთან და რა თქმა უნდა, გეიშებთან ასოცირდება. უკვე 150 წელია, რაც აპრილში, გიონის თეატრში გეიშები საკურას ყვავილობის პატივსაცემად წარმოდგენას მართავენ. „გეიშა" იაპონური სიტყვაა — „გეი" ხელოვნებას, ხოლო „შა" ადამიანს ნიშნავს ანუ გეიშა — ხელოვანი ყოფილა, მაგრამ სინამდვილეში, ამ პროფესიის ადამიანს სულ სხვა მოთხოვნებს უყენებენ. გეიშას მოსწავლეს მაიკო ჰქვია. მაი „ცეკვას", ხოლო „კო" მოზარდს, ახალგაზრდა გოგონას ნიშნავს. თავდაპირველად, გეიშები მხოლოდ მამაკაცები იყვნენ. მათი მისია სტუმრის გართობა (ლაპარაკით, ლექსებით, ცეკვითა და სიმღერით), ჩაით გამასპინძლება იყო. 1800 წლიდან გეიშები ქალები გახდნენ და მამაკაცები ამ პროფესიას ჩამოშორდნენ.

სკოლის ან კოლეჯის დასრულების შემდეგ გოგონები გეიშას პროფესიის დაუფლებას ცდილობენ. ძველად, გეიშების სკოლაში გოგონებს — 10, ხოლო ახლა 16 წლიდან იღებენ (გეიშების სკოლა ძირითადად, კიოტოში მდებარეობს). ისინი სპეციალურად მათთვის განკუთვნილ სახლებში ან კერძო ბინებში ცხოვრობენ. მათ უნდა შეისწავლონ იაპონურ ნაციონალურ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრა, ტრადიციული იაპონური სიმღერები და ცეკვები; უნდა ერკვეოდნენ ლიტერატურასა და პოეზიაში, უნდა იცოდნენ ე.წ. ჩაის ცერემონიის წესები. გარდა ამისა, გეიშამ თავად უნდა შეძლოს საკმაოდ რთული მაკიაჟის გაკეთება — ნიჭიერი გოგონა სახის გათეთრებას, თმის დაყენებას, თვალებისა და ტუჩის მოხატვას სამ წელიწადში ისწავლის.

ცოტა ხნის წინ გეიშებმა თანამედროვე კოსმეტიკის გამოყენება დაიწყეს, ძველად კი თვალებს ნახშირით იღებავდნენ, ხოლო პომადაში, მეტი ბრწყინვალეებისათვის, შაქრის კრისტალებს ურევდნენ. საკმაოდ რთულია სახის გათეთრებაც: სახეზე ჯერ კრემს ისვამენ, შემდეგ ცვილს, სითეთრისთვის კი — ბულბულის სკორეში არეულ ტყვიას.

ასაკის მატებასთან ერთად, გეიშას მაკიაჟი ნაკლებად თვალში საცემი უნდა გახდეს. პროფესიონალისთვის ერთი კიმონოს რამდენჯერმე ჩაცმა მიუღებელია. კიმონო მოქარგული, ძვირად ღირებული ქსოვილია, რომელსაც ტანზე იხვევენ. გეიშას ვარცხნილობაც — სიმადა განსაკუთრებული უნდა ჰქონდეს. მათ თმა ყოველთვის აწეული და ათასგვარი სარჭით გაფორმებული აქვთ. ძილის წინ გეიშები თავქვეშ მუთაქას იდებენ, ვარცხნილობა რომ რამდენიმე დღით შეინარჩუნონ. 1920 წლამდე იაპონიაში 80 ათასი

გეიშა იყო, დღეს კი მათი რიცხვი ათასამდეა. მაიკოსა და გეიშასთვის განკუთვნილ საფასურს კიოტოში ხანადაი — „ყვავილების საფასური", ხოლო ტოკიოში გეკუდაი — „ძვირფასი ქვის საფასური" ჰქვია.

ბევრისთვის გეიშა და მსუბუქი ყოფაქცევის ქალი ერთი და იგივეა, მაგრამ მათ შორის განსხვავება ნამდვილად არსებობს. მეძავს კიმონოზე ქამრის შესაკრავი წინ აქვს, ხოლო გეიშას — უკან და მას სხვისი დახმარების გარეშე ვერ შეიხსნის. გეიშების მეძავებთან გაიგივება ამერიკელი ჯარისკაცების უცოდინარობის გამო მოხდა — ისინი ყველა იაპონელ მეძავს გეიშას ეძახდნენ. ტრადიციის თანახმად, გეიშას გათხოვების უფლება არა აქვს და არც სექსუალური ურთიერთობისთვის უხდიან ფულს. საერთოდ, ამ პროფესიის ქალებს მდიდარი კაცი, „დანა" უნდა მფარველობდეს. იგი შეიძლება, დაქორწინებულიც იყოს, მაგრამ გეიშას ყურადღება არ უნდა მოაკლოს და შესაძლოა, ის თავის „მეორე ცოლად" ან „საცოლედ" გამოაცხადოს. სხვათა შორის, რამდენიმე გეიშა იაპონიის პრემიერ-მინისტრის საცოლედაც კი მიიჩნევა. აღსანიშნავია, რომ 1989 წელს, გეიშასთან სკანდალური კავშირის გამო, პრემიერ-მინისტრი უნო პოსტიდან გაათავისუფლეს.

დღეს გეიშებს მრავალი იაპონური კომპანია, ევროპელი სტუმრების გასართობად ქირაობს. მათ მოვალეობაში ცეკვით, სიმღერითა და ზოგჯერ, ქაღალდის ფიგურების გამოჭრით სტუმრის გართობა შედის.

უცნაური ბუნებრივი მოვლენები

• ყველაზე მაღალი ტემპერატურა — პლუს 58 გრადუსი 1922 წლის 22 სექტემბერს, ლიბანის ქალაქ ელ-აზიზიაში დაფიქსირდა; ყველაზე დაბალი, — მინუს 89 კი 1983 წლის 21 ივლისს, ანტარქტიდაში. დედამიწაზე ყველაზე ცივ ადგილად ოიმაიკონი (იაკუტია) მიიჩნევა — აქ ტემპერატურა მინუს 68 გრადუსამდე ეცემა. საინტერესოა, რომ სიცივის მიუხედავად, ოიმაიკონში 4 ათასი ადამიანი ცხოვრობს.

• 2001 წლის 8 აგვისტოს კანზასის შტატის ქალაქ ვიჩიტაში სიმინდის წვიმა წამოვიდა.

• ყველაზე გრძელი წყალბორბალა 1898 წლის 16 მაისს, ავსტრალიაში დააფიქსირეს. იგი სიმაღლით 1528, ხოლო სიგანით — 3 მეტრი იყო.

• სამხრეთ ირლანდიაში, ტბა ლოხლეინის მახლობლად, მწვერვალი კარანტუილა ყველაზე ხანგრძლივ ექოს გამოსცემს — თითოეული სიტყვა 100-ჯერ მეორდება.

• ყველაზე დიდი მირაჟი 1913 წელს, არქტიკაში დაფიქსირდა და ის ველებით, ტყეებით დაფარულ ადგილს გამოსახავდა. ■

ლილი პუტების ქვეყანა

2004 წელს ინდონეზიის კუნძულ ფლორესზე ადამიანისმაგვარი არსებების ჩონჩხს მიაკვლიეს. მკვლევართა აზრით, პატარა ადამიანები ანუ ჰობიტები 20 ათასი წლის წინ ბინადრობდნენ. ჰობიტი სიმაღლით 1 მეტრამდეა და 25 კგ-ს იწონის. მას ტვინიც ძალიან პატარა აქვს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქვის იარაღების დამზადება და შესაბამისად, მათი გამოყენებაც შეეძლო. 6 წელია, მეცნიერები ჰობიტების წარმომავლობას იკვლევენ, მაგრამ კონკრეტულ დასკვნას ვერ აკეთებენ: ზოგიერთის აზრით, ჰობიტი ჰომოსაპიენსის წარმომადგენელია, ზოგი კი მიიჩნევს, რომ ისინი არხანთროპების შთამომავლები არიან. ■

დროის მბრძანებლები

დედამიწაზე პირველად მზის საათი შეიქმნა. დროის გასაგებად ადამიანი მიწაში ჯოხს არჭობდა და გარშემო დროის სკალას ხატავდა. სამწუხაროდ, ღრუბლიან ამინდში მზის საათი დროს ვერ „უჩვენებდა“. მოგვიანებით, წყლის საათი გამოიგონეს; პირველი მაღვიძარაც წყლის იყო — იგი მოსწავლეების გასაღვიძებლად, ბერძენმა ფილოსოფოსმა, პლატონმა დაამზადა.

ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად, საზოგადოებაც სხვადასხვანაირ — მზის, წყლის, ცეცხლის, ქვიშის, მექანიკურ, ელექტრო და ატომურ საათს იგონებდა.

დღესდღეობით, მსოფლიოში ყოველწლიურად, 11 მლრდ საათს ამზადებენ (60%-ს იაპონიაში). ყველაზე ძვირად ღირებულად შვეიცარიული საათი მიიჩნევა, რომელსაც ხელით აწყობენ და კიდევ, ფირმა Patek Phillipe-ის საათი, რომელიც 1999 წელს, „სოთბის“ აუქციონზე 11.002.500 დოლარად გაიყიდა. უნიკალური საათის მფლობელის ვინაობა დღემდე უცნობია. სხვათა შორის, ყველაზე მეტ საათს ამერიკელები ყიდულობენ.

საინტერესოა, რომ კაზინო ერთადერთი შენობაა, სადაც საათის შეტანა აკრძალულია. და კიდევ, დღეღამე ანუ 24 საათი 23 საათის, 56 წუთისა და 4,091 წამისგან შედგება.

მსოფლიოს საუკეთესო საათები

• ბიგ ბენი (ლონდონი, ინგლისი) 1859 წელს აამუშავეს. საათს სახელი ვინმე ბენჯამენის, მაგრამ კონკრეტულად ვისი — იმხანად ცნობილი მოჭიდავის, ბენჯამენ კაუნტისა თუ ზარის ჩამომსხმელის — ბენჯამენ ჰოლის პატივსაცემად დაარქვეს, უცნობია. საინტერესოა, რომ საათის 5-ტონიან მექანიზმს (როცა საათი 2,4 წამით აგვიანებს ან წინ გარბის) ძველი ინგლისური, 1,5-გრამიანი პენით ასწორებენ;

• კრემლის კურანტები (მოსკოვი, რუსეთი);

• თოჯინების თეატრის საათი (მოსკოვი, რუსეთი);

• „ორლოის“ ასტრონომიული საათი (პრაღა, ჩეხეთი). XV საუკუნეში პრაღის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე, ვაჭრობა იმართებოდა და მერიის გადაწყვეტილებით, მოედანზე საათი დადგეს, რათა მოსახლეობას მესაზე (კათოლიკური წირვა) არ დაჰგვიანებოდა. 1490 წელს ოსტატ განუშს, რომელმაც საათი გაარემონტა, თვალები დასთხარეს, მეორე მსგავსი რომ არ შეექმნა;

• „ათასწლეულის საათი“ (ვარშავა, პოლონეთი), როგორც ყველაზე მაღალი — იგი 165 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს — გინესის რეკორდების წიგნშია შეტანილი;

• „საყოველთაო დრო“ (ბერლინი, გერმანია);

• ყვავილების საათი (მოსკოვი, რუსეთი) — ის მხოლოდ მაისიდან ოქტომბრამდე მუშაობს;

• გრინვიჩის საათი (ლონდონი, ბრიტანეთი) — ობსერვატორიის ჭიშკარზე განლაგებული ამ საათის მიხედვით, მსოფლიოს ყველა საათს ასწორებენ.

შემოდგომაზე საათის ისრების ერთი საათით წინ, ხოლო გაზაფხულზე — უკან გადაწევის იდეა ამერიკის პრეზიდენტს, ბენჯამენ ფრანკლინს გაუჩნდა. მას სურდა, მაღაზიებს ნაკლები ელექტროენერგია მოეხმარა, მაგრამ იდეამ არ გაამართლა. ბრიტანეთში დროის გადაწევა 1908 წლიდან დაიწყეს, საქართველოში კი, სხვა საბჭოთა ქვეყნების მსგავსად, 1917 წლიდან. იაპონიაში, ჩინეთსა და სამხრეთ კორეაში დროის გადაწევა რელიგიურ დანაშაულად მიიჩნევა, „რადგან ადამიანს დროზე ზემოქმედების უფლება არა აქვს“.



სინამდვილეში, საათის გადაწევით მოსახლეობა მეტ ენერგიას მოიხმარს. დროის ცვალებადობა ადამიანებზე ცუდად მოქმედებს — ისრის გადაწევის პირველ კვირაში 11 პროცენტით იზრდება „სასწრაფოს“ გამოძახება და 60 პროცენტით — თვითმკვლელობის მცდელობა. ■

აფხაზთა მუჰაჯირობა — კიდევ ერთი რუსულ-ოსმალური გარიგების შედეგი

XIX საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებში ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მკვიდრი ჩერქეზული ტომები იმამ შამილის ნაიბმა, მუჰამედ ემინმა რუსთა წინააღმდეგ, ჯიჰადის მწვანე დროშით დარაზმა. ამ დროს რუსეთი, რომელსაც შიდა პრობლემები ღრღნიდა, ოსმალეთთან, ინგლისთან და საფრანგეთთან ომში იყო ჩაბმული. რუსი ემისრები ოსმალეთის იმპერიის სლავური რეგიონების მოსახლეობას აჯანყებისკენ მოუწოდებდნენ და იარაღითაც ამარაგებდნენ. 1856 წლის მარტში ყირიმის ომი დამთავრდა, მაგრამ ბალკანეთსა და კავკასიაში ვითარება არ შეცვლილა. სანქტ-პეტერბურგმა და სტამბოლმა პრობლემების გადასაჭრელად საიდუმლო მოლაპარაკებები დაიწყო.

მიხეილ ლაბაძე

ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ რუსეთს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიისა და აფხაზეთის დაპყრობა ხელახლა მოუხდა — ეს ტერიტორიები ომის დროს საომარი მოქმედებების ასპარეზი იყო, კარგა ხნის განმავლობაში ოსმალური შეიარაღებული ძალების მიერ კონტროლდებოდა და ამიტომაც, ცარისტული რუსეთის გავლენა ადგილობრივ მკვიდრთა შორის, ფაქტობრივად, ნულს უტოლდებოდა. სწორედ ასეთივე ვითარება სუფევდა ოსმალეთის მიერ დაპყრობილ ბალკანეთის ქვეყნებშიც, სადაც სულთნის ხელისუფლების რაიმე გავლენაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. აქედან გამომდინარე, რუსეთისა და ოსმალეთის უმაღლეს მესვეურთათვის ცხადი გახდა, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუკი პრობლემებს ერთობლივად გადაწყვეტდნენ.

1859 წელს, როდესაც რუსებმა შამილი დაატყვევეს და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში ანტირუსული გამოსვლები შედარებით შესუსტდა, შამილის მომხრეთა ერთმა ნაწილმა ოსმალეთში გადასახლება მოისურვა. თავიდან სანქტ-პეტერბურგში მათ ამის უფლებას არ აძლევდნენ, მაგრამ მერე, სრულიად მოულოდნელად, დათანხმდნენ და ხელიც კი შეუწყვეს — 5 ათასამდე კაცი სახელმწიფო ხარჯებით რუსეთ-ოსმალეთის საზღვრამდე ჩაიყვანეს. ამავდროულად, ცარისტული სპეცსამსახურების უმაღლესმა მესვეურებმა იმპერატორს საიდუმლო გეგმაც წარუდგინეს, რომელიც რუსეთსა და ოსმალეთს შორის ე.წ. „მოსახლეობის გაცვლას“ ითვალისწინებდა: სანქტ-პეტერბურგი ოსმალეთის იმპერიის ქრისტიან ქვეშევრდომებს მიიღებდა, ხოლო სტამბოლში ურჩ მთიელებს გაგზავნიდნენ. რუსეთ-ოსმალეთს შორის მოსახლეობის ასეთი „გაცვლა“ პირველად XIX საუკუნის 20-იან წლებში, გენერალ პასკევიჩის მეოხებით მოხდა — იმხანად ახლად შემოერთებული ახალციხის საფაშოს მკვიდრი ქართველი მაჰმადიანები ოსმალეთში გაუშვეს, მათ ადგილას კი ოსმალეთიდან ლტოლვილი სომეხი ქრისტიანები დაასახლეს. ამრიგად, საიდუმლო გეგმის შემდგენელთა გაანგარიშებით, კავკასიელი მთიელების მიღებაზე ოსმალეთი უარს არ იტყოდა.

აფხაზი მუჰაჯირების ოჯახი ტრაპიზონის ნავსადგურში. ილუსტრაცია ერთ-ერთი ინგლისური გამეთიდან

საბოლოოდ, მოსახლეობის გაცვლა არ შედგა — ოსმალეთის იმპერიის ქრისტიან ქვეშევრდომთა უმრავლესობამ რუსეთში გადასახლებაზე უარი თქვა — თუმცა, სანქტ-პეტერბურგი და სტამბოლი მაინც შეთანხმდნენ, რომ ოსმალეთი კავკასიელ მუსლიმანებს მიიღებდა, სამაგიეროდ კი, რუსეთს ბალკანელი სლავებისთვის დახმარებაზე უარი უნდა ეთქვა. მართლაც, რუსეთის უპირველეს ამოცანას კავკასიელი მთიელების თავიდან მოშორება წარმოადგენდა, ბალკანელი სლავების საკითხი კი ამ ეტაპზე, არცთუ ისე მნიშვნელოვანი იყო; აქედან გამომდინარე, სანქტ-პეტერბურგში ჩათვალეს, რომ სტამბოლთან სადავო არაფერი ჰქონდათ. თავის მხრივ, ოსმალეთშიც მიიჩნიეს, რომ რუსეთიდან გადმოსახლებულ კავკასიელ თავისუფლებისმოყვარე მთიელებს, საჭიროების შემთხვევაში, ისევ რუსეთის წინააღმდეგ გამოიყენებდნენ. ასე რომ, ორივე მხარე გარიგებით კმაყოფილი დარჩა. ახლა ერთი საკითხიღა რჩებოდა მოსაგვარებელი — როგორ დაეყოლიებინათ მთიელები მშობლიური მიწის დატოვებასა და ოსმალეთში გადასახლებაზე; მით უმეტეს, რომ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ფიცხელი ბრძოლები ისევ მიმდინარეობდა და სხვათა შორის, რუსთა წარმატებებზე ლაპარაკი ნაადრევიც კი იყო.

რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე (1855-1881) არმიის სარდლობისაგან პირდაპირ მოითხოვდა, რომ კავკასიაში მიმდინარე გაჭიანურებული ომი დროზე დაესრულებინათ და რეგიონში არსებული ყველა პრობლემა გადაეჭრათ — უპირველეს ყოვლისა, რუსეთს მსოფლიოს თვალში ყირიმის ომით შერყეული ავტორიტეტის აღდგენა სურდა და იმპერატორის მოთხოვნაც სწორედ ამით იყო ნაკარნახევი. ამდენად, ოსმალეთთან საიდუმლო გარიგებამ რუსული არმიის შემდგომ წარმატებებზე დიდი გავლენა მოახდინა — მთიელთა შორის თანდათანობით მომრავლდნენ ოსმალეთის ემისრები, რომლებიც ხალხს რუსეთთან ომის უაზრობაზე ელაპარაკებოდნენ და დაუყოვნებლივ ოსმალეთში გადასახლებას უქადაგებდნენ: „ჩვენი მიწები უკვე გიაურთა ხელშია... ისინი ჭიანჭველებივით გვესევიან და დაღუპვას გვიქადიან, ჩვენ კი უძლურნი ვართ. სჯობს, ბრძოლა შევწყვიტოთ და ოსმალეთში გადავსახლდეთ — იქ, ისლამის მიწაზე უფრო მშვიდობიანად ვიცხოვრებთ, ვიდრე აქ, გიაურთა შორის!“ — არწმუნებდნენ მთიელებს პროოსმალურად განწყობილი ელემენტები, რომელთა ქმედებას სწორედ ცარისტული ხელისუფლება უწყობდა ხელს. მიუხედავად ამისა, ცხადია, ხალხს სამშობლოს დატოვება ეძნელებოდა.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მკვიდრთა შორის პროოსმალური პროპაგანდის წარმოების პარალელუ-

რად, რაც საბრძოლო მოქმედებების შესუსტების მთავარი მიზეზი იყო, რუსი ჯარისკაცები დაკავებულ ტერიტორიებზე ბარბაროსებივით ირჯებოდნენ — მშვიდობიანი მოსახლეობის ჟლეტასთან ერთად, მათ ყანებს, საქონელს ანადგურებდნენ, ცეცხლს უკიდებდნენ ტყეებს, იქ დამალვა რომ არავის შესძლებოდა და ა.შ. მოკლედ, ყველა პირობას ქმნიდნენ იმისათვის, რომ სასწაულებრივად გადარჩენილ მთიელებს ოსმალეთში გადასახლების გარდა, სხვა გზა აღარ დარჩენოდათ.

1860-1864 წლებში რუსებმა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში თანდათან დაამყარეს კონტროლი — ადგილობრივი ჩერქეზული და აბაზური ტომების უმრავლესობამ იძულებით იწყო ოსმალეთში გადასახლება. ამ პერიოდში აფხაზეთის მთავარი, მიხეილ შერვაშიძე რუსებს უჭერდა მხარს და მათ ჩერქეზ-აბაზათა წინააღმდეგ ბრძოლაშიც ეხმარებოდა. მიუხედავად ამისა, მთავრის ქვეშევრდომთა ერთი ნაწილი — გაგრის ჩრდილო-დასავლეთით მცხოვრები საძებისა და ახჩიფსუელების აბაზური ტომები — რუსთა წინააღმდეგ ჩერქეზებთან ერთად იბრძოდა. გარდა ამისა, მიხეილ შერვაშიძეს წებელდელი თავადი მარშანიებიც ეურჩებოდნენ და ზოგჯერ აშკარად, ზოგჯერ კი ფარულად ჩერქეზებს თანაუგრძნობდნენ.

1864 წლის 20 მაისს რუსულმა არმიამ მდინარე მზიმთას ზემოწელში, ახჩიფსუელთა სოფელ გვბაადვის (თანამედროვე კრასნაია პოლიანა) აღებით ჩერქეზ-აბაზათა ტომების წინააღმდეგობა საბოლოოდ დასძლია. მეორე დღეს, 21 მაისს გვბაადვს პირადად კავკასიის მეფისნაცვალი, დიდი თავადი მიხეილ რომანოვი ეწვია და გამარჯვების აღლუმი ჩაიბარა. სოფლის ცოცხლად გადარჩენილი მოსახლეობა — 300-მდე კაცი რუსებმა ზღვისპირამდე ჩაიყვანეს, სადაც მათ ოსმალური გემი „მაჰმუდიე“ ელოდა. მეფისნაცვალმა გადასახლების მოსურნე მთიელებს ვადად შვიდი თვე მისცა — ამ ხნის განმავლობაში მათ მთელი ქონება უნდა გაეყიდათ და თავი ზღვის სანაპიროზე მოეყარათ.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მკვიდრთა ოსმალეთში იძულებით გადასახლების გამო ევროპაში დიდი ხმაური ატყდა. რუსეთის ხელისუფლება კი „თავს იმართლებდა“, რომ მთიელებმა გადასახლება თავად ისურვეს და სანქტ-პეტერბურგმა მათ წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია; მაგრამ როგორც ცნობილი პუბლიცისტი, „დერჟავნიკი“ გენერალი რ. ფადეევი აღნიშნავდა, — რუსეთის მთავარ მიზანს წარმოადგენდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან მთიელთა განდევნა, რაც ამ რეგიონის უსაფრთხოებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იქნებოდა. ფადეევი დაუფარავი ცინიზმით აცხადებდა, რომ მიზნის მისაღწევად, საკმარისი იყო მთიელთა ლიკვიდირება, ხოლო ოსმალეთში ამდენი ხალხის გადასახლება არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა.

ოსმალეთში წასასვლელად გამზადებული ჩერქეზები კვირაობით, თვეობითაც უცდიდნენ გემებს, რომელთაც ისინი უნდა წაეყვანა, ხოლო უკვე გადასახლებულებს ანუ მუჰაჯირებს ოსმალეთის მთავრობა შესაბამის ყურადღებას ვერ აქცევდა და ისინი გაუსაძლის პირობებში იმყოფებოდნენ. რუსეთისთვის მთავარი იყო, ჩერქეზები თავიდან მოეშორებინა და მიუხედავად ოსმალეთის მთავრობის არაერთგზის ოფიციალური თხოვნისა — შეემცირებინა გადასახლებულთა რაოდენობა — ოსმალეთის სანაპიროებისკენ ყოველდღე, მუჰაჯირებით სავსე 3-4 გემი მაინც მიემართებოდა.

ამავდროულად, რუსები უკვე ეჭვქვეშ აყენებდნენ აფხაზეთის სამთავროს არსებობის მიზანშეწონილობას — ჯერ კიდევ 1864 წლის 27 მარტს, ე.ი. გვბაადვის აღებამდე რამდენიმე თვით ადრე, მეფისნაცვალმა მიხეილ რომანოვმა იმპერიის სამხედრო მინისტრ მილიუტინს აფხაზეთის სამთავროს გაუქმების მოთხოვნით საიდუმლოდ, წერილობით მიმართა — მისი აზრით, სამთავროს გაუქმება შავიზღვისპირეთის კაზაკთა სამხედრო ოლქის შექმნის შესახებ იმპერატორის ბრძანების აღსასრულებლად იყო საჭირო. სამთავროს გაუქმების თაობაზე მიხეილ რომანოვი პრაქტიკულ წინადადებებსაც აყენებდა: მთავარი და მისი მემკვიდრე უნდა ეიძულებინათ, რომ ტახტზე უარი ეთქვათ; აფხაზეთში ბზიფიდან ენგურამდე კაზაკთა სტანიცები მოეწყოთ და ისინი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისთვის დაექვემდებარებინათ. მილიუტინმა მეფისნაცვლის წინადადებები მიიღო და აფხაზეთის სამთავროს გაუქმების გეგმა იმპერატორსაც წარუდგინა.

1864 წლის 24 ივნისს მეფისნაცვალმა აფხაზეთის მთავარ მიხეილ შერვაშიძეს ოფიციალურად წარუდგინა იმპერატორის გადაწყვეტილება სამთავროს გაუქმების შესახებ, რომლის თანახმადაც, ყოფილ მთავარსა და მის მემკვიდრეს სოლიდური პენსია ენიშნებოდათ. ამავე დროს, რუსებს უბრალო აფხაზთა ბედიღებალიც გადაწყვეტილი ჰქონდათ — ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი დ. სვიატოპოლკ-მირსკი კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსს,

ოსმალეთის არმიაში შესული აფხაზი თავადაზნაურები. XIX საუკუნის II ნახევრის ფოტო

გენერალ ა. კარცოვს სწერდა: „თუ სამთავროს გაუქმების შემდგომ აფხაზები ოსმალეთში გადასახლებას მოინდომებენ, ჩვენ მათ ხელი არ უნდა შევუშალოთ“. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი იქვე დასძენდა, რომ მთავრის მამულების შეძენა და მოსახლეობისაგან გათავისუფლება რუსებს ამ მხარის კოლონიზაციის დაუყოვნებლივ დაწყების საფუძველს მისცემდა. 1864 წლის ნოემბერში მძიმედ ავადმყოფი მთავარი მიხეილი დააპატიმრეს და რუსეთში გადაასახლეს, ხოლო მისი მამულები იმპერიის კუთვნილებად გამოაცხადეს.

ბუნებრივია, სამთავროს გაუქმებას აფხაზეთში პირდაპირი რუსული მმართველობის დამყარება მოჰყვა, რამაც მოსახლეობაში უკმაყოფილება გამოიწვია. 1866 წლის ივლისში სოფელ ლიხნში საყოველთაო აჯანყებამ იფეთქა; აჯანყებულებმა მთავრად მიხეილის ვაჟი, გიორგი გამოაცხადეს და მისი სახელით, მთელ აფხაზეთში დაგზავნეს მოწოდება რუსთა წინააღმდეგ იარაღით ხელში გამოსვლისაკენ. ლიხნში უკმაყოფილო აფხაზების შეკრება და ბუნტი სინამდვილეში, თავად რუსების მიერ იყო ინსპირირებული, რადგანაც მათ აფხაზთა ოსმალეთში გასასახლებლად საბაბის გამოძებნა სურდათ. მართლაც, ეს აჯანყება მოკლე დროში, სისხლშივე ჩაახშეს, 1867 წლის დასაწყისში კი მეფისნაცვალმა მიხეილ რომანოვმა სპეციალური განკარგულება გამოსცა, რომლის მიხედვითაც აფხაზებს ზღვისპირეთში ცხოვრება ეკრძალებოდათ; საკუთარი საცხოვრისი წებელდელ აფხაზებსაც უნდა დაეტოვებინათ. მიხეილ რომანოვი მათ

კავკასიის მეფისნაცვალი
მიხეილ რომანოვი

ოსმალეთში ან ციმბირში გადასახლებას ურჩევდა: „რამდენადაც სოხუმის ოლქს კავკასიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს — ეს ამასწინანდელ ომშიც არაერთხელ დამტკიცდა — იქ რუსეთისადმი მკვეთრად უარყოფითად განწყობილი მოსახლეობის დატოვება იმპერიის ინტერესებს არ შეესაბამება... ამ მოსახლეობამ უნდა დატოვოს ეს ტერიტორია და საცხოვრებლად გადავიდეს ოსმალეთში ან სადმე შიდა რუსეთში — მაგალითად, ციმბირში“, — ნათქვამი იყო მეფისნაცვლის ბრძანებაში.

ამ ყველაფრის პარალელურად, ოსმალეთთან საიდუმლო მოლაპარაკებები კვლავ განახლდა — რუსები ითხოვდნენ, სულთანს აფხაზეთიდან გადასახლებულებიც მიეღო. სტამბოლში ამაზე თანხმობას აცხადებდნენ, თუმცა ცდილობდნენ, მომავალ ქვეშევრდომთა რაოდენობა თავიდანვე განესაზღვრათ — ოსმალეთი მზად იყო, 4000 ოჯახი მიეღო, რუსები კი 4500 ოჯახის გასახლებას ვარაუდობდნენ. გარდა ამისა, რუსები იმასაც ითხოვდნენ, რომ ოსმალებს აფხაზი მუჰაჯირები რუსეთის საზღვრიდან მოშორებით დაესახლებინათ. ვიდრე გადასახლება-მიღების პირობებზე ვაჭრობა მიმდინარეობდა, აფხაზთა შორის, ცარიზმის ხელშეწყობით, პროოსმალური პროპაგანდა დაიწყო — მუსლიმანი სასულიერო პირები და მედროვე თავად-აზნაურები ხალხს მოუწოდებდნენ, რომ რუსების მიერ დაპყრობილ აფხაზეთში ცხოვრებას ოსმალეთში გადახვეწა სჯობდა.

ჩერქეზებისგან განსხვავებით, აფხაზები პროოსმალურ პროპაგანდას ერთბაშად არ აჰყოლიან, რადგანაც ჯერ ერთი, მათ შორის ისლამი არცთუ ისე ფეხმოკიდებული იყო და მეორეც — ქართველთა დახმარების იმედი ჰქონდათ; სხვათა შორის, აფხაზების ოსმალეთში გადასახლებას ყველაზე მედგრად სწორედ ქართველი სამღვდელოება და ინტელიგენცია ეწინააღმდეგებოდა: ისინი აფხაზებს მოუწოდებდნენ, უგუნური ნაბიჯი არ გადაედგათ და სამშობლოს მიტოვებით თავი არ დაეღუპათ. იმდროინდელ ქართულ პრესაშიც ხშირად ქვეყნდებოდა წერილები და კორესპონდენციები, რომელთა ავტორებიც აფხაზებს ჩერქეზებისა და უბიხების ტრაგიკულ ბედს ახსენებდნენ და ასე ცდილობდნენ, გადასახლებაზე უარი ეთქმევინებინათ. ამ მხრივ, განსაკუთრებით აქტიურად იღვწოდა აფხაზეთის ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე (1862-1869), რომელიც თვით არაქრისტიან აფხაზთა შორისაც უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა.

ამის საპირისპიროდ, რუსები და ოსმალები ცდილობდნენ, მომხრეები აფხაზ თავად-აზნაურთა შორის ეპოვათ — მეფისნაცვალმა მიხეილ რომანოვმა მათ ნება დართო, გადასახლების შემთხვევაში ყმებიც თან წაეყვანათ, ხოლო ოსმალეთის მესვეურები კი — რუსების შუამდგომლობით — გარანტიას იძლეოდნენ, რომ აფხაზ წარჩინებულებს ყველა უფლებას შეუნარჩუნებდნენ. ასე რომ, ყმა-გლეხები თავიანთ პატრონებს ოსმალეთში მაშინაც უნდა გაჰყოლოდნენ, თუკი თავად ამის სურვილი არ ექნებოდათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ უკვე ციმბირში გადასახლება ელოდათ. აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგ აფხაზ თავადს რუსებმა საიდუმლოდ გადასცეს საზღვარგარეთის პასპორტები, რათა გლეხების გასახლების შემდგომ უკან დაბრუნებულიყვნენ — როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, წებელდელ თავადებს ალმახსით და ხუარფს მარშანიებს, რომლებმაც თავიანთი გლეხები (2170 ოჯახი) მთლიანად ოსმალეთში გადაასახლეს და სხვა თემებშიც წარმატებით აწარმოეს პროოსმალური პროპაგანდა, მეფისნაცვალმა სოფელ ჯგერდაში დიდი მამული უწყალობა. ძმები მარშანიები მუჰაჯირებისაგან საიდუმლოდ, აფხაზეთში დაბრუნდნენ და ნაწყალობევ მამულში დასახლდნენ.

აღსანიშნავია, რომ ალმახსით და ხუარფს მარშანიებმა არც თავიანთი მოგვარე თავადები დაინდვეს — წებელდიდან ოსმალეთში ძალით გაასახლეს 1866 წლის აჯანყების აქტიური მონაწილეები: კუაჯ მარშანია, თათლასთან მარშანია, შირინბეკ მარშანია და სხვანი, რომლებმაც აჯანყებაში მონაწილეობის გამო მეფისნაცვლის წინაშე სინანული ადრევე გამოთქვეს, მაგრამ ამაოდ.

საბოლოოდ, ოსმალეთში აფხაზეთიდან დაახლოებით, 20 ათასი კაცი გადასახლდა, ოღონდ, მათ შორის ყველა ეთნიკურად აფხაზი არ ყოფილა — მუჰაჯირთა სიებიდან ჩანს (ასეთ სიებს ყველა სოფელში ადგენდნენ), რომ აფხაზებთან ერთად, გადაასახლეს ქართველებიც — უმეტესწილად, რასაკვირველია, მეგრელები. საინტერესოა, რომ არცთუ ისე იშვიათად, აფხაზი თავად-აზნაურები ძალით იტაცებდნენ მეგრელებს და ოსმალეთში წამსვლელ გემებზე აჰყავდათ — მაგალითად, ერთ-ერთმა თავადმა, გვარად ჩაბალურხუამ, რომელსაც ოსმალეთში გადასახლების წინ ყმები გაექცნენ, ოჩამჩირეში ძალით დაიჭირა რამდენიმე მეგრელი ვაჭარი და ისინი თან წაიყვანა. აფხაზები ყოველნაირად ცდილობდნენ, გადასახლებისთვის თავი აერიდებინათ და ამას სწორედ ქართველების დახმარებით ახერხებდნენ — ოჩამჩირელი, სოხუმელი თუ სამურზაყანოელი ქართველობა უსახლკაროდ დარჩენილ აფხაზებს უმართავდა ხელს, მალავდა მათ და იფარავდა რუსი ჟანდარმებისაგან.

1867 წელს დაწყებული მუჰაჯირობის დროს აფხაზეთში მოღვაწე ეპისკოპოსი, ალექსანდრე ოქროპირიძე ხშირად იხსენებდა ერთ ამბავს: იმხანად მასთან ერთი მუსლიმანი აფხაზი, სახელად ურუსი მივიდა და თავისი პატარა ვაჟი მიუყვანა: „მე, მეუფეო, სამუდამოდ ოსმალეთში უნდა გადავიხვეწო... მეუღლე კარგა ხანია, გარდამეცვალა, ეს ბიჭიღა დამრჩა და მინდა, თქვენ დაგიტოვოთ აღსაზრდელად... დაე, მან მაინც იცხოვროს აფხაზეთში!“ — ასე მიმართა მუსლიმანმა ურუსიმ ეპისკოპოსს. მეუფემ მისი ვაჟი ქრისტიანულად მონათლა, შესაფერისი აღზრდა-განათლებაც მიაღებინა და მღვდლად აკურთხა, რათა მას თვისტომთა შორის ექადაგა.

ოსმალეთში ჩასული აფხაზი მუჰაჯირები კი სულთნის ბრძანებით, ბალკანეთსა და სირიაში დაასახლეს. სხვათა შორის, მათი ერთი ნაწილი მალევე მოეგო გონს და უკან დაბრუნება განიზრახა, მაგრამ ამაოდ — ოსმალეთის ხელისუფლებამ მათ ამის უფლება არ მისცა. საბოლოოდ, სამშობლოში დაბრუნების მსურველმა მუჰაჯირებმა ბათუმის ახლოს, ჭოროხის შესართავთან დასახლება მოახერხეს და მათი შთამომავლები დღემდე იქ ცხოვრობენ. ■

„კრაისლერისა“ და „ფიატის“ ერთობლივი პროექტი

კომპანია „კრაისლერმა“ 2012 წლისთვის კონვეიერში Fiat 500 პლატფორმის მქონე ელექტროავტოს ჩაშვების შესახებ განაცხადა. ახალი მანქანა, რომელსაც Fiat 500 EV (Electric Vehicle) ერქმევა, Fiat-ისა და Chrysler-ის პირველ ერთობლივ პროდუქტად იქცევა. Fiat-თან აღიანსმა, ახალი პლატფორმების გამოყენების თვალსაზრისით, Chrysler-ს მეტი შესაძლებლობა მისცა, ხოლო Fiat 500 EV ამის საუკეთესო მაგალითად იქცევა, — განაცხადა Chrysler Group-ის ახალი პროექტების უფროსმა ვიცე-პრეზიდენტმა, სკოტ კუნსელმანმა, — ეს მომცრო ზომის, მსუბუქი პლატფორმაა, რომელიც იდეალურია ელექტროსატრანსპორტო საშუალებების ტექნოლოგიების გამოყენებისთვის“. პერსპექტიული ავტომობილი პირველად დეტროიტის საერთაშორისო ავტოსალონზე წარადგინეს, თუმცა მაშინ, კომპანიის წარმომადგენლებმა პროექტის რეალიზების ვადების განხილვაზე უარი განაცხადეს. დამპროექტებლების გეგმების მიხედვით, ელექტროავტოს ლითიუმ-იონური ბატარეა ექნება, რომელიც მას დატენის გარეშე, 100 კმ-ზე მეტი მანძილის გავლის შესაძლებლობას მისცემს. თავდაპირველად, ავტომობილი მხოლოდ ჩრდილოამერიკული ბაზრისთვის იქნება განკუთვნილი და როგორც „კრაისლერის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, მანქანა მისივე კლასის ელექტროავტოებს გაუწევს კონკურენციას. სავარაუდოდ, მისი მსგავსი Nissan Leaf აშშ-ში 30 ათას დოლარად გაიყიდება. გარდა ამისა, კომპანიის ხელმძღვანელობა ელექტროავტოების სწრაფად დასატენი სადგურების ინფრასტრუქტურას შეიმუშავებს — ამ პროექტის შესახებ დეტალები მოგვიანებით გახდება ცნობილი.

უნივერსალი BMW 5-Series

ახალი ავტომობილი სერიოზული ცვლილებების გარეშე, სედანის პლატფორმაზეა აგებული და ხიდებს შორის იდეალური ფარდობით — 50:50 — გამოირჩევა. ახალი უნივერსალი წინამორბედზე დიდი გამოვიდა — მისი ბორბლების ბაზა თითქმის 80 მმ-ით, ხოლო საბარგულის მოცულობა — 520-დან 560 ლიტრამდე გაიზარდა. მისი კიდევ ერთი ოპცია — პანორამული სახურავია, რომლის სიგრძეც 44 სმ-ს შეადგენს. ახალი უნივერსალისთვის გათვალისწინებულია 2 ბენზინისა და 2 დიზელის მოტორი: ბენზინის აგრეგატის ატმოსფერული ვერსია 204 ცხ.ძ. სიმძლავრეს, ხოლო ტურბინირებული „ექვსიანი“ — 306 ცხ.ძ-ს ავითარებს. რაც შეეხება 4 და 6-ცილინდრიან დიზელის აგრეგატებს, ისინი 184 და 245 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებენ. მანქანის ტრანსმისია 8-ცილინდრიანი „ავტომატი“ ან მექანიკაა. ბაზარზე BMW 5-Series Touring სექტემბერში გამოჩნდება.

Dacia-ს ახალი მინივენი

რუმინული კომპანია Dacia მინივენის ახალი მოდელის აგრეგატების გამოცდას შეუდგა, რომელიც ისევე, როგორც ბრენდის დანარჩენი ავტომობილები, Renault Logan-ის პლატფორმაზე აიგება. ამაზე მეტყველებს არაოფიციალური ფოტოები, რომლებიც საიტმა — Automarket — გამოაქვეყნა. წინასწარი მონაცემებით, მინივენი Dacia უნივერსალზე ოდნავ განიერი იქნება; სიახლის ბორბლების ბაზა 120 მმ-ით შემცირდება და დაახლოებით, 2850 მმ გახდება, ხოლო სიმაღლე მცირედით გაიზრდება. სალონის მოცულობისა და დასაჯდომი ადგილების რაოდენობის შესახებ, ამ ეტაპზე, არაფერია ცნობილი. სავარაუდოდ, მინივენი ევროპულ ბაზარზე 1,5-ლიტრიანი დიზელის ძრავათი, აგრეთვე 102 და 90 ცხ.ძ. სიმძლავრის 1,6-ლიტრიანი და 75 ცხ.ძ. 1,4-ლიტრიანი ბენზინის აგრეგატებით იქნება ხელმისაწვდომი. კომპანია Dacia-ს მესვეურთა მოსაზრებით, Logan-ის ბაზაზე შექმნილი მინივენი პოპულარული დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გახდება. ამ ავტომობილის აწყობა შესაძლოა, ჩრდილოეთ აფრიკაში მდებარე Renault-ის წარმოებაში დაიწყოს — რეგიონში, სადაც ფრანგულმა ავტომშენებელმა, მანქანების წარმოების გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანი ინვესტიცია ჩადო. შეგახსენებთ, Dacia-ს ბოლო სიახლედ კროსოვერი Duster იქცა.

■

მისთვის საჩუქარი რომ იყოთ...

გრძნობებს დაუფარავად ნუ გამოავლენთ

ხშირად ქალბატონებს ეჩვენებათ, რომ ამგვარად მამაკაცის დამორჩილებასა და ურთიერთობის დიდხანს შენარჩუნებას შეძლებენ. შეყვარებული ქალი გრძნობას მთელი არსებით ეძლევა და მამაკაცისგანაც იმავეს ელის. ეს შეცდომაა. ეცადეთ, გრძნობები მოთოკოთ, თორემ მას აუცილებლად დაკარგავთ — წავა იქ, სადაც სიყვარულის მოპოვება დასჭირდება. მამაკაცი ხომ ბუნებით მონადირეა, იოლი ნადავლი არ იზიდავს. შესაბამისად, მალე კარგავს ინტერესს ქალისადმი, რომელიც თავისით უვარდება მკლავებში. ამიტომ შეეცადეთ, არ აგრძნობინოთ, რა ძლიერია თქვენი გრძნობა. დაე, ეგონოს, რომ თქვენი სიყვარულის შესანარჩუნებლად, მუდმივი ბრძოლა დასჭირდება.

არ მისცეთ ყურადღების მოდუნების საშუალება

თუკი მამაკაცის დაკარგვა არ გსურთ, ნუ დაარწმუნებთ, რომ მთლიანად მას ეკუთვნით. ის გამუდმებით დაძაბული უნდა იყოს, სხვაგვარად, თქვენდამი ინტერესი მალე გაუქრება. არ არის საჭირო მუდამ მის გვერდით ყოფნა. იპოვეთ რაიმე საინტერესო საქმე ან მეგობრების კომპანიაში გაერთეთ. მამაკაცს თვითონ უნდა ეშინოდეს თქვენი დაკარგვის და არა — პირიქით. მსუბუქად აეჭვიანეთ ხოლმე.

სულში ნუ ჩაუძვრებით

ყველა მამაკაცს სურს, თავისუფალი და დამოუკიდებელი იყოს, იმიჯის დაკარგვის ნებისმიერი მცდელობა კი პანიკაში აგდებს. აქედან გამომდინარე, უარყოფითად რეაგირებს და თქვენგან შორს გაქცევის სურვილი უჩნდება მაშინ, როცა მის სულში ხელების ფათურს ცდილობთ. ნუ აჩქარდებით, ნუ გადააბიჯებთ მის მიერ დადგენილ ზღვარს. მამაკაცებს უჭირთ სწრაფად, მოკლე პერიოდში გახსნა. თუ მოისურვებს გაგენდოთ, დროთა განმავლობაში ამას თვითონ, თქვენი ინიციატივის გარეშეც გააკეთებს.

მუშაობაში ხელს ნუ შეუშლით

საქმე და კარიერა მამაკაცისთვის პირველ ადგილზე დგას. საკუთარი

შესაძლებლობების გამოცდა ახალისებს და ახალი მიზნებისკენ უბიძგებს. ქალს საშინლად არ სიამოვნებს, როცა მამაკაცის ცხოვრებაში პირველ ადგილს მისი სამსახური „ეცილება“; როცა მისი რჩეული პაემანზე იგვიანებს იმიტომ, რომ საქმე აქვს ან სამუშაოს გამო, შაბათ-კვირას მასთან ერთად ვერ ატარებს. დამშვიდდით, მამაკაცი ასეა „მოწყობილი“, მუდამ ესაჭიროება რაღაცის მიღწევა, მოპოვება, ვიღაცისთვის რაღაცის დამტკიცება... ეცადეთ, თქვენი ცხოვრება მამაკაცის გარეშეც საინტერესო გახადოთ. მაშინ ერთად გატარებული დრო ორივესთვის დღესასწაული იქნება და არა პრეტენზიების წაყენების ან ურთიერთობების გარჩევის მორიგი „სეანსი“.

თქვენი ღირსებები დაანახვეთ

ყველა მამაკაცი ქალში მუდამ სიახლეს, მოულოდნელობებს, მძაფრ შეგრძნებებს ეძებს. მასთან ბუნებრივი, მხიარული, გულღია, სამართლიანად მომთხოვნი იყავით. თავს სხვა ქალებს ნუ შეადარებთ. დაარწმუნეთ საკუთარი თავი, რომ კარგი ხართ და მისთვის საჩუქარს წარმოადგენთ.

დაე, დარჩეს ისეთი, როგორიც არის

ყველა ადამიანს აქვს ღირსება, ნაკლი; ახასიათებს უცნაურობები და ახირებები. ნუ შეეცდებით მის მართვასა და გამოსწორებას — სულერთია, არაფერი გამოგივათ. მიიღეთ და გიყვარდეთ ისეთი, როგორიც არის.

■

როგორ მოვუაროთ ფეფუჭებულ და ჩაფაგებულ თვალის უჭეებს

* პირველ რიგში, გახსოვდეთ, რომ ყოველდღიურად, დაახლოებით 1 ლიტრამდე სასმელი წყალი მაინც უნდა მიიღოთ;
* რეგულარულად იხმარეთ სპეციალური, თვალის დამცავი კრემი;
* ეცადეთ, სისტემატურად კარგად გამოძინებული იყოთ;
* გაიკეთეთ მწვანე და შავი ჩაის ცივი საფენები.
* ქუთუთოებზე დაიდეთ დაჭრილი კიტრის ნიღაბი, გაიჩერეთ 10-15 წთ.
* შეამცირეთ მარილიანი, მჟავეცხარე საკვების მიღება.
* მიიღეთ ვიტამინი C. ის ამაგრებს სისხლძაღვებს.

რჩევები ხალხური მედიცინიდან

კარტოფილის ნიღაბი

2 ს/კ გახეხილი კარტოფილი დადეთ მარლის ნაჭერზე და დაიფინეთ ქუთუთოზე 10-15 წთ. შემდეგ წაისვით კრემი A და E ვიტამინის შემცველობით. 10-15 წუთის შემდეგ თვალები ჩამოიბანეთ ჩაის ნაყენით.

ყინულის ნიღაბი

ყინულის ნატეხებს შემოახვიეთ ცელოფანის პარკი და დაიდეთ უპეებზე 5 წუთით.

მწვანე ნიღაბი

2 ჩ/კ წვრილად გახეხილი კარტოფილი შეურიეთ წვრილად დაჭრილ მწვანილს, ნაზავი გახვიეთ მარლაში და დაიდეთ შეშუპებულ ადგილზე. 10-15 წუთი გაიჩერეთ და ჩამოიბანეთ, შემდეგ წაისვით სპეციალური კრემი. ■

სამარხვო კერძები

მაკარონი პომიდვრით

მასალად საჭიროა:

400 გ სამარხვო მაკარონი;
2,5 ლ წყალი;
50 გ მარგარინი ან სამარხვო კარაქი;
მარილი — გემოვნებით;
250 გ პომიდორი ან 150 გ ტომატ-პიურე;
ოხრახუში ან კამა, შაქარი — გემოვნებით.

მომზადების წესი:

სამარხვო მაკარონი მოხარშეთ ჩვეულებრივად.

პომიდორი გარეცხეთ, გაფცქვენით, დაჭერით პატარა ნაჭრებად, მოშუშეთ ცხიმწასმულ ტაფაში. მზა პომიდორი და მოხარშული მაკარონი კარგად აურიეთ ერთმანეთში. დაუმატეთ შაქარი და მარილი. გადაიტანეთ სინზე, მორთეთ ოხრახუშით ან კამით. ■

კარტოფილის წვნიანი ბარდით

მასალად საჭიროა:

600 გ კარტოფილი;
200 გ ბარდა;
100 გ ხახვი;
100 გ სტაფილო;
50 გ ზეთი;
წყალი;
ოხრახუში, სანელებლები, მარილი — გემოვნებით.

მომზადების წესი:

ბარდა გაარჩიეთ, გარეცხეთ, ჩაყარეთ ქვაბში, დაასხით ცივი წყალი და დატოვეთ 3-4 საათი. ქვაბი შემოდგით ცეცხლზე, დაახურეთ თავსახური და მოხარშეთ უმარილოდ, შერბილებამდე.

კარტოფილი დაჭერით — მსხვილ, სტაფილო მომცრო კუბურებად, ხახვი — წვრილად. სტაფილო, ხახვი და ოხრახუში ოდნავ მოშუშეთ ზეთში.

ადუღებულ წყალში ჩაყარეთ მოხარშული ბარდა, სტაფილო და ხახვი, სურნელოვანი პილპილი, დაფნის ფოთოლი. ხარშეთ 15-20 წუთი. დაუმატეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში, მარილი. წამოადუღეთ და გადმოდგით ცეცხლიდან. ■

შოკოლადის კექსი



მასალად საჭიროა:

120 გ თაფლი;
60 გ შაქრის ფხვნილი;
50 გ მარგარინი;
1 ჩ/კ საფუარი;
250 გ ფქვილი;
2 ჩ/კ დარიჩინი;
1 მწიკვი მარილი;
50 გ გარგარის ჩირი;
400 გ მუქი (სამარხვო) შოკოლადი.

მომზადების წესი:

თაფლი და მარგარინი ორთქლზე გაათბეთ, შეურიეთ საფუარი. დაუმატეთ ფქვილი, წვრილად დაჭრილი ჩირი და ამოიყვანეთ ცომი. შედგით მაცივარში მთელი ღამით.

მოათავსეთ ცომი ცხიმწასმულ ფორმაში და აცხვეთ დაახლოებით 20 წუთი, 180 გრადუსამდე გახურებულ ღუმელში. შემდეგ გააგრილეთ და ისე გადმოიღეთ ფორმიდან.

შოკოლადი გაადნეთ და კექსს ზემოდან მოასხით. ■

რუბრიკა მოამზადა ეკა გუნთაიშვილმა

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაქი

ᲫᲛᲔᲓᲔᲜᲘᲚᲘ ᲗᲔᲛᲣᲠ ᲘᲕᲐᲜᲘᲫᲔ

1. ლავას მეორენაირად, წიაღვარი ჰქვია.

2. აკირა კუროსავას 3 ოსკარი აქვს მიღებული.

3. კონდორები 7 წლის ასაკამდე არ მრავლდებიან.

4. ახალაყრილ ტყეს რუსები „კარანდაშნიკს“ ეძახიან.

5. პირველ აპრილს რომაელები „სისულელის დღეს“ აღნიშნავდნენ.

6. ფეხბურთის არბიტრის სასტვენის ხმა ორ კილომეტრზე ვრცელდება.

7. ქართლოს კასრაძე და ზურა ქაფიანიძე პირველ აპრილს არიან დაბადებულნი.

8. ერნანდო კორტესმა აცტეკების მიწაზე ფეხი პირველად 19 წლის ასაკში დადგა.

9. თამბაქოს მოწევა ინგლისელებს ზღვაოსანმა და მოგზაურმა უოლტერ რელიმ ასწავლა.

10. ემპაირ სტეიტ ბილდინგის 102 სართულამდე ამავალი კიბე 1860 საფეხურისგან შედგება.

11. მიხეილ ჯავახიშვილის რომანის მთავარი გმირი, კვაჭი კვაჭანტირაძე პირველ აპრილს იყო დაბადებული.

12. ხშირად, რომელ ლეგიონერებს გასამრჯელოს მარილით უხდიდნენ. მოგვიანებით, სწორედ სიტყვა „მარილიდან“ („SALT“) წარმოდგა სიტყვა „SALARY“, რაც ინგლისურად ხელფასს ნიშნავს.

13. მსახიობი ბორის ტენინი ამბობდა, ჩვენს თეატრში მხოლოდ ორი პროფესიონალი მუშაობს, — დარაჯი და მეო. თან, დასძენდა: „მხოლოდ ჩვენ ორნი ვასრულებთ საქმეს კარგად, დროულად და ხარისხიანად“.

14. ფანატიზმით შეპყრობილი ვერმახტის ზოგიერთი ჯარისკაცი ჰიტლერის „მაინ კამპფის“ კითხვისას ანანირებდა და ორგაზომამდე მისული, გაიძახოდა: „ჰაილ, ჰიტლერ!“

15. ამერიკის ელჩი დიდ პრიტანეთში, ჯოზეფ კენედი (ქვეყნის მომავალი პრეზიდენტის, ჯონ კენედის მამა) მსოფლიო ომში ინგლისელთა დახმარების კატეგორიული მოწინააღმდეგე იყო. მშრალი კანონის მოქმედების პერიოდში სპირტიანი სასმელების უკანონო ვაჭრობით გამდიდრებული ელჩი წარმოშობით ირლანდიელი გახლდათ და ბრიტანელები სძულდა.

16. მეორე მსოფლიო ომის დროს ნორვეგიაში დესანტირებულმა „კომანდოსის“ ბატალიონმა თევზის ქონის გადამამუშავებელი ქარხნები ააფეთქა, რადგანაც ნორვეგიელები თევზის ქონისგან ფეთქებადი ნივთიერებების დასამზადებლად, გლიცერინს ხდიდნენ. ერთმა ინგლისელმა ოფიცერმა ადგილობრივი ფოსტიდან ჰიტლერს დეპეშა გაუგზავნა, — რომ ამბობდი, ბრიტანელები სადაც უნდა გადასხდნენ, ყველგან გერმანელ ჯარისკაცებს გადააწყდებიანო, აბა, სად არიან, შენი დედაცო?!.

ᲪᲘᲣᲠᲘ ᲘᲔᲠᲝᲒᲚᲘᲤᲔᲑᲘ

შუა საუკუნეების მხატვრების უამრავ გრავიურასა თუ ნახატზე არაერთი ისეთი მოვლენაა აღბეჭდილი, როგორიც, მაგალითად, 1561 წლის 14 აპრილს, ნიურნბერგის ცაზე გაჩენილი „ნიშანი“ იყო. „ციური გზავნილების“ მოწმენი განსწავლულ XX საუკუნეში მცხოვრები, თავადაც საფუძვლიანად განსწავლული ადამიანებიც გამხდარან. ერთ-ერთი მათგანი თანამედროვე კოსმონავტიკის ფუძემდებელი — კონსტანტინ ციოლკოვსკია, რომელიც იხსენებს:

„აი, რა გადამხდა თავს 1928 წლის 31 მაისს, საღამოს რვა საათზე. კითხვისა თუ რაღაც სხვა საქმის შემდეგ აივანზე, სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად გავედი. ჩრდილო-დასავლეთით გამავალი აივნიდან კარგად ჩანდა, რომ ღრუბლებს ამოფარებული მზე ჯერ კიდევ არ ჩასულიყო და ამიტომაც, არც ბნელოდა. უცბად, ჰორიზონტზე ღრუბლებისგან შედგენილი, თითქოს, საგანგებოდ დაბეჭდილი და ერთმანეთის გვერდით ჰორიზონტალურად განლაგებული სამი ასო: ×ÀÓ დავინახე. მაინც, რას უნდა ნიშნავდეს ეს ×ÀÓ? – გავიფიქრე, მერე კი თარიღისა და თავად სიტყვის ჩასაწერად, ოთახში შევბრუნდი. იმწამსვე იმასაც მივხვდი, რომ ასოები ლათინურად უნდა წამეკითხა. ამის გაფიქრება იყო და მაშინვე, ყველაფერი დალაგდა — სიტყვა „рай“ („სამოთხე“) ამოვიკითხე. სიტყვის ქვეშ თითქოს, რაღაც საფლავის ქვისა თუ აკლდამის მსგავსიც იყო გამოსახული, თუმცა მაშინ ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. ეს ყველაფერი კი ისე გავიგე, რომ სიკვდილის შემდეგ ჩვენს ტანჯვას ბოლო მოელება ანუ ეს იყო ის, რასაც „სამყაროს მონიზმში“ ვამტკიცებდი. მოკლედ, მაღალფარდოვნად რომ ვთქვათ, ჩემი ვარაუდი თავად ზეცამ დაადასტურა“...

ციოლკოვსკის მიერ ნანახი ეს უცნაური მოვლენა ნახევარი საუკუნის შემდეგ, დოკუმენტურადაც დადასტურდა: 1990 წლის 2 დეკემბერს ყაზახი მეტეოროლოგები ამერიკული თანამგზავრის მიერ გადმოცემულ ღრუბლიანობის სურათებს ფოტოტელეგრაფზე იწერდნენ. უცბად, მეტეოროლოგებმა კასპიის თავზე, ღრუბლებს შორის გიგანტური მბრწყინავი ასოები დაინახეს. ასო ამჯერადაც, სამი იყო და ეკვატორის მხრიდან როგორც ლათინური JVL, პოლუსის მხრიდან კი როგორც რუსული ГЛС იკითხებოდა.

ყაზახმა მეტეოროლოგებმა იფიქრეს, აპარატურამ „აურიაო“ და დახმარებისთვის უზბეკ კოლეგებს მიმართეს. თუმცა, მათმა ჩანაწერმაც ზუსტად იგივე სურათი უჩვენა. ციოლკოვსკის შემთხვევისგან განსხვავებით, ამჯერად, ამ სამი ასოს რაიმე გონივრული განმარტება ვერ მოხერხდა. თუმცა, მეტეოროლოგებმა გაიხსენეს, რომ ამ ამბამდე ერთი წლით ადრე, 1989 წლის 15 ოქტომბერს, სალსკის (როსტოვის ოლქი) თავზე ნიშნებისა და ციფრების მთელი კრებული გაჩნდა, რომელთა გაშიფვრასაც არაერთი მკვლევარი ამაოდ ცდილობდა. 1990 წლის 24 ოქტომბერს, 21 საათსა და 15 წუთზე კრასნოდონეცკის მახლობლად მდებარე სადგურის თავზე ოთხი კვადრატი გამოჩნდა, რომელთა შიგნითაც ცეცხლის ენები ენთო. კვადრატები ცაზე თითქოს, სხივებით პროეცირდებოდა და ჯვარს ქმნიდა, შემდეგ ჯვრის გვერდით მანათობელი წრით შუაზე

გაყოფილი ციფრები „2001“ და ნიშნები „?!“ გაჩნდა. ზოგიერთი დამკვირვებლის შეფასებით, ნიშნების ზომა 100 მეტრს აჭარბებდა. მათივე თქმით, ასეთი კვადრატები და კითხვის ნიშნები თავად სალსკის თავზეც, რამდენჯერმე გამოჩნდა...

1990 წელი ამ თვალსაზრისით, უნიკალური წელი იყო — საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ადგილას, ცაში სულ სხვადასხვა ნიშანი, ფიგურა (მათ შორის, ადამიანისაც), მათემატიკური ციფრი და სიმბოლო ჩნდებოდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს, ვიღაც გოლიათი ცასა და ღრუბლებს გრიფელის დაფასავით იყენებდა. ეს „სინათლის წარმოდგენები“ იმდენად ამოუცნობი იყო, რომ ერთმა უფოლოგმა მათ „ციური პოლტერგეისტიც“ კი უწოდა.

თუმცა, 1990 წლის „ზეციური წარმოდგენები“ ამით არ დასრულებულა. მეტიც, შემდგომში გამოჩენილ სურათებს გართულების ტენდენცია დაეტყო. მაგალითად, 3 აპრილის დილას, კრასნოდარის ფაიფურის ქარხნის თავზე, ცაში სამი მართკუთხედი გამოჩნდა, რომელიც შემდეგ სამ ნახევარწრედ, სამ წერტილად და სამ ხაზად გადაიქცა; 9 ივლისის ღამის პირველ საათზე კი მოსკოვის ოლქის, ორეხოვო-ზუევოს რაიონის სოფელ დავიდოვის მცხოვრებმა ცაში ეკრანის მსგავი ღრუბელი შენიშნა. მასზე მარჯვნიდან მარცხნივ, ერთმანეთის მიყოლებით სხვადასხვა უცნაური ნახატები: სამი მანათობელფანჯრიანი, უსახურავო სახლი, თავის ქალა, იეროგლიფები და ცილინდრიანი ადამიანის სხეული გამოჩნდა. უცბად, „ცილინდრიანმა“ თვალები გაახილა და დედამიწას კაშკაშა სხივები სტყორცნა. ცოტა ხანში სხივები გაქრა, „ცილინდრიანს“ კი ჯერ გუგები დაუვიწროვდა და გაუქრა, შემდეგ თავად ფიგურაც გაქრა — მთელი ეს „სეანსი“ 8 წუთს გრძელდებოდა.

20 ივნისის საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე ოდესელმა ჩუდინამ ფანჯრიდან ოვალური ფორმის ნაცრისფერი ღრუბელი დაინახა, რომელიც შემდეგ, ორად გაიყო და შუაში სავარძელში მჯდომი ქალი გამოჩნდა. ქალს თავზე გვირგვინი ედგა და გრძელი, ოქროსფერი კაბა ეცვა — ეს „სეანსი“ 15 წუთს გაგრძელდა. გაზეთ „სოვეტსკაია მოლდოვას“ ცნობით, 1990 წლის ოქტომბრის დასაწყისში რიბიცას დასახლებისკენ მიმავალ ავტობუსში მსხდომები კიდევ უფრო შთამბეჭდავი სურათის მოწმენი გახდნენ: მგზავრებმა საკუთარი თვალით ნახეს, თუ როგორ დაფარა უღრუბლო ცის თითქმის ნახევარი ქალის ნარინჯისფერმა ფიგურამ. ის სავარძელში, ნებიერად იყო გადაწოლილი და გარკვევით ჩანდა მისი პროფილის მოხაზულობა, ხშირი გაშლილი თმა, მაღალი მკერდი, ფეხებს კი დავარდნილი ქსოვილი უფარავდა. ეს სურათი ნახევარი საათის განმავლობაში ჩანდა, შემდეგ კი გაქრა და ცაზე მქრქალი ყვითელი ლაქა დატოვა.

1914 წელს, გერმანია-რუსეთის ფრონტის ხაზის თავზე გამოჩენილ ქალის უზარმაზარ ფიგურას ათასობით გერმანელი და რუსი ჯარისკაცი აკვირდებოდა. ფიგურის გამოჩენისთანავე დაირხა ხმა, რომ ეს ქალწული მარიამის გამოცხადება იყო და ის ჯარიკაცებს ლოცავდაო. მოგვიანებით, საბჭოთა სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ფაქტს „მარტივი“ ახსნა მოუძებნეს: — ქალწული მარიამი მძლავრი საპროექციო ფარნის მეშვეობით გაჩნდაო.

გაგიკვირდებათ და, 1640 წელს გამოცემულ, ატმოსფერული მოვლენებისადმი მიძღვნილ ვ. ფულკის წიგნშიც „ციური კინოს“ მსგავსი ახსნაა მოცემული. საკითხისადმი ჭეშმარიტად მეცნიერული მიდგომისა და ცრურწმენების მძაფრი კრიტიკის შემცველი ეს წიგნი მკითხველს დღემდე აოცებს. აი, რას წერდა ფულკი: „ამ ყველაფრის ხილვა ორი გზით შეიძლება — ხელოვნურად და ბუნებრივად. მათი ხელოვნურად გამოწვევა იმ მეცნიერების საიდუმლო კანონებით შექმნილი სარკეებითა და ინსტრუმენტებით ხდება, რომელსაც კატოპტრიკა (მეცნიერება სარკეებსა და სინათლის არეკვლაზე) ჰქვია. თუმცა, ეს მოვლენები, როგორც წესი, ბუნებრივი გზით და მაშინ ხდება, როცა ჰაერი, თავისი თვისებებიდან გამომდინარე, უეცრად, იმის ასახვას იწყებს, რაც დედამიწაზე არის ან ხდება“... ■

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაქი

ქემდგენელი თემურ ივანიძე

17. ტრაბზონში, აქჩაბაათის სტადიონზე გამართული მატჩის დასასრულს, როცა საქართველოს რაგბის ნაკრებმა რუსეთის ნაკრები 36:8 დაამარცხა, კომენტატორებმა — ზააღ გიგინეიშვილმა და თემურ ჯაფარიძემ კმაყოფილებით განაცხადეს, — ამ სტადიონის სახელი ქართულად ხვავს და ბარაქას ნიშნავს, ეს ხვავი, ბარაქა კი ახლა ტაბლოზეა გამოსახული, ქულების სახითო.

18. ალექსანდრე გრიბოედოვზე გათხოვილი 16 წლის ნინო ჭავჭავაძე ხუთ თვეში დაქვრივდა. მისი მეუღლე თეირანში რელიგიურმა ფანატიკოსებმა, რუსული მისიის დარბევის დროს მოკლეს. P.S. ამ ინციდენტის შემდეგ ირანის შაჰმა გამოსასყიდი ძღვენის სახით, რუსეთის მეფეს 88,7-კარატიანი ალმასი — „შახი“ გაუგზავნა. ორმა მონარქმა ურთიერთობა გაარკვია და ყველაფერი ამით დასრულდა.

19. ალექსანდრე პუშკინმა ერთ ქალბატონს, მისივე დაჟინებული თხოვნით, ალბომში ჩაუწერა ლექსი, რომელშიც ამბობდა, — ბაირონის ლამაზმანები თქვენი ფეხის ფრჩხილადაც არა ღირანო. ალბომის პატრონი დიდხანს ამაყობდა ამ ჩანაწერით, მაგრამ შემდეგ, ყურადღება მიაქცია ლექსის ბოლოს მიწერილ თარიღს, რომელიც ლექსში ნათქვამ ყველა კომპლიმენტს აბათილებდა. ჩანაწერი პირველ აპრილს იყო გაკეთებული.

20. სპარტელი ბავშვები დაბადებიდანვე სახელმწიფოს საკუთრებად მიიჩნეოდნენ და სახელმწიფოც, ყველა ძალისხმევას მიმართავდა ძლიერი და ჯანმრთელი თაობის გამოსაზრდელად. ლიკურგეს კანონმდებლობით, ახალგაზრდა ცოლის პატრონ მოხუცებულ კაცს უფლება ჰქონდა, თუკი ვინმე კეთილშობილი და ლამაზი ჭაბუკი მოეწონებოდა, თავის ცოლთან მიეშვა, მათი ურთიერთობის ნაყოფი კი თავისად მიეჩნია. კეთილშობილ ვაჟკაცს, რომელსაც სხვისი ცოლი — კდემამოსილი და კარგი შვილების დედა მოეწონებოდა, შეეძლო ქმრისათვის მის ცოლთან ურთიერთობის ნება ეთხოვა, რათა ამ ქალისაგან, ვით ნოყიერი ყანისაგან, ძვირფასი ნაყოფი მიეღო და ისეთი შვილები გაეჩინა, რომლებიც კეთილშობილური სისხლის ღირსეული მემკვიდრეები იქნებოდნენ. P.S. მსგავსი კანონი მოქმედებდა ფაშისტურ გერმანიაშიც. ამ კანონის მიხედვით, ახალგაზრდა ქალიშვილებს ჯანმრთელი და ძლიერი აღნაგობის მქონე ჯარისკაცებთან სქესობრივ კონტაქტზე უარი არ უნდა ეთქვათ. ამ გზით დაბადებული ბავშვები კანონიერად მიიჩნეოდნენ და მათ „ფიურერისთვის მიძღვნილ საჩუქარს“ ეძახდნენ.

ვნების გზა და აღდგომაში განცხადებული კაცობრიობის გამოხსნა

დაცემული ადამისათვის უფლის მიერ ჯერ კიდევ სამოთხეში მიცემული აღთქმა მხსნელის მოვლინებისა, რომელიც ადამში შემცოდე მის მემკვიდრეებს, მთელ კაცობრიობას გამოიხსნიდა, ათასწლეულების შემდეგ განკაცებული უფლის ჯვარცმითა და მისი ბრწყინვალე აღდგომით აღსრულდა. ამით დასრულდა მაცხოვრის გამომხსნელი მოღვაწეობა. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ამ მოღვაწეობის დასრულებისას — ვნების კვირაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები, რაც უფლის ბრწყინვალე აღდგომით დაგვირგვინდა...

შორენა მერკვილაძე

არქიმანდრიტი მაკარი (აბესაძე):

— უფლის განკაცებაც და საერთოდ ყველაფერი, რაც მაცხოვრის მოსვლას ახლდა თან, მოხდა ჯვარცმისა და აღდგომისთვის. ჯვარცმით უფალმა საკუთარი თავი შესწირა კაცობრიობას გამოსახსნელად და აღდგომით გამოიხსნა კაცობრიობა — ქრისტეს აღდგომა ამიტომაცაა უდიდესი მოვლენა კაცობრიობის ისტორიაში და ამიტომაცაა აღდგომა დღესასწაულთა დღესასწაული. აღდგომა, თავისი არსითა და მნიშვნელობით, ყველა სადღესასწაულო მოვლენაზე აღმატებულია.

მაცხოვარმა ამქვეყნიური მოღვაწეობა განცხადებულად ნათლისცემის შემდეგ დაიწყო. იმ სამი წლის მანძილზე, როდესაც უფალი ქადაგებდა, თავის მოწაფეებსა და სხვა ადამიანებსაც იმისათვის ამზადებდა, რომ შემდგომში მიეღოთ მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვარი, ადვილად გაეგოთ, რომ იესო ქრისტე იყო არა უბრალო ადამიანი, არამედ განკაცებული ღმერთი...

— **ვიცით, რომ მაცხოვრის წინააღმდეგ უპირველესად იუდეველთა — რჩეული ერის მღვდელმთავრები და სჯულისმოძღვრები აღიძრნენ. იმ ადამიანებმა, რომელთაც ებრაელი ერი აღთქმული მხსნელის მისაღებად უნდა მოემზადებინათ, განკაცებული მაცხოვრის ფიზიკურად განადგურებისთვის ყველაფერი გააკეთეს. მათ ვერ შეიცნეს მხსნელი, რომელსაც რჩეული ერი მთელი თავისი არსებობის განმავლობაში ელოდა...**

— ისინი მიწიერ დიდებაში იყვნენ ჩაფლულნი და ამიტომ შეიცნეს. ყოველივე, რაც მოიმოქმედეს, იმის გამო მოხდა, რომ მაცხოვარში თავიანთი დიდების, უფლებებისა და ძალაუფლების დაკარგვას ხედავდნენ. ხედავდნენ, რომ ხალხი მიჰყვებოდა, ხალხი აღიარებდა, რაც ცხადად გამოჩნდა იერუსალიმში დიდებით შესვლით, როდესაც მაცხოვარს ხალხი პალმის რტოებითა და „ოსანას“ გალობით მიეგება. თუმცა, ამ მოვლენიდან ორი დღის შემდეგ, იუდეველთა მღვდელმთავრებმა და სჯულისმოძღვრებმა მოახერხეს, ზეგავლენა მოეხდინათ ადამიანების აზროვნებაზე და ეს ხალხი მაცხოვრის წინააღმდეგ აღეძრათ, რაც საბოლოოდ, იუდეველთა შეძახილში — „ჯვარს აცვი იგი“ — გამოვლინდა.

მღვდელმთავრებისა და სჯულისმოძღვრების განზრახვის აღსრულებას მაცხოვრის მოწაფემ — იუდამ შეუწყო ხელი. ის მათ დაჰპირდა, რომ მაცხოვარს მაშინ გადასცემდა, როდესაც ის განმარტოებით, თავის მოწაფეებთან ერთად იქნებოდა. გახარებულმა მღვდელმთავრებმა 30 ვერცხლი მიუწონეს, რაც იმ დროს ძალზე მცირე თანხა გახლდათ. იუდამ ეს შეცოდება ვერცხლისმოყვარეობის გამო ჩაიდინა — ვიცით, რომ მას მოციქულთა სალარო ებარა და როგორც იოანე ღვთისმეტყველი გვეუბნება, ის სალაროდან ფულს იპარავდა. ამ ფაქტის შესახებ მსჯელობისას, ზოგიერთი მამა აზრს ამგვარადაც ავითარებს: იუდა, რომელიც მაცხოვრის მიერ ჩადენილ სასწაულებს ხედავდა, შესაძლოა, იმასაც ფიქრობდა, — ავიღებ ამ 30 ვერცხლს, გადავცემ მათ იესოს და შემდეგ, თვითონვე დაიხსნის თავს — ვერაფერს ავნებენ, სინედრიონთან დავაში გამართლდებაო. მას კი 30 ვერცხლი დარჩებოდა ანუ — იუდა მღვდელმთავრების მოტყუებასაც ცდილობდა...

— **ვნების წინადღეს მაცხოვარმა მოციქულებთან ერთად ჯვარზე აღასრულა საიდუმლო სერობა. ეს იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა კაცობრიობის ისტორიაში. რამდენიმე სიტყვით საიდუმლო სერობის მნიშვნელობასაც შევეხოთ...**

— იუდეველთა პასექის დღესასწაული პარასკევ საღამოს იწყებოდა, მაგრამ ვინაიდან მაცხოვარმა უწყოდა, რომ ამ დღესასწაულის დადგომისას ჯვარცმული და აღსრულებული იქნებოდა, მოციქულებს წინდაწინ — ხუთშაბათისთვის განამზადებინა პასექი... ვარაუდობენ, რომ საიდუმლო სერობა ნიკოდიმოსის სახლში აღესრულა... ჯერ ყველაფერი ძველი სჯულისამებრ აღასრულეს. განსაკუთრებული საპასექო ჩვეულება კრავის დაკვლა იყო — იწირებოდა სისხლიანი მსხვერპლი, რაც მოასწავებდა საღვთო კრავის — მაცხოვრის მსხვერპლშეწირვას კაცობრიობის გამოსყიდვისთვის. პასექის აღსრულების დროს მაცხოვარი წამოდგა, მოიხსნა მოსასხამი, შემოიხვია არდამი და მოციქულებს ფეხი დაბანა. ეს იყო ნიშანი, სიმბოლო თავმდაბლობისა. როდესაც პეტრემ ეს იხილა, აღმოხდა: — „არა, უფალო, შენ უნდა დამბანო მე ფეხი?“ — „თუ არ დაგბან, შენ არ გექნება წილი ჩემთან“, — მიუგებს უფალი და ამით თავმდაბლობისკენ მოგვიწოდებს. ფეხბანვის შემდეგ უფალი იწყებს სერობას — აწესებს ზიარების საიდუმლოს, ახალაღთქმისეულ მსხვერპლშეწირვას, რომელიც არის პურისა და ღვინის შეწირვა ანუ ფეხბანვით სრულდება ძველი სჯული და გადადიან ახალ აღთქმაზე, იწყება მზადება ახალი აღთქმის, ახალი სწავლების მისაღებად. უფალი მოციქულებს მიმართავს კიდეც — მე თქვენ მოგცემთ ახალ სწავლებას... ეს კი თავმდაბლობით დაიწყო და მიგვანიშნა, რომ ყველაფრის დასაწყისი თავმდაბლობაა.

მაცხოვარმა იუდასაც დაბანა ფეხი და ამით იწყებს მის მხილებას... უწყის, რომ გამცემია, მაგრამ ბოლომდე ზრუნავს

იუდას სულისთვის, რათა შეინანოს და ეს საშინელი ცოდვა არ აიღოს საკუთარ თავზე. როდესაც ზიარების საიდუმლოს აღსრულებას იწყებს, ამბობს: „ერთ-ერთი თქვენგანი გამცემს მე“. ეს სიტყვებიც იუდას სამხილებლადაა წარმოთქმული; შემდეგ დაუფარავად განუცხადებს მოციქულებს: — ჩემი გამცემი ის იქნება, ვინც ჩემთან ერთად ჩაყოფს ხელს ჯამშიო... იუდაზე ესეც არ მოქმედებს. ბოლოს, მიმართავს: — „რასაც აკეთებ, დროზე გააკეთე“ — უფალი არ ზღუდავს ადამიანის თავისუფალ ნებას.

— **ვიდრე მაცხოვარს შეიპყრობენ და გაასამართლებენ, გეთსიმანიის ბაღში ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტი ხდება — მის შესაპყრობად მისულთ მაცხოვარი ეკითხება: „ვის ეძებთ?“ იესო ნაზარეველს, — მიუგებენ ისინი — „მე ვარ“ — ამბობს უფალი. ისინი უკან იხევენ და ეცემიან, რაც ორგზის მეორდება. რა ხდება ამ დროს?**

— სიტყვებს — „მე ვარ“ უფალი ახალ აღთქმაში რამდენიმე ადგილას ამბობს და ამას ყოველთვის მოჰყვება ზებუნებრივი ქმედება: როდესაც ღმერთი მოსეს მაყვლოვანში გამოეცხადა, მან იკითხა, — ვინ ხარ შენ, უფალო — ჩემო ბატონოო? — „მე ვარ“, — ისმის ხმა მაყვლოვანიდან... სწორედ ეს სიტყვები თქვა უფალმა გეთსიმანიის ბაღშიც და ამ სიტყვების დიდებით წარმოთქმამ შეძრა ადამიანების სული; ისინი ქვეცნობიერად მიხვდნენ, რომ მათ წინაშე ღმერთი იდგა, ვერ გაუძლეს ღვთაებრივი დიდებით წარმოთქმულ სიტყვებს და წაიქცნენ...

შეპყრობისა და დაკითხვის შემდეგ, მაცხოვარი მღვდელმთავარ კაიაფასთან მიჰყავთ. ის ცრუმოწმეებთან დააპირისპირეს, მაგრამ მათი სიტყვები ერთმანეთს არ ემთხვეოდა და იესოს ვერანაირი ბრალი ვერ დასდეს. კაიაფამ დაფიცების წესი გამოიყენა და ჰკითხა იესოს: „შენ ხარ ქრისტე, ძე კურთხეულისა“? მაცხოვარი მიუგებს — „შენ სთქვი“ (რაც არამეული სიტყვაა და ნიშნავს პატივისცემით ნათქვამს: — „დიახ, ბატონო“) და ამით, ფაქტობრივად, უმაღლესი მღვდელმთავრის წინაშე ყოველივე აღიარა. სწორედ ამის შემდეგ, კაიაფამ შესამოსელი შემოიხია, რასაც სასტიკად კრძალავდა სჯული და თქვა: „რაღად გვინდა მოწმეები, ხომ მოისმინეთ, ღვთის გმობა მაგისი?“ და მთელმა სინედრიონმა შესძახა — „სიკვდილის ღირსია“. არსებობს წითელ პარასკევს საკითხავი ხელნაწერი — იაკობ მოციქულის მონათხრობი ვნების შვიდეულის შესახებ, სადაც მოთხრობილია ასეთი

რამ: როდესაც კაიაფა ახალგაზრდა იყო, ღმერთს ევედრებოდა, მღვდელმთავარი გაეხადა. მას სიზმრისეულ ჩვენებაში გამოეცხადა ახალგაზრდა კაცი და აუწყა, რომ მღვდელმთავარი გახდებოდა. „შენ ხარ ძე ღვთისა?“ — ეკითხება მას კაიაფა. ახალგაზრდა კაცი კი მიუგებს: — „შენ სთქვი, ამიერიდან იხილავ ძე კაცისასა მჯდომარეს მარჯვნით ძალისა ღვთისა“. როდესაც მღვდელმთავარ კაიაფას მაცხოვრისგან იგივე სიტყვები ესმის, შეხედავს თვალებში და იმავე თვალებს შეიცნობს, შეძრწუნებულს ახსენდება, რომ მასზე აღესრულა წინასწარმეტყველება. ნუთუ, მართლა ის არის? — გაუელვა გონებაში და ეს აზრი რომ დაეფარა, უკუეგდო, ამიტომაც შემოიხია სამოსელი. იმის შიშით, რომ დაკარგავს დიდებას და პატივს, სიკეთე, რომელიც უფალმა მოუვლინა, იქვე განაგდო თავისგან და მაცხოვრის დასჯის გადაწყვეტილება მიიღო.

— **ებრაელთა სასამართლო შემწყნარებლობით გამოირჩეოდა. სასამართლო პროცესი ხანგრძლივად მიმდინარეობდა, რათა ადამიანის გასამართლების მიზეზი ეპოვათ. მაცხოვრის შემთხვევაში, ყველაფერი სწრაფად მოხდა და უსამართლო მსჯავრის გამოსატანად არანაირი მკაცრად დადგენილი წესის დარღვევას არ მოერიდნენ. სასიკვდილო განაჩენი კი გამოუტანეს, მაგრამ მოიწადინეს, ყველაზე შეურაცხმყოფელი და ძნელად ასატანი წამებით — ჯვარცმით მოეკლათ. ამგვარი განაჩენის გამოტანა მხოლოდ რომის კანონებით იყო შესაძლებელი, ამიტომაც განსასჯელად იუდეის რომაელ მმართველს — პილატეს მიჰგვარეს...**

— იმ დროს რომის სასამართლო სამართლიანობით გამოირჩეოდა, არასოდეს გამოჰქონდა მსჯავრი დაწვრილებით გამოკვლევის გარეშე. ამიტომაც, პილატე იკვლევს მიზეზს, თუ რატომ უნდა დასაჯოს მაცხოვარი და იუდეველთა ბრალდება, — თავს მეფეს უწოდებსო, არაფრად მიაჩნია. რომის კანონების მიხედვით, მხოლოდ ნათქვამის გამო ანუ — თუ თავის ნათქვამს ქმედებაში არ მოიყვანდა და დავუშვათ, ჯარს არ შეკრებდა ან ბრძოლას არ დაიწყებდა, ადამიანი არ ისჯებოდა. სინედრიონისგან მოსყიდული ხალხი პილატეს მაცხოვრისთვის ჯვარცმის განაჩენის გამოტანას სთხოვდა. პილატე ცდილობს, ეს არ გააკეთოს, მაგრამ იუდეველთა ზეწოლის შემდეგ, იმის გამო, რომ პატივი, თანამდებობა არ დაეკარგა, მათ ნებას დაჰყვა და უდიდესი ცოდვა ჩაიდინა — პილატეს შეეძლო, მაცხოვრის ჯვარცმის განაჩენი არ გამოეტანა, მაგრამ ეს არ გააკეთა. ვიცით, რომ ბოლოს, მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

— **სინედრიონმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მაცხოვარი ყველაზე შეურაცხმყოფელი და მტკივნეული სასჯელით დაესაჯათ — ჯვარს აცვეს განკაცებული ღმერთი. ეს იყო ყველაზე სამარცხვინო მოვლენა კაცობრიობის ისტორიაში.**

— უფალმა სწორედ ყველაზე მტკივნეული და მძიმე სასჯელი მიიღო კაცობრიობის გამოხსნისთვის. ეს იყო უსაშინლესი ფაქტი, მაგრამ უფალი ყველაფერს კეთილად წარმართავს — კაცობრიობის ისტორიაში ამ ყველაზე მძიმე და სამარცხინო მოვლენას ყველაზე ზეაღმატებულ, კაცობრიობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი დასასრული ჰქონდა — ჯვარცმით მაცხოვარმა კაცობრიობა გამოიხსნა.

იკონოგრაფიაში არსებობს ამგვარი გამოსახულება — ჯვარზე გაკეთებულია სამსხვერპლო, რომელზეც მაცხოვარი შეიწირება ანუ — ჯვარი იყო სამსხვერპლო და საკურთხეველი, სადაც ღვთის წინაშე ბოლო სისხლიანი მსხვერპლშეწირვა მოხდა და ეს იყო თავად განკაცებული ღმერთი, რომელმაც კაცობრიობის ხსნისთვის საკუთარი თავი მიიტანა მსხვერპლად ანუ მსხვერპლიც თვითონ იყო, მღვდელმთავარიც — ვისაც უნდა შეეწირა და ღმერთიც — ვის წინაშეც მსხვერპლი იწირებოდა.

ჯვარზე აღსრულებული გამოხსნით უფალმა ჯვარი — ყველაზე დამამცირებელი და საშინელი დასჯის იარაღი გამარჯვების, ძლევის იარაღად და სიმბოლოდ აქცია.

— **მსხვერპლშეწირვა, რომელმაც კაცობრიობა გამოიხსნა და რომლის შემდეგაც კაცობრიობაზე ეშმაკის ხელმწიფება დასრულდა, გოლგოთაზე აღესრულა. საერთოდაც, რატომ ინება უფალმა რომ სწორედ ისრაელში მოსულიყო, კაცობრიობის გამოხსნა იერუსალიმში მომხდარიყო?..**

— ეს ის ტერიტორიაა, სადაც მიწიერი სამოთხე — ედემის ბაღი არსებობდა, სადაც ადამის ცოდვით დაცემა მოხდა. სავარაუდოდ, სწორედ გოლგოთის ადგილი იყო სამოთხის გული, სადაც კეთილისა და ბოროტის ცნობადის ხე იდგა და უფალმაც იქ ინება კაცობრიობის გამოხსნა, სადაც კაცის დაცემა მოხდა; იქ დაამარცხა და სძლია ეშმაკს, სადაც ეშმაკმა სძლია ადამიანს.

გოლგოთა იყო ის ადგილი, სადაც დაფლული გახლდათ ადამის თავის ქალა და როცა მაცხოვრის პირველი სისხლის წვეთი ამ ქალას დაეცა, შეზანზარდა ჯოჯოხეთი. ჯვარცმის შემდგომ მთავიდა რა უფალი ჯოჯოხეთში, ანგელოზთა დასთან ერთად, მთლიანად დაინგრა ჯოჯოხეთის ბჭენი, გამოიხსნა მართალი სულები და დაამკვიდრა სამოთხეში — ჯვარცმის დროს სასუფევლის კარი გაიხსნა, მაგრამ მასში მხოლოდ ავაზაკი შევიდა, ჯოჯოხეთიდან გამოხსნილი მართალთა სულების გამოხსნა და მათი სასუფეველში დამკვიდრება კი მოხდა იმ დროს, როდესაც მაცხოვარი მკვდრეთით აღდგა... აღდგომით გაიხსნა მარადიული სიცოცხლის, ცხოვრების გზა.

აღდგომა რომ არ მომხდარიყო, ჯვარცმა სიცრუე იქნებოდა, რადგან ის, ვინც ჯვარს ეცვა, ამბობდა, — მე აღვდგებიო. ვიცით, რომ წინასწარმეტყველნი კაცობრიობას მესიის, მხსნელის მისაღებად ამზადებდნენ და წინასწარმეტყველებდნენ ნიშნებს: სად დაიბადებოდა მხსნელი, ვისი ტომიდან იქნებოდა და რაც მთავარია, მას ჯვარს აცვამდნენ და მესამე დღეს მკვდრეთით აღდგებოდა — ეს იყო ყველაზე მთავარი და უპირატესი ნიშანი; შემდგომში, მესიის სახელით თვითმარქვიები გამოჩნდნენ, მაგრამ ვერც ერთი ვერ ბედავდა ეთქვა, — მოვკვდები და მესამე დღეს მკვდრეთით აღვდგებიო. იცოდნენ, რომ ეს არ მოხდებოდა და მათ არააღდგომასთან ერთად, მათი სწავლებაც დასრულდებოდა.

— წლეულს ხარების დღესასწაულს აღდგომის დღესასწაულის შემდეგ მივეგებებით. ამ ფაქტმა ხალხში არაერთი კითხვა, ზოგიერთ ადამიანში კი შიშის გრძნობაც გამოიწვია. რას გვეტყვით ამ საკითხთან დაკავშირებით?

— ხარების დღესასწაულს და აღდგომის დღესასწაულს ლიტურგიკული კავშირი არა აქვს. ხარების დღესასწაულს აქვს მუდმივი თარიღი — იგი ყოველთვის 7 აპრილს აღინიშნება, აღდგომა კი „მოძრავი“ დღესასწაულია და 4 აპრილიდან 5 მაისამდე პერიოდს მოიცავს. „ხარება“ მართლაც, იშვიათად აღინიშნება აღდგომის დღესასწაულის შემდეგ, რამაც ადამიანთა ნაწილს ისეთი წარმოდგენა შეუქმნა, თითქოს ეს რაიმე საშიშროებაზე, საფრთხეზე მიანიშნებს. ვიმეორებ, ეს არის ჩვეულებრივი მოვლენა და ლიტურგიკულად, ასეთი რამ ხდება ხოლმე. ■

რუბრიკა მოამზადა ნინო ჩარგეიშვილმა

საკვერცხეების პოლიკისტოზი

საკვერცხეების პოლიკისტოზი (იგივე სკლეროკისტოზური საკვერცხეები, შტეინ-ლევენტალის სინდრომი) ამ ორგანოში მრავლობითი წვრილი კისტის არსებობას ნიშნავს. დაავადება სქესობრივი მომწიფებისა და რეპროდუქციულ ასაკში გვხვდება და ახასიათებს: ამენორეა (მენსტრუაციის არქონა), ჰირსუტიზმი (ქალებში მამაკაცური ჭარბთმიანობა), უნაყოფობა და საკვერცხეების ორმხრივი გადიდება. საკვერცხეების პოლიკისტოზის განვითარებაში ძირითად როლს ამ ორგანოს მიერ ანდროგენების (მამაკაცის სასქესო ჰორმონი) ნორმაზე მეტი გამოყოფა ასრულებს.

საკვერცხეების პოლიკისტოზის განვითარების რისკ-ფაქტორებია:

* ორსულობის შეწყვეტა, ტოქსიკოზი, ექსტრაგენიტალური დაავადებები;

* ორსულობის პერიოდში გამოყენებული პრეპარატები (განსაკუთრებით, ჰორმონული);

* სქესობრივი მომწიფების პერიოდში განვითარებული დაავადებები და პათოლოგიები (ქრონიკული ინფექციები, ინტოქსიკაციები, გადაჭარბებული გონებრივი და ფიზიკური დატვირთვა, არასაკმარისი კვება და სხვა);

* მემკვიდრეული ფაქტორები;

* მშობელთა ხანდაზმული ასაკი;

* სტრესი (ფსიქიკური ტრავმები, სქესობრივი ცხოვრების ადრეულ ასაკში დაწყება, აბორტი და სხვა).

საკვერცხეების პოლიკისტოზი მენსტრუალური ციკლის სხვადასხვა სახის დარღვევით ხასიათდება: ამენორეა (მენსტრუაციის არქონა), ჰიპომენსტრუალური სინდრომი (მცირე მენსტრუაცია), აციკლური სისხლდენები საშვილოსნოდან. დაავადების მეორე სიმპტომია უნაყოფობა, რომელსაც ხშირად, ზომიერად ან სუსტად გამოხატული ჰირსუტიზმი (თმიანობა), იშვიათიად კი სიმსუქნე ახლავს. პოლიკისტოზის ძირითადი სიმპტომია საკვერცხეების ორმხრივი გადიდება (2-6-ჯერ), რაც გინეკოლოგიური და ულტრაბგერითი გამოკვლევებით ვლინდება. გამოკვლევის დამატებითი მეთოდებიდან აღსანიშნავია ლაპარასკოპია.

საკვერცხეების პოლიკისტოზის თირკმელზედა ჯირკვლისმიერი ფორმის დროს დამახასიათებელი სიმპტომია მენსტრუალური ციკლის დარღვევა და უნაყოფობა. ვლინდება თმის ზომიერი ან მკვეთრად გამოხატული პათოლოგიური ზრდა სახეზე, თეძოებზე, დუნდულებზე, დვრილის გარშემო, მუცლის წინა კედელზე, ბოქვენზე; არის ვირილიზაციის ნიშნები. კერძოდ, სხეულის აღნაგობა უახლოვდება მამაკაცის ტიპს, აღინიშნება სარძევე ჯირკვლების არასრული განვითარება. გინეკოლოგიური და ინსტრუმენტული გამოკვლევის მონაცემებით, საკვერცხეები ორმხრივად გადიდებულია; გადიდებულია თირკმელზედა ჯირკვლებიც.

ჰიპოთალამურჰიპოფიზური ფორმის ძირითადი სიმპტომია მენსტრუალური ციკლის დარღვევა, იშვიათად — აციკლური სისხლდენებიც აღინიშნება. უნაყოფობა, უფრო ხშირად, მეორადია. ეს დაავადება უმეტესად მშობიარობის, აბორტის ან სქესობრივი ცხოვრების დაწყების შემდეგ ვითარდება. ყურადღებას იქცევს გაცხიმოვნება მუცელზე, თეძოებზე. მუცლისა და თეძოების კანზე აღინიშნება მოლურჯო ფერის ზოლები; ჰირსუტიზმი გამოხატულია უმნიშვნელოდ, საკვერცხეები ორმხრივად გადიდებულია, ადგილი აქვს თვის ქალის ძვლების რენტგენოლოგიურ ცვლილებებს — ოსტეოპოროზი.

პოლიკისტოზის დიაგნოსტიკა ეყრდნობა ანამნეზს, კლინიკურ სურათს, გინეკოლოგიური გამოკვლევების, საკვერცხეების ფუნქციური მდგომარეობის შესწავლას, სისხლში ჰორმონების კონცენტრაციის განსაზღვრას. დიდი დიაგნოსტიკური მნიშვნელობა აქვს ულტრაბგერით მონაცემებს. დიაგნოზის დასაზუსტებლად იყენებენ გამოკვლევის ენდოსკოპიურ მეთოდს — ლაპარასკოპიას.

მკურნალობა დამოკიდებულია დაავადების ფორმაზე და მისი მიზანია მენსტრუალური ციკლის, დარღვეული რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა. დაავადების ნებისმიერი კლინიკური ვარიანტის დროს მკურნალობა კონსერვატიული თერაპიით იწყება. თუ 2-3 ციკლის განმავლობაში ოვულაცია არ ვითარდება, მკურნალობას წყვეტენ და პაციენტს ქირურგიულ მკურნალობას უტარებენ, ამის შემდეგ კი მენსტრუალური ციკლი ნორმალიზდება, ჰირსუტიზმი თანდათან მცირდება. თირკმელზედა ჯირკვლისმიერი ფორმის დროს მკურნალობენ პრედნიზოლონით ან დექსამეტაზონით. დექსამეტაზონის დანიშვნა საჭიროა ოპერაციის შემდგომ პერიოდშიც. ■

ჭარბთმიანობა — საუკუნის პრობლემა

ზომიერი თმიანობა თითქმის ყველა ნორმალურ ქალს აქვს, ხოლო რაც შეეხება ჭარბთმიანობას, მის რამდენიმე ტიპს გამოყოფენ:

* ჰორმონულს — ამ დროს მომატებულია მამაკაცის სასქესო ჰორმონის დონე;
* წამლისმიერს (მაგალითად, კორტიკოსტეროიდებით მკურნალობა);
* გენეტიკურს;
* იდიოპათიურს (უცნობი მიზეზი).

როდესაც ჭარბთმიანობა გაცხიმოვნებასთანაა (უპირატესად, სხეულის ზედა ნაწილში) შერწყმული, აუცილებლად უნდა მიმართოთ ექიმ-ენდოკრინოლოგს; როდესაც ჭარბთმიანობასთან ერთად, მენსტრუალური ციკლის მოშლა და სხეულის წონის მატება აღინიშნება, მიაკითხეთ ექიმ-გინეკოლოგ-ენდოკრინოლოგს.

შესაძლოა, ჭარბთმიანობა მემკვიდრული ფაქტორით იყოს განპირობებული, მაგრამ თუ გოგონას სქესობრივი მომწიფების პერიოდში დაეწყო ჭარბთმიანობა და ამას მენსტრუალური ციკლის მოშლაც დაერთო თან, მიზეზი, უმეტეს შემთხვევაში, ჰორმონული დარღვევაა. ამ დროს აუცილებელია გინეკოლოგ-ენდოკრინოლოგთან და არა კოსმეტოლოგთან ვიზიტი — თმის პარსვა ან ეპილაცია პრობლემას ვერ მოაგვარებს; ადრე დასმული დიაგნოზი და სათანადო მკურნალობა კი ამ პრობლემის დამარცხების საშუალებას იძლევა.

■

უშველეთ საკუთარ თავს!

*** სერიოზული გადაღლა**

ზოგ ადამიანს დღის განმავლობაში იმდენად დატვირთული სამუშაო რეჟიმი აქვს, რომ დაღლილობისგან, ღამით დაძინებასაც ვერ ახერხებს. ბუნებრივია, გამოუძინებელს კი მეორე დღეს სამსახურში წასვლა და სრულფასოვანი მუშაობა გაუჭირდება. ასეთმა პირებმა „ძილის მომგვრელი“ ბალიშები უნდა შეიკერონ, რაც უძილობის დასამარცხებლად მეტად მარტივი, იაფი საშუალებაა და მდგომარეობს ბალიშის პირის ქვეშ არომატული, ფიტონციდური მცენარეების (დაფნა, გვიმრა, თხილი, წიწვი, პიტნა და ვარდის ფურცლები) მოთავსებაში.

*** შეფითლებული თვალები**

თვალების სიწითლისა და ქუთუთოების შეშუპების მოხსნის ერთ-ერთი ყველაზე უვნებელი და იაფი მეთოდია ოხრახუშის წვენის საფენების დადება.

მარლისგან შეკერილ პატარა ტომსიკაში ჩაყარეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში და მოათავსეთ ცხელ წყალში. 15-20 წუთის შემდეგ ამოიღეთ, აცალეთ გაგრილება და 10 წუთის განმავლობაში თვალებზე დაიდეთ.

*** მტკივნეული კბილები**

მიხაკის ზეთი შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც ტკივილს აყუჩებს და ბაქტერიებს კლავს. დაასველეთ ბამბის ბურთულა ამ ზეთში და დაიდეთ მტკივან კბილზე.

*** სლოკინი**

თუ არ გშველით ყველასთვის კარგად ცნობილი, ისეთი საშუალებები, როგორიცაა — ნელ-ნელა, დიდ-დიდი ყლუპებით 1 ჩ/ჭ ცივი წყლის დალევა, ხელების შემოხვევა გულმკერდზე, ღრმად ჩასუნთქვა და სუნთქვის მაქსიმალურად დიდხანს შეკავება; წელში 90 გრადუსით მოხრა და წყლის ნელ-ნელა დალევა, მაშინ შეეცადეთ, სლოკინს დაფნის ფოთლების ნაყენით გაუმკლავდეთ: 3-4 დაფნის ფოთოლს დაასხით 1 ჩ/ჭ ადუღებული წყალი, გააჩერეთ 5 წუთით და მიიღეთ 10-15 წვეთი.

*** გამონაყარი**

თუ სახეზე გამოგაყარათ, ანტიბაქტერიული მალამოს წასმას აზრი აღარ აქვს, რადგან ის პროფილაქტიკას ემსახურება და არა — მკურნალობას. უმჯობესია, შეიძინოთ ერთი შუშა სალიცილის მჟავა (100 გ), მასში ჩაყაროთ 5 აბი დაფხვნილი ლევომიცეტინი და ეს ნარევი ბამბის ბურთულით, გამონაყარზე დაიდოთ.

გაითვალისწინეთ: ამ ნარევით მთელი სახის გაწმენდა არ შეიძლება, რადგან კანი აგექერცლებათ.

■

დედის რძე ბავშვს ინტელექტს უმაღლებს

სიცოცხლის პირველ თვეებში მხოლოდ დედის რძით კვება ბავშვის გონებრივ შესაძლებლობებზე დადებითად მოქმედებს, — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ კანადელი მეცნიერები, რომლებიც ბელორუსიაში დაბადებული თითქმის 14000 ბავშვის განვითარებას აკვირდებოდნენ.

კვლევა, რომელსაც მაიკლ კრამერი ხელმძღვანელობდა, 1990 წლიდან ბელორუსიის 31 სამშობიაროში ტარდებოდა. ამ დაწესებულებების თითქმის ნახევარი, მხოლოდ ძუძუთი კვების წახალისების პროგრამას ატარებდა, დანარჩენები კი თავიანთ უწინდელ პრაქტიკას ყოველგვარი ცვლილებების გარეშე მისდევდნენ. ბავშვთა ინტელექტუალურ შესაძლებლობათა შეფასებას მკვლევრები ექვსი წლის ასაკში ახდენდნენ.

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ბავშვებს, რომლებიც დედის რძით, სულ მცირე, სიცოცხლის პირველი სამი თვის განმავლობაში მაინც იკვებებოდნენ, კოგნიტიური უნარების გამომჟღვანების მიზნით ჩატარებულ ტესტებში უკეთესი შედეგები ჰქონდათ. ვერბალური ინტელექტის დასადგენი 100-ქულიანი სკალის მიხედვით ჩატერებულ ტესტებში მათ საშუალოდ 7,5-ით, არავერბალური ინტელექტის დასადგენ ტესტებში — 2,9-ით, ხოლო საერთო ინტელექტის დასადგენ ტესტებში 5,9%-ით მეტი ქულა დააგროვეს. გარდა ამისა, ამ ჯგუფის ბავშვებს საკონტროლო ჯგუფის ბავშვებზე უკეთ ჰქონდათ განვითარებული კითხვის, წერისა და თვლის უნარიც.

მკვლევართა თქმით, სადღეისოდ ძნელი ასახსნელია, რასთანაა დაკავშირებული ინტელექტზე ძუძუთი კვების დადებითი ზემოქმედება. მაიკლ კრამერის ვარაუდით, ეს ეფექტი შეიძლება, დედის რძის ფერმენტების ზეგავლენით, ანდა იმ ფიზიკური და სოციალური ფაქტორებით აიხსნას, რომლებიც ძუძუთი კვების პროცესში დედისა და ახალშობილის კონტაქტისას წარმოიშობა.

■

P.S. **პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე:** nino.char@yahoo.com.

ახალი ნომერი
ოჯახის
მუნიციპალი
ცვნვმ ეკიმოვნ მიხოვლ...

ადამიანი

„მინდა, მოცეკვავის კარიერა საქართველოში დავასრულო“

ალბათ ცოტამ თუ იცის, რომ მსოფლიოში აღიარებულ „ტროას შოუში“ 10-ზე მეტი ქართველი მოცეკვავე მონაწილეობს... ბიჭები იქ ერთ-ერთი პოპულარული ქართული ანსამბლიდან, „ქართული მიზეზების“ გამო წავიდნენ. მიზერული გასამრჯელოს გამო, პროფესიონალებისთვის აქ ცხოვრება გაუსაძლისი გახდა... ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ, თურქეთში ინტერნაციონალური შოუს მოცეკვავეობა გადაწყვიტეს და წარმატებასაც მალე მიაღწიეს...

სამშობლოში დაუფასებელი, წარმატებული ქართველი მოცეკვავე

ლალი პაპასკირი

„ფარიკაობის“, „ხორუმისა“ და „ხანჯლურის“ ფრაგმენტებით შედგენილი ცეკვა, ღვთისმშობლის ხატის გამობრძანებით, ქართული მუსიკის ფონზე იწყება. ამ შთამბეჭდავ სანახაობას მრავალათასიანი დარბაზი ფეხზე ადგომით ხვდება (ამის ნახვა სხვადასხვა ინტერნეტსაიტზეც შეიძლება, საძიებლით — „ქართველები ტროაში“)... და მაინც, ყველა მათგანის ოცნება, საქართველოში დაბრუნებაა, რათა საყვარელ საქმეს სამშობლოში ემსახუროს... როგორ ცხოვრობენ ქართველი მოცეკვავეები თურქეთში და როგორ ხვდებიან სხვადასხვა ქვეყანაში ჩვენს ფოლკლორს — ამის შესახებ, „ტროას შოუს“ მოცეკვავე — ***ლადო ციცაშვილი*** *გვიამბობს, რომელსაც თურქეთში დავუკავშირდი.*

— „ტროას შოუ“ ჩვენი აქ ჩამოსვლის შემდეგ შეიქმნა. როცა თურქეთში, ცეკვის პოპულარულ ანსამბლში გადასვლა გადავწყვიტეთ, მაშინ მას „ანატოლიის ცეცხლი“ ერქვა. რატომღაც არც კი გვჯეროდა, რომ მალე ახალი და უფრო მასშტაბური შოუ შეიქმნებოდა... თავიდან 6-მა მოცეკვავემ ჩვენ მიერ შესრულებული რამდენიმე ნომერი ჩავწერეთ და ჩანაწერი აქ გამოვგზავნეთ... პასუხის მიღებამდე, რამდენიმე თვე საუკუნედ გვექცა. თურქეთში წასვლა „ამქვეყნიური ჯოჯოხეთიდან“ თავის დაღწევის ერთადერთი შანსი იყო...

— მაინც რა გახდა საქართველოდან წასვლის მიზეზი?

— მიუხედავად იმისა, რომ წამყვან ანსამბლში — „სახელმწიფო აკადემიაში“ ვცეკვავდით, პრობლემები თავზე საყრელად გვქონდა... და მაინც, იმ ანსამბლის დატოვება, სადაც 8 წელი თავდაუზოგავად ვიმუშავეთ, ძალიან გაგვიჭირდა. როცა თურქეთიდან დადებითი პასუხი მოგვივიდა, არ ვიცოდი, გამხარებოდა თუ მწყენოდა... ანსამბლიდან წამოსვლის გადაწყვეტილება მივიღე, მაგრამ როცა საკუთარ თავთან მარტო დავრჩი, ვიგრძენი, რომ ეს გადაწყვეტილება ყელში ბურთივით მქონდა გაჩხერილი... ცეკვას ბავშვთა სტუდიაშიც ვასწავლიდი და იქიდან ისე წამოვედი, რომ ვერ შევძელი, მოსწავლეებისთვის მეთქვა, მივდივართ-მეთქი. ვიცოდი, მკითხავდნენ, — რატომ მიდიხართ, მასწავლებელოო? — და ამ კითხვაზე პასუხს გავურბოდი... ისე წამოვედი საქართველოდან, არავის დავმშვიდობებივარ... თურქეთში ჩამოსვლის დღიდან, „ანატოლიის ცეცხლის“ ხელმძღვანელობამ „ტროას“ შოუს შექმნაზე დაიწყო მუშაობა. მიაჩნდათ, რომ ქართული ფარიკაობით ტროას ომების იმიტაციის ნომერი მომგებიანი იქნებოდა... ეს შოუ ინტერნაციონალურია, სხვადასხვა ქვეყნის ტრადიციული ცეკვებისგან შედგება, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მასში ქართულ ცეკვას წამყვანი ადგილი უკავია. ამჟამად აქ სულ 10 ქართველი მოცეკვავე ვართ...

— როგორი იყო „ტროას“ ხელმძღვანელობის რეაქცია, როცა ქართული ფოლკლორი უფრო ახლოს გააცანით?

— „ტროას“ ხელმძღვანელობისთვის ქართული სიმღერისა და ცეკვის ხელოვნება უცხო არ ყოფილა. ერთ-ერთი მათგანი რამდენჯერმე ყოფილა ჩვენს ქვეყანაში და გაოცებული დარჩა. ხშირად აღნიშნავს, — ქართველის გენში იმდენად ზის ცეკვა და სიმღერა, სულაც არ არის აუცილებელი, რომელიმე ანსამბლში მღეროდეს, ეს მას ბუნებისგან აქვს მინიჭებულიო... როცა ჩვენი ცეკვა ნახა, გვითხრა: კავკასიური ცეკვები ხომ ნანახი მაქვს, მაგრამ ამ დონეზე პრო-

ფესიონალურად შესრულებული არასდროს მინახავსო... სასინჯი ნომრების წარმოდგენისას, მთელი ხელმძღვანელობა დაგვესწრო. აქ კარგად მომზადებულები ჩამოვედით, მუსიკაც წამოღებული გვქონდა. ვნერვიულობდით, მაგრამ ცეკვის დასასრულს, მახსოვს, სარეპეტიციო დარბაზი ოვაციებისა და ემოციებისგან ლამის დაინგრა. ფეხზე წამოგვიდგნენ, ისე, მაყურებელი „ბისზე“ რომ გიხმობს... ეს უკვე გამარჯვებას ნიშნავდა!.. ერთ-ერთმა ისიც გვკითხა, ცერებზე როგორ ცეკვავთ, თითები არ გტკივათო?.. ჩვენი მოცეკვავე გეეხუმრა: 3 ლიტრ წყალში 2 ჭიქა მარილი ჩაყარე, თითები ავარჯიშე და არც შენ გაგიჭირდებაო... თუმცა პრობლემებიც გვქონდა, — ცეკვის ილეთებში, ერთი შეხედვით მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა უნდოდათ, მაგრამ ამის საშუალება არ მივეცით. ბოლოს მაინც დაგვითმეს. მივხვდით, რომ ეს მათი მხრიდან ნიადაგის მოსინჯვა იყო. მას შემდეგ ჩვენს საქმეში აღარც ჩარეულან... როცა უცხო ქვეყანაში მუშაობ, არის ისეთი წვრილმანები, რასაც საქართველოში ყურადღებას არ აქცევ, მაგრამ უცხოეთში ვერ შეეგუები.

— **მაგალითად?**

— თუ საქართველოში რეპეტიციებს ცივ დარბაზში გაივლი, მოითმენ და აიტან, აქ ამაზე არ გაჩუმდები... გარდა ამისა, თუ სამშობლოში, უფულობის გამო, კილომეტრობით მანძილს ფეხით გავდიოდით, აქ მანქანა გვემსახურება და მძღოლს, რამდენიმე წუთი რომ დაიგვიანოს, ვსაყვედურობთ... საქართველოში შეგვეძლო, მთელი დღე გვევარჯიშა და შიმშილი არც კი გაგვახსენდებოდა, მაგრამ აქ სხვა მოთხოვნები გვაქვს...



ახლა, „ტროას შოუსთან“ ერთად, მთელი მსოფლიო მაქვს მოვლილი

იქ ნებისმიერი მოცეკვავე საკუთარ თავს იმაზე მეტს სთხოვს, ვიდრე შეუძლია

არ ვიცი, ეს ემიგრანტული „წიკია“ თუ არა, მაგრამ ასეთი დეტალი ბევრია... რაღაც პრობლემები აქაც გვაქვს, მაგრამ მოგვარება შეიძლება, საქართველოში კი პირიქით, მათი რიცხვი მატულობდა... უამრავ წვრილმან თუ მსხვილმან საზრუნავზე ფიქრში ვათენ-ვაღამებდი. არასრულფასოვანი კვებისა და ცხოვრების პირობების გამო, ჯანმრთელობა გამიუარესდა და ეს იყო ბოლო წერტილი, რამაც ქვეყნის დატოვებისკენ მიბიძგა...

— **მიგაჩნია, რომ ახლა შენი, როგორც მოცეკვავის, კარიერის პიკია?**

— ქორეოგრაფი არ გვყავს, თუმცა იქ ნებისმიერი მოცეკვავე საკუთარ თავს იმაზე მეტს სთხოვს, ვიდრე შეუძლია. ყველანაირად ვცდილობთ, მაყურებელს კარგი სანახაობა შევთავაზოთ. ბევრი რამის გათვალისწინება გვიწევს: შოუს კონცერტებს თითქმის ერთი და იგივე მაყურებელი ესწრება და ყოველ ჯერზე მას რაღაც სიახლე უნდა შევთავაზოთ... რაც შეეხება კარიერას: ჩემი კარიერის პიკი და ჩემთვის, როგორც ქართველი მოცეკვავისთვის, უდიდესი ბედნიერებაც იყო, როცა საქართველოს სახელმწიფო ანსამბლში მიმიღეს. ეს იყო ოცნება, რომელიც ამისრულდა. მანამდე კი ძალიან რთული გზა გავიარე... ახლა, „ტროას შოუსთან“ ერთად, მთელი მსოფლიო მაქვს მოვლილი, ერთსა და იმავე ქვეყანაში რამდენჯერმეც ვყოფილვართ, მაგრამ ჩემთვის დაუვიწყარია პირველი გასტროლები ქართულ ანსამბლთან ერთად... ამ ანსამბლში პროფესიულად, ყოველდღე ვიზრდებოდი, ამიტომაც, იქიდან წამოსვლა გამიჭირდა. ქართულ სცენაზე ბედნიერი ვიყავი, მაგრამ სცენის მიღმა — უბედური. ეს პრობლემა ყველა იმ ადამიანს ჰქონდა, ვინც დღეს თურქეთში ჩემთან ერთად ცეკვავს... ახლა სულ სხვა რეალობაში ვცხოვრობთ, ზედმიწევნით ორგანიზებული ტურნეები და მაყურებლით სავსე დარბაზები ერთმანეთს ენაცვლება. შოუში არის ერთი ისეთი ადგილი, სადაც ისმის შეძახილი, — „ტროა მარტო არ არის, აგერ კავკასიელები მოდიან“... როცა სცენაზე ქართული საცეკვაო მუსიკა ჟღერს და ჩვენ ჩოხებით გამოვდივართ, დარბაზი ოვაციებისგან ინგრევა, მაყურებელი ფეხზე დამდგარი გვიკრავს ტაშს და ემოციებს ვერ იკავებს... არაერთხელ იყო შემთხვევა, როცა უცხოელ მაყურებელს უთქვამს: თქვენ რომ გიყურებდით, ქართველობა მომინდაო... ჩვენი ხალხი თითქმის მთელ მსოფლიოშია მიმოფანტული და კონცერტების შემდეგ, ქართველი ბიჭები ცოტა ხანს ვყოვნდებით, რადგან ზუსტად ვიცით, ემიგრანტი ქართველები მოვლენ; ისე გვხდებიან, როგორც ოჯახის მონატრებულ წევრებს... ისეთი შემთხვევაც მახსოვს, როცა ჩვენს სანახავად მოსულ ქართველებს დარბაზში ადგილები ვერ უშოვიათ, მაგრამ კონცერტის ბოლომდე დაგვლოდებიან იმისთვის, რომ გამოგვლაპარაკებოდნენ... ტურნედან დაბრუნების შემდეგ, რეპეტიციების დაწყებამდე, ინგლისურისა და მუსიკის გაკვეთილები გვაქვს. ზოგჯერ დატვირთული გრაფიკით გვიწევს მუშაობა, ზოგჯერ შედარებით თავისუფლები ვართ... მოულოდნელი ვიზიტებიც გვაქვს; ერთ დილით რეპეტიციიდან პირდაპირ ეგვიპტეში წასვლამ მოგვიწია, ამიტომაც პასპორტი სულ თან დაგვაქვს და ჯარისკაცებივით, სულ მზადყოფნაში ვართ.

— **თურქეთში მცხოვრები ქართველები ახსენე...**

— კი, მათთან ვმეგობრობთ. ისინი, როგორც ვთქვი, ჩვენს კონცერტებს ესწრებიან. ჩვენთან ურთიერთობა მათთვის ის ძაფია, რომელიც მშობლიურ ფესვებთან აკავშირებს... ქართული ცეკვის სწავლას გვთხოვენ, ძალიან უნდათ, რომ მათი შვილებიც ცეკვავდნენ ტრადიციულ ცეკვებს. ხშირად სახლშიც გვეპატიჟებიან. უმეტესობამ საქართველოს შესახებ მხოლოდ გადმოცემით იცის, მაგრამ თავისი წარმომავლობით ამაყობს. ჩვენს ტრადიციებსა და ყოველდღიურ ცხოვრებაზე მუდმივად გვეკითხებიან. „ძველი საქართველოს“ შესახებ თვითონაც ბევრი რამ იციან, დარბაზი აქვთ, სადაც კვირაში 3 დღე იკრიბებიან და მცირე ვირტუალურ-ისტორიულ „ექსკურსიას“ აწყობენ, ქართულ სიმღერასა და ცეკვას სწავლობენ. ხშირად მათ საქართველოდან ჩამოსულებიც სტუმრობენ...

— **ყველაზე დიდი შთაბეჭდ-**

ილება გასტროლებისას სად მიგიღია?

— იმდენს ვმოგზაურობთ, რომ ზოგჯერ ვხუმრობთ, თვითმფრინავში ვცხოვრობთ-თქო. ბილეთებს ვინახავ, რომ არ დამავიწყდეს, რომელ ქვეყანაში რა დროს ვიფრინეთ. ზოგჯერ ერთ კვირაში 4 ქვეყანა შემოგვივლია. ერთ დღეს ბაქოში ვისაუზმეთ, სტამბოლში ვისადილეთ, პარიზში ვივახშმეთ, 9-საათიანი ფრენის შემდეგ, კარიბის კუნძულებზე ჩავფრინდით და იქაც ვივახშმეთ... ხშირად გრძელვადიანი ტურნეც გვაქვს. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ესპანეთის ტურნე. სარაგოსაში დიდი ფესტივალი იყო გამართული, სადაც სხვადასხვა ქვეყანა იყო წარმოდგენილი, ბევრი ანსამბლი იყო ჩამოსული. ქართული ფოლკლორული ანსამბლებიდან არავინ ყოფილა, მაგრამ ქართული კუთხე იყო გაკეთებული, სადაც საზოგადოებას ღვინით უმასპინძლდებოდნენ და ქართული სუვენირები იყიდებოდა... დაუვიწყარი იყო ეგვიპტეს ტურნეც. პირამიდების წინ დიდი სცენა იყო აღმართული, სადაც „ტროას შოუ“ ულამაზესი განათებითა და დეკორაციით გაიმართა... მინდა, ჩვენს ბოლო ტურნეზე მოგიყვეთ, რომელიც გერმანიაში მოეწყო. ბერლინის ცენტრალური, 4-ათასკაციანი დარბაზი გადაძეძგილი იყო. კონცერტის დასრულების შემდეგ, შოუს ხელმძღვანელობამ მაყურებელს სიურპრიზი გაუკეთა. როცა კონცერტი დასრულდა და მთელი დარბაზი სცენაზე ავედით, უეცრად, უკანა დეკორაცია ზემოთ აცურდა და საოცრად ლამაზი, „ტროას“ ბრენდითა და გაშლილი მაგიდებით სავსე დარბაზი გაჩნდა. თავი ზღაპარაში გვეგონა, რადგან არც ჩვენ ვიცოდით ამის შესახებ. მთელი დარბაზის მაყურებლები რესტორანში დაპატიჟეს. ხალხი გაოცებული იყო, ვერ იჯერებდა. ზღაპრული სუფრა იყო გაშლილი, ალკოჰოლური სასმელებითა და ეგზოტიკური საჭმელებით.

— ლადო, შენს სამოგავლო გეგმებზეც მოგვიყევი...

— საქართველო მენატრება... სამშობლოში დაბრუნებასა და იქ თავის დამკვიდრებაზე გამუდმებით ვფიქრობ. ეს ჩემი ტკივილია... მინდა, როგორც სხვა ნორმალური ადამიანი, მეც ერთ ადგილზე, ჩემს ქვეყანაში ვცხოვრობდე და ჩემს საქმეს იქ ვაკეთებდე. არ მინდა, სცენიდან ისე წავიდე, რომ ქართული სცენის ნოსტალგია მქონდეს. „ტროას“ ქართველი მოცეკვავეების ოცნებაა, ბოლო ცეკვა საქართველოს სახელმწიფო დარბაზში შევასრულოთ და ქართველ ხალხს დავუმტკიცოთ, რომ მსოფლიო მოვიარეთ და იმ საქმეს, რომელიც სიცოცხლესავით ძვირფასი და მნიშვნელოვანია ჩვენთვის, პირნათლად ვემსახურეთ; რომ ქართული ხელოვნების საგანძურისთვის, ტრადიციული ცეკვისთვის ჩრდილი არ მიგვიყენებინა... ■

პატრული, რეკორდსმენი და ჩემპიონი

ანუ კაცი, რომელიც თავისუფალ დროს „გრელკას“ გახეთქს

28 წლის ლევან გილიგაშვილი სულ რამდენიმე კვირაა, რაც ამერიკიდან საქართველოში მსოფლიოს ჩემპიონისა (ძალისმიერ სამჭიდ-ში) და მსოფლიოს რეკორდსმენის ტიტულით დაბრუნდა. ის პარალე-ლურად საპატრულო პოლიციის თანამშრომელიცაა... თავდაპირველად სოფელში ვარჯიშობდა, შემდეგ კი, ვარჯიში თბილისში განაგრძო. ჩემპიონ-რეკორდსმენი თავისუფალ დროს, თურმე თავს „გრელკის“ გახეთქთაც ირთობს...

ელენე გასილიძე

— ლევან, როდის დაიწყე სპორტის ამ სახეობაში ვარჯიში?

— ძალისმიერ სამჭიდში, დაახლოებით 1990 წლიდან ვვარჯიშობ. სპორტის ამ სახეობაში, სპორტსმენები, შტანგას დაწოლილები ვწევთ. თავიდან, სოფელში ვვარჯიშობდი, გურჯაანის რაიონის სოფელი არაშენდიდან ვარ. ამ სპორტისადმი ბავშვობიდან მქონდა მისწრაფება, სახლში სავარჯიშო გირები დავაგროვე. მოგვიანებით ისინი რომ აღარ მყოფნიდა, აკუმულატორს ტყვიას ვაცლიდი და შტანგას ვკიდებდი, რომ სიმძიმე მომატებოდა. როცა თბილისში ჩამოვედი და ვნახე, ძალისმიერ სამჭიდში საქართველოს ჩემპიონატზე, ჩვენი ნაკრები როგორ გამოდიოდა, გადავწყვიტე, უფრო აქტიურად მევარჯიშა და მომდევნო წელს, ჩემპიონატში მეც მიმეღო მონაწილეობა. ვარჯიში ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარბაზში განვაგრძე და ერთ წელიწადში, საქართველოს ჩემპიონატზე პირველი ადგილი დავიკავე. ცოტა ხნის წინ, რაც ამერიკიდან ჩამოვედით — ნიუ-ჯერსის შტატში, ქალაქ ბოლდენთაუნში გამართულ ჩემპიონაზე, ჩვენი გუნდი პირველ ადგილზე გავიდა.

— რა წონით კატეგორიაში მონაწილეობდი?

— საერთოდ, 75 კილოს ვიწონი და შესაბამისად, ამ წონით კატეგორიაში ვმონაწილეობ ხოლმე. ამერიკაში მსოფლიო რეკორდი მოვხსენი, მათი რეკორდი 170 კილოგრამი გახლდათ, რომელიც 15 კილოგრამით გავაუმჯობესე. ასე რომ, 185 კილოგრამი ავწიე... ისე, სულ სამჯერ მაქვს საკუთარი რეკორდი მოხსნილი.

— შეჯიბრებაში სულ რამდენი გუნდი მონაწილეობდა?

— დაახლოებით 9-10 ქვეყნის გუნდი მონაწილეობდა. ამერიკაში შერჩეული გუნდები ჩავიდნენ. მანამდე კი საქართველოში, ისევე, როგორც ყველა ქვეყანაში, მოეწყო შიდა შესარჩევი ტურნირი და საუკეთესო ძალოსნები შეგვარჩიეს... ამერიკაში საკმაოდ დაძაბული გამოსვლები გვქონდა. რუსეთის გუნდი კარგად იყო მომზადებული, მაგრამ საბოლოოდ ყველას მოვუგეთ.

— ალბათ, სპორტის ამ სახეობაში, წონის შენარჩუნება ძალიან მნიშვნელოვანია...

— მართლაც ასეა, ვცდილობ, 75 კილოგრამს არასოდეს ავცდე, თუ ვხვდები, რომ მოვიმატე, უფრო დიდი დატვირთვით ვვარჯიშობ და ვცდილობ, ძველი წონა დავიბრუნო. ამერიკაში წონის პრობლემა შემექმნა, 2 კილოგრამი მოვიმატე. როგორც ჩანს, იქაური საკვების ბრალი იყო. შეჯიბრების წინაღამეს, 11 კილომეტრი ვირბინე, რომ ტურნირზე ჩემს წონით კატეგორიაში გამოვსულიყავი. ისე ვიყავი დაღლილი, მეგონა, შეჯიბრებაში მონაწილეობას ვერ შევძლებდი; თან, მწვრთნელი არ გავაფრთხილე, სავარჯიშოდ რომ მივდიოდი. მან შეჯიბრებამდე წონის დაგდება ამიკრძალა და მითხრა, რომ 82-კილოგრამიანთა წონით კატეგორიაში გავსულიყავი...

— ლევან, პრიზად რა გადმოგცეს?

— მოოქრული სტატუეტი და დიპლომი, სადაც აღნიშნულია, რომ მსოფლიოს ჩემპიონი და ამავე დროს, მსოფლიო რეკორდსმენი ვარ. აგრეთვე, ამ ჩემპიონატზევე წლის საუკეთესო ამწევის ტიტულიც მარგუნეს.

— ამერიკა როგორ მოგეწონათ?

— კარგია, ლამაზია, მაგრამ სხვი-

ჩვენი გუნდი პირველ ადგილზე გავიდა

სია... ასე რომ, ჩემი საქართველო 100 ამერიკას მირჩევნია... არასოდეს დავუშვებ, რომ რომელიმე შეჯიბრებაზე, სხვა ქვეყნის სახელით გამოვიდე! მირჩევნია, ჩემს ქვეყანაში მშიერი ვიყო, ვიდრე სხვა ქვეყანაში მილიონები მაძლიონ...

ამერიკაში წონის პრობლემა შემექმნა, 2 კილოგრამი მოვიმატე

— რა პროფესიის ხარ?

— პროფესიით მწვრთნელი ვარ, სპორტის აკადემია დავამთავრე. 2004 წლიდან კი, რაც საპატრულო პოლიცია შეიქმნა, შს სამინისტროს საპატრულო პოლიციაში ვმუშაობ.

— სამსახურში თუ იციან, წარმატებული სპორტსმენი რომ ხარ?

— კი, გაიგეს და მილოცვებს ვიღებ (*იცინის*). რომ არა ჩემი ხელმძღვანელების ხელშეწყობა და მხარდაჭერა, ამ რეკორდის დამყარებას ვერ შევძლებდი. გვერდით მედგნენ, მამხნევებდნენ და თუ მჭირდებოდა, სამსახურიდანაც მათავისუფლებდნენ.

— ეს შეჯიბრება შენთვის პირველი გასვლა იყო საზღვარგარეთ?

— კი, უცხო ქვეყანაში საქართველოს სახელით პირველად გავედი. ისე კი, არაერთი ქართული ტურნირი მაქვს მოგებული, საქართველოს რვაგზის ჩემპიონი ვარ. პირველად, ჩემპიონი 2001 წელს გავხდი, ბოლოს კი — 2009 წლის დეკემბერში, რის შემდეგაც, ამერიკაში გავემგზავრე.

— ამერიკაში რამდენ ხანს დაყავი?

— ტურნირზე ერთი კვირა ვიყავით, მოვიგეთ და წამოვედით, ლომივით ბიჭები ჰყავს საქართველოს ნაკრებს (*იღიმება*)! სულ 8 სპორტსმენი ვიყავით და 5 ოქროს „ქანდაკება“ ჩამოვიტანეთ. რუსები დაიბოღმნენ, რადგან ჩვენს ფონზე საერთოდ არ ჩანდნენ. პირველ ადგილზე — ჩვენ, მეორე ადგილზე — ამერიკა და მესამეზე — ინგლისი გავიდა.

— მეუღლე არ გყავს?

— არა, ჯერ არ მყავს, რაც ჩემპიონი გავხდი, გოგონები უფრო მეტ ყურადღებას მაქცევენ, თაყვანისმცემელთა რაოდენობამ აშკარად მოიმატა (*იცინის*).

— ლევან, შენზე გავიგე, „გრელკას“ ბერავს და ხეთქსო...

— (*იცინის*) კი, ამ უნარით, არაერთხელ გამიოცებია ჩემი მეგობრები. ერთხელ, აფთიაქში შევედი და ახალგაზრდა ფარმაცევტი რომ დავინახე, გადავწყვიტე, გავხუმრებოდი. „გრელკა“ ვიკითხე, გოგონამ მომაწოდა. შეიძლება, აქვე გავსინჯო? იქნებ, გასდის და არ მინდა, „ბრაკი“ წავიღო შინმეთქი — ვუთხარი... — წყალს ჩაგისხამთ ახლავეო! — შემომთავაზა, მაგრამ ვიუარე: — რად მინდა წყალი, გავბერავ და ჰაერს თუ გაუშვებს, აღარ ვიყიდი-მეთქი. გავბერე და რომ შეატყო გოგონამ, გაჩერებას აღარ ვაპირებდი, შეშინებული მაგიდის ქვეშ დაიმალა. „გრელკა“ რომ გავხეთქე, ვუთხარი: — გაფუჭებული ყოფილა, ამას როგორ მაძლევდით-მეთქი?! — და გამოსვლა დავაპირე, რომ გოგონა აყვირდა, — ახლავე გადაიხადე იმ „გრელკის“ საფასური, თორემ პატრულს გამოვუძახებო! პატრულიც იქვე ვიყავი და საინტერესოა, ვიღას იძახებდა?! ხანდახან ასე ვეხუმრები ხალხს (*იღიმის*).

ტურნირზე ერთი კვირა ვიყავით

— სამომავლოდ რას აპირებ?

— კვლავაც ინტენსიურ ვარჯიშს ვაპირებ და სანამ შემეძლება, მინდა, რომ საქართველოს უფრო მეტი წარმატება მოვუტანო. მინდა, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი გავხდე. ასევე, ვემზადები ამერიკული „არნოლდ ფესტივალისათვის“, რომელიც აგვისტოში, კალიფორნიის შტატში ჩატარდება. ამ ფესტივალს, თავად კალიფორნიის შტატის გუბერნატორი, არნოლდ შვარცენეგერი კურირებს.

— საქართველოდან ამ ფესტივალზე ისევ ძალისმიერი სამჭიდის გუნდი წავა?

— ამ ფესტივალზე მონაწილეობის უფლება მხოლოდ ძალოსან რეკორდსმენებს აქვთ. საკმაოდ რთული შეჯიბრება იქნება და მზადება უკვე დავიწყე. ვიცი, ძალიან დიდი ძალისხმევა დამჭირდება. ამ შეჯიბრების პრიზიორი რომ გავხდე, ამისთვის ძალ-ღონეს არ დავიშურებ!

— წარმატებებს გისურვებ.

— დიდი მადლობა!

დაუსვით
www.mkurnali.ge
კითხვა ექიმს

პოჩოტი და ჭეშმარიტ ტყუილი

გაცუცურაკებული ბაბუა, ცოცხალი მიცვალებული და მოძალადე ქალის მსხვერპლი

„დღეს პირველი აპრილია, მოტყუება ადვილია“ — ეს ფრაზა ალბათ, თქვენთვისაც ბევრს უთქვამს. მეც არაერთხელ გავმხდარვარ ტყუილის მსხვერპლი, მაგრამ ახლა, რომელიმე კონკრეტული მაგალითის გახსენებას ნამდვილად არ ვაპირებ. ტყუილი კარგია, თუ ის ბოროტი არ არის. იმედია, ჩემი რესპონდენტების მონაყოლის წაკითხვის შემდეგ აღარ დაგავიწყდებათ, რომ დღეს პირველი აპრილია და ხუმრობის მსხვერპლად არ იქცევით.

ლიკა ქაჯაია

სალი, *17 წლის:*

— გასულ წელს, საპირველაპრილოდ მაგარი ხუმრობა მოვიგონე და ბაბუ გავაცუცურაკე. იმ დღეს ბებოს ვთხოვე, ნათესავთან — ნიასთან წავეყვანე. ნია ჩემი თანატოლია და გარდა იმისა, რომ ერთმანეთს ვენათესავებით, კარგი მეგობრებიც ვართ. ვიდრე სახლიდან გავიდოდით, ბებო მაგრად გამოვპრანჭე და წითელი პომადაც წავუსვი. ბაბუს რომ დავემშვიდობეთ, კაცი გაეხუმრა: ჩემო ქსენო, გათხოვებას ხომ არ აპირებ, ეს როგორ გამოპრანჭულხარო? ბებომ წაიკეკლუცა და — ჰო, ამ სიბერეში უნდა გიღალატოო, — უთხრა. მე და ბებომ ჯერ ზოოპარკში გავისეირნეთ (ჩემივე თხოვნით), მერე ნიასთან წავედით. ბებო და ნიას დედა ლაპარაკში, სერიალების ყურებაში ისე გაერთნენ, რომ ჩვენი, ჩემი და ნიას არსებობაც კი დაავიწყდათ. ამასობაში, მე ბაბუს დავურეკე და ვითომ, ტირილით ვუთხარი: ბებომ ჯერ ზოოპარკში წამიყვანა, იქ ვიღაც კაცს გამოელაპარაკა, მერე მე აქ დამტოვა, თვითონ კი სადღაც წავიდა და ჯერ არ გამოჩენილა. სახლში ხომ არ მოსულა-მეთქი?.. ბაბუმ სიცილით მითხრა: შვილო, რატომ მაშაყირებთ? დროზე წამოდით, თორემ, დაგაღამდებათო. მე ავსლუკუნდი და იმდენი ვექაქანე, რომ საცოდავი კაცი ლამის გადავრიე — მან დაიჯერა, რომ ბებო ღალატობდა, რომ ის ვიღაც კაცთან წავიდა და სასწრაფოდ, ნათესავის სახლში, გულგახეთქილი მოვარდა. როცა ბებო დაინახა, იყვირა: ოხ, შე როსკიპო, როდის მოეთრე? იცოდე, ჩემმა თვალებმა აღარ დაგინახოსო. ბებოს გაოცებისგან ყბა ჩამოუვარდა, ნათესავმა ქალმა კი უყვირა: შე საცოდავო, ასე როგორ გამოტყვერი, ჭკუაც რომ დაგიკარგავსო?! მე და ნიამ კი იმდენი ვიცინეთ, ლამის შუაზე გავიფხრიწეთ... როცა გაირკვა, რომ ყველაფერი ჩემი „ნაჩალიჩარი“ იყო, ბებომ სულ „საძაგელი ბავშვი“ მეძახა, ბაბუმ კი „ნამუსზე შემაგდო“, — უკვე გასათხოვარი გოგო ხარ და ასეთი საქციელი არ გეკადრება, ასე ცუდი გოგონები იქცევიანო. საბოლოოდ, იმიტომ, რომ პირველი აპრილი იყო, დანაშაული მაპატიეს.

სხვათა შორის, ამ ამბის შემდეგ, ბაბუ ბებოს მარტოს არსად უშვებს; მგონი, ძალაუნებურად, მაგრამ მაინც, ამ სიბერეში ეჭვიანობა დავაწყებინე...

ბადრი, *19 წლის:*

— 2 წლის წინ რუსეთში მყოფ მეგობარს გავეკაიფეთ და ვუთხარით, რომ ჩვენი საერთოდ მეგობრის, ლიას ბაბუა გარდაიცვალა. ეს მოხუცი კაცი რამაზს ძალიან უყვარდა და შეგვპირდა, — აუცილებლად ჩამოვალო! ის მართლაც, 5 დღის შემდეგ ჩამოფრინდა. თან, დაგვირეკა: აუ, გთხოვთ, თბილისში მანქანით დამხვდით და ხარჯებს მე დავფარავო. ისე გვენატრებოდა, რომ აღარ ვუთხარით, ასე მწარედ საპირველაპრილოდ თუ გავეხუმრეთ. მას თბილისში დავხვდით. საცოდავი, ლიას ბაბუს „სიკვდილის“ ამბავს ძალიან განიცდიდა და სადღაც ხაშურში, „ვენოკიც“ კი იყიდა, წარწერით — სახსოვრად შვილიშვილის მეგობრებისგან. ჩვენ მისთვის კიდევ ერთი სიურპრიზი გვქონდა მოწყობილი.

როცა სოფელში ჩავედით და ლიას სახლთან მივიყვანეთ, მანქანიდან „ვენოკით“ ხელში გადმოვიდა და გვითხრა, — ამას მე ვერ წავიღებ, თქვენ შეიტანეთო. სახლიდან ლია გამოგვეგება, შავებში ჩაცმული და თვალცრემლიანი — ხახვი ჰქონდა თვალებში ამოსმული. ის რამაზს გადაეხვია, პატივისცემისთვის მადლობა გადაუხადა, მერე კი „ვენოკის“ შინ შეტანაც თავად იტვირთა. ამასობაში, სახლიდან ლიას ბაბუ გამოვიდა და... ლიამ კივილი დაიწყო, ბიჭებიც ვითომ, შიშისგან გავიფანტეთ, მხოლოდ რამაზი იდგა გაშეშებული და იძახდა: დაუჯერებელია, დაუჯერებელია. როცა ნიკო ბაბუა რამაზს გადაეხვია და მოიკითხა, ბიჭმა იყვირა, — ფუი ეშმაკსო და ისიც კვალში ჩაგვიდგა. საცოდავი ნიკო ბაბუს სახე უნდა გენახათ, გაკვირვებული იძახდა: რა სჭირთ ამ ბავშვებს? მგონი, ყველანი გამოსალოცები არიანო... ბოლოს, როცა რამაზმა სიმართლე შეიტყო, ლამის გაგიჟდა და მის შემორიგებას დღემდე ვცდილობთ. მართალია, გველაპარაკება, მაგრამ ბოლომდე აღარ გვენდობა. ახლა თქვენი მეშვეობითაც ვთხოვ: რამაზ, მართალია, ახლაც პირველი აპრილია, მაგრამ აღარ მეხუმრება. ძმაო, შეგვირიგდი და გპირდებით, აღარასდროს, აღარასდროს შევეცდებით შენს მოტყუებას!..

და კიდევ, როცა ნიკო ბაბუამ გაიგო, რაშიც იყო საქმე, იმდენი იხარხარა, რომ დარწმუნებული ვარ, 10 წლის სიცოცხლე მაინც მოემატა და ამიტომაც, ვფიქრობ, ეს ხუმრობა ამად ღირდა.

ზურა, *28 წლის:*

— ჩემი ერთ-ერთი მეგობარი სიმპათიური ბიჭია და გოგონები, მის გამო, ლამის, ვენებს იჭრიდნენ; როცა ვანო ქუჩაში გამოჩნდებოდა, ყველა ქალს „გულის პრანჭვები“ ეწყებოდა და ამაზე ბიჭები მაგრად ვხალისობდით. მას შეყვარებული არ ჰყავდა და ეს მისმა თაყვანისმცემლებმაც იცოდნენ. ერთხელ, როცა ბიჭები „ვბირჟაობდით“, ჩვენი მეგობარი მოვიდა და გვითხრა: ახა-

ლი ამბავი გაიგეთ? ვანოს ცოლად ნინი მოუყვანიაო. თავიდან გვეგონა, მეგობარი გვაშაყირებდა, რადგანაც იმ დღეს პირველი აპრილი იყო, მაგრამ როცა ვანო „ბირჟაზე“ არ გამოჩნდა, გადავურეკეთ — ტელეფონი გათიშული ჰქონდა; მერე შინ მივაკითხეთ. მისმა მშობლებმა დაგვინახეს თუ არა, მოგვცვივდნენ: თუ იცოდით, ცოლის მოყვანას რომ აპირებდა, რატომ არ გვითხარითო?!. ნინიზე ბევრი ჭორი დადიოდა. ამბობდნენ, რომ მას სხვა კაცთან ჰქონდა ურთიერთობა და ბიჭები ისე ვუყურებდით, როგორც ხელიდან წასულს ქალს; მასზე იმდენი გვქონდა ნალაპარაკევი, რომ სირცხვილისგან არ ვიცოდით, ვანოსთვის თვალებში როგორ შეგვეხედა... სიძე-პატარძლის სანახავად რამდენიმე დღის შემდეგ მივედით. მეგობარმა დაგვინახა თუ არა, თვალები გაუბრწყინდა, რძალმა კი სასწრაფოდ, სუფრასთან მიგვიპატიჟა. როცა შევზარხოშდით, ვანოს ვუსაყვედურეთ, — თუ ცოლის მოყვანას აპირებდი, ჩვენ რატომ არაფერი გვითხარი-თქო? იმწუთას არაფერი უთქვამს, მაგრამ რაღაც პერიოდის შემდეგ „აღსარება“ ჩაგვაბარა.

აი, რა გვიამბო ვანომ: „ჯერ იყო და, ნინიმ მითხრა, სიმსივნე მაქვს და რამდენიმე თვეში მოვკვდებიო. ვუთხარი, — რას მაშაყირებ? ვიცი, რომ დღეს პირველი აპრილია-მეთქი! არაო, — თავი გამოიდო: — ასეთ ტყუილს მხოლოდ გიჟი თუ მოიფიქრებს, მე მართლა მოვკვდები და შენი სიყვარული მიწაში ჩამყვებაო. ბიჭებო, ძალიან შემეცოდა და იმწუთას, ტირილიც კი მომინდა. ისე შემებრალა, რომ მზად ვიყავი, ყველა მისი სურვილი, მოთხოვნა შემესრულებინა. შემდეგ ნინიმ მითხრა: დღეს ჩემი ძმის დაბადების დღეა და გთხოვ, წამოდი, შენც დაპატიჟებული ხარო. უარი ვერ ვუთხარი. როცა მის სახლში მივედით, ქეიფი უკვე კარგა ხნის გაჩაღებული იყო, უამრავი სტუმარი ჰყავდათ. ოთახში შევედით თუ არა, ნინიმ ხმამაღლა გამოაცხადა: — ეს ბიჭი ჩემი საქმროა, გაიცანითო. ხმა ვერ ამოვიღე, რადგან არ მინდოდა, უხერხულ მდგომარეობაში ჩამეგდო ნინიც და საკუთარი თავიც. სტუმრები წამოიშალნენ და სათითაოდ გადაგვკოცნეს, მერე გვკითხეს, — დაქორწინებას როდის აპირებთო? ჩემ მაგივრად, მათ ნინიმ უპასუხა: დღესვეო. ძალიან გავბრაზდი. მინდოდა, მეყვირა: — ეს ქალი იტყუება-მეთქი, მაგრამ ხმა ვერ ამოვიღე, თითქოს დავმუნჯდი. ყველანი მოგვესივნენ და ხელახლა დაგვიწყეს კოცნა-პროშნა. მინდოდა, იქაურობა დამეტოვებინა და წამოვსულიყავი, მაგრამ ვერც ეს შევძელი. მერე ნინიმ მიჩურჩულა: ნუ

დამღუპავ, გოგო ვარ და სახელს ნუ გამიტეხ, ერთი-ორი წელი ერთად ვიყოთ, მერე მე მოვკვდები და გაგათავისუფლებო. ყელში ბურთი მომებჯინა... ბოლოს, ავყევი მაიმუნობაში და შემრჩა ხახვივით. იმედია, ახლა მაინც გესმით ჩემი და არ მიბრაზდებით!“

ვანო ძმაკაცებს შორის გულუბრყვილობით გამოირჩეოდა. ეტყობა, მას ნინი მართლა შეეცოდა და ამიტომაც „შეიტენა“. წლების შემდეგ ცოლი გამოუტყდა: მინდოდა, საპირველაპრილოდ გამეშაყირებინე და ავადმყოფობაც ამიტომ მოვიგონე; მერე მივხვდი, რომ ბოროტად გეხუმრე და ჩემზე გული საბოლოოდ რომ არ აგცრუებოდა, უკან აღარ დავიხიეო. როცა ვანომ გაიგო, რომ „პირველი აპრილის“ მსხვერპლი აღმოჩნდა, თავში ირტყა ხელები, მაგრამ ცოლს მაინც არ გაშორდა — შვილების გამო. ვანოს და ნინის ულამაზესი ქალ-ვაჟი ჰყავთ... ახლა ცხოვრობენ ისე, როგორც ძაღლი და კატა. ვანოს ცოლი არ უყვარს და ქალებში დაძვრება, ეს ნინიმაც იცის, მაგრამ ბედს შეეგუა და არაფერს იმჩნევს. ■

საპირველაპრილოდ ყველა ცდილობს ახლობლებისა თუ უცნობების მოტყუებას, გაშაყირებას. გამონაკლისი არც ცნობილი კომპანიებია. გთავაზობთ ყველაზე უჩვეულო ხუმრობებს:

დღეს პირველი აპრილია, მოტყუება ადვილია

* 1994 წელს „პეპსიმ“ გამოაცხადა, რომ თინეიჯერები, რომლებიც კომპანიის ლოგოს ყურებზე ამოისვირინგებდნენ, მთელი სიცოცხლის მანძილზე სასმელს 10-პროცენტიანი ფასდაკლებით მიიღებდნენ. ახალგაზრდების შემოტევას კომპანიის ხელმძღვანელობა რამდენიმე თვე იგერიებდა.

* 1992 წელს „ლონდონ თაიმსმა“ გამოაქვეყნა სტატია, თითქოს, ბელგიის ჩრდილოეთი ნაწილი — ნიდერლანდებს, ხოლო სამხრეთი — საფრანგეთს უერთდებოდა. განცხადებამ ისეთი მღელვარება გამოიწვია, რომ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ტელევიზიით მოუხდა ხუმრობის ახსნა.

* 1987 წელს, გაზეთ „ბერგენს ტიდენდის“ ჟურნალისტმა მკითხველებს ამცნო, რომ კონფისკაციის წესით ამოღებული იყო 10 ათასი ლიტრი ღვინო და სასმლის გასინჯვა ყველა მსურველს, ქალაქის ცენტრალურ მაღაზიაში შეეძლო. დილით, მაღაზიასთან, ბოთლებით შეიარაღებული დეგუსტატორების გრძელი რიგი იდგა.

* 2002 წელს ბრიტანეთის სუპერმარკეტში გამოაკრეს განცხადება, თითქოს, გასაყიდად გამოვიდოდა გახვრეტილი (გულგამოცლილი) სტაფილო, რომელიც მოხარშვისას სტვენას დაიწყებდა.

* 1957 წელს „ბი-ბი-სიმ“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ შვეიცარიაში სპაგეტის კარგი მოსავალი მიიღეს. ორასმა მაყურებელმა დარეკა რედაქციაში, რათა გაეგო, სად იყიდებოდა სპაგეტის ნერგები.

* 1999 წელს „ბი-ბი-სიმ“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ბრიტანეთის ჰიმნი — „ღმერთო, დაიფარე დედოფალი!“ — ევროპული ჰიმნით შეიცვლებოდა და მას გერმანულ ენაზე შეასრულებდნენ. გადაცემის დასრულებისას, რადიოში პრინც ჩარლზის ოფისიდან დარეკეს და ახალი ჰიმნის ასლის მათთვის გაგზავნა მოსთხოვეს. ■

ყველაზე საყვარელი და ყველაზე აუტანელი ცნობილები

ალბათ გაინტერესებთ, ვინ და რატომ მოსწონთ თინეიჯერებს. ჩვენ შევეცადეთ, ძირითადად, განსხვავებული გემოვნების მქონე ახალგაზრდების მოსაზრებები გაგვეზიარებინა თქვენთვის და იმედია, სხვა გამოკითხულები ამას არ გვიწყენენ.

გიო, *17 წლის:*

— ძალიან მომწონს შაკირა. სხვათა შორის, მას პატივს ვცემ არა მარტო როგორც მომღერალს, არამედ როგორც კარგ მოცეკვავეს. მოკლედ, მისი ფანი ვარ და იმედია, ოდესმე, მის კონცერტზეც ამოვყოფ თავს.

— **ყველაზე წარმატებულ ქართველად ვინ მიგაჩნია?**

— ინგა გრიგოლია. ის ენერგიული ქალია და საკუთარ ემოციებს მაყურებლებსაც გადასცემს. თუმცა, სადღა აქვს ამის საშუალება?! არ მომწონს, პოლიტიკაში გადაბარგებას რომ აპირებს. ვფიქრობ, როგორც ჟურნალისტი, ძალიან დაგვაკლდება. მისნაირი მებრძოლი სულისკვეთების ადამიანები დღევანდელ ქართულ ტელესივრცეს ნამდვილად აკლია... როგორც ქალი, მომწონს ნინი ბადურაშვილი, მაგრამ ვფიქრობ, ზედმეტად ამბიციურია, თავი ძალიან მაგრი ვინმე ჰგონია... ჩემი საყვარელი მომღერალი ლექსსენია. ის კარგად რეპავს და ურთიერთობაშიც ძალიან უბრალო ვინმეა — მას შორიდან ვიცნობ და ვიცი, რომ კარგი ადამიანია.

სვანი, *15 წლის:*

— ძალიან მიყვარს ბრედ პიტი. სიამოვნებით ვიქნებოდი ანჯელინა ჯოლი და ბრედს შვილებს გავუჩენდი. როცა მისი მონაწილეობით რაიმე ფილმს ვუყურებ, მგონია, რომ ამ ფილმის ერთ-ერთი მონაწილე ვარ და ყველაფერს ძალიან განვიცდი. მერწმუნეთ, სხვა მსახიობების მონაწილეობით გადაღებული ფილმების ყურებისას, მსგავსი რამ არასდროს მიგრძნია.

— **ქართველი მსახიობებიდან არავინ მოგწონს?**

— როგორ არა! მართალია, სილამაზით ბრედ პიტს ვერ შეედრება, მაგრამ ძალიან მომწონს გიო ყიფშიძე. მართალია, ის ისეთივე პოპულარული არ არის, როგორიც დუტა, მაგრამ მისგან განსხვავებით, საოცრად ნიჭიერი ადამიანია.

ფატი, *19 წლის:*

— ქართველი მომღერლებიდან მომწონს რატი დურგლიშვილი და ქეთი ორჯონიკიძე... ძალიან მიყვარს ფეხბურთი, „ვბალელშჩიკობ“ „რეალს“ და იმედი მაქვს, რომ მომავალში საქართველოს ნაკრების გულშემატკივრობის სურვილიც გამიჩნდება.

სოფიო, *19 წლის:*

— მომწონს სოფო ხალვაში და მის მიერ შესრულებული „თბილისო“. არ მიყვარს ნინო ქაჯაიას, მაია ასათიანის, ნანუკა ჟორჟოლიანის შოუ.

— **რატომ?**

— მაიას შოუ ძალიან ბანალურია, ჟორჟოლიანის — ვითომ, ძალიან „სვეტსკი“ და ამ გადაცემას ჩემი სუსტი ნერვები ვერ უძლებს; ქაჯაიასი კი არ ვიცი, საერთოდ რისთვის ან ვისთვის არსებობს.

— **მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამ შოუებს მაინც უყურებ...**

— მხოლოდ იმიტომ, რომ ქართული ტელესივრცე კარგი გადაცემების დეფიციტს განიცდის, რუსული არხები კი, სამწუხაროდ, არა მაქვს.

ნათი, *15 წლის:*

— ძალიან კარგი ადამიანები არიან თიკა ფაცაცია და ვანიკო თარხნიშვილი.



რომ არა ისინი, „კაპიკი“ იქნებოდა „ნიჭიერის“ ფასი. მომწონს ანრი ჯოხაძეც, საოცრად კარგი მომღერალია. ვგიჟდები ნიკო გომელაურზე და მისი ლექსებიც საოცრებაა... მესიმპათიურება ირაკლი ალასანია, რომელიც ვფიქრობ, ძალიან კარგი მერი იქნება...

ვასკა, *16 წლის:*

— ძალიან მომწონს „შუა ქალაქის“ ყველა მონაწილე, საოცრად კარგი იუმორი აქვთ. შაბათ-კვირას მოუთმენლად ველოდები ხოლმე, რომ ისინი ტელეეკრანზე ვიხილო...

გიო, *18 წლის:*

— ნინო ჩხეიძე გარეგნულად ისე მომწონს, რომ მისი სიმღერების ატანაც კი შემიძლია. მომწონს კახი კალაძის მეუღლეც — საოცრად სიფრიფანა და ულამაზესი მოდელია... ვგიჟდები რონალდოზე, მაგრამ „ცისფერი“ არ გეგონოთ — როგორც ფეხბურთელი, პროფესიონალია და ამიტომაც ვაფასებ... ჰო, ვაფანატებდი მაკა ასათიანზე. ის საოცრად ლამაზი ქალი და ამავე დროს, ძალიან ჭკვიანია. ■

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით

1982 წელს გამოცემული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

ბ

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-12

ბაზო — 1. კარის გულფიცრის ჩარჩო. 2. ბოსტნის კვლის ირგვლივ შემოსაზღუდავად აბექებული მიწა.

ბათილი არაბ. (სამართ.) — ძალადაკარგული, გაუქმებული.

ბათქი — თოფის, ზარბაზნის და მისთ. გასროლის ხმა.

ბათქაში თურქ. სპ. — წყალში გახსნილი გაჯი ან სილისა და კირის ნარევი, რითაც კედლებსა და ჭერს ლესავენ.

ბაია — თვალის გუგა.

ბაიათი არაბ. — აღმოსავლური ცალხმიანი ჰანგი.

ბაითალმანი არაბ. (ძვ.) — ოხერი, ტიალი, უპატრონო.

ბაირამი არაბ. — მაჰმადიანთა დღესასწაული.

ბაირახტარი სპ. — 1. (ძვ.) მებაირაღე, მედროშე. 2. (გადატ.) (წიგნ.) რაიმე საზოგადოებრივი მიმართულების მეთაური, ბელადი.

ბაიყუში თურქ. -— 1. დიდი ბუ. 2. (გადატ.) უუმური, უცხვირპირო ადამიანი.

ბაკალეია რუს. არაბულიდან — საერთო სახელწოდება ისეთი სასურსათო საქონლისა, როგორიცაა ჩაი, შაქარი, ფქვილი, ბურღული და მისთ.

ბაკანი — 1. კუს ზურგის რქოვანი ფარი. 2. მოზრდილი ხის ჯამი.

ბაკლა — მსხვილი ცერცვი.

ბაკმი — მკრთალი შუქის რკალი მთვარის ირგვლივ.

ბალაგანი სპ. (ძვ.) — 1. სახელდახელოდ აგებული ხის შენობა, ჩვეულებრივი საცირკო სანახაობისთვის. 2. თეატრალური სანახაობა პრიმიტიული სასცენო ტექნიკით (ჩვეულებრივ იმართებოდა ბაზრობაზე ან სახალხო სეირნობის დროს).

ბალავარი — გათლილი ლოდი საძირკველში, კედლის საყრდენი, საერთოდ საძირკველი.

ბალარჯი (ძვ.) — 1. ცომის საფუარი. 2. ცუდად გამომცხვარი პური (ქერისა).

გაგრძელება შემდეგ ნომერში

წვეთი პოეზია

სახუმარო

ორშაბათს გოგონა გავიცანი,
გოგონა ნახატი ყალმისანი,
მისი ღიმილი და დალალები
სამშაბათს გამიხდა საფიცარი.
ოთხშაბათს წერილი გავუგზავნე
და თავს მოსაჯლავად ვიმეტებდი,
ჩემი გასაჭირი ავუხსენი,
ჩემი ეჭვები და იმედები.
პარასკევს პასუხი მომივიდა,
ვაიმე, ბედო უკეთურო!
დაბერებულხარო გნოლივითა,
ცოლ-შვილს მიხედეო, უბედურო.
თეთრად გავათენე პარასკევი,
ფიქრში გავატარე შაბათ-კვირა,
თავმოჭრილი ვარ-თქო – დავასკვენი,
ჰოდა, თავის მოკვლაც დავაპირე.
მოვიდა მეორე ორშაბათი,
ისევ შემეფეთა ის უღმერთო,
ელვამ დამიარა ყოჭებამდი,
დილამშვიდობისას გისურვებთო.
მე ახლა თავის მომკვლელი ვარ?
უნდა სხვანაირად ვძლიო სვე-ბედს,
მე ვიცი, რაცხა ოხერი ვარ,
ლექსებს დავწერ და ვიოცნებებ.
ღმერთია ჩემი მწყალობელი,
მე კი – იმ უღმერთოს მგალობელი.

შოთა ნიშნიანიძე

„[illegible]“

დასაწყისი იხ. „გზა“ №2 – 12

ყველაზე ძნელი საყვარელ ადამიანებთან განშორება იყო: ზურა დვალი, ლია ბურჭულაძე, ცირა ლაბაური, მარკი, მიშა რობაქიძე და კიდევ უამრავი კოლეგა და მეგობარი ახალ, უტელევიზიო გზას მილოცავდნენ.

— Послушай старого, умного еврея, останься, — მეუბნებოდა მარკი.

— И в правду, Лалусик, может ты поторопилась? — აიტაცა მარკის პათოსი ჩემმა დიდი ხნის მეგობარმა ზურა დვალმა.

— Нет, точно знаю! Или сейчас, или никогда! — ვპასუხობდი მტკიცედ მე.

„დავიკარგები? არავის ვეხსომები? ისე კარგად ვეხსომები, როგორც დაგიბარებია, — ვბრაზობდი მე და ცხელ გულზე მოსულ იდეის ჩანასახს ველოლიავებოდი, — ძალიან კარგი, ესე იგი, ახლა ვურეკავ იური მეჩითოვს და ვთხოვ ფოტოს დიდი ბილბორდისათვის, რომელსაც ტელევიზიის წინ ჩამოვკიდებ! არ ვეხსომები, არა? მოიცა, კოჟრები თუ არ ამოგიყვანო ჩემი ყურებით“, — ვემუქრებოდი ზაზას გუნებაში.

ზაზამ ჩემს განცხადებას ორ კვირაში მოაწერა ხელი, კადრებში ჩატანილ საბუთს ზედ „კრესტიკინოლიკის“ მრავალჯერ გადახაზული თამაში „ამშვენებდა“, — ზაზა დარწმუნებული იყო, რომ ორ-სამ დღეში „გადამივლიდა“ და განცხადებაც ნაგავში აღმოჩნდებოდა.

არ გადამიარა. მეტიც, 3X6-ზე პლაკატი, პრაქტიკულად, დასრულებული იყო, წარწერაღა აკლდა. „რა ჯანდაბა მივაწერო, — ვფიქრობდი მე, — ჩემი სახელი და გვარი? ვის დავრჩენივარ? მეც ახლა ლედი დი არ ვიყო, „მშვიდობით, ზაზას“ ხომ არ მივაწერ? ან თბილისის შემოსასვლელში პლაკატის „გახსოვდეთ აფხაზეთის“ მსგავსად, „გახსოვდეთ ეკრანიდან უდროოდ წასული მოროშკინა“? ნაირ-ნაირი აზრი ირეოდა თავში და უცებ ჩემს განვლილ გზას გადავხედე. სკოლა, გამუდმებული შეკითხვით: „შენ აქ საიდან?“ ტელევიზია და არასტაბილური პოლიტიკური ამინდის გამო მუდმივი მიგრაცია არხიდან არხზე. და რამდენი ჩემნაირია ამ ქვეყანაზე? მე კიდევ რა მიჭირს, ქართული მაინც ვიცი, ისინი ხომ საერთოდ გარიყული არიან. მახსოვს, ერთხელ შეუძლოდ ვიყავი და გადაცემა ჩავარდა, რის გამოც, „ვესტნიკის“ კოლექტივი მთელი დღის განმავლობაში ტელეფონით ჰყვებოდა დღის უკანასკნელ ცნობებს. ესე იგი, ინტერესი უსაზღვროდ დიდია, საშუალება კი — ნული. ინფორმაციული ვაკუუმი და უუფლებობა ემიგრაციის ახალ ტალღას გამოიწვევს. ისედაც გავნახევრდით და ეს ხალხიც რომ წავიდეს, რაღა დავრჩებით? არ ჯობს, ვუშველოთ, ინტეგრაციის პროცესში ჩავრთოთ, ქართული ვასწავლოთ, ეს ქვეყანა ხომ მათიცაა, საქართველო ჩემია, შენია, მისია. ჩემია? დიახ, ნამდვილად ჩემია, ასე ამბობენ სომხებიც, აზერბაიჯანელებიც, ქურთებიც და მეც ასე ვამბობ, — „ჩემი საქართველო!“

სამ დღეში ტელევიზიის წინ უზარმაზარი პლაკატი ეკიდა. ჩემს გამოსახულებას საქართველოში მცხოვრები ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე მინაწერი — „ჩემი საქართველო“ ამშვენებდა.

ზუსტად ერთი თვის თავზე მე არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩემი საქართველო“ დავაფუძნე, დამფუძნებლებში ზურა დვალი, მანანა კოზაკოვა და მამუკა არეშიძეც შედიოდნენ. პრეზენტაცია ახლოვდებოდა, მამუკასთან კონსულტაციების შემდეგ გადაწყდა საქართველოში მყოფი ყველა არასამთავრობო ორგანიზაციის მოწვევა, რომელიც მცირე ეთნოსის თემას ეხმიანებოდა. სია ვრცელი გამოვიდა. ოსები და აფხაზები, რუსები და სომხები, აზერბაიჯანელები და კაზაკები, ქურთები და ჩეჩნები სწორედ იმ ნამდვილ კავკასიას წარმოადგენდნენ, რომელშიც ჩვენ, ყველას ერთად, მშვიდობიანად უნდა გვეცხოვრა.

ამ დროს გამახსენდა მიხაილ კოზაკოვის მოსკოვური იუბილე, რა მაგარი იქნება, უჰონორაროდ რომ დაგვთანხმდეს ჩამოსვლაზე? აზრი უტოპიური ჩანდა, მაგრამ მაინც გავეთამაშე იღბალს.

— მანანა, მიშა სად არის? — ვიკითხე დარეკვისთანავე.

— ვინ მიშა, ლოლიკ? — მკითხა მანანამ.

— მამაშენი, რა გჭირს? — ისე გავაგრძელე, თითქოს მიხალ მიხალიჩი ყოველ საღამოს ჩემი პირადი სტუმარი ყოფილიყო.

— მოსკოვში, ალბათ, თუ სადმე გასტროლზე არ არის, რა არის რო, რაში დაგჭირდა?

— იცი, რა ვიფიქრე, რა მაგარი იქნებოდა, ჩვენი არასამთავრობოს პრეზენტაციაზე რომ ჩამოსულიყო, ბილეთის ფულს რამენაირად ვიშოვი, სასტუმროსაც, ერთ-ორ დღეზე არავინ მეტყვის უარს, აი, ჰონორარის ფული კი ნაღდად არ არის, იქნებ შეაბა?

— რავი, დავურეკავ, სიმართლე გითხრა, წარმოდგენა არა მაქვს, რას იტყვის, — უიმედოდ მითხრა მანანამ, — საღამოს დაგირეკავ.

თავი იდეებისაგან მისკდებოდა, მაგრამ მთავარი მოქმედი პირის პასუხი ჯერ კიდევ უცნობი იყო.

— ვერ წარმოიდგენ, რა მოხდა, მიშამ „დაბრო“ მოგვცა, იქით კვირაში ლუფტი მაქვს და არ დაგზარდებითო, ჭოლამ კიდევ სარდაფის თეატრის სცენა მიჩუქნიაო. მოკლედ, მოსაწვევების ბეჭდვა დაიწყე! — მეუბნებოდა გახარებული მანანა, მე კი თავზარდაცემულივით ვისმენდი მართლაც ფანტასტიკურ ამბავს!

2001 წლის ზაფხულის ცხელი დღე ვაკეში ხალხმრავლობით გამოირჩეოდა. არასამთავრობო ორგანიზაციების, სამთავრობო სტრუქტურების უამრავი წარმომადგენელი, მინისტრები, საქართველოს საამაყო ადამიანები: სოფიკო ჭიაურელი, გიგა ლორთქიფანიძე, გურამ საღარაძე, მერაბ კოკოჩაშვილი გვიწონებდნენ ინი-

ციატივას და სულმოუთქმელად ელოდებოდნენ ღონისძიების დაწყებას. რომა რცხილაძე, დუტა სხირტლაძე, ნანა შონია და სხვა ჩვენი ჭკუის ხალხი ლამაზი საღამოს მოლოდინში იყვნენ. სცენა თეატრის მხატვარმა, ნანას მეუღლემ, შოთიკო ღლურჯიძემ გააფორმა, და როგორც ყველაფერი მისი გაკეთებული, ეს სცენაც შედევრი იყო. საღამო ანსამბლმა „უნივერსიტეტმა“ გახსნა და „მრავალჟამიერი“ დასჭქა. შემდეგ ზურა დვალმა საზოგადოებას თავშეყრის მიზეზი ამცნო და სცენაზე მიმიწვია.

— ჩვენ, ყველანი, საქართველოს შვილები ვართ, ეს ჩვენი სამშობლოა, — დავიწყე მე, — ამიერიდან ქვეყანას კიდევ ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია შეემატა, რომელიც თქვენი უფლებების დაცვაზე იზრუნებს, ხოლო იმისათვის, რომ კიდევ უფრო გავამყაროთ ჩვენი ერთობა და გამოვხატოთ მშვიდობიანი თანაცხოვრების სურვილი, სცენაზე ბატონ მიხაილ კოზაკოვს ვთხოვ.

მიხალ მიხალიჩი საოცრად იმპოზანტური და იდუმალი იყო. მისალმების მერე, მან დარბაზიდან ბავშვების გაყვანა და მობილურების გამორთვა მოითხოვა. პატარა გიორგის, მიუხედავად გაწეული წინააღმდეგობისა, დარბაზი უმალ დააატოვებინეს.

სცენიდან მრავალი საათის განმავლობაში რუსული და ქართული ზეპირსიტყვიერების შედევრები იფრქვეოდა. მიშასეული ვაჟა-ფშაველა, საქსოფონის თანხლებით, სავსებით ახალ უცნობ სამყაროს ქმნიდა. ყველანი მოჯადოებული ვისხედით, მაგრამ ყველაფერს დასასრული აქვს და ეს საღამოც უნდა დასრულებულიყო. ხანდახან მგონია, რომ სოფიკო ჭიაურელის იმდღევანდელი ლოცვა დღემდე მომყვება და ცხოვრებას მიადვილებს.

— ლალი, გენაცვალე შენ არ იცი, რა მაჩუქე, — დიდი ქალბატონის ეს სიტყვები სამუდამოდ დამამახსოვრდა.

იმ დღეს მე კაზაკთა დიპლომით დამაჯილდოეს, — კაზაკი ოფიცრის წოდება და შესაბამისად, ფორმისა და იარაღის ტარების უფლება გადმომეცა. გაერთიანებულ კაზაკთა ჯილდო დღესაც ამშვენებს ჩემს სამუშაო ოთახს.

ზურა ჟვანიამ პირადად დამირეკა და მომილოცა, — „ლალი, ყოჩაღ, ძალიან მოსაწონია შენი ინიციატივა, შემდგომი გეგმები მეც გამაცანი, რჩევასაც მოგცემ“

პრეზენტაციას ერთი კაცი აკლდა, რომელსაც სულმოუთქმელად ველოდი. სამაგიეროდ, ჩემდა მოულოდნელად დიდი ყურადღება გამოიჩინა ზურა ჟვანიამ, რომელმაც პირადად დამირეკა და მომილოცა, — „ლალი, ყოჩაღ, ძალიან მოსაწონია შენი ინიციატივა, შემდგომი გეგმები მეც გამაცანი, რჩევასაც მოგცემ“. პრეზიდენტის ადმინისტრაციაც ძალიან აქტიურობდა.

— ქალბატონო ლალი, მოგესალმებით, მე პეტრე მამრაძე ვარ, გილოცავთ ორგანიზაციის დაფუძნებას. ბატონმა ედუარდმა მოგიბოდიშათ, რომ ვერ მოდის, რადგან ალექსანდრეს ბაღში ნაღმი აღმოჩნდა და უშიშროების საბჭოს საგანგებო შეხვედრაა დანიშნული, მაგრამ შემოგითვალათ, სულ ცოტა ხანში შევხვდებით ერთმანეთსო.

— უღრმესი მადლობა, ბატონო პეტრე, — ვუპასუხე დაბნეულმა.

„პრეზიდენტი მიბოდიშებს! ნეტა ვის დავეკარგე?“ — გავიფიქრე და სტუმრებს დავუბრუნდი.

— დიდი მადლობა ასეთი დღესასწაულისათვის, — მითხრა მოღიმარმა, შალმოხვეულმა ლამაზმა ქალბატონმა.

— გაიცანი მექა ხანგოშვილი, — გამაცნო მამუკამ, — მექა პანკისელია.

— ძალიან სასიამოვნოა, — ვთქვი და მივხვდი, რომ დღეიდან ახალ, მართლაც მრავალეროვან საქართველოს ვეზიარე.

— ძალიან კარგ საქმეს დაადგით თავი, პანკისშიც აუცილებლად ჩამობრძანდით, კარგ მასპინძლობას გაგიწევთ, დაგვპატიჟა მექამ.

— გადავაქციოთ ტრადიციად პანკისობა და მერე ნახე სტუმრობა, — უთხრა მამუკამ.

კოზაკოვის სამდღიანი ვიზიტი, არყის, სიმღერებისა და პოეზიის თანხლებით, დასასრულს უახლოვდებოდა. მე, ჭოლა და მანანა სასტუმროს ფოიეში, დილის 6 საათზე პირდაპირ რესტორნიდან მოსულები, მიხალიჩის ჩამობარგებას ველოდებოდით.

— Ой, надо позвонить, чтоб меня встретили, — გაახსენდა მაესტროს.

— Тамара Владимировна, доброе утро, передайте моему водителю, что я вылетаю и пусть встретит! Как это, кто я, Вы что, с ума сошли, Какой стих, Ну хорошо, „Шумит арагва предо мною“...

მე, ჭოლა და მანანა მოგვიანებით მივხვდით, რომ პროდიუსერმა ვერ იცნო მიხალიჩის სამი დღის „ნატანჯი“ ხმა და იდენტიფიკაციისათვის ლექსი წააკითხა... ძველი თბილისი, ალიონი, პოეზია და დოინჯშემოყრილი კოზაკოვი სამუდამოდ ლამაზ მოგონებად დამრჩა.

იმ საღამოს ფიქრით ზაზა შენგელიას მადლობა გადავუხადე, — რომ არა მისი უარი და ჩემი ჯიბრიანი ხასიათი ეს ლამაზი და მნიშვნელოვანი დღე ჩემს ცხოვრებაში არ იქნებოდა.

პანკისობა

სოფელი დუისი ახმეტის რაიონის მშვენებაა და მაინცდამაინც მას ხან რუსული „გზააბნეული“ ბომბები ესხმიან თავს, ხან კი ათასი ჯურის ნარკოტრაფიკის თუ სხვა მომხვეჭელთა არალეგალური ბანდები. რუსეთის ფედერაცია ხომ აქვეა? რამდენიმე უკონტროლო ბილიკი და უკვე სულ სხვა ტერიტორიაა. მრავალი ჩეჩენი უსამართლო ომმა ლტოლვილად აქცია და სწორედ პანკისში ჩამოიყვანა.

საოცარი ხალხია ჩეჩნები, სხვა

მათ ადგილას დიდი ხანია გატყდებოდა, დამონდებოდა, რჯულს, წესსა და ადათს შეიცვლიდა, ისინი კი ასე გათითოკაცებულებიც კი შვილებს კვლავ მეომრებად ზრდიან, სამშობ-

ლოს სიყვარულს ასწავლიან და ბავშვობიდანვე იარაღის ხელში დაჭერას აჩვევენ. კარგი ნათქვამია, ერთი ჩეჩენი ას რუსს უდრისო, მაგრამ ვაი, რომ ეს უკანასკნელნი რაოდენობით ბევრად ჯაბნიან. იმედია, ოდესმე იჩქერიის მიწა გაიწმინდება არაკეთილმოსურნეთაგან. სირიაში, იორდანიაში თუ თურქეთში მცხოვრები ჩეჩენი მუჰაჯირების შთამომავლები წლობით ნაგროვებ სიმდიდრეს არ იშურებენ და ნამდვილი კავკასიური ნოსტალგიით შეპყრობილები სამშობლოში ბრუნდებიან, და რაც მთავარია, გაუტეხელი სული მოაქვთ. მსოფლიოში გაფანტული ამ თავისუფლებისმოყვარე ხალხის ნაწილი დღეს საქართველოს მიწა-წყლის სტუმარია. ეს იმ ხალხის ისტორიაა, რომელმაც სასაფლაოებსა და სამშობიაროებს შორის გააბა სიცოცხლის სიმები.

დუისზე მორიგი თავდასხმის დროს მე პროტესტის ნიშნად თბილისში, ჩემს ვერანდაზე, რუსული რომანსის საღამო გავმართე. აბა, რა? ყველა რუსი მოძალადე ხომ არ არის? სწორედ ასეთ დროს არის საჭირო იმის თქმა, რომ სხვანაირი რუსებიც არსებობენ. დიახ, სულ სხვანაირი, საქართველოს უსაზღვროდ მოყვარული, მისთვის თავდადებული, მაგრამ გენეტიკურად ნამდვილი რუსები, რომლებიც ასევე პატივს სცემენ თავიანთ ფესვებს. თუ კაცს თავისი ფესვი და ძირი არ უყვარს, ვერც სხვისას შეიყვარებს.

ვერანდაზე, რომელსაც რუსული სამოვარი ამშვენებდა, ჩემი სტუმრები იყვნენ კულტურის მინისტრი სესილი გოგიბერიძე, შესანიშნავი კომპოზიტორი ჯემალ სეფიაშვილი, მშვენიერი მეუღლითურთ, ჯაზის დიდოსტატი საქართველოში, ჩემი ბავშვობის მეგობარი მაიკო ბარათაშვილი, გიტარისტი, მაესტრო სერგო ნაცვალაძე, ჩემი ყოფილი შეფი მარკ რივკინი, მამუკა არეშიძე, ინფორმატიკის მინისტრი დათო თარხანმოურავი და რუსეთის საელჩოს წარმომადგენლები. ამ საღონური საღამოს არსი ერთობასა და მეგობრობაში იყო. ყველა სტუმარმა პრესის წარმომადგენლებთან დააფიქსირა ნეგატიური დამოკიდებულება რუსეთის არამართლზომიერი ქმედების მიმართ, რომ აღარაფერი ვთქვათ დღისით-მზისით ბომბების ჩამოყრაზე. რუსეთის საელჩოს წარმომადგენლობა გემრიელად მიირთმევდა, თუმცა დიპლომატიურად დუმდა.

— ამ კვირაში პანკისობა მოვაწყოთ, თანაც მექა რა ხანია გველის. გახსოვს, პრეზენტაციაზე რომ გაგაცანი? — მკითხა მამუკამ.

— როგორ არა, თანაც ამ დღეებში ეს, ალბათ, ორმაგად აქტუალურია, არა?

— ჰო, საცოდავ ჩეჩენ ბავშვებს საბოლოოდ ჩაუკლავს ბავშვობას აქ დაწყებული აურზაური.

რამდენიმე დღეში პანკისში გავემგზავრეთ. მეგზურობას ბატონი ხიზრი ალდამოვი გვიწევდა, ჩეჩნეთის წარმომადგენელი საქართველოში; კაცი, უზომოდ შეყვარებული თავისი სტუდენტობის დროინდელ თბილისზე. ხიზრი გზადაგზა სხვადასხვა ტრადიციასა და ადათ-ჩვევაზე გვიყვებოდა, მთის ხალხი ხომ ძალზე მდიდარია ისტორიითა თუ რიტუალებით.

პანკისში ნანახმა გამაოგნა. საქართველო რომ მიმტევებელი და სხვა კონფესიებისადმი ტოლერანტულია, ხომ ბევრი გვითქვამს, მაგრამ ახალ საუკუნეში კახეთის შუაგულში აღმოცენებული მეჩეთები, დამეთანხმებით, მაინც განსაკუთრებული სანახაობაა. წითური ჩეჩნები მკვეთრად განსხვავდებიან აღმოსავლეთ საქართველოს ამ კუთხის მკვიდრთაგან. ყმაწვილები ჯირითში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ქალები კი სტუმრებისათვის სუფრას საგანგებოდ შლიდნენ. კავკასიური წესის თანახმად, ყოველივეს უხუცესი უძღვებოდა. მამუკა, როგორც ჩვენი დელეგაციის თავკაცი, სიტყვას წარმოთქვამდა:

— ჩვენ, კავკასიელ ხალხებს, რუსების სიძულვილი კი არა, ერთმანეთის სიყვარული უნდა გვაერთიანებდეს, მიუხედავად წარსულში წყენისა, ჩვენი სახლისა და გულის კარი თქვენთვის და თქვენი შვილებისათვის მუდამ ღიაა, — ადვილი მისახვედრი იყო, რომ მამუკა აფხაზეთის ომს გულისხმობდა, მაგრამ, აბა, რომელ ერს არა ჰყავს ნაძირალა შვილები? განა ქართველებში არ ყოფილა ღალატი, რამდენი ციხე გატყდა შიგნიდან? მიტევება ხომ ქრისტიანთათვის ღვთით მინიჭებული სასწაულია!

— ლალიკო, ხომ არ მოიწყინე, — მზრუნველად მკითხა მექამ.

— არა, რას ამბობ, ისეთი საინტერესოა ყველაფერი, მართლაც მაგრები ხართ, — ვუთხარი მე, — ცოტა დაღლილი მეჩვენები, ასეა არა?

— დილის ხუთ საათზე ვდგები. დღეს მარხვის ბოლო დღეა. სანამ თეთრი და შავი ძაფის ერთმანეთისგან გარჩევას შეძლებდე, ე. ი. სანამ ცისკარი დადგებოდეს, ჭამა უნდა მოასწრო, რადგან საღამომდე, სანამ არ დაბინდდება, პირში წყლის წვეთის ჩაშვებაც არ შეიძლება. ეს მუსლიმანური მარხვის მკაცრი მოთხოვნაა. 6 საათსა და 30 წუთზე დილის ლოცვას ვკითხულობ...

— ეს სულის განწმენდაა, არა? ჩვენც კი ვიცავთ მარხვას, მაგრამ თქვენ კიდევ რაღაც სულ სხვა გამოძრავებთ, შეიძლება გადარჩენის უფრო გამძაფრებული ინსტინქტი?

— იმიტომ, რომ ასეთ მაგალითებზე აღვიზარდეთ. მახსოვს, პირველი ომის შემდეგ, 1998 წლის გაზაფხულზე, გროზნოს ცენტრალურ არქივში მის გამგეს, ცნობილ საველე მეთაურ დალჰან ხოჟაევს შევხვდი, ნამდვილ კავკასიელ რაინდს. ინტერვიუ რომ დავამთავრეთ, მან თავისი წიგნი „ჩეჩნები რუსეთ-კავკასიის ომში“ მაჩუქა ავტოგრაფით: „დიშნელების უმშვენიერეს ასულს, პატივისცემით ავტორისაგან“ და თან ასეთი წარწერით! მისმა მიღებამ უსაზღვროდ გამახარა! დალჰან ხოჟაევი მეორე ომში მოკლეს მხოლოდ იმიტომ, რომ კალმით იდგა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სადარაჯოზე. მისი სული ამ წიგნში ტრიალებს. ეს ჩემთვის სამაგიდო წიგნია მამაჩემის „ქისტებთან“ ერთად. დალჰანის წიგნი ჩემთვის იმითაც არის ძვირფასი, რომ მასში უამრავ აქამდე უცნობ ფაქტს ამოიკითხავ ქართველებისა და ვაინახების ურთიერთობაზე, — მექა ამას ისე მიამბობდა, რომ უცხადესი იყო მისი ძლიერი ტკივილი თავისი ხალხის ბედუკულმართობის გამო. 1993-1994 წლებში მექა ბიოფიზიკის კურსს

კითხულობდა გროზნოს სახელმწიფო უნივერსიტეტში...

უზარმაზარი ხმლით დაჯილდოებული მამუკა და მე მოვყვებოდით ჩვენს მეგზურ ხიზრის პანკისიდან თბილისისაკენ და ისეთი შეგრძნება გვქონდა, თითქოს გზას რაინდ ჩეჩენთა ანთებული სულები გვინათებდნენ.

ალიანსი

არასამთავრობო ორგანიზაციაში საქმე ულევი იყო. საქართველოში არაქართველი მოსახლეობა თითქმის მილიონ კაცს ითვლის, პრობლემაც თავსაყრელად აქვთ და ადვილი წარმოსადგენია, რა რეჟიმში გვიწევდა მუშაობა.

— გილოცავ, გილოცავ, მაგარ საქმეს დაადგი თავი! ტელეგადაცემა ვნახე! — მომესმა ტელეფონში ასე ნაცნობი და მივიწყებული მიხეილ სააკაშვილის ხმა.

— მიშ, შენა ხარ? სად დამეკარგე? შენს ოფისში მოვატანინე მოსაწვევი, ვიღაც ბაჩო ახალაიამ დაიტოვა, არ გადმოუციათ?

— როგორ არა, მაგრამ თბილისში არ ვიყავი. მოჰყევი, როგორ ხარ? ნუკრი რას შვრება? — სხაპასხუპით მომაყარა მიშამ.

— კარგა ხანია დავშორდით, მეორეჯერაც გავთხოვდი, — ვუპასუხე მე.

— არ ვიცოდი, მე ვიცნობ? იკითხა მიშამ.

— არა, ვაკელია, თანაც სხვა სფეროდან, არა მგონია, იცნობდე. კარგი, თავი დაანებე ჩემს აბდაუბდა ცხოვრებას, შენს ამბებს მოჰყევი.

— ხვალ ორ საათზე ვუკოლ ბერიძის ქუჩაზე ოფისში გამოდი და მოგიყვები ყველაფერს. მოკლედ, შეხვედრამდე, — უცებ ლაპარაკის შეწყვეტა მიშას სტილი იყო.

„ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში ყვითელი ფერი ჭარბობდა. ცენტრალურ ოთახს დიდი თეთრი ბუხარი ამშვენებდა. ოთახებში ხალხი ქაოსურად იყო გაფანტული. მე მოკლედ ვუამბე მიშას ჩემი ბოლო წლების ცხოვრების შესახებ და არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნის მიზანიც ჩამოვუყალიბე. როგორც ყოველთვის, მან ყველაზე რაციონალური მარცვალი ამოარჩია.

— ძალიან კარგი, არჩევნები ახლოვდება, არაქართველებთან მუშაობა ძალიან დროულია, მათ ხმებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ისე, რას გეტყვი, იცი, მოდი, დღეს ბრიფინგი მოვაწყოთ, „ნაციონალური მოძრაობისა“ და შენი არასამთავრობო ორგანიზაციის ალიანსი გავაფორმოთ და საქმეს დაუყოვნებლივ შევუდგეთ, დრო არ ითმენს, — თქმა და დარეკვა ერთი იყო, მიშა ტელეფონით განკარგულებებს იძლეოდა, ადრესატი „რუსთავი 2“ იყო.

— კარგი ბიჭია ეროსი, პრობლემებს არ მიქმნის, ერთი თქმით ხვდება, რა მინდა. მოკლედ, საღამოს 5 საათზე გელოდები, ისე, რომ ექვსსაათიან „კურიერში“ უკვე ნიუსი გავიდეს... საღამოს ეთერსაც გავ-

ჩვენ, კავკასიელ ხალხებს, რუსების სიძულვილი კი არა, ერთმანეთის სიყვარული უნდა გვაერთიანებდეს

ჭრი. გეყოფა მარტო მოქმედება.

— მიშა, მოიცა, რა უნდა ვთქვათ? შევეკითხე ოდნავ დაბნეულმა.

— ეს მე ვიცი, მოკლედ, გელოდები, მარიკა, ყავა შემომიტანე, — ქოთქოთებდა მიშა და, სულ ცოტა, სამ კაცს ერთდროულად ელაპარაკებოდა.

საღამოს, დათქმულ დროს, ნაციონალების ოფისში მივედი.

მწკრივად ჩარიგებული ტელეკამერები განკარგულებას ელოდნენ. საგანგებოდ მოწყობილ ტრიბუნასთან კორესპონდენტები სხვადასხვა ლოგოიან მიკროფონებს ასწორებდნენ და ერთმანეთს საუკეთესო ადგილების დაკავებაში ეჯიბრებოდნენ.

— დღეიდან ჩემი დიდი ხნის მეგობარი და თანამებრძოლი „ნაციონალურ მოძრაობას“ უერთდება. ამიერიდან „ნაციონალური მოძრაობა და „ჩემი საქართველო“ ერთად გავაგრძელებთ გზას საქართველოს გამარჯვებისათვის.

გაოგნებული ვუსმენდი და ვფიქრობდი: „რა პარტია, რის პარტია. ეგლა მაკლია, პარტიულ ბოსებს შევუთანხმო ჩემი გრაფიკი!“

— ქალბატონო ლალი, თქვენი კომენტარი, — მომიტრიალდნენ ჟურნალისტები.

— ვფიქრობ, „ნაციონალურ მოძრაობას“ მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით დიდი პერსპექტივა აქვს, მაგრამ პირადად მე არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობას ვამჯობინებ, რაც არ გამორიცხავს ურთიერთთანამშრომლობას სხვადასხვა

— მომესმა ტელეფონში მიშას ხმა, — მე მანქანა არა მყავს, გამომიარე და დიღომში მილიციის სამმართველოსთან კარგი მეგრელების რესტორანი „შუაცეცხლი“ რომ არის, იქ წავიდეთ. ვანო ძალიან აქებს, ჰოდა, გავუშვი რაღაცების მოსამზადებლად.

— ვინ ვანო? მერაბიშვილი? ვკითხე მე.

— ჰო, ჩემიანია, თან ბარემ ყველას გაგაცნობ, ერთ გუნდად უნდა ვიმუშაოთ.

მიშას მანქანაში ჩაჯდომა და ბუზღუნი ერთი იყო.

— არა, „როვერი“ კი კარგი მანქანაა, მაგრამ ჯერ ერთი არალიკვიდურია, რამე რომ გაუფუჭდეს, სად უნდა ეძებო, მეორეც, ლამაზლამაზი ნივთების სიყვარულს ვერ გადაეჩვიე, არა?

— რატომ უნდა გადავეჩვიო, ქალი ვარ, ბოლოს და ბოლოს! ახლა მანქანას შენი თვალი არ ეცეს, თორემ აღარ ჩაგსვამ, — ვუთხარი მიშას და გაზს ფეხი მივაჭირე.

— მგლის თავზე სახარებას ვკითხულობ, — ჩაიქნია ხელი მიშამ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი
იხ. „გზა“ №37, 2009
— №12, 2010

გოჩა მანველიძე

— ხიჟბა?! — სარდლობის წარმომადგენელმა ეჭვით შეათვალიერა გოგა. — მსმენია ეს სახელი, მაგრამ რაღაც გეშლება. ახლა ის კაცი განთიადის მიმართულებაზე იბრძვის!

— არა, ის არის, — აფხაზი გოგას მიუბრუნდა, — შენ თვითონ თქვი, ვინცა ხარ.

— თბილისელი ექიმი ვარ... — ჩაილაპარაკა მან.

— რას აკეთებდი გაგრაში?! — აქეთ-იქიდან შემოეხვივნენ აფხაზები.

— ხომ გითხარით — საავადმყოფოში იწვა... მკურნალობდა, — საუბარში ექიმი ჩაერია.

— რას ალაპარაკებთ?! — ბრაზით წამოიძახა ერთ-ერთმა აფხაზმა და ავტომატი შემართა. — ვერ ხედავთ, ნაღდი „მხედრიონელია“!

— თქვი, ვინ ხარ?! — გოგას მეორე აფხაზმა შეუტია.

გოგამ დუმილით უპასუხა.

— გაიყვანეთ! — ბრძანა აფხაზთა მეთაურმა.

პირველმა აფხაზმა ავტომატის ლულა გვერდში მიარტყა გოგას და თან ანიშნა: კარისკენ წადიო.

— შეცდომას უშვებთ. ეს ბიჭი მეომარი არ არის. მან გადაარჩინა გურამ ჩამბას ძმა. ოპერაციაც გაუკეთა და სისხლიც გადაუსხა... რაში გჭირდებათ საავადმყოფო, რომელშიც ექიმები არ იქნებიან? ვინ უმკურნალებს თქვენს დაჭრილებს?! — ექიმი წინ გადაუდგა აფხაზებს.

მათ ერთმანეთს გადახედეს.

— არნოლდ, შენ მაინც თქვი რამე, — სამოქალაქოტანსაცმლიან მამაკაცს მიუბრუნდა ექიმი, — რისთვის უნდა დახვრიტონ ექიმი, რომელსაც არაფერი დაუშავებია?!

— არ ღირს ამის გაკეთება, — არნოლდმა გაუბედავად მიმართა აფხაზ სამხედროებს, — ექიმები გვაკლია. დარჩეს საავადმყოფოში. თუ ვერ ივარგა, მე თვითონ ჩაგაბარებთ!

— კარგი... დარჩეს... — სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება აფხაზების მეთაურმა, მერე კი თავის ხალხს სტავროზე მიანიშნა. — ეს კი აქედან მოაშორეთ!

— არა! — წამოენთო გოგა. — ეს ბიჭი დაჭრილია!

— მოშორდი! — ავად შესძახა ერთ-ერთმა აფხაზმა და მკერდში უბიძგა.

გოგა უეცრად მოსწყდა ადგილს და აფხაზ მებრძოლს ეცა. პალატაში ბრძოლა ატყდა. გოგა ორივე ხელით ცდილობდა აფხაზი მებრძოლისთვის ავტომატის წართმევას, მაგრამ ძალები არათანაბარი იყო. ერთ-ერთმა აფხაზმა ავტომატის კონდახი გამეტებით ჩაარტყა ზურგში. დარტყმა იმდენად ძლიერი და მტკივნეული იყო, რომ გოგას მუხლები მოეკვეთა და ჩაიკეცა. ამ დროს მეორე აფხაზის წიხლი სახეში მოხვდა. სისხლის მწკლარტე გემო სწრაფად მოედო ტუჩებსა და პირს. გოგამ კბილები გაახრჭიალა და ფეხზე წამოიჭრა, მაგრამ რამდენიმე დარტყმამ ისევ იატაკზე დასცა. აფხაზები შემოეხვივნენ და ავტომატის კონდახები და წიხლები დაუშინეს. ცოტა ხანში, გოგამ წინააღმდეგობა შეწყვიტა. აფხაზების მეთაური მისკენ დაიხარა, გასისხლიანებულ სახეზე დააკვირდა, შემდეგ წელში გაიმართა, ექიმს გახედა და ცივად გამოცრა:

— ცოცხალია... კიდევ დაიწყებ იმის მტკიცებას, რომ ეს ექიმია?!

— ხომ ვამბობდი, — დამპალი „მხედრიონელია“-მეთქი! — ჩაილაპარაკა მეორე აფხაზმა.

— რა ვუყოთ? — იკითხა მესამემ.

მეთაური წამით ჩაფიქრდა და მერე თქვა:

— შტაბში წაიყვანეთ. იქ გავარკვევთ მაგის ასავალ-დასავალს!

ორმა აფხაზმა სტავროს მკლავებში ჩაავლო ხელი და კარისკენ გააათრია. ის ჯერაც არ მოსულიყო გონებაზე და ვერ გრძნობდა, რა ხდებოდა მის ირგვლივ. მერე გოგას ჯერი დადგა. ის ფეხზე წამოაყენეს და ავტომატის კონდახების ცემით გაიყვანეს პალატიდან.

დერეფანი უკან დარჩა. აფხაზებმა გოგა ქუჩაში გაიყვანეს და იქვე მდგომ, ფრთებშეჭეჭყილ მანქანაში ჩასვეს. სტავრო კი უხეშად მიათრიეს ღობესთან, სადაც რამდენიმე ცხედარი ესვენა. გოგას ბოლო წამამდე სჯეროდა, რომ ის, რაც ყველაზე მეტად აშინებდა, არ მოხდებოდა. უბრალოდ არ შეეძლო ამის დაჯერება, მაგრამ ეს მაინც მოხდა. აფხაზი თავზე წამოადგა დაჭრილს და ავტომატი შემართა. გოგამ მაშინვე დახუჭა თვალები. თავი მკერდზე ჩამოუვარდა. არ აღმოაჩნდა ამ სურათის ნახვის ძალა.

ავტომატმა ყრუდ იგრიალა. შემდეგ კიდევ ორი გასროლის ხმა გაისმა...

— უყურე! — წინა სავარძელზე მჯდომმა აფხაზმა მხარი მხარში გაჰკრა გოგას. — ესაა თქვენი აღსასრული. ყველას ღობეების ძირში ჩაგკლავთ!

— ვერც შენ გადარჩები, — ყრუდ ჩაილაპარაკა გოგამ, — რომელიმე ღობის ძირში შენთვისაც გამოინახება ადგილი!

გუდაუთის შტაბის ეზო ფუტკრის სკას ჰგავდა. ყოველ მხარეს იდგნენ შეიარაღებული ადამიანების მოზრდილი თუ მცირე ჯგუფები. მათ შორის, ახალგაზრდა ქალებიც ერივნენ. მანქანები მიდი-მოდიოდა. ეზოს ერთ მხარეს სატვირთო მანქანა იდგა, რომლის ძარიდანაც მებრძოლებს ტყვია-წამალს უნაწილებდნენ.

გოგას დანახვამ არნახულად გააშმაგა ეზოში მყოფნი. ყველამ მაშინვე მიივიწყა საქმიანობა, მისკენ გამოქანდა და ცემა დაუწყო. მათი შეჩერება აფხაზმა მებადრაგეებმაც კი ვერ შეძლეს. ისინი ენერგიულად იქნევდნენ ხელებს და ხმამაღლა ყვიროდნენ, მაგრამ — ამაოდ: გოგას მაინც ყოველი მხრიდან ხვდებოდა მუშტი, წიხლი თუ ავტომატის კონდახი. შენობასთან მიახლოებისას აფხაზებმა უკან დაიხიეს. ამ დროს კიბეზე სამოციოდე წლის, ჯმუხი მამაკაცი გამოჩნდა, რომელიც ხელჯოხზე დაყრდნობილი მოდიოდა. გოგასა და მისი მებადრაგე აფხაზე-

ბის დანახვაზე, ის გვერდზე გადგა და გზა გაუთავისუფლა. მაგრამ როგორც კი მათ გვერდზე ჩაუარეს, ხელჯოხი მოიქნია და გოგას მთელი ძალით დაჰკრა თავში. ერთ-ერთი მებადრაგე მაშინვე წინ გადაუდგა მამაკაცს, რითაც ეზოში მყოფთა რისხვა გამოიწვია.

— თავი დაანებე! მაგას დღეს ორი შვილი მოუკლეს. იქნებ ეგაა ის ნაბიჭვარი, რომელმაც მისი შვილები დახოცა! — აყვირდნენ ეზოში.

აფხაზი მებადრაგე უკან გადგა. მამაკაცმა კი ხელჯოხი გამეტებით დაუშინა გოგას. ჯოხს მძიმედ იქნევდა და გამეტებით ურტყამდა, თავსა და სახეში უმიზნებდა. ვინ იცის, რითი დამთავრდებოდა ყოველივე ეს, შენობიდან გამოსული, ტანმაღალი წვეროსანი რომ არა.

— რა ხდება აქ? — უკმაყოფილოდ იკითხა მან.

— ტყვეა... გაგრაში ავიყვანეთ, — უპასუხა მებადრაგემ.

— მოკვლა თუ გინდოდათ, იქვე მოგეკლათ. შტაბი ჩაქოლის ადგილი არ არის!.. — მკაცრად თქვა მამაკაცმა. — მოაშორეთ აქედან.

მებადრაგეები ბრძანების გამეორებას აღარ დაელოდებიან. გოგას აქეთ-იქიდან სტაცეს ხელი და სწრაფად შეიყვანეს შენობაში.

...საშუალო ზომის, ნახევრად ბნელი ოთახი. ხის იატაკი. გისოსით დაგმანული ფანჯარა, რომელიც გარედან ფიცრებით აეჭედათ... არავითარი ავეჯი.

ოთახში სამი ტყვე ქართველი აღმოჩნდა. ორნი კედლის გასწვრივ ისხდნენ, მესამე იწვა და თავი გვერდით მჯდომი ტუსაღის მუხლებზე ჰქონდა დასვენებული. სამივე საშინლად გამოიყურებოდა. ტანსაცმელი ტალახითა და სისხლით ჰქონდათ დასვრილი, სახეებზე ცემის კვალი ეტყობოდათ. მწოლიარეს მუცელზე სისხლით გაჟღენთილი სახვევი ედო.

მებადრაგემ ხელი უბიძგა გოგას და მაშინვე კარი დაკეტა. დასუსტებულმა და ცემისგან გაბრუებულმა, ორიოდე ნაბიჯის გადადგმა შეძლო. მერე ფეხით, იქვე მჯდომ ტყვეს წამოედო, შებარბაცდა და ზედ დაეცა.

— ფრთხილად, ძმაო... — საყვედურით ჩაილაპარაკა ტყვემ.

— ბოდიში, — გოგამ ფრთხილად წამოიწია, გვერდზე გახოდა და ზურგით მიეყრდნო კედელს.

— გაგრაში აგიყვანეს? — ჰკითხა ტყვემ.

— ჰო...

— რომელ ფორმირებაში იყავი?

— გაგრის მოხალისეთა ბატალიონში.

— გაგრელი ხარ?

— არა... თბილისელი, — უპასუხა გოგამ.

— თბილისელი? — გაუკვირდა ტყვეს. — მეც თბილისელი ვარ. გაგრაში არ მინახავხარ.

— ხომ გითხარი, გაგრელ მოხალისეებთან ერთად ვიყავი-მეთქი... თქვენ სადაურები ხართ? — მეორე ტყვესა და დაჭრილს გახედა გოგამ.

— გაგრელები...

— მძიმედაა დაჭრილი? — გოგამ დაჭრილთან ახლოს მიიწია.

— რა მნიშვნელობა აქვს?! — გულგრილად ჩაილაპარაკა ტყვემ. — გინდ, დაჭრილები ვიყოთ და გინდ, დაუჭრელები: აქედან გაღწევა მაინც არ გვიწერია. ყველაზე მეტი, ერთ ან ორ საათს თუ გვაცოცხლებენ.

— ეგრე ნუ ლაპარაკობ, ძმაო, — ჩაურთო პირველმა ტყვემ, — ჩვენები არ მიგვატოვებენ, აფხაზ ტყვეებში გაგვცვლიან. ეგეთი რამე ადრეც მომხდარა.

— ამათ ტყვეები აღარ აინტერესებთ, სისხლზე არიან დაგეშილები, — განაგრძო მეორემ, — იცი, რამდენი ხალხი იყო აქ თქვენს მოყვანამდე?

— რამდენი?

— ექვსნი ვიყავით... ერთი სოხუმელი იყო, ორი — გორელი და ერთიც — სვანი... ცოტა ხანი გააჩერეს აქ და მალევე გაიყვანეს...

— სად?

— ვერ ხვდები?

— ალბათ სხვაგან გადაიყვანეს. შტაბში არ უნდათ ტყვეების ყოლა, — ივარაუდა პირველმა.

— ღმერთმა ქნას, — ყრუდ ჩაილაპარაკა მეორემ, — მე კი ჩემი თვალით ვნახე, როგორ ხვრეტდნენ ტყვეებს.

— სად? — ჰკითხა გოგამ.

— სტადიონთან... უკან ვიხევდით... ქალაქიდან გასვლა გვინდოდა. ამბობდნენ, ჩვენებმა თავდაცვის ზოლი შექმნეს და იქ შევაჩერებთო ამათ შეტევას... მაგრამ ვინ მიგვიშვა იქამდე?! ვერც მივხვდით, საიდან გამოჩნდნენ... მოულოდნელად, ყველა მხრიდან დაგვარტყეს... რვანი ვიყავით. ოთხი ბიჭი პირველივე შეტაკებისას დაიღუპა. ცოცხლად დარჩენილენი ალყაში მოვხვდით... ათ-თხუთმეტ წუთში ჩვენც გადაგვიარეს... მე და სამი დაჭრილი ტყვედ აგვიყვანეს. მე აქეთ წამომიყვანეს, ბიჭები კი იქვე დახვრიტეს...

— ეს? — დაჭრილზე მიანიშნა გოგამ.

— ეს აქ დამხვდა. ნაცნობი ბიჭია... ალბათ ვერც გადარჩება... ორი საათია, რაც აქ ვარ და ერთხელაც არ ამოუღია ხმა...

— მიმიშვი, დავხედავ, — უთხრა გოგამ.

— რას უშველის შენი დახედვა?!

— ექიმი ვარ, — თქვა გოგამ და ახლოს მიიწია.

დაჭრილს მუცელში ყუმბარის ნამსხვრევები მოხვედროდა. ტანსაცმლის ზემოდან, ნაჩქარევად დადებული სახვევიდან მდორედ მოჟონავდა სისხლი. ასეთ პირობებში მისი დახმარება შეუძლებელი იყო, სახვევსაც კი ვერ შეუცვლიდა.

— წყალი... წყალი დამალევინეთ... — ოდნავ გასაგონად დაიჩურჩულა დაჭრილმა.

— წყალი არ გაქვთ? — გოგამ ოთახს მოავლო მზერა.

— რას ამბობ, ძმაო?! — გაიკვირვა პირველმა ტყვემ. — აქ ვინ მოგაწვდის წყალს?!

— უნდა ვთხოვოთ.

— არ გინდა... ისედაც გაცოფებულები არიან, — შეეკამათა პირველი ტყვე, — უარესი მოხდება.

მაგრამ გოგას ყურადღე-

ბა არ მიუქცევია მისთვის. კარს მიაშურა და დააკაკუნა.

ცოტა ხანში კარი გაიღო და ზღურბლზე, მხარზე ავტომატმოგდებული აფხაზი გამოჩნდა.

— რა გინდა? — ბრაზით იკითხა მან.

— დაჭრილისთვის წყალი მინდა, — უპასუხა გოგამ.

— რა გინდა?!

— წყალი!

აფხაზმა დამცინავი მზერა ესროლა. მერე სწრაფად მოიქნია ავტომატი, კონდახი მუცელში ჩაარტყა და კარი გაიკეტა. სუნთქვაშეკრული გოგა გაჭირვებით დაუბრუნდა ადგილს.

— ხომ გითხარი, არ გინდა-მეთქი, — ჩაილაპარაკა პირველმა ტყვემ, — რაც ნაკლებად შევეჩხირებით თვალში, უფრო კარგი იქნება!

ცოტა ხანში კარი ისევ გაიღო და ოთახში შემოსულმა აფხაზმა იატაკზე რკინის სათლი დადგა.

— გმადლობთ, — თქვა გოგამ და სათლისკენ წაიწია. აფხაზმა ხელის აქნევით შეაჩერა და ჰკითხა: ძალიან გწყურიაო?

— მწყურია, — უპასუხა გოგამ.

— მაშინ დალიე, — ამ სიტყვებთან ერთად, აფხაზმა წყალში ჩააფურთხა და სათლი ფეხით გასწია გოგასკენ.

გოგამ გაავებულმა ახედა. აფხაზმა იგრძნო, რაზეც ფიქრობდა ტყვე, თადარიგიანად დაიხია უკან, ავტომატი მოიმარჯვა და თქვა:

— სხვა წყალს ვერ მიიღებ. თუ გწყურია, უნდა დალიო.

გოგა წამით შეყოყმანდა. მერე სათლს მისწვდა, ასწია და ერთი ყლუპი მოსვა.

— ღორი!.. — ავად ჩაილაპარაკა აფხაზმა და მაშინვე გაიკეტა კარი. გოგამ კი ზიზღით მოიწმინდა ტუჩები და სათლი კედლისკენ წაიღო, სადაც დაჭრილი იწვა.

— გმადლობთ, მაგრამ არ ღირდა ამად ეგ წყალი, ძმაო... — სუსტი ხმით ჩაილაპარაკა დაჭრილმა.

— სხვას თუ არა, შენ მაინც გამოგადგება. კამკამა წყალი რომ იყოს, მაინც ვერ მოგცემდი დასალევად. ამისთვის კი გამოდგება, — გოგამ ქურთუკი და პერანგი გაუღეღა დაჭრილს, ხელი წყალში დაისველა და მკერდი ფრთხილად მობანა.

დაჭრილმა შედარებით მსუბუქად დაიწყო სუნთქვა. გოგას ეგონა, რომ წყალმა შვება აგრძნობინა, მაგრამ დროთა განმავლობაში სუნთქვა უფრო და უფრო სუსტი გახდა. ბოლოს კი დაჭრილმა სტვენის მაგვარი ხმა გამოსცა და საერთოდ დადუმდა. გოგამ მაშინვე საძილე არტერია მოუსინჯა.

— რა მოხდა? — ჰკითხეს ტყვეებმა, როგორც კი მისი შეცვლილი მზერა შენიშნეს.

— მოკვდა... — ჩაილაპარაკა გოგამ, დაჭრილს ღიად დარჩენილი თვალები დაუხუჭა და სათლს ბრაზით ჰკრა ხელი.

საშინელებათა ფილმი სცენარის მიხედვით ვითარდებოდა. სცენარი კი ასეთი იყო:

ერთ ბედქვეშ მყოფი რამდენიმე უსუსური ადამიანი ერთმანეთს ეკვრის და შიშით ელის მტაცებლის გამოჩენას, რომელსაც ნებისმიერი მათგანის დამცირება, ცემა და მოკვლაც კი შეუძლია...

გათენებამდე შტაბში ათამდე ტყვე მოიყვანეს. მათგან რვა დაჭრილი იყო. აფხაზებს ცალკ-ცალკე შემოჰყავდათ ტყვეები. ზოგ შემთხვევაში უბრალოდ კარს გააღებდნენ და ტყვეს ხელისკვრით შემოაგდებდნენ ოთახში, ზოგჯერ შემოდიოდნენ და ახალმოყვანილ და ძველ ტყვეებს ერთად სცემდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ისევ უკან ბრუნდებოდნენ და ერთი ან ორი ტყვე გაჰყავდათ. გაყვანილთაგან არც ერთი აღარ მობრუნებულა უკან და ოთახში მყოფებმა არაფერი იცოდნენ იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწიათ მათ.

— გაგრის საავადმყოფოში ვინ აიყვანეს? — ღია კარიდან დაიძახეს აფხაზებმა.

— მე, — თავი ასწია გოგამ.

— მოდი აქ.

გოგამ თვალი აარიდა ტყვეების თანაგრძნობით სავსე მზერას, ადგა და კართან მივიდა.

დერეფანში რამდენიმე შეიარაღებული აფხაზი იდგა. მათ ყურადღებით შეათვალიერეს, მერე ერთ-ერთმა ჰკითხა: გურამის ძმას შენ გაუკეთე ოპერაციაო?

— ჰო, — თავი დაუქნია გოგამ.

— არ ტყუი? — ეჭვით განაგრძო აფხაზმა.

— თუ გინდა, ნუ დაიჯერებ.

— გაგიმართლა: შემთხვევით მოვკარი ყური მაგ ამბავს.

— რაში გამიმართლა?!

— იმაში, რომ აქ დარჩები და, თუ ყველაფერი კარგად იქნება, შეიძლება, პირველ რიგში გაგცვალონ ჩვენს ტყვეებზე, — თქვა გურამის მეგობარმა, შემდეგ ტყვეების გუშაგებს მიუბრუნდა და აფხაზურად რაღაც უთხრა.

გუშაგებმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნიეს და გოგა ოთახში დააბრუნეს...

მომდევნო შემოსვლისას აფხაზებმა ყველა დაჭრილს უბრძანეს, მოემზადეთო.

— სად მიგყავართ? — იკითხა ერთ-ერთმა დაჭრილმა.

— საავადმყოფოში, — უპასუხეს აფხაზებმა.

ის, რომ დაჭრილები მართლაც საავადმყოფოში მიჰყავდათ, არავინ დაიჯერა. მაგრამ რით უნდა გაეწიათ წინააღმდეგობა კბილებამდე შეიარაღებული დამტყვევებლებისთვის?.. ოთახში სამზადისი დაიწყო. მსუბუქად დაჭრილები პირველები წამოიშალნენ, რათა მძიმედ დაჭრილებს ადგომაში დახმარებოდნენ.

— შენ რას ზიხარ?! — ბრაზით უყვირა ერთ-ერთმა აფხაზმა, გოგას გვერდით მჯდომ ტყვეს.

კაცი სახესა და ფეხში იყო დაჭრილი. ყუმბარის ნამსხვრევებს რამდენიმე ადგილზე გაეგლიჯა მისთვის ლოყა და ყვრიმალი, ფეხზე კი ბევრად მძიმე იარა ჰქონდა და ადგომა არ შეეძლო.

— მე დაგეხმარები, — დაამშვიდა გოგამ დაჭრილი, მერე ადგა, წამოაყენა და მხარში ამოუდგა.

აფხაზებს ჯერაც არ განელებოდათ ტყვეების ცემისა და დამცირების ჟინი. ამჯერად მათ რაღაც, დერეფნის მსგავსი ჰქონდათ მოწყობილი: შენობიდან გამოსულ ტყვეებს სატვირთო მანქანამდე მისასვლელად, ორ მწკრივად განლაგებულ მეომრებს შორის უნდა გაევლოთ, ამ დროს კი მათ უმოწყალოდ ურტყამდნენ. „არსენალი“ იგივე იყო — წიხლი, მუშტი, ავტომატის კონდახი, მაგრამ გოგას არ მოუწია ამ დერეფნის გავლამ. შენობიდან გასვლისას გურამის მეგობარი წინ გადაეღობა და გუშაგებს უბრძანა: უკან დააბრუნეთო!

— ფეხშია დაჭრილი, დახმარების გარეშე ვერ ივლის, — შეეწინააღმდეგა გოგა, მაგრამ მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. გუშაგებმა დაჭრილს ხელი ჰკრეს, გოგა კი უკან გააბრუნეს. სანამ ოთახში შევიდოდა, გურამის მეგობარი წამოეწია და გაიფრთხილა:

— ცეცხლს ნუ ეთამაშები — მეორედ ასე აღარ გაგიმართლებს. დილამდე თუ აქ დარჩები, გასაცვლელთა სიაში მოხვდები, თუ არა... დანარჩენს თვითონ მიხვდები!..

გურამის მეგობარმა აღარ დაასრულა, ზურგი შეაქცია და სწრაფი ნაბიჯით გაუყვა დერეფანს.

შუადღეს აფხაზებმა ისევ მოაკითხეს ტყვეებს. იმ დროისთვის ოთახში ოთხი ქართველიღა იყო დარჩენილი.

„აჰა... ჩვენი ჯერიც დადგა...“ — გაიფიქრეს ტყვეებმა კარის გაღებისთანავე.

მაგრამ ამჯერად აფხაზებს სხვანაირად ეჭირათ თავი. ლანძღვა-გინება და ვინმეს ცემა არ დაუპირებიათ. ტყვეებს ორი პური და წყალი მისცეს და უბრძანეს: ჭამეთ და წასასვლელად მოემზადეთო!

სატვირთო მანქანას ტენტით დახურული ძარა ჰქონდა. ტყვეებს ძარაზე ასვლა უბრძანეს, თანაც გააფრთხილეს: გარეთ ცხვირის გაყოფა არ გაბედოთ, თორემ ადგილზევე დაგხვრეტთო, მაგრამ ტყვეები ვერც გაფრთხილებამ დააოკა და ვერც დახვრეტის მუქარამ. როგორც კი მანქანა ადგილიდან დაიძრა, ალაგ-ალაგ დახვრეტილ ტენტს აეკვრნენ, რათა ასე მაინც გაეგოთ, თუ სად მიჰყავდათ. ნახვრეტებიდან ამის გარკვევა შეუძლებელი აღმოჩნდა. გარეთ მოჩანდა გზა, ღობეები, ციტრუსის ბაღები, იშვიათი გამვლელები...

მანქანამ სამიოდე კილომეტრი გაიარა და გაჩერდა. ტყვეები მაშინვე მოშორდნენ ტენტს და სკამებს დაუბრუნდნენ. ცოტა ხანში ტენტი გახსნეს და ტყვეებს მანქანიდან გადმოსვლა უბრძანეს. გოგა პირველი მიუახლოვდა ძარას ნაპირს და მიმოიხედა.

სატვირთო ავტომობილი გზის პირას იდგა. მოშორებით კი, მცირე ტაფობში, უწესრიგოდ იყო გაფანტული ოცამდე ცხედარი. მათ შორის, ის ტყვეებიც ერივნენ, რომლებიც აფხაზებმა წინა ღამით შტაბიდან გაიყვანეს. იქ იყვნენ ფეხში დაჭრილი ქართველი სამხედროც, რომლის დახმარებასაც გოგა ცდილობდა, ის თბილისელი მოხალისეც, რომელიც შტაბში მიყვანისას დახვდა ოთახში, ის დაჭრილიც, ვისთვისაც გოგამ წყალი ითხოვა და მისი მეგობარიც, რომელიც თავიდანვე ამბობდა, რომ ყველას დახვრეტდნენ.

— დროზე გაინძერი! — ქვემოდან დაუყვირეს აფხაზებმა.

გოგა ძარას ნაპირს გადაევლო და მიწაზე ჩახტა. ტყვეებიც უკან მიჰყვნენ. ახლა უკვე ოთხივე დარწმუნებული იყო, რომ აფხაზებს მათი დახვრეტა ჰქონდათ გადაწყვეტილი.

არასოდეს ყოფილა სიკვდილი ისე ახლოს, როგორც ახლა. არც მაშინ, როცა გაგრელ მოხალისეებთან ერთად, კოლხიდაში შემოჭრილ აფხაზებს ებრძოდა, არც მაშინ, როცა აფხაზები გაგრის შემოსასვლელს ბომბავდნენ... მაშინ მის სიახლოვეს ასობით ტყვია და ჭურვი დაფრინავდა და ყოველ მათგანს ნებისმიერ წამს შეეძლო, შეეწყვიტა მისი სიცოცხლე, მაგრამ მაშინ ხელფეხშეკრული არ იყო, მოწინააღმდეგესთან თანაბრად გრძნობდა თავს: მას ესროდნენ, მაგრამ მასაც ჰქონდა იარაღი, რომლითაც მტრის მოგერიება შეეძლო. ახლა კი...

ახლა ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. მის წინ ავტომატშემართული აფხაზები იდგნენ. სულ მალე ისინი სასხლეტებს დაუშვებდნენ და...

მაგრამ აფხაზები სროლას არ ჩქარობდნენ.

— ყველა გვამი ძარაზე დააწყვეთ! — ასეთი იყო მათი ბრძანება.

ამით დაიწყო ჯოჯოხეთური სცენარის კიდევ ერთი საშინელი ეპიზოდი.

ტყვეებმა დახვრეტილი თანამოძმეების ცხედრები ძარაზე გადაასვენეს. შემდეგ მანქანა ადგილიდან დაიძრა და გაგრისკენ გაუყვა გზას.

ცხედრების შეგროვება კოლხიდის მიდამოებში განახლდა. აფხაზებს უკვე გადაესვენებინათ ბრძოლებში დაღუპული თავიანთი თანამებრძოლები. ქართველები კი ჯერაც უჭირისუფლოდ ესვენნენ გზის პირას, ბაღებში, სანგრებში, აფეთქებულ მანქანებში...

ომს სხვა და უფრო საშინელი მხარეც აღმოაჩნდა, რომელიც ყოველ ნაბიჯთან ერთად, უფრო და უფრო თვალში საცემი ხდებოდა. კოლხიდა დიდი ხნით ადრე აღმოჩნდა ბრძოლების ეპიცენტრში და მოქალაქეებისგან პრაქტიკულად, დაცლილი იყო. მაგრამ გაგრა...

კოლხიდის აღების მიუხედავად, გაგრის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დარწმუნებული იყო, რომ ქართული ფორმირებები ქალაქს არ დათმობდნენ. ამიტომაც მრავალი მოქალაქე სახლებში რჩებოდა. იმ დროისთვის კი, როდესაც გასაგები გახდა, რომ ქალაქს აფხაზები დაიკავებდნენ, სამშვიდობოს გასვლა უკვე შეუძლებელი იყო...

ყოველი გზა, რომლითაც ქალაქის დატოვება შეიძლებოდა, აფხაზური ფორმირებების სამიზნედ იყო ქცეული...

ერთ საზარელ სურათს მეორე, უფრო საზარელი ცვლიდა: ასაკოვან ქალს აფხაზური ტყვია სახლიდან გამოსვლისას წამოსწეოდა. მეორე ქალი გზისპირა არხში ეძებდა თავშესაფარს და სამუდამოდ იქ ჩარჩენილიყო... გზის პირას შუახნის მამაკაცისა და ქალის ცხედრები ესვენა; მათ გვერდით ორი სამგზავრო ჩანთა ეგდო. ჩანთები მაროდიორებს უკვე გაეჩხრიკათ და დაღუპულების საბუთები და ტანსაცმელი იქვე მიმოფანტათ.

მოშორებით, არხში, მაგრად დაცხრილული მანქანა გადაყუდებულიყო. მძღოლის მხარეს ღია კარიდან მამაკაცის გვამი იყო გადმოკიდებული, უკანა კარიდან კი მეორე დაღუპულის ხელი მოჩანდა.

და ასე გრძელდებოდა უსასრულოდ...

კანტიკუნტად მოჩანდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები. აფხაზები უნდა ყოფილიყვნენ. ბარბაროსული ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, ქალაქში არც ერთი ქართველი არ უნდა დარჩენილიყო. და თუ დარჩა ვინმე, დღის სინათლეზე გამოჩენას მაინც ვერ გაბედავდა.

მოსახვევში საავადმყოფო გამოჩნდა. მის ხილვაზე გოგას გული შეეკუმშა. საავადმყოფოს წინ, გზაზე ჯერაც მოჩანდა ერეკლესა და ცოტნეს ცხედრები. კედლის სიახლოვეს კი სტავრო ესვენა.

თითქოს დანაშაულის ადგილზე ბრუნდებაო, ისეთი შეგრძნებით მიუახლოვდა გოგა მეგობრების ცხედრებს. მძიმედ დაეშვა მუხლებზე და ცოტნე თავისკენ გადმოაბრუნა. მისი ცნობა გაუჭირდა: სიკვდილი ულმობელ დამღად აღბეჭდვოდა მის სახეზე, ოდნავ ღია თვალები ჩასცვენოდა, ტუჩები დაჭიმვოდა და კბილები უჩანდა.

საღამომდე, მეც ასეთი ვიქნები... — გაიფიქრა მწარედ. ამ დროს, მოახლოებული ნაბიჯების ხმა გაიგონა. თავი მაღლა ასწია და ნანახით გაოგნებული, ადგილზე გაშეშდა: მისკენ რომა ლაკობა მოდიოდა, რომელსაც რიტა მოჰყვებოდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



სევდის სუნთქვა

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“,
№ 51, 2009 - №12, 2010

კახიმ ტაქსი გააჩერა.

— გესმის მაინც, რომ დღეიდან მამუკა საშველს არ მომცემს? — მივუბრუნდი მას, უკანა სალონში რომ მოვკალათდი.

— შენც, დაწერე ის ოხრობა სტატია და ეგ იქნება, დაგანებებს თავს, — მშვიდად მიპასუხა.

— აი, თურმე, რატომ გამომიტყუე გარეთ, — მოჩვენებითი სიბრაზით წამოვიძახე, — ისედაც ვაპირებდი დაწერას, არ იყო საჭირო ამის გაკეთება.

— ვიცოდი, ბოლოს და ბოლოს, რომ გადაიფიქრებდი, — ჩაიცინა მან, ჩემს შეცბუნებულ სახეს რომ შეხედა.

— რა ვქნა, სხვა სამუშაოს ძებნას, ისევ ეს მირჩევნია. ხომ გაგიგონია, შეჩვეული ჭირი სჯობია შეუჩვეველ ლხინსო.

— შენისთანას სამსახურის შოვნა არ გაუძნელდება.

— დიდი მადლობა კეთილი სიტყვებისთვის, მაგრამ მას შემდეგ, რაც თავს გადამხდა, მეეჭვება, ვინმემ მიმიღოს. ერთადერთი, შეიძლება, ძიძის ადგილი გამოვძებნო სადმე.

— ვაღიარებ, რომ არ იყავი ურიგო ძიძა. ისინი მოგცემენ რეკომენდაციას, ვისაც ქობულეთში შვილს უზრდიდი... — ეშმაკურად შემომცინა.

— მაგრამ შენ მაშინ არ იცოდი, რომ გატყუებდი, — ერთიანად წამოვჭარხლდი.

— მანამდე, რომც არ მცოდნოდა შენ შესახებ ყველაფერი, მაინც არ დავიჯერებდი.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ქობულეთში ბევრს ვიცნობ. არ გამიჭირდებოდა სიმართლის დადგენა.

ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა... კახიმ ხელზე ხელი მომკიდა.

— იცი, ძალიან ლამაზი ხარ...

— შენ კი — გამოუსწორებელი გულთამპყრობელი.

წამით მოიღუშა.

— ძალიან შეიცვალე... — ამის თქმაზე ხმა ჩაეხრინწა.

— შევიცვალე? რა მხრივ? კარგისკენ თუ ცუდისკენ? — ღიმილით ვკითხე, რომ მისი უეცრად დასევდიანებული განწყობილება გამექრო...

ვკითხე და იმწამსვე მივხვდი, ამ ხნის განმავლობაში როგორ მაკლდა იგი, მისი თვალების სითბო, ხავერდოვანი ხმა, ეშმაკური ღიმილი.

— ძალიან დამაკლდი... — ჩემს შეკითხვას თავი აარიდა.

— რომ დაგკლებოდი, უფრო ადრე მომძებნიდი, — არ დავინდე.

კახი გაჩუმდა. ან კი რა უნდა ეთქვა?! თავის მართლებას ხომ არ დაიწყებდა! ტყუილად ვედავებოდი. მის ადგილას, მე საერთოდ დავივიწყებდი ასეთ ქალს. მას კი ბოლოს მაინც არ მოუთმინა გულმა და მომძებნა...

მაგრამ გულმა რომ არ მოუთმინა, იმიტომ მომძებნა?.. იქნებ ნაადრევი დასკვნები გამომაქვს? იქნებ მხოლოდ სტატიის გამოქვეყნება სურს და ამისთვის მომადგა? მალე ყველაფერი გაირკვევა...

— როგორც ჩანს, კმაყოფილი ხარ შენი ცხოვრებით... — დავარღვიე გაუსაძლისი სიჩუმე.

— რატომაც არა?.. ჯერ არ ჩამოვუწერივარ, — კვლავ გაიღიმა.

— ვიცი, — ვთქვი და ჩემივე ხმა ვერ ვიცანი, რაღაც გაუგებარი სინანული გაისმა მასში, — ყველაფერი ვიცი... შენს უსიამოვნებებზე იმდენი მსმენია, რომ...

— არ იცი... მე ხომ ყოველთვის ყველაფერს ვმალავდი, თუმცა არასდროს არაფერი მინანია, განსაკუთრებით — შენთან გატარებული დღეები...

მოულოდნელად შემაკანკალა. ისე ნაღვლიანად ლაპარაკობდა, გული მომიკვდა.

— არ მითხრა, რომ გრძნობები მოგეძალა...

— რატომაც არა?! მომეძალა... არ გჯერა?

— არ ვიცი... ვიცი მხოლოდ ის, რომ შენ სიყვარულის არსებობის არ გჯერა.

— ვინ გითხრა, რომ არ მჯერა? მჯერა, მაგრამ... ბოლო დროს ძალიან „აატალახეს“ ეს სიტყვა. ბარში ზიხარ თუ კაფეში, მხოლოდ ერთი რამ გესმის: „სიყვარული, სიყვარული...“ რადიოშიც, ტელევიზორშიც, ვისაც არ ეზარება, ყველა გაიძახის: „სიყ-ვა-რუ-ლი“... ამ სიტყვის აზრიც კი შეიცვალა, იმდენი იძახეს... მხოლოდ სექსთან გააიგივეს და მეტი არაფერი... ასეთი სიყვარულის ნამდვილად არ მწამს... არ მჭირდება ასეთი სიყვარული. ჩემი ნება რომ იყოს, სიყვარულს სხვა სახელს მოვუძებნიდი და დავაკანონებდი, მხოლოდ ერთხელ გამოეყენებინათ იგი ცხოვრებაში. აი, ეს იქნებოდა მართებული.

ტაქსი ორსართულიანი სახლის წინ გაჩერდა.

— ეს შენი სახლია? — ვკითხე.

— ჰო, ჩემია... თუმცა იშვიათად მიწევს აქ ცხოვრება. ძირითადად, საზღვარგარეთ ვარ და როცა ჩამოვდივარ, მხოლოდ მაშინ ვგრძნობ, როგორ მომნატრებია იგი.

ჰოლში ძველებური ავეჯი იდგა. იქვე, დივანზე, თხუთმეტიოდე წლის კიკინებიანი გოგონა ჩამომჯდარიყო და წიგნს კითხულობდა. ჩვენს დანახვაზე თავი ასწია, წიგნი დახურა და ფეხზე წამოდგა.

— როგორ ხარ, მარი? — თავზე

ხელი გადაუსვა კახიმ.

— არა მიშავს, — უხერხულად გაუღიმა გოგონამ.

— ნუკი რას შვრება?

— ყველაფერი წესრიგშია, ბატონო კახი. საერთოდ არ უტირია, ახლა კი სძინავს, — სხაპასხუპით მიაყარა მარიმ და მალულად ჩემკენ გამოაპარა თვალი.

— გაიხარე, დიდი მადლობა! კარგი გოგო ხარ შენ, — ამ სიტყვებით ანდრონიკაშვილმა სამზარეულოს კარი გააღო და მიიმალა.

ახლა უფრო თამამად შემათვალიერა გოგონამ. თბილად გავუღიმე. ამასობაში კახიც გამოჩნდა, ხელში „რაფაელოს“ გაუხსნელი ყუთი ეჭირა.

— ეს შენ, ჯულისგან, — თქვა და ამანათი გაუწოდა.

ღაწვებშეფაკლულმა მარიმ მადლობის ნიშნად რაღაც ჩაილუღლუღა, კახის ყუთი გამოართვა, დაგვემშვიდობა და გავიდა.

— მეზობლის გოგონაა, — ამიხსნა კახიმ, როცა კარამდე მიაცილა და მობრუნდა, — ხანდახან ნუკის ვუტოვებთ. მშვენივრად უვლის, თუმცა შენნაირად — ვერა, — კვლავ ეშმაკური ღიმილი აუთამაშდა ტუჩებზე.

— მე მგონი, ძალიან გაუკვირდა, მე რომ დამინახა.

— რატომ უნდა გაჰკვირვებოდა?

— იმიტომ, რომ... სახლიდან შავგვრემან ქალთან ერთად გახვედი, უკან კი ქერათმიანთან ერთად მობრუნდი...

— რას იზამ, ხომ უნდა გავამართლო ჩემი რეპუტაცია... — მხრები ყასიდად აიჩეჩა.

— რომელი რეპუტაცია?

— რომლითაც პრესაში მომიხსენიებენ და... შენც გვარიანად მამკობ... გულთამპყრობლის, მექალთანის...

ჭარხალივით გავწითლდი.

— წავალ, ნუკის დავხედავ და ჩამოვალ. შეგიძლია, ბარი გამოაღო და სასმელი აირჩიო. შემცივნული ჩანხარ, დალევა არ გაწყენდა. თან გაიხადე, რას უცდი? აქ თბილა, — შენიშნა მან და ჩემს პასუხს არ დალოდებია, ისე აუყვა მეორე სართულისკენ ამავალ კიბეს.

ლაბადა გავიხადე, იქვე, სკამზე გადავკიდე და ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ მამაკაცს უკან მივყევი.

ჩემი ნაბიჯების ხმა რომ გაიგონა, მოიხედა.

— მეც მინდა ბავშვის ნახვა... მგონი, მაქვს ამის უფლება, — ხმადაბლა განვმარტე, — წინააღმდეგი ხომ არ იქნები?

დამელოდა, სანამ გავუსწორდებოდი, მერე მხარზე მზრუნველად მომხვია ხელი და თავი თავზე მომადო.

— როგორც ერთ ძველ, კარგ დროს, არა? — თვალებით მომეალერსა და ბავშვის ოთახის კარი შეაღო.

მისმა შეხებამ თავბრუ დამახვია. ვიგრძენი, სისხლმა როგორი შხუილით დაიარა ძარღვები...

ოთახს მხოლოდ ბრა ანათებდა. რიკულებიანი პატარა საწოლი კუთხეში, ფანჯარასთან ახლოს, კედელთან იყო მიდგმული. სწორედ მასში ეძინა ნუკის. ცალი ხელი ფუნჩულა ლოყის ქვეშ ამოედო და თანაბრად სუნთქავდა.

— როგორ გაზრდილა!.. — თვალებით მივეფერე მძინარეს, შეხება ვერ გავბედე, არ გავაღვიძო-მეთქი.

კახიმ საბანი ორივე მხრიდან მზრუნველად ამოუკეცა პატარას.

— კიდევ ორი კბილი ამოუვიდა, წარმოგიდგენია?! მაგრამ ახლა ისე აღარ სტკიოდა, როგორც მაშინ. გამოუმუშავდა იმუნიტეტი, დიდი გოგოა უკვე. გახსოვს ის დღე, შენ რომ გვესტუმრე? იმ დღეს არ გაჩერებულა, იმდენი იტირა...

თავი ავწიე და თვალებში შევხედე.

— ის დღე არასდროს დამავიწყდება... არასდროს...

— არც მე... — მას უცნაურად აენთო თვალები და უფრო ახლოს მოიწია ჩემკენ.

— მე... მე... წავალ, კარგი? — ავილეწე. — ასე აჯობებს.

— ქეთევან... არ წახვიდე....

მის სიტყვებს ყურადღება არ მივაქციე, გავტრიალდი და კარისკენ დავიძარი.

— გთხოვ... — დამეწია მისი მუდარაგარეული ხმა.

ნელა შემოვბრუნდი. ვგრძნობდი, როგორ მევსებოდა თვალები ცრემლით. წამწამები რამდენჯერმე დავახამხამე, მამაკაცს ჩემი ცრემლები რომ არ შეემჩნია.

— ჯანდაბამდის გზა ჰქონია იმ სტატიას, ქეთი. არ მანაღვლებს, დაიწერება თუ არა იგი. გგონია, მართლა ამისთვის მოგიყვანე აქ?! მე შენ მჭირდები... ნამდვილი იდიოტი ვიყავი, როცა უფლება მოგეცი, წასულიყავი ჩემი ცხოვრებიდან. მას შემდეგ ერთი დღე არ გათენებულა და დაღამებულა, შენზე არ მეფიქრა... სულ თვალწინ მიდგახარ, წარამარა შენი ხმა ჩამესმის ყურში... გჯერა ჩემი თუ — არა?

მომუშტული ხელები ამოვისვი თვალებში, რომ ცრემლების კვალი გამექრო და ურწმუნოდ შევხედე.

— გახსოვს, რომ მითხარი, შენზე არ ვეჭვიანობდიო?.. სამაგიეროდ, მე ვეჭვიანობდი... თანაც საშინლად... და ვერაფერს ვუხერხებდი ამას. როცა ის თემურ არაბული პირველად დავინახე, გულმა რეჩხი მიყო, თუმცა მაშინ ჯერ კიდევ არ მქონდა საეჭვიანო საბაბი, მაგრამ მეორედ, ლალისთან ერთად ჩემს იახტაზე რომ გამოჩნდა, ლამის ჭკუიდან შევიშალე. ისე მინდოდა, ერთი გემრიელად დამერტყა მისთვის, რომ თავი ძლივს შევიკავე. ასე მეგონა, გამუდმებით კუდში დაგდევდა. თან, როგორი თვალებით გიყურებდა?! შეგიმჩნევია ოდესმე? დარწმუნებული ვიყავი, რომ მასაც უყვარდი... წარამარა უკან დაგდევდა, მოსვენებას არ გაძლევდა, — ამის თქმაზე კახის ზიზღით დაებრიცა ტუჩები, — ახლაც მგონია, რომ მოსწონდი და დღემდე ვერავინ დამარწმუნებს, რომ ასე არ იყო.

იმ წუთებში რაღაც ბურთივით მომებჯინა ყელში, თითქოს ვიგუდებოდი. ვაითუ, რამე იცის ჩემი და თემურის ამერიკული თავგადასავლის შესახებ... რა ვქნა, ვუთხრა?.. არ ვუთხრა?.. იქნებ არ ღირს? რა საჭიროა ასეთი გულახდილობა?! რომელს მოუტანს იგი სიკეთეს?.. არაბული თავად არ მოუყვებოდა იმ ამბავს, მე რატომ გადავუშალო გული?! ერთი საიდუმლო მაინც ხომ უნდა მქონდეს ისეთი, რომელიც მხოლოდ მე უნდა ვიცოდე და სხვამ — არავინ!.. მაგრამ თუ ახლა ჩვენ შორის ურთიერთობის ახალი ეტაპი იწყება, ღირს კი ასეთი რამის დამალვა?.. ეს ხომ სიყალბე იქნება!

— მივხვდი, რომ თქვენ შორის რაღაც ხდებოდა, — გააგრძელა კახიმ.

ახლა კი ვეღარ მოვითმინე. სიმწრით გადავაქნიე თავი, მხნეობის მოსაკრებად ჩავახველე და ავლაპარაკდი:

— სიმართლე გითხრა, არაფერიც არ ხდებოდა, კახი. იყო მცდელობა...

— არ მაინტერესებს. შენი წარსული შენი საკუთრებაა. მე არ მაქვს უფლება, მასში შევიხედო.

— მაგრამ მე მინდა, იცოდე...

— რა უნდა ვიცოდე?

როგორ გეფლირტავებოდა თემური? და როგორ მოსვი ერთ ადგილას? ეგ უკვე ვიცი. თვითონვე მომიყვა და ბევრიც იცინა. ეგონა, მეც გამაცინებდა, მაგრამ არ გამოუვიდა... ასეთ რამეებზე არ მეცინება, მით უმეტეს, როცა ლაპარაკი შენ გეხება.

— რა მოგიყვა? — გამაჟრჟოლა, როცა მისი სიტყვები მოვისმინე, ყურები დამიგუბდა თითქოს.

— მომიყვა, როგორ გაიცანით ერთმანეთი ნიუ-იორკის აეროპორტში...

მუხლები მომეკვეთა. კიდევ კარგი, ოთახი სუსტად იყო განათებული და ჩემი სახის ფერისცვალებას ვერ შენიშნავდა, თორემ ადვილად გავყიდდი თავს.

— მე წავედი, არ მსურს ამის მოსმენა, — წავიჩურჩულე და ნაბიჯის გადადგმა რომ დავაპირე, წავბორძიკდი.

მამაკაცი ორიოდე ნახტომით ჩემ გვერდით გაჩნდა და მკლავებში მომიქცია.

— მერე რა მოხდა? განა რამე დაშავდება იმით, ახალგაზრდა ქალსა და მამაკაცს ერთმანეთი მოეწონოთ?! არ გავბრაზებულვარ, უბრალოდ, უსიამოვნო იყო ჩემთვის ამის მოსმენა, მეტი არაფერი. ეს რომ ჩვენი გაცნობის შემდეგ მომხდარიყო, გაბრაზება და განრისხება მერე უნდა გენახა. მე ის უფრო მიკვირს, ამისთანა კაცს უარი როგორ უთხარი: ძალიან სიმპათიური ყმაწვილია, რატომ არ მოგეწონა?

ყურები ვცქვიტე... როგორც ჩანს, თემურმა არ გამწირა და მას სულ სხვანაირად დაუხატა ჩვენი გაცნობის ამბავი.

— მამაკაცში გარეგნობა არასდროს მხიბლავდა... — გაუბედავად წარმოვთქვი.

— მჯერა შენი. ასე რომ არ ყოფილიყო, ახლა აქ, ჩემ გვერდით კი არა, მასთან იქნებოდი... იცი, როგორი ბედნიერი ვიყავი, როცა ლალიმ მითხრა, მე და თემური ოჯახს ვქმნითო?! ასე მეგონა, ცის კარი გაიხსნა ჩემთვის. თავს ველარ მოვერიე...

— რატომ?

— როგორ თუ რატომ? მივხვდი, რომ საეჭვიანო საბაბი აღარ მქონდა... მე შენ მჭირდები, ქეთევან... ძალიან მჭირდები. ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით. იცი, როგორ ვგრძნობ ამას?! რას იტყვი შენ?

მისი ყოველი სიტყვა იმდენად მიფორიაქებდა სულს, ხმას ველარ ვიღებდი. ერთიანად ვკანკალებდი მხოლოდ.

— ვერ წარმოიდგენ, როგორ მინდა შენთან, — ხმადაბლა გააგრძელა კახიმ, — დღემდე ასე ვარ. მინდა, მიყვარდე, მინდა, ჩემი იყო... ყოველთვის... ყველგან... ყველანაირად... — კიდევ უფრო დაუწია ხმას და სახეზე ჩამოშლილი თმა ხელის ნელი მოძრაობით ზურგს უკან გადამიყარა.

— გაჩუმდი, ძალიან გთხოვ, გაჩუმდი... — ღრმად ამოვიოხრე. — ჩვენი ურთიერთობა ხომ მხოლოდ სექსი იყო და მეტი არაფერი... — თავი უმწეოდ გადავაქნიე, ვცდილობდი, თავიდან ამომეგდო ის მოუთოკავი სურვილი, რომელსაც ასე აღვიძებდა ჩემში კახი.

— მხოლოდ სექსი? შენ ასე ფიქრობ? — საჩვენებელი თითით ნიკაპი ამიწია და ტუჩებზე ოდნავ შემეხო...

თვალები უნებლიეთ დავხუჭე. მერე მისი თითები ვიგრძენი, ნელა რომ ასრიალდა ჩემს ზურგზე, თითქოს ჩემი სხეულის ყოველი მილიმეტრის დამახსოვრებას ცდილობსო... მისი ყოველი შეხება ცეცხლივით მწვავდა, ველარ ვუმკლავდებოდი საპასუხო რეაქციას. სიგიჟემდე მიყვარდა ეს კაცი... ისე ძლიერ მიყვარდა, რომ თავს ველარ ვერეოდი. ნუთუ მასაც ვუყვარვარ?! ეს კითხვა მოსვენებას არ მაძლევდა.

ის კი მკოცნიდა... მკოცნიდა თავდავიწყებით... თან, როგორც კი ოდნავ სულს მოითქვამდა, ნაზად შემომღიმებდა და მეჩურჩულებოდა...

— ეს მხოლოდ სექსი არ არის, ქეთევან... ეს ნამდვილი გრძნობაა... გრძნობა, რომელსაც ვებრძვი იმ დღიდან, როცა პირველად დაგინახე. არ ვიცი, რა დამემართა. იმწუთას ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ იყავი შენ, საიდან და რისთვის მოსული. მართლა ძიძა იყავი თუ ერთი „უნიჭო“ გაზეთის უნიჭო კორესპონდენტი. მე შენში ქალი დავინახე... ქალი, რომელმაც თავგზა ამიბნია... რომელმაც დანახვისთანავე განმაცდევინა ის, რასაც მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება ქვეშეცნეულად ველოდი... გახსოვს ის საღამო, შენ რომ მითხარი, თავდაცვის ინსტინქტი გაიძულებს, გაექცე სერიოზულ ურთიერთობებსო? გეშინია, არ დაკარგო საყვარელი ქალი, იმიტომ, რომ ერთხელ უკვე დაკარგე იგი საკუთარი მეუღლის სახითო?

— მახსოვს...

ან კი რა დამავიწყებდა იმ დღეს?! შეგნებულად დავადანაშაულე მაშინ იგი ამაში, რათა იძულებული გამეხადა, ჯულისთან სასიყვარულო ურთიერთობა ეღიარებინა. მართლა მეგონა, რომ ჯული უყვარდა და სხვას კი არა, თავის თავსაც კი არ უმჟღავნებდა ამას.

— იცი, რომ მართალი იყავი?! ოღონდ — არა ჯულისთან მიმართებაში... — ამ სიტყვებით მძლავრად ჩამიკრა მკერდში. — მე ზოგადად მეშინოდა გრძნობების... რაც ჩემი ცოლი დაიღუპა, ყველა ქალი დავასამარე ჩემს გულში... ახლოს არავის ვიკარებდი, ჩემს ნაჭუჭში ჩავიკეტე და იქიდან გამოსვლა არ მიცდია, არც გამჩენია ამის სურვილი... არასდროს... და ეს გრძელდებოდა მანამ, სანამ შენ, არსაიდან მოსულმა, ჩემი სახლის ზღურბლს არ გადმოაბიჯე. მაშინვე მომნუსხე... იყო შენში რაღაც ისეთი, რასაც წინ ვერ აღვუდგებოდი... სული ამიჯანყე... მოსვენება დამიკარგე... იმ დღიდან შენზე ფიქრი არ გამნელებია... შენზე ოცნება... მე შენ მიყვარხარ, ქეთევან... მე შენ მჭირდები. უშენოდ ძალიან ცუდად ვარ — მინდა, ეს იცოდე...

თვალცრემლიანმა გავუღიმე მხოლოდ, თქმით კი ვერაფერი ვუთხარი.

— მითხარი, რამე რომ იყოს, გახდებოდი ჩემი ცოლი?

მისმა შეკითხვამ საბოლოოდ მომიღო ბოლო, სუნთქვა გამიჩერდა.

— მაგრამ... ჩვენ ხომ... ჩვენ ხომ წესიერად არც ვიცნობთ ერთმანეთს... შენ ბევრი რამ არ იცი ჩემზე.

— მერე რა?! იცი, ბევრი ისეთი წყვილი მინახავს, ბავშვობიდან რომ ჰყვარებიათ ერთმანეთი, მაგრამ შეუღლებიდან რამდენიმე თვეში ურთიერთობა დაჰძაბვიათ... უფრო მეტიც, მათი სიყვარული დაშორებით დამთავრებულა. მთავარი ის კი არ არის, რამდენ ხანს იცნობ ადამიანს, არამედ ის, როგორ შეიცნობ.

— ჩვენს ურთიერთობას სახელი არც რქმევია, კახი...

— და მაინც, ეს ურთიერთობა რეალურად, ხომ არსებობდა?! ოცნებებში ხომ არ გამოგვიგონია?! იყო ურთიერთობა, შეიძლება, სიტყვებისა და ქმედებების გარეშე, მაგრამ — მაინც იყო. ასე ვთქვათ, გარეგანი ფორმა არ ჰქონდა მხოლოდ. როგორც შენ ამბობ, სახელი არ ერქვა. ჰოდა, დავარქვათ, ჩვენი ნება არ არის? მოდი, როგორც ახალდაბადებულ ჩვილს, ერთად დავარქვათ. გინდა?

— არ ვიცი... ძალიან დავიბენი...

— შენ გვერდით თუნდაც მცირე ხნით ყოფნამ ჩემი ცხოვრების აზრი შეცვალა, ქეთევან. უდიდესი სითბო მთელი ნაკადით იღვრებოდა ჩემში მანამ, სანამ ერთად ვიყავით. არ დაგიმალავ და, შენამდე ჩემში ორი „მე“ ცხოვრობდა: ერთი — უხეში, თვითკმაყოფილი და საკუთარ თავზე შეყვარებული, ასე ვთქვათ, ნარცისი, რომელიც ჩარჩოებით შემოსაზღვრულ სამყაროში ცხოვრობდა, გამოგონილ ლამაზ სამყაროში... მეორე კი... მშვიდი, წყნარი, სიკეთით აღსავსე ადამიანი, რომელსაც ადამიანური, ჩვეულებრივი წვრილმანებით სავსე ცხოვრება მონატრებოდა. პირველი „მე“ შეუბრალებლად ავიწროებდა მეორეს, გასაქანს არ აძლევდა, წელში გამართულიყო, ამოესუნთქა, გამოევლინა საკუთარი თავი... ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ შენ არ გამოჩნდი. მხოლოდ შენ შეძელი, ჩაგეკლა ჩემში ის პირველი „მე“ — უხეში, ამპარტავანი და თვითკმაყოფილი, რითაც გზა

გაუხსენი მეორეს — ჩვეულებრივს, ემოციებითა და ოცნებებით აღსავსეს. ეს შენ გამხადე ასეთი კეთილშობილი, ქეთი...

— მაგრამ ეს არ არის საკმარისი... მხოლოდ ამის გამო უნდა გამოგყვე ცოლად?

— შენ ჯერ პატარა ხარ იმისთვის, რომ მსგავსი სიტუაციები გააანალიზო. რა არის ცხოვრება, როგორ ფიქრობ?.. ერთი დიდი უბრალოება და მეტი არაფერი. ჩვენ კი, იდიოტები, გამუდმებით ვართულებთ მას. პირადად მე, მივესალმები იმ ადამიანებს, ვინც ტრადიციებსა და დამკვიდრებულ წესებს არ ცნობს და ცხოვრობს ისე, როგორც მოესურვება, როგორც გული უკარნახებს. ასე ბევრად მარტივდება ურთიერთობა. მოგწონთ ერთად?.. იყავით, ვინ გიშლით?! არ მოგწონთ?.. რა პრობლემაა, გაშორდით!... განა აუცილებელია, ყველა რომანი ქორწინებით დამთავრდეს?! რა სავალდებულოა, ადამიანს წლობით იცნობდე, რათა მიხვდე, რომ მხოლოდ მასთან იქნები ბედნიერი?! რატომ უნდა იფიქრო იმაზე, რა იქნება ხვალ, როგორ გაგირთულდება მასთან ერთად ერთ ჭერქვეშ ცხოვრება?! დღეს ხომ კარგად გრძნობ თავს?.. ჰოდა, იცხოვრე დღევანდელი დღით, ხვალისაზე ხვალ იფიქრე. მერე რა, რომ დიდი ხნის ნაცნობობა არ გვაკავშირებს?! როგორსაც გიცნობ, ისეთი მომწონხარ. ჩემთვის ეს საკმარისია. შენთვის რატომ არა?

— მომისმინე, კახი... ჯერ რამდენიმე დეტალი უნდა გავაანალიზოთ... — შემპარავად დავიწყე.

— რამდენიმე დეტალი? — გაღიზიანებული ტონით შემომიბრუნა კითხვა, რათა ნერვიულობა დაეფარა. — და რამდენია ეს... ეს დეტალი? ორი? სამი? ოთხი? ათი?

— ერთი.

— სულ ეს არის? მერედა, რატომ არ მეუბნები? დროზე მითხარი, ნუ ამომხადე სული.

— არც ისე მარტივადაა საქმე, როგორც შენ გგონია.

მამაკაცი მოიქუფრა, ჩრდილმა გადაურბინა სახეზე, შუბლი ღარებმა დაუფარა.

— კიდევ ვინმე დგას ჩვენ შორის?

— შეიძლება, ასეც ითქვას... — ჩუმი, გაუბედავი ხმით ვუპასუხე და თვალები დავხარე.

— ჯანდაბას!.. და ვინ არის იგი, არაბული?

— არა, არავითარი არაბული. ჩვენ შორის არასდროს, სერიოზული არაფერი ყოფილა.

— მაშ ვინ? — მოუთმენლად წამოიყვირა.

ღიმილი ვერ შევიკავე, თუმცა შინაგანად ისე ვნერვიულობდი, არ ვიცოდი, საუბარი საიდან დამეწყო. თავი ავწიე და თვალებში შევხედე... საწყალობელი მზერა ჰქონდა, უსუსური, თითქოს ვიღაც, მასზე ძლიერი იმწუთას ჩემს თავს ართმევდა.

— მე ორსულად ვარ, კახი... შენგან შვილს ველოდები...

ისეთი სულელური გამომეტყველება გაუხდა, აღელვებული რომ არ ვყოფილიყავი, გულიანად გამეცინებოდა.

— წინააღმდეგი ხომ არ ხარ? — შიშითა და იმედით ჩავჩურჩულე ყურში.

— წინააღმდეგი?! — შეცბუნებულმა ჩემი სახე ხელებში მოიქცია და თვალებში ჩამაშტერდა.

ერთხანს ასე მიყურა... მერე მკლავები მომხვია და ისე ჩამიხუტა, სუნთქვა შემიგუბდა. — ქეთევან! ნუთუ?! გონს არ ვარ სიხარულისგან! რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ... ნუ ტირი, გთხოვ... ყველაფერი კარგად იქნება.

— ვიცი... ვიცი და ამიტომაც ვტირი, — ლოყით მხარზე გავეხახუნე, — მე შენ ისე მიყვარხარ, ისე, ისე, რომ...

— როგორ? — ეშმაკურად მოჭუტა თვალები.

— როგორ და... არა, ჯერ შენ მითხარი, — გავეკეკლუცე.

— რა გითხრა? — ვითომ ვერ მიმიხვდა.

— შენ როგორ გიყვარვარ.

— როგორ და... როგორც მელაკუდას ქათმები.

ორივეს სიცილი აგვიტყდა.

— წამოდი, ჩემს კაბინეტში გავიდეთ, თორემ ასე შეიძლება, ნუკი გავაღვიძოთ, — ტუჩზე ამაფარა საჩვენებელი თითი და ფრთხილი ნაბიჯებით ოთახიდან გამიყვანა.

— ესე იგი, შენ გინდა მითხრა, რომ მე მამა გავხდები? — მაგიდის კიდეზე ჩამოჯდა კახი და ფეხებშუა მომიქცია. — ეს სიმართლეა?

— ჰო, ამიტომაც გავხდი გუშინ ცუდად.

— ამიტომ გერეოდა გული?

— დიახაც.

— ჩემი სულელი გოგო... მერედა, სადამდე აპირებდი ამის დამალვას?.. დღეს აქ რომ არ მომეყვანე, ალბათ არც არასდროს მეტყოდი.

— მართალი ხარ, არასდროს გეტყოდი.

— და რას აპირებდი? იქნებ...

— არა, არა, — სასწრაფოდ გავაწყვეტინე, — ბავშვის მოშორება წამითაც არ გამივლია გულში. უბრალოდ, შენთვის თქმას არ ვაპირებდი.

— და ჩემი შვილი გინდოდა, უმამოდ გაზრდილიყო?

— არ მინდოდა, მაგრამ...

— ჩემი ბრალია ყველაფერი... მესმის შენი.

ამ დროს კახის მობილური აწკრიალდა. დაბნეულმა ჯიბეები მოიჩხრიკა, ტელეფონს დაუწყო ძებნა... ჯული რეკავდა.

— ხელი ხომ არ შეგიშალეთ? — მისი ხმა მხიარულად გაისმა.

— არა, ჯული, არანაირად.

— სახლში ხართ?

— ჰო, აბა, სად ვიქნებით?

— რას შვრება ჩემი შვილი?

— სძინავს, რას უნდა შვრებოდეს?!.

— ხომ არ უტირია?

— არა-ა-ა.

— ჩაწერა ქეთიმ ინტერვიუ?

— ვერა.

— ვერა? აბა... არ მოვიდე ჯერ? — ჯული მიხვდა, რაც იგულისხმებოდა ამ „ვერა“-ში.

— მოდი. აქ კარგი ამბავი დაგხვდება.

— რა ამბავი? რა ხდება, არ მეტყვი? რა ხმა გაქვს?

— მალე მამა გავხდები, ჯული, შენ კი — მამიდა.

— რას ამბობ, გაგიჟდი?!

— ჰო, საყვარელო, გავგიჟდი... ოღონდ — სიხარულისგან. მოდი და აქ აგიხსნი ყველაფერს, — ყურებამდე გაღიმებულმა მობილური გათიშა და კვლავ ჩამეხუტა. ერთი ღრმად ამოისუნთქა, თითქოს ჩემი სხეულის სურნელი შეისრუტაო.

— მითხარი, ქეთი, ბედნიერი ხარ?

— უკიდეგანოდ.

— მაგრამ მაინც იგრძნობა შენი საოცარი სევდის სურნელი... როგორც ჩანს, მე ვერ შევძელი მისი გაფანტვა...

— არა, — ვთქვი ეშმაკური ღიმილით.

— არა? — იჭვნეულად შემომაჩერდა.

— არა, — კვლავ გავიღიმე, — შენ უკვე გაფანტე იგი... თანაც, დიდი ხანია...

დასასრული



დასაწყისი იხ. „გზა“, № 43, 2009 - №12, 2010

მარი ჯაფარიძე

— ნუ გავაღებთ, — ირაკლიმ ქალს ზემოდან დახედა და ჩურჩულით უთხრა.

— არა, უხერხულია, — ანა იდაყვებს დაეყრდნო და საწოლიდან წამოიწია.

— რა არის უხერხული, წავიდეს და დაიძინოს, — ირაკლი მისი ტუჩების მიწვდენას შეეცადა, მაგრამ ანამ თავი გასწია.

ამასობაში გიორგი არ ცხრებოდა და კარზე ჯიუტად აკაკუნებდა.

ირაკლი წამოდგა და კარის გასაღებად გაემართა. ანამ ტანისამოსი შეისწორა, მისაღებში გავიდა და ტელევიზორი ჩართო. თვითონ დივანზე დაეშვა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს მთელი ყურადღებით უყურებდა ფილმს.

— უკაცრავად, ხელი შეგიშალეთ, მგონი, მაგრამ რა ჩემი ბრალია? თვითონ არ დამპატიჟეთ? — თითქოს თავს იმართლებდა გიორგი, მაგრამ მის ხმაში უფრო მეტი ნიშნის მოგება ჩანდა, ვიდრე სინანული.

— ხელი რაში უნდა შეგეშალა, მოდი, დაჯექი, — არ შეიმჩნია ანამ.

ირაკლის კი სახეზე ეწერა, რომ რაღაცით უკმაყოფილო იყო.

გიორგი კარგა ხანს დარჩა მათთან ერთად, მერე ირაკლის მოსვენება არ მისცა, სანამ არ წაიყვანა. წამოდი, დავიძინოთ, ანა დაღლილია, დასვენება აცადეო.

ირაკლი ხმას არ იღებდა, კრიჭაშეკრული იჯდა და ტელევიზორს თვალგაშტერებული უყურებდა. ბოლოს, რომ ვერაფერი გააწყო, ადგა, ანას გამოემშვიდობა და გიორგის დასაკლავი ხბოსავით გაჰყვა. ფეხები უკან რჩებოდა. თუმცა, ამ სიტუაციაში სხვა არაფრის გაკეთება არ შეეძლო. მასპინძელმა ისინი გასასვლელთან მიაცილა და ისე მიხურა კარი, ლამის ირაკლის ფეხი მოაყოლა.

მაშინვე დასაძინებლად დაწვა... ჭერს მიშტერებოდა და თან გიორგიზე ბრაზობდა. ხვდებოდა, რომ მამაკაცმა ეს განგებ გააკეთა, მაგრამ არ იცოდა, რატომ მოიქცა ასე. ეჭვიანობის გამო თუ უბრალოდ, იეშმაკა და იხუმრა.

ირაკლის სუმანოს სურნელი ცხვირში უღიტინებდა. ჰაერი გაჟღენთილი იყო ამ სურნელით. ტანზეც კი ეს ნაცნობი სუნი ჰქონდა შერჩენილი, რომელსაც სხვა ათას სუნში ამოიცნობდა...

საიდანღაც, შორიდან ტელეფონის ხმა მოესმა. მესიჯი იყო. გაახსენდა, რომ წინადღეს პოლონური ბარათები იყიდეს და ერთმანეთის ტელეფონის ნომრებიც ჩაიწერეს. ჯერ დაეზარა ადგომა, მაგრამ მერე გაახსენდა, რომ ახლა ირაკლის მეტი არავინ დაუმესიჯებდა და წამოდგა. ტელეფონი მოძებნა.

„ანა, მაპატიე... გიორგი რომ არა, ახლა ჩემს მკლავებში მოქცეული იქნებოდი. თუ ნებას დამრთავ, მოვალ... და იქნება... სურვილი, ტალღებად მოვარდნილი, აჩქარებული სუნთქვა... თავდავიწყების ჩურჩული... ერთმანეთის ტუჩების ძებნა, ჩემი მიძალება და შენი დანებება... სიგიჟე სხეულთა ჰარმონიის და ნეტარებაში სიკვდილი... დაზავება წუთიერი და სიგიჟე ისევ... მოვიდე?“

ანას ერთი სული ჰქონდა, მიეწერა, მოდიო, მაგრამ გაიფიქრა, რომ არ ღირდა ხვალ დილით გიორგის ირონიული მზერისა და გადაკრული სიტყვების მოსმენა და პასუხი არ დაუბრუნა. „ხვალ ვეტყვი, რომ მეძინა და ვერ გავიგონე მესიჯის მოსვლის ხმა“, — გაიფიქრა, ბალიშს ჩაეხუტა და თვალები დახუჭა.

დილით კაკუნმა გააღვიძა. ხალათი მოიცვა და კარი ისე გააღო. ეგონა, ირაკლი იქნებოდა, მაგრამ შეცდა. კართან გიორგი იდგა და უღიმოდა.

— შეიძლება? — მიპატიჟებისთვის არც დაუცდია, ისე შეაბიჯა ოთახში, მიდი, დაუძახე, დროზე ადგეს, გეყოფათ ნებივრობა. 11 საათია უკვე და დაგვაგვიანდება შეხვედრაზე.

— ვის დავუძახო? — ანა მის პირდაპირ ჩამოჯდა.

— ბატონ ირაკლის დაუძახეთ.

— აა, ირაკლის? იქნებ თქვენ თვითონ გაგეღვიძებინათ, ბატონო გიორგი...

— ანა, ხუმრობა იქით იყოს და მართლა უნდა ვიჩქაროთ.

— კი, ბატონო, მე ნახევარ საათში მზად ვიქნები, — ბოლო სიტყვები უკვე სააბაზანოდან გამოსძახა ქალმა, — კარზე აკაკუნებენ და გააღე, — დაამატა შემდეგ.

— ვა, ირაკლი, სად იყავი? — გიორგი იმდენად იყო დარწმუნებული, რომ მისი მეგობარი ღამე ანასთან დაბრუნდა, რომ გაოცებისგან პირი დააღო...

— ქვევით ვიყავი ჩასული. მეძებდი?

— ჰო, გიკაკუნე დილით და რომ არ გამაგონე...

— გეგონა, აქ ვიყავი, არა? — გაეცინა იკას. — ჩემს ოთახში მეძინა მთელი ღამე და შენი წყალობით, რომ იცოდე... მაგრამ დილით მე შემოვდივარ აქ, ანა სააბაზანოშია, შენ კი დივანზე წამოწოლილი ტელევიზორს უყურებ. რა ვქნა ახლა, ვიეჭვიანო თუ?

— „თუ“, „თუ“, — თავი გააქნია გიორგიმ. სისულელეს ნუ ლაპარაკობ.

ვიდრე მამაკაცები საუბრობდნენ, ანა უცებ გამოეწყო და ოთახიდან ყველანი ერთად გავიდნენ.

შეხვედრამ კარგად ჩაიარა. ყველა საჭირო დოკუმენტს ხელი მოაწერეს და ანა პენოპლასტის უდიდესი ქარხნის მფლობელი გახდა...

— გილოცავ, ანა, შენ ახლა დიდი მეწარმე ხარ, — ხელი ჩამოართვა გიორგიმ, როდესაც მანქანაში ჩასხდნენ და სასტუმროსკენ აიღეს გეზი.

— ხუმრობ, გიორგი?

— არა, რატომ?

— ასეთ საჩუქრებს ჩემი ქმარი ყოველ დღესასწაულზე ყიდულობდა ჩემთვის.

— უკაცრავად, ქალბატონო ანა, — გაიცინა გიორგიმ.

— ეგ კი არა, მთელი 3 დღე რა უნდა ვაკეთოთ ვარშავაში? დღეს ორშაბათია, ჩვენი რეისი კი ხუთშაბათსაა.

— დავისვენოთ, ქალაქი დავათვალიეროთ, თვალს წყალი დავალევინოთ, გავერთოთ.

— სად მცალია გასართობად? გადავცვლი ბილეთებს და წავიდეთ, რაა... არ მინდა აქ დარჩენა, უამრავი საქმე მაქვს.

— კარგი, ანა, რა დაგემართა, იყავი ჩემთან ერთად, ასეთი შანსი, რომ მთელი დღეები ერთად ვიყოთ, თბილისში ჯერ არ გვაქვს. შენც საქმეებზე დარბიხარ, მეც ვმუშაობ. აქ სულ ერთად ვიქნებით, — მთელი გულით შეეხვეწა ირაკლი.

— არა, უნდა წავიდე. თუ თქვენ

დარჩენა გინდათ, დარჩით. მე კი აუცილებლად წავალ.

— მოუთმენელი ხარ და მოუსვენარი. გეფიცები, შენნანირი დაუდეგარი ადამიანი და მით უმეტეს — ქალი თუ მენახოს. სულ სადღაც გარბიხარ, სულ გეჩქარება, სულ საქმე გაქვს...

— დრო ისედაც ცოტა გვაქვს ადამიანებს, ჩვენი სიცოცხლე წამია და ამ მცირე „რეგლამენტს“ სასეირნოდ ვერ გამოვიყენებ. მით უმეტეს, რომ ახლა უამრავი მნიშვნელოვანი საქმე მაქვს. იმაზე მნიშვნელოვანი, ვიდრე ვარშავის დათვალიერებაა... ამას სხვა დროსაც მოვასწრებ.

— რა ვქნათ, გიორგი? — ირაკლიმ მეგობარს გადახედა.

— მე არსად არ ვაპირებ წასვლას. ის კი არა და, თუ მომეწონება, კიდევ მეტ ხანსაც დავრჩები. თქვენი კი არ ვიცი. თუ გინდათ, წადით. ანა რომ მიდის, ეგ ფაქტია, მაგას ველარ შეაჩერებ...

— დარჩენა თუ გინდა, დარჩი შენც, რა პრობლემაა? — ირაკლის მიმართა. — „ახლა რომ დარჩე და მარტო გამიშვა, ამას არ გაპატიებ, იცოდე“, — გულში კი ეს გაიფიქრა.

— შენ როდის აპირებ წასვლას?

— სასტუმროში რომ მივალთ, გავიგებ, როდისაა რეისი, არის თუ არა თავისუფალი ადგილები და წავალ, როგორც კი ამის შესაძლებლობა მექნება.

სასტუმროში გაარკვია, რომ უახლოესი რეისი ღამის 2 საათზე იყო და თავისუფალი ადგილიც მოიძებნა. გადაწყდა, რომ ის იმ ღამით გამოფრინდებოდა თბილისში. ირაკლის კი გაუჭირდა გადაწყვეტილების მიღება...

ანა ოთახში ჩანთას ალაგებდა და თან ცდილობდა გამოეცნო, როგორ მოიქცეოდა ირაკლი. გიორგისთანაც უხერხული იყო, რომ ძმაკაცს მარტო დაეტოვებინა და ანასთანაც, მარტო რომ გაეშვა. ყური მათკენ ჰქონდა მიპყრობილი და საუბარს უსმენდა.

საბოლოოდ გადაწყდა, რომ ირაკლი ანასთან ერთად გაემგზავრებოდა.

ანამ შვებით ამოისუნთქა. გაუხარდა, რომ ირაკლიმ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო...

დილით თვალები რომ გაახილა და საკუთარ ლოგინში იწვა, ძალიან გაუხარდა. თავისი სახლი ყველაფერს ერჩივნა... ადგა და გამოეწყო, მაგრამ გარეთ გასვლის წინ აღმოაჩინა, რომ საქმე არაფერი ჰქონდა... დაფიქრდა... ამაზე ვარშავაში არ უფიქრია, რომ გადაუდებელი საქმე სულაც არ ჰქონდა. წამოსვლა უნდოდა და მორჩა! გული აქეთ მოუწევდა. მიზეზსაც მიხვდა... ანა... პატარა ანა იყო მიზეზი. მერე გაახსენდა, რომ რამაზს მისთვის უნდა დაერეკა და პასუხი ეთქვა... „ამ დილაუთენია ვერ დავურეკავ, შუადღისას კი შევახსენებ, რომ ველოდები მის გადაწყვეტილებას“, — გაიფიქრა ანამ და მაინც გავიდა შინიდან. ვერ ისვენებდა. ერთ ადგილზე გაჩერება არ შეეძლო. ახლა ყველაზე მეტად დავითის ნახვა უნდოდა. სამსახურში მიადგა და სთხოვა, რამაზთან დაერეკა და პირობა შეეხსენებინა. დავითმა ნომერი აკრიბა და ანას გულმა ისე დაუწყო ცემა, თითქოს ბუდიდან ამოვარდნას ლამობდა. როგორ უნდოდა, რომ თანხმობა მიეღო. რამაზმა გულისყურით მოუსმინა დავითს და შეთანხმდნენ, რომ 1 საათში მასთან მივიდოდა სამსახურში. ანამ ჯერ წასვლა ამჯობინა, მაგრამ იმ იმედით დარჩა, რომ იქნებ რამაზს ანაც მოეყვანა და გოგონას ნახავდა. თუმცა, ხვდებოდა, რომ ამის ალბათობა ძალზე მცირე იყო, რადგან საქმიან შეხვედრაზე ბავშვს თან არ იახლებდა.

კაბინეტში შემოსულ რამაზს ანა შეეგება და ხელი ჩამოართვა. დავითი გააცნო. რამაზი დაწვრილებით კითხულობდა თითოეულ წვრილმანს და პასუხს დაფიქრების შემდეგ აძლევდა.

ბოლოს, ყველა კითხვა და საინტერესო დეტალი რომ ამოწურა, დაიბარა, პასუხს ხვალ გაგაგებინებთო და წავიდა.

— რა მოითმენს ხვალამდე, — ანა ოთახში ბოლთას სცემდა.

— ნუ ხარ ასეთი მოუსვენარი, უცებ გავა დრო, მაგრამ მაინც ვერ მივხვდი, რა პრინციპია, რომ რამაზმა მაინცდამაინც აქ იმუშაოს?

— ასე უფრო გამიადვილდება ანასთან დაახლოება. მხოლოდ ეგაა მიზეზი.

— ისე, ურიგო კაცი არ ჩანს და შენ ხომ არ დაფიქრდებოდი და შეაბამდი? ცოლად გაჰყვებოდი და საკუთარი შვილის დედა გახდებოდი.

— დედა კი არა, დედინაცვალი... საკუთარი შვილის დედინაცვალი ვიქნებოდი. მე ირაკლი მიყვარს, დავით...

— გასაგებია. ერთხელ მაინც მომაკვრევინა თვალი მაგ კაცისთვის, ასე უცებ რომ მოინადირა შენი გული.

— რა ძნელი მოსანადირებელი მე ვარ? — გაეცინა ანას. — ასე შორიდან ჩანს, თორემ თუ ჩემს სუსტ წერტილს ვინმემ მიაგნო, 2 საათში მომინადირებს. ირაკლი კარგი ადამიანია და იცის, ქალს რა სურს, როგორ შეხედოს, როგორ უთხრას, როგორ მოექცეს, რომ დაიმორჩილოს... გარეგნობაც ხელს უწყობს და მეტი რა უნდა ჩერჩეტ ანას?



— სულაც არ ხარ ჩერჩეტი... ჭკვიანი გოგო ხარ და შენნაირი ბევრი არ დადის, — გააპროტესტა დავითმა.

— ეჰ, დავით... როცა ახალგაზრდა ქალი მარტოა, ხომ იცი, რომ მამაკაცს მისი გადმობირება იოლად შეუძლია. ჭკვიანი ვარ თუ არა, ეგ არავინ იცის. ჭკვიანი ქალები არ უშვებენ ისეთ შეცდომებს, როგორც მე.

— უშეცდომო ვინაა?

— გულს მიკეთებ, არა? — გაიღიმა ანამ და აწკრიალებულ ტელეფონს უპასუხა.

ირაკლი რეკავდა. შეხვედრაზე შეთანხმდნენ, ანა დავითს გამოემშვიდობა და წავიდა.

ანა დილის გათენებას მოუთმენლად ელოდა. როგორც იქნა, მოვიდა ის დრო, როდესაც რამაზს წუთიწუთზე უნდა დაერეკა დავითთან, მაგრამ მან ანასთან დარეკა და შეხვედრა სთხოვა.

რამაზს გოგონაც წამოეყვანა. მყუდრო კაფეში დასხდნენ. ანა ისე უყურებდა ბავშვს, ლამის თვალებით ჭამდა.

— რას შეჭამ, პატარავ? — ლოყაზე ხელი ჩამოუსვა.

— ნაყინს.

— მოდი, გამოვიცნობ, მგონია, რომ შოკოლადის ნაყინი უნდა გიყვარდეს.

— კი, — გაუღიმა ანამ.

— ჰოდა, მაშინ შევუკვეთოთ.

— ანა, — რამაზმა რაღაცნაირი

ხმით დაიძახა. ორივემ შეხედა, — ქალბატონო ანა, ახლა თქვენ მოგმართავთ. არ მიყვარს, როცა სადმე ვარ და დანახარჯს სხვა იხდის. არ გამოვრიცხავ, რომ ჩემზე მეტი ფული გქონდეთ, მაგრამ იმედია, თავს უფლებას არ მისცემთ, რომ ჩემს ნებას არ დაემორჩილოთ.

— არა, რას ბრძანებთ, — ანა უცებ მოლბა, — ჩვენს წინადადებაზე რა გადაწყვიტეთ? — უცებ შეცვალა საუბრის თემა.

— მივიღებ თქვენს წინადადებას, მაგრამ ერთი პირობით.

— გისმენთ.

— მე ძველი სამსახურიდან არ წამოვალ. იქ უკვე შევათანხმე ეგ საკითხი და თუ თქვენც არ იქნებით წინააღმდეგი, მაშინ შეგვიძლია ვითანამშრომლოთ. თუ თქვენთან სიტუაცია მომეწონება, მაშინ მთლიანად გადმოვალ. გამოსაცდელი ვადა 6 თვე მინდა.

— კარგი, შევთანხმდით.

— ასე უცებ რატომ მთანხმდებით ყველაფერზე? — ეჭვები აწუხებდა რამაზს.

— მისაღებია ჩემთვის თქვენი წინადადება და რატომ არ უნდა დაგეთანხმოთ?

— გამარჯობა, — უცხო ქალი იდგა მათ მაგიდასთან და რამაზს უღიმოდა.

— აა, მოხვედი? გაიცანი, ეს ანაა, ჩემი მომავალი შეფი, ეს კი პატარა ანას ძიძაა, ქალბატონი მადონა.

ანამ ქალს გაუღიმა და ხელი ჩამოართვა.

— შეჭამე, მამა, ნაყინი? — დიდი სიყვარული ჩააქსოვა ამ ნათქვამში. ანას შეშურდა, რომ მას არ შეეძლო თავისი გოგონას მიმართ ასეთი სითბო გამოეხატა.

— კი.

— მაშინ მადონას გაჰყევი, ხომ? მე და ანა დეიდამ საქმეზე უნდა ვილაპარაკოთ.

ანა და მადონა წავიდნენ. კართან მისული გოგონა უკან გამოიქცა, ჯერ მამას აკოცა, მერე ანას და ისევ ძიძას გაეკიდა.

— ძალიან კარგი ბავშვია, — ანამ თვალი დანანებით გააყოლა.

— ანა, ჩვენც გავიდეთ, მინდა, სადმე რესტორანში დაგპატიჟოთ და ჩვენი გაცნობა, შეხვედრა და საქმიანი ურთიერთობის დაწყება აღვნიშნოთ.

— კარგი, — ხალისით დათანხმდა ანა.

კარგა ხანს გასტანა მათმა ერთად ყოფნამ. დაღამდა კიდეც. აბეზარ ადამიანებს ხელი რომ არ შეეშალათ, ანას ტელეფონი გამორთული ჰქონდა. წამოსვლის წინ ჩართო.

რამაზი უკვე ბოლო სადღეგრძელოს ამბობდა. ანას ადღეგრძელებდა. ბოლოს, ხელი ხელზე დაადო და თვალებში ჩახედა. ანამ ხელი გამოჰგლიჯა და ბავშვივით, ზურგს უკან დამალა.

— ანა, მე მაინც მგონია, რომ თქვენი ჩემდამი ინტერესი ისეთია, როგორც ქალისა მამაკაცის მიმართ და ამიტომაა, ასე დაჟინებით რომ ცდილობდით ჩემს გადმობირებას. მომწონხართ. რაც უფრო მეტ დროს ვატარებ თქვენ გვერდით, მით უფრო მიჭირს წასვლა... თუ ასეა და მე სწორად ვხვდები რაღაცებს, მაშინ მინდა, აღიაროთ, რომ მართალი ვარ და ბედნიერი ვიქნები, თუ თქვენისთანა ლამაზი ქალის სიმპათია და ყურადღება დავიმსახურე.

მამაკაცს სასმელი მოჰკიდებოდა და თამამად ლაპარაკობდა, ანას თვალებით ბურღავდა. ქალი ამის გამო თავს უხერხულად გრძნობდა. აღარ იცოდა, თვალები სად წაეღო. ამ დროს უხერხულობისგან ტელეფონის ზარმა იხსნა. ირაკლი იყო...

— ანა, ტელეფონი დიდხანს გქონდა გამორთული, ხომ მშვიდობაა? — შეშფოთებული ჩანდა.

— კი, მშვიდობაა.

— სად ხარ?

— ახლობელთან ერთად ვარ.

— მითხარი, სად ხარ! — ეჭვი გაუჩნდა მამაკაცს.

ირაკლი არ მოეშვა, სანამ ანამ რესტორნის სახელი არ უთხრა. 10 წუთში კი თავზე დაადგა და როდესაც ახლოს მისულმა ანას თანმხლებ მამაკაცში რამაზი ამოიცნო, გაოცებისგან თვალები შუბლზე აუვიდა.

— გაიცანი, ეს რამაზია, — ანამ თვალებით გაბურღა ირაკლი, — ეს კი ირაკლია.

რამაზს სახეზე ჩრდილმა გადაურბინა. აშკარა იყო, რომ ირაკლი ახლობელი, მეგობარი ან მეზობელი კი არა, უფრო სერიოზული „სტატუსის“ მატარებელი იყო და გაცილებით მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ანას ცხოვრებაში.

მამაკაცებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და თვალით აზომეს.

— წავიდეთ, კარგა ხანია, აქ ვართ, — ანა დაფაცურდა და წამოდგა.

რამაზი შეეწინააღმდეგა, კაცი ახლა მოვიდა და სუფრასთან არ დავსვათ? მაგრამ ანა გაჯიუტდა, ამას არ შია და წავიდეთ, მაგვიანდებაო.

რამაზს თბილად დაემშვიდობა და ირაკლის მანქანაში ჩაჯდა, ვინაიდან აქამდე რამაზის მანქანით მოვიდა, თავისი კი სადგომზე გაჩერებული ჰყავდა.

— ანა, რას ნიშნავს ეს ყოველივე? გეფიცები, გაოცებისგან ლამის დავეცი, — ირაკლიმ მაშინვე წამოიწყო ლაპარაკი, როგორც კი მანქანა დაძრა.

— იცანი? — კითხვა შეუბრუნა ანამ.

— რომ ვიცანი, იმიტომ გამიკვირდა. ეგ ის კაცი არაა, შენი გოგონას მამა?

— ჰო.

— მერე, რას ჩალიჩობ, ანა? როგორ მოხვდი მასთან ერთად რესტორანში? როდის მოასწარი მისი ახლოს გაცნობა? გამაოცე, მოკლედ, ნამდვილი მაფიოზა ხარ. არა, მაფიოზა კი არა, ალქაჯი ხარ.

— მერე ეს ალქაჯი რომ გიყვარს, არ გეშინია, რომ მოგაჯადოოს? — გაიცინა ანამ და თავი მხარზე დაადო.

— მეტი რაღა უნდა მომაჯადოვო, დღისით შენს კვალს დავდევ, ღამე შენზე ვფიქრობ და ახლოს ვერ გეკარები. კიდევ მოჯადოება მინდა?

— გაივლის, გაივლის ყველაფერი და საუცხოოდ აეწყობა საქმე, — დაიმედა ანამ.

მერე მოუყვა, როგორ აღმოჩნდა რამაზთან ერთად რესტორანში და ირაკლის გაოცება კიდევ ერთხელ მოახერხა.

ანამ რატომღაც მოიწყინა და ყურები ჩამოყარა. თვითონაც არ იცოდა მიზეზი... მარტო ის იცოდა, რომ ახლა მარტო ყოფნა უნდოდა... იკამ სახლამდე მიიყვანა და დაემშვიდობა...

ხმა არავისთვის გაუცია, ერთი თქვა, დავიღალეო და თავის ოთახში გავიდა. არავის შეუღია მისი ოთახის კარი, მხოლოდ ნინო შეეხმიანა გარედან, ხომ არ გშიაო. ყველამ იცოდა, რომ როცა ანა ასეთ გუნებაზე იყო, ხმა არ უნდა გაეცათ.

ანამ კარგა ხანს იკოტრიალა საწოლზე, მერე ტელევიზორს უყურა, მაგრამ გუნება არ გამოუკეთდა, ცდილობდა, არანაირ პრობლემაზე არ ეფიქრა. გადაწყვიტა, ოჯახის წევრებთან გასულიყო, მაგრამ მერე ესეც გადაიფიქრა... სახლში სიჩუმე ჩამოვარდა... „ალბათ ყველამ დაიძინა“, — გაიფიქრა ანამ და მობილურზე საათს დახედა. არ უყვარდა კედელზე ჩამოკიდებული საათის წიკწიკი... ამიტომ არასოდეს ჰქონდა ოთახში. ღამის პირველი საათი იყო...

„რა დრო გასულა! ემოციებმა ბოლო მომიღო... როგორ დავიღალე... დასვენება მჭირდება“ — გაიფიქრა ბალიშზე ზურგით მიყრდნობილმა და ტელევიზორში არხებს კიდევ ერთხელ ჩამოუარა. მერე დასვენებაზე ბათუმი გაახსენდა...

„ისე, ზღვაზე კი დავისვენებდი რამდენიმე დღე... ხვალ წავალ... არა, ხვალ რატომ? ახლავე წავალ“, — გადაწყვეტილება უეცრად მიიღო, გუნებაც უცებ გამოუკეთდა. რამდენიმე ხელი ტანისამოსი ჩანთაში ჩაყარა, საცურაო კოსტიუმებიც მიაყოლა, მანქანის გასაღებს ხელი დაავლო და შინიდან ქურდივით, უხმაუროდ გაიპარა.

„გული მიგრძნობს, ახალი თავგადასავალი მელოდება ამ რამდენიმე დღეში!“ — ჩაილაპარაკა და ადგილიდან დაიძრა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ტყუილი და სიმართლე

„მამიდაჩემის ადგილზე ყოფნას მტერს არ ვუსურვებ. ქმარი ჰყავს ისეთი ზარმაცი, როცა დაწვება, ძალიანაც რომ გინდოდეს, ვეღარ „ააფხეკ“ საწოლიდან. ეს კიდევ არაფერი. მთელი დღე მუნჯივითაა და საწყალ ქალს დამლაპარაკებელიც არავინ ჰყავს. ტანჯვა მაშინ იწყება, ჩემი მამიდაშვილი ბიჭები სამსახურიდან რომ ბრუნდებიან. ყვირილითა და ჯაჯღანით შედიან სახლში, ბიძაჩემსაც მაშინ მოუნდება ხმის ამოღება და საბრალო მამიდაჩემი სად გაიქცეს, აღარ იცის. შარშან პირველ აპრილს, მამიდას მეზობელი ქალები საგანგებოდ ემზადებოდნენ, ამ დღისთვის. მანჩოს კი არც გახსენებია, თავისი ბედოვლათი ქმარშვილის გადამკიდეს ეს დღე და ამიტომაც, მისი მოტყუება ყველაზე იოლი აღმოჩნდა. ერთმა მეზობელმა შეწუხებული ხმით აცნობა: შენი ძმა (ანუ მამაჩემი) გირეკავს, ცუდი ამბავი მომხდარაო. ეს უნდოდა მამიდაჩემს? გული წაუვიდა და როცა მოასულიერეს, მთელი სამეზობლო გარს ეხვია. იმ შეჩვენებულებმა, იმის მაგივრად, რომ სიმართლე გაემხილათ, ისევ შეახსენეს ზემოხსენებული ამბავი. ქალების მოგუდულმა სიცილმაც ვერ დააეჭვა მანჩო. როგორც იქნა, ძლივს ამოილუღლუღა, ჩემს ძმას დამალაპარაკეთო. თავისი რომ არ დაიშალა, ქალებმა სიცილს უმატეს და განადგურებულ, ჯერ კიდევ დივანზე მწოლიარე მამიდას სიცილ-ხარხარით აცნობეს, რომ პირველი აპრილი იყო. მანჩო მიხვდა ყველაფერს, მაგრამ რაღა დროს? იმ დღეს მეზობლები საღამომდე მასთან იყვნენ და მამიდას გამხიარულებას ცდილობდნენ. სამწუხაროდ, მეორე დღეს ბებია გარდამეცვალა და მამაჩემს მართლა მოუხდა მანჩოსთან დარეკვა, მაგრამ მამიდას ისევ ტყუილი ეგონა და ცოცხალი თავით არ იჯერებდა. ბოლოს, სურამში რომ ჩამოვიდა, ეს ამბავი დაწვრილებით მომიყვა. ბევრი ვიცინეთ მიუხედავად იმისა, რომ ბებია გარდაცვლილი იყო. ლუნა“.

მარი ჯაფარიძე

ხუმრობა ყოველთვის კარგია, მიუხედავად იმისა, პირველი აპრილი იქნება თუ სხვა დღე. თუმცა, გადაჭარბებული არაფერი ვარგა... მაგალითად, ჩემს ახლობელს ძალიან ცუდად ეხუმრნენ... სადარბაზოში, კართან ჩინური „ხლაპუშკა“ მიუმაგრეს, რომელსაც დიდი ხმა აქვს და რამდენიმე ფეიერვერკს უშვებს. მისი ბოლო კი კარის სახელურზე დაამაგრეს. სამსახურში მიმავალმა კარი გამოაღო და რაღაც აფეთქდა, ნაპერწკლები გაყარა და ისეთი ხმაური ატყდა, ქალს გული გაუსკდა. იატაკზე გაიშხლართა და თავი ისე დაარტყა, 11 ნაკერი დაადეს. აბაა... და ვინ გაუკეთა? — საკუთარმა დაქალმა... მოკლედ, ასე... გილოცავთ ნამდვილი გაზაფხულის შემობრძანებას და თქვენს ხუმრობებს გავეცნოთ.

დღეს პირველი აპრილია

ლექტორების მსხვერპლი

„წინა დღეს მთელი დღე აკადემიაში გავატარე. სამუშაოს რომ მოვრჩი, ხელები ძალიან ჭუჭყიანი მქონდა. იქვე მაგიდაზე „ფეირის“ ბოთლი იდგა. ვიფიქრე, მეშველა და ხელებს დავიბანმეთქი. ავიღე ეს ბოთლი და წავედი ხელების დასაბანად. მაისური გავიძრე და მკლავზე მთლიანად დავისხი ბოთლში არსებული სითხე. თან კი გამიკვირდა, რატომ არ ქაფდება-მეთქი, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე, სანამ შევნიშნე, რომ ჩემი ხელები საოცრად ბზინავდა. თურმე ლექტორებმა გამიჩალიჩეს და ბოთლში ჭურჭლის სარეცხი სითხის ნაცვლად, მანქანის ზეთი ჩამისხეს. უნდა გენახათ, ლექტორები როგორ ხარხარებდნენ. ერთმანეთს ძლივს იჭერდნენ, სიცილით რომ არ წაქცეულიყვნენ. ასე გავხდი ლექტორების მსხვერპლი. კოზანოსტრა“.

საჩუქარი

„საპირველაპრილო ხუმრობა არა, მაგრამ „საჩვიდმეტოქტომბრო“ ამბავი არ წავა? 17 ოქტომბერს, ჩემი „თავგასიებული“ დეიდაშვილის, ბატონი ლაშიკოს იუბილე იყო. ბევრი ვერაფერი გამიბედა და ჩვენს ფეშენას კი 1 თვით ადრე მისცა შეკვეთა, რომ თურმე „ბუმაჟნიკი“ გაუხარდებოდა ძლიერ, ამ ჩემს ოხერ გულსაო. ფეშენაც დაპირდა, გაჩუქებო. 16-ში ლაშამ დაგვირეკა, ხვალ გამოგივლით უნივერსიტეტში და საჩუქარი დამახვედრეთო. არადა, რა იმედი გვქონდა რესტორნის?! გადავწყვიტეთ, პატარა ყუთში, საფულის ნაცვლად, მუყაოს ნაგლეჯი ჩაგვედო, ბარათთან ერთად, რომელზეც ეწერა: „ცუნცულ, გილოცავთ დაბადების დღეს. შენი ფეშენა და მაკა. P.S. „ბუმაჟნიკი“ ფრთხილად ჩაიდე ჯიბეში“. ყუთი „ჭრაჭუნა“ ქაღალდში შევფუთეთ, თავზე უზარმაზარი ბაფთა „დავადგით“ და მეორე დღეს უნივერსიტეტში წავიღეთ. მოვიდა ლაშა და საჩუქარი რომ გავუწოდეთ, თვალები დაგვიბრიალა, რა გოგოსავით შემიფუთეთ? — ისევ ჩანთაში ჩაგვიტენა, — ხალხი რომ არ იქნება, მერე მომეცითო. დიდუბეში მისულებმა კატეგორიულად მოვთხოვეთ, საჩუქრის გახსნა. მოშორებით დავდექით, სიბრაზისგან თავში რამე რომ არ ეთხლიშა. ლაშამ „საჩუქარი“ სურამელაშვილის „ნინიკოს“ ფონზე გახსნა და „როჟა“ ეცვალა. გაყინული მზერა მოგვავლო და სანამ აზრზე მოვიდოდა, მეტროსკენ მოვქუსლეთ, მაგრამ სად გავექცეოდით? ჩვენ კი ამოჩემებული სიტყვით ვამშვიდებდით: „მერმის პირველი აპრილია, წელს მოტყუებული სულ მთლად დებილია“. მერე შეგვეცოდა და ფეშენამ საჩუქარი გადასცა იმ პირობით, რომ ყუთში ჩადებულ ბარათს კარგად შეინახავდა. ლაშაც დაგვპირდა და დღესაც მარჯვენა გულის ჯიბეში უდევს ბარათი წარწერით: „ვაი, თქვენს პატრონს უბედურს! სიყვარულით, თქვენი ლაშა“. დამავიო“.

გრიპის ბრალია

„გამარჯობა, მგზავნელებო. ჯანმრთელობის გაუარესების გამო ვერ გწერდით. რა მჭირდა? ჩემს მტერს, რაც მე მჭირდა. მოგეხსენებათ, ამ ზამთარს, ღორის გრიპმა იფეთქა და მეც შემახსენა თავი ჩემმა დაავადებულმა ფილტვებმა. სევდიანმა ქალმა ნაცნობ ექიმთან მიმიყვანა და დავიწყე მკურნალობა. ერთ თბილ, სუსხიან დღეს თბილად ჩავიცვი, თავზე ქუდი ჩამოვიფხატე, ცხვირ-პირი დოლბანდით ავიკარი და წავედი ექიმთან მორიგ ვიზიტზე. ქუჩაში ყველა დოლბანდით დადიოდა. ამიტომ ხშირად ნაცნობ-მეგობრები ერთმანეთში მერეოდა. ვხედავ, მეზობლის ქალი, ნანა მოდის. მასაც პირბადე უკეთია და ჩემსავით მარტო თვალები უჩანს.

— გამარჯობა, გივი.

— გაგიმარჯოს, — ვუპასუხე გაკვირვებულმა.

— რა მოგსვლია, ბიჭო, ხმაც როგორ შეგცვლია.

— არაფერია, გრიპია, გაივლის, — მივხვდი, რომ ნანამ ვერ მიცნო და ჩვენი საერთო მეზობელი, გივი ვეგონე. ნანამ ხელკავი გამომდო და მეუბნება, ჩვენი მეზობელი რომაა, ოლეგარიო, რამ გადარია ამხელა კაცი, „გზავნილების“ თინეიჯერებს რომ ბაძავს და მესიჯებს გზავნის „გზაშიო“? სისხლი ყელში მომაწვა, მაგრამ მაინც გივი დავრჩი. თემა შევცვალე. — აგერ, კიდევ, ჩვენი მეზობელი რომაა, ამხელა ქალი, სალომე, ბოლო მოდაზე რომ დადის, ხან „მინიიუბკა“ აცვია, ხან ღრმა დეკოლტე... ვაი, მაგის პატრონს, ჭკუა არ აქვს თავში? — ვთქვი მე. ნანამ აკანკალებული ხელით დოლბანდი ჩამოიგლიჯა და სიმწრით კბილები გააკრაჭუნა. მოულოდნელობისგან თავზარი დამეცა, კრინტიც ვეღარ დავძარი. ჩემ წინ ნანას ნაცვლად, სალომე იდგა. ისე გამშორდა, ვერ მიცნო და ისევ გივი ვეგონე. იმ დღიდან თვალის დასანახად ვერ იტანს გივის და მასზე გულის მოსაოხებლად ჩემთან მოდის, გივი არამზადაა, შენ კი ჯიგარი ხარო. ოლეგარიო“.

მოტაცება „აპრილურად“

„თამრო ულამაზესი და შეძლებული მშობლების, განებივრებული გოგო იყო. გია კი ძალიან მხიარული, საყვარელი, მაგრამ უბრალო გლეხი ბიჭი. თამრო სიგიჟემდე უყვარდა. ბევრი უშალეს მეგობრებმა, ეგ საშენო გოგო არ არისო, მაგრამ გიასთვის ის ანგელოზი იყო, სანამ თვითონ არ იწვნია თამროს უხასიათობა. გოგომ ისე დაამცირა, მისი სიყვარული საპნის ბუშტივით გასკდა. პირველ აპრილს, ხალხმრავალ ადგილზე გიამ მეგობრების დახმარებით მოიტაცა გოგო. თამროს მამამ მთელი ქვეყანა შეძრა. სად არ ეძებდა გოგოს. გიამ კი გაოცებული თამრო თავისივე სახლთან ჩამოსვა და უთხრა, წადი, გეხუმრე, დღეს პირველი აპრილიაო. კამელია“.

ლამარიე გათხოვდა

„შეგაშინოთ? გერმანულ-ავსტრიული გადმოცემის თანახმად, 1-ელ აპრილს დაბადებულა იუდა და ასევე 1-ელ აპრილს ადამ და ევასთვის ცრურჩევის მიცემისთვის მამა ზეციერს პროვოკატორი სატანა გადმოუგდია ციდან (ნეტავ ყინწიც მიწყვეტოდა), მაგრამ გადარჩა და ადამიანებს ახალი საცდური აჯახა, რომ ყოველ 1-ელ აპრილს ერთმანეთი ეცდუნებინათ და ამ ტყუილებისგან მიღებული ენერგიით ეცოცხლა და გაძლიერებულიყო. ჰოდა, წელს აღარ ვიმაიმუნებ, მაგრამ შარშან ეს ინფო არ ვიცოდი და მეც მის წისქვილზე დავასხი წყალი. 1-ელ აპრილს დედას ტელეფონში „ჩაკარტოჩკებული“ მორელა ფერდმანის ფოტო ვაჩვენე და გავახარე: დედი, აი, ესაა ჩემი საცოლე და დღეს მომყავს და ცოტა „ჩავიტამინოზდი“, ძალა მოგემატება და საღამოს თუ მძახლები მოცვივდნენ, ერთად წავუმუშტიკრივოთ-მეთქი. რაკი დედამ დამაიმედა, კი, ჩემო ყარამან ყანთელო, იდეალური წყვილი ხართ და ნუ გეშინია, ფორმაში ვიქნებიო. კმაყოფილი ახალი საკბილოების საძებრად გავედი და საღამოს შინ დავბრუნდი. გამიკვირდა, სახლი ჩაბნელებული რომ დამხვდა. კარი გავაღე, შუქი ავანთე და მაგიდიდან დედის დატოვებული წერილი ავიღე. პირველივე აბზაცზე ჩავითუთქე და დავპატარავდი. ვიტაცე გულზე ხელი და მაგრად დავჯექი. აი, წერილის შინაარსი: „შვილო, კახაბერ, ვენაცვალე სიყვარულისა და მიზიდულობის ძალას. თავი საქალეთიდან ჩამოწერილი მეგონა უკვე, მაგრამ განგებამ ისურვა, რომ მამაშენის სიკვდილის შემდეგ საკაცეთზე მარხულობა და დიეტობა შემეწყვიტა. ქალები რომ თანდილაანთ დომენტას მირიგებდნენ, სწორედ ის მესტუმრა შენი წასვლის შემდეგ. ჩემი მორცხვი უარი ტორეადორივით მოიგერია და დამარწმუნა, რომ ანგელოზების შთამომავალი ვარ და გაზაფხულით ტკბობის უფლება ჩვენც გვაქვს. ჰოდა, ნუ იქნები ეგოისტი. კარგი, ნოეს კიდობანივით სახლ-კარი აქვს, საქონელი ჰყავს, მერე და როგორ გიყვარს მაწონი?! სათბურიც სავსე აქვს ბოსტნეულით, მერე და, როგორ გიყვარს, კიტრის ჩახრამუნება, გენაცვალე, ბიჭო და ჩვენც ვიცხოვრებთ და თქვენც გაცხოვრებთ. მაპატიე, შვილო, ეს აცეტება, მაგრამ უკვდავების წყაროს წყალდალეულივით ვგრძნობ თავს და აი, კიდევ რა: შენებურად არ გადაირიო ახლა და მოვარდნა არ გაბედო, თორემ იცოდე, დომენტა კაცია და ქუდი ხურავს და ტყვიას

ტყვიაში აჯენს. აბა, დაუვიწყარი ღამე გაატარე, შენს ცუგრუმელასთან და მეც იგივე მისურვე. დილაზე მოვწესრიგდები და შენს ახალ პატარძალს ასევე პატარძლის, ანუ ჩემი ხელით დაკრეფილ კიტრებსა და მწვანილებს მოვართმევ. გაკოცეთ". პოსტსკრიპტუმად კი ექსპრომტი ჰქონდა მიწერილი: გავთხოვდი, ჩემო კახუნი, გეყოს კბილების კრაჭუნი, თუ გსურს, ხეირი გარგუნო, ბევრი არ გაატრაკუნო, არ მოგაკლდება, კახუნა, კიტრი, რძე, ყველი, ტარხუნა. ბედმა აგვყარა ბორკილი, ერთ დღეს ვქნათ ჩვენი ქორწილი". წერილი ხელიდან გამივარდა, თავი კოსმოპოლიტი რომ მეგონა, მაგარი აზიური მენტალიტეტის აღმოვჩნდი. ემოციურმა გარღვევამ საჩუქრად საშინელი ბრაზი, უმწეობა, ბოღმა და სირცხვილი თავში „დომხალივით" ამირია. მერე ბღავილად მომსკდა: მე თქვენ გიჩვენებთ გაზაფხულს, უკვდავების წყალს და ხახუნის ძალას-მეთქი და გავვარდი გარეთ, რომ ამ დროს, თითქოს ჩასაფრებულმა მეზობლის ქალმა დამიძახა, ჩვენთან ერთი გოგო გელოდება და ერთ წამს შემოდიო. გაავებული, მგლის თვალებით, უცერემონიოდ შევედი და დედაჩემმა და მეზობლის ქალებმა სიცილი დამაყარეს. დღეს პირველი აპრილია, კახა, ჩვენც ვცნობთ, ბატონო, მორელა ფერდმანს და ტყუილი რიკოშეტით დაგიბრუნეთო. დედამ, სიცილისგან ცრემლმორეულმა, ეშმაკურად დამმოძღვრა: მართალია, ვერ დამაგოიმე და შენს მორელას კიტრები და მწვანილი ვერ მოვართვი, მარა კიდევ ხომ მოვა პირველი აპრილი და მერე იყოს. აი, ოხრად დარჩეს, რაც კი ქვეყანაზე კაცებია, შე ოხერო. ჩემს კუბოს შენს მეტს ვის ავაწევინებ. ეგეთი ეგოისტები, დაბდურები და უგულოები ხართ. არც თქვენ გვაფასებთ და არც სხვისთვის გემეტებით, შე დედის კალთაზე გამოკერებულო, ჟღვინტო, ღლაპო. დომენტის კი არ ეღირსება ჩემთან მომენტიო. აი, ვის ვგავარ რითმებში. სანამ დედაჩემი ასეთი სიტყვებით მლანძღავდა, მე ბედნიერებისგან გაყეყეჩებული, ჯეკპოტმოხსნილივით, გაბადრული ვიცინოდი. რა ვქნა, რა ვუყო, ოხერიც ვარ, დაბდურაც, უგულოც და ეგოისტიც... ჩემი დედა ჩემთვის მინდა და ევროპული გაგების დედაც! ენიგმა".

მხატვრის ვნებანი

„აკადემიაში დიდი ხანია, იციან, რომ თავში „სკვაზნიაკი", ორიენტაცია კი — საეჭვო მაქვს და ბოხი ხმით ვარ სატირალი... სხვა „უბედურებებზე" მერე მოგწერთ და ახლა კი, აქა ამბავი, ჩემი ლესბოსელობისა: როგორც ყველა სამხატვროს სტუდენტი, მეც „რიჟიკასავით" დავდივარ, საღებავებისაგან დაულაქავებელი ერთი საკუბოვე კაბაღა დამრჩა და ალტერნატიულ მუსიკას ვუსმენ (ხომ გითხარით, ბოხი ხმით ვარ სატირალი-მეთქი)? ფოტოგრაფიით დიდი ხანია, დავინტერესდი, 4 წლის წინ, გერმანიაში ნანახ ობიექტივში ნახევარი ქონება გადავიხადე (რის გამოც, თბილისში ჩამოსული მთელი თვე მხოლოდ კარტოფილს ვჭამდი და ბოლოს ისე გავკრახმალდი, ფეხსაცმელზე „შნუროკის" შესაკვრელად ველარ ვიხრებოდი). სახლში ფოტოსტუდია მოვაწყვე (ეს უფრო გრძელვადიან „გაკრახმალებად" დამიჯდა). ერთი პერიოდი, ნიუს სტილში ვმუშაობდი, თემა კი, „ქალი სხვის ტყავში" ავირჩიე. მოკლედ, ჩემს მენატურეებს ხან ვრეჟიკას (მეზობელია) ცოლის ქურქი ეცვათ, ხან ფრაიბურგის სექსშოპიდან წამოღებული ტყავის ბოდეები, ხან ხისქერქებაფარებულებს და ხანაც დამწვარი მანქანის „ჟეშტში" შემძვრალებს ვიღებდი. ახლა ნუ მკითხავთ, ვის ხდიდიო (ბევრი რომ ვერავინ დავითანხმე, მოდელები ბარათაშვილის ხიდქვეშეთიდან მომყავდა)?! ერთხელაც, როცა გამწარებული, ბოდი-არტში ვაწვალებდი ფუნჯს, 3 კურსელი მეწვია და ისეთ უხერხულ პოზაში მომისწრეს, ფრაზამ: „მოდელია და ფოტოსესია მაქვს"-მეთქი არ გაჭრა... დღემდე ეჭვის თვალით მიცქერენ, გოგოს ველარ გავკარებივარ. ასინეთები პოსტზე არიან და ჩემს მსხვერპლს აფრთხილებენ, არ მიეკაროთ, გოგონები მოსწონსო. ჰოი, დიდო უფლის რწმუნებულო, ესღა მინდოდა?! ჩიხტიკოპიანი დილეტანტი".

ცოლი – მისთვის

„ამ ამბავს ალბათ არ მოვყვებოდი, „დედის როლი" რომ არ წამეკითხა. მეც არ ვარ ბავშვი, 41 წლის ვარ და 23 წლის ბიჭი მყავს. ვიცოდი, ჩემი შვილი ერთ გათხოვილ გოგოს ხვდებოდა. ჩუმად ვიყავი და ისტერიკას ნამდვილად არ ვუწყობდი. უფრო კეთილისმსურველები აქტიურობდნენ, კი მაგრამ, რას ფიქრობო? არაფერს კი არა, ვერაფერს ვფიქრობდი. ერთ დღეს ჩემმა შვილმა მითხრა, ნანა ცოლად რომ მოვიყვანო, რას იზამო? მე არაფერს, შენ რას იზამ წლების შემდეგ, ესაა საქმე, თორემ, თუ კი ასე ძალიან გიყვარს, ყველაფერზე დავხუჭავ თვალს და მივიღებ-მეთქი. პასუხი არ გაუცია და აღარც ცოლად მოუყვანია. მაშინ რომ დამეშალა და ერთი ამბავი ამეტეხა, ჩემს შვილს გათხოვილი ქალი რად უნდა-მეთქი, იქნებ ჩემს ჯიბრზე მოეყვანა. მოზარდის გაგება ძალიან ძნელია. არ იცი, როდის რას იზამს. ალბათ იკითხავთ, რომ მოეყვანა, მაშინ მართლა რას იზამდიო? არაფერს! ჩემს შვილს ცოლი მისთვის უნდა მოჰყავდეს და არა — ჩემთვის. მარია, ათენი".

ორჯერ გაპარული

„საპირველაპრილო ხუმრობებს რა დათვლის, იმდენი ყოფილა, ამჯერად კი ერთს გავიხსენებ. ჩვენს უბანში ერთი საწყალი ქალი ცხოვრობდა, არ გაუმართლა ცხოვრებაში. ახალგაზრდა დაქვრივდა და 2 პატარა ბიჭი დარჩა გასაზრდელი. გზას ასცდა, გალოთდა და უბნის სასაცილოდ იქცა. თუმცა, არაფერს აშავებდა. ბიჭები გაიზარდნენ და მიუხედავად ასეთი დედისა, ზრდილი და მშვიდი ბიჭები დადგნენ. გარეგნობითაც არ დაიწუნებოდნენ. თუმცა, სწავლა-განათლებას სკოლის მაგივრად ქუჩაში გადიოდნენ. ჰოდა, აბა ასეთი ბიჭი სასიძოდ ვის მოეწონება? ახლა მთავარი: ჩემს მეზობლად ერთი მეტიჩარა ოჯახი ცხოვრობდა, ჩემი ტოლი გოგონა ჰყავდა და თურმე ამ ჩვენს „პრინცესასავით" გათამამებულ და ნებიერა გოგოს ჩავარდნია გულში ერთ-ერთი ძმა, მაგრამ მშობლების შიშით როგორ გაამხელდა? გასაქანს არ აძლევდნენ და უკონტროლოდ ერთ ნაბიჯს არ ადგმევინებდნენ. ჰოდა, მოჰბეზრდა ამ ჩვენს ნებიერას ზედამხედველობა და 1-ელ აპრილს გადაწყვიტა, ოინი მოეწყო მშობლებისთვის. უთენია ადგა და წერილი დატოვა, სადაც იუწყებოდა, რომ ამ ბიჭთან ერთად იპარებოდა და არ ეძებნათ. სახლიდან ისე გავიდა, არავის გაუგია. რა ამბავი ატყდებოდა, ხომ წარმოგიდგენია? საღამომდე ეძებდნენ გოგოს. იმ ბიჭის დედასთანაც მივარდნენ და ერთი ამბავი დააწიეს. შენი უქნარა ბიჭის გადარეულია ჩვენი შვილიო. კიდევ კარგი, ბიჭები შინ არ იყვნენ. რომ მიხვდნენ, ამისგან ვერაფერს გავიგებთო, შინ დაბრუნდნენ. კარში წერილი დახვდათ. როგორ გგონიათ, ვისი? საყვარელი შვილიკო იუწყებოდა, დღეს პირველი აპრილია და იქნებ ამის შემდეგ მაინც დამაცადოთ ჩემს გემოზე ცხოვრება და კუდში დევნით გული არ გამიწვრილოთო. იმ გოგოს კი ხუმრობა აუხდა და მომდევნო 1-ელ აპრილს მართლა გაიპარა, ოღონდ, ამჯერად ხუმრობის გარეშე და დღეს ბედნიერი ოჯახი აქვთ. ჯესიკა".

ყველის მისაღწევად შეკრა მეთოდი სრულებულს, ყველაზე ნაღდი მაინ შორის — საჭირო ოჯახში დაბადებაა

გათხოვილ-გაუთხოვარი

„მოგეხსენებათ, ადამიანი რაც უფრო ბერდება, ბავშვივით გულუბრყვილო ხდება და ყველაფერს იოლად იჯერებს. ასეა ჩემი ბებიკოც და ამით ბოროტად ვისარგებლე შარშან, 1-ელ აპრილს. დილით ლექციებზე წავედი, შემდეგ ხუმრობის გუნებაზე დავდექი და ბებოს დავურეკე, სლუკუნ-სლუკუნით დავიწყე: არ ინერვიულო, მამას ჯერ არ უთხრა, ისა... მე...

— ვაიმე, დავიღუპეთ? სად ხარ, შვილო?

შემეცოდა და უცებ მივახალე, მომიტაცეს-მეთქი.

— ჩემი სიკვდილი, ვაი, ბები, რა დღეში იქნები, შვილო, ნეტავ, მე ვიყო შენს ადგილზე და შენ ეგ წვალება არ გენახა, — კივის ბებო.

მე ამასობაში ხმა დავიბოხე და ბებიას სიძის ამპლუაში ვაწყნარებ: თქვენი შვილიშვილი ჩემთანაა, მალე ნახავთ, დაწყნარდი, ბებო.

— შენ მოუკვდი ბებიაშენს, — „ლოცავს“ ბებია. სიცილი ვეღარ შევიკავე და გავთიშე იმ იმედით, რომ შინ მალე მივიდოდი და ბებიას გავახარებდი, მაგრამ ჩემი ზარის შემდეგ მოვლენები ვალერიანის წვეთების თანხლებით განვითარებულა. ბებოს მამასთან დაურეკავს, უთქვამს: დავიღუპეთო. მამა ცხოვრებაში პირველად იზომავს წნევას. ბებო დაჟინებით ითხოვს, პატრულმა მომძებნოს. მეც არასრულწლოვანი ვარ, რა... თან ქორწილის ხარჯს ანგარიშობს და განიცდის, ღვინო რომ არ გვეყოსო? სანამ დედას გაუხეთქავდნენ გულს, შინ მივედი და ისე გაუხარდათ ჩემი დანახვა, ყველაფერი მაპატიეს. ახლა კი ბებო განიცდის, წლები გემატება და ნეტავ მაშინ მართლა გათხოვილიყავიო. მოიცა, რა, ბე... მიყვარხარ. შენი ნებიერა გოგო, პარიჟანკა“.

სოფლის ამრევი

„ეს ამბავი 2008 წელს მოხდა. მე და ჩემმა დამ გადავწყვიტეთ, ისე მოგვეტყუებინა ხალხი, რომ კარგა ხანს სიმართლე ჰგონებოდათ. დავგზავნეთ შუაღამისას მესიჯები განურჩევლად ადრესატის სქესისა და ასაკისა, რომ ჩემი და შეყვარებულთან ერთად გაიპარა. რეაქცია ერთი და იგივე იყო, მაგრამ მე ისე წავუტირე და შევაცოდე ხალხს თავი, რომ დაიჯერეს და მეორე დილით მთელმა სამეზობლომ, სანათესაომ და გამვლელებმაც კი იცოდნენ, რომ ელენე გაიპარა. დილაუთენია დამადგნენ, ჩაცმაც არ მაცალეს. ჩემმა დამ კარადაში დურთა თავი. პიჟამათი გამიყვანეს სამსჯავროზე. არადა, როგორ ვიკვებდი სიცილს, თავად მიკვირდა. ნუ, მანამდე მამა შევამზადეთ ფსიქოლოგიურად, რომ ყველასთვის ეჩვენებინა, გაბრაზებული იყო და ელე გაელანძღა. ნახევარი სოფელი ბირჟაზე იყო. მოდის მამაჩემი და ჩემს დას „ლანძღავს“. ცოტა იქაც ვიტირე, ვინერვიულე, მაგრამ რად გინდა? ჩემმა ბენტერა დამ აივნიდან გამოიხედა. მერე კი წინ მე და უკან — ნახევარი სოფელი. მეზობლებისგან განსხვავებით, ნათესავებს კარგა ხანს სჯეროდათ. მაისში პაპა გარდამეცვალა და გასვენებაში მოსულმა ზურა ბიძიამ სიძე მოიკითხა. წელს ჯერ მოფიქრების პროცესში ვარ, რა მოვიგონო ისეთი, რომ მეც არ დავიწვა. სოფი19“.

მხეცი

„უნივერსიტეტში 15 წლისამ ჩავაბარე და 19 წლის უკვე ვმუშაობდი. მაშინ კომპიუტერი ახალი ხილი იყო. მე სოფელში გავიზარდე და არც სწავლის დროს მქონია კომპიუტერთან ურთიერთობის საშუალება. ჰოდა, სამსახურშიც ისეთი თანამდებობა მეკავა, სადაც ეს ეშმაკის მანქანა საჭირო არ იყო. მოკლედ, როგორც კი თავისუფალ დროს ვნახავდი, მაშინვე „კომპთან“ გავრბოდი, დავდგებოდი იმ ბედნიერი თანამშრომლის უკან, ვინც „კომპთან“ მუშაობდა და ვუყურებდი და ვუყურებდი... ხანდახან ვჯდებოდი კიდეც და ვიწყებდი ამ ჯადოსნური სამყაროს შესწავლას. იმ ადამიანზე კეთილშობილი არ არსებობდა ჩემთვის, ვინც კომპიუტერთან დამსვამდა ან რამეს მასწავლიდა... ამასობაში მოვიდა პირველი აპრილი. ამ თარიღისთვის არც მიმიქცევია ყურადღება. ისევ ისე ვიდექი კომპიუტერთან და ვუყურებდი, როგორ მუშაობდა მახო. რაღაც ფაილი გახსნა და ვხედავ, რომ ტექსტის აკრება დაიწყო: „გამარჯობა. ფირმა EIBL PIPO-ს ხელმძღვანელს, ბატონ ამას და ამას... უკვე 3 დღეა, ჩემი კუთვნილი ბონუსები და თანხა არ მიმიღია. გთხოვთ, სასწრაფოდ მიიღოთ ზომები და გამომიგზავნოთ“. ეს წერილი გაგზავნა. ცოტა ხნის შემდეგ კი ისევ გახსნა ფოსტა და ახლად მიღებული შეტყობინება წაიკითხა: „ბოდიშს გიხდით შეფერხებისთვის, გთხოვთ, თქვენი კუთვნილი თანხა მიიღოთ“.

ლამის გავგიჟდი, როცა დავინახე, როგორ მიაჭირა პროცესორზე ღილაკს თითი, გაიღო ის უჯრა, სადაც დისკი უნდა ჩადო და იქიდან 50-დოლარიანი გამოიღო. მერე ვიკითხე, როგორ, ფულს პირდაპირ „შნურებით“ გზავნიან-მეთქი? კიო. მერე იმითაც დავინტერესდი, როგორ შეიძლებოდა ფულის ამ ხერხით „გაკეთება“. მითხრეს, რომ სპეციალურ საიტზე უნდა დავრეგისტრირებულიყავი, იმ საიტს გავხსნიდი და კომპიუტერთან დავჯდებოდი. რაც მეტ ხანს გავატარებდი ასე, მით მეტ თანხას მოვაგროვებდი. ჰოდა, გამიხსნეს ჩვეულებრივი, ელექტრონული ფოსტა და მითხრეს, ესაა ის საიტი, სადაც ფულის გაკეთება შეგიძლიაო. მეც, როგორც კი დროს ვიხელთებდი, მაშინვე ვჯდებოდი „კომპთან“, ვხსნიდი ფოსტას და ხანდახან საათობითაც კი ვიჯექი ხოლმე. ამ სიტუაციას 25 ადამიანი აკვირდებოდა, მთელი თვის განმავლობაში. მე კი ხშირად ვაღებდი „დისკოვოდს“, რომ ჩემი კუთვნილი ფული მიმეღო, მაგრამ არა და არ „მაღირსეს“. მოკლედ, გამიწყდა მოთმინების ძაფი და მახოს ვთხოვე, წერილი მიმაწერინე, ფულს არ მიგზავნიან-მეთქი. ატყდა ხარხარი და ერთი ამბავი. მაშინ გავიგე, რომ თურმე გამაშაყირეს. ახლა კომპიუტერში „მხეცი“ ვარ, პროგრამებსაც კი ვწერ. ჰოდა, ეს ამბავი ყველას ღიმილს ჰგვრის“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„16 წლისა თბილისში ვსწავლობდი, ჩემი ოჯახი კი სოფელში ცხოვრობდა. ზუსტად 4 აპრილი იყო. გადავწყვიტე, დედას გავხუმრებოდი, დავურეკე და ჩვენ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— დე, როგორ ხარ?

— კარგად, მეგი, შენ როგორ ხარ? ისწავლე? ჭამე? — ასეთი კითხვები დამაყარა.

— დე, თუ დგახარ, დაჯექი, — მივუგე გახარებულმა და თან ომახიანად.

დედამ დაფეთებულმა მკითხა, რა დაგემართა, ხომ კარგად ხარო?

პასუხი იცით, რა იყო? — გავთხოვდი. ისეთი კივილი ატეხა, მთელმა კასპმა გაიგო. მას შემდეგ აღარ მომიტყუებია საყვარელი დედიკო“.

„გუშინ მაღაზიაში შევედი და სამსახურისთვის ჩანთას ვყიდულობდი. გამყიდველმა კი დააბერტყა: უი, ამ ჩანთებს სულ პატრულები ყიდულობენ... (აქ პაუზა გააკეთა) და იეღოველები. ახლა ზუსტად მიხვდებით, თუ როგორი ჩანთა ვიყიდე. ელისო“.

„დღეს აღსარება ჩავაბარე და ხვალინდელი ზიარების მოლოდინში სული სიმშვიდით მაქვს სავსე. უნიკალური შეგრძნებაა. მარტოსულო, შენი გაცნობა მინდა, კლეოპატრა“.

„რამდენიმე დღის წინ ქუჩაში ნაცნობი სპორტსმენი შემხვდა. ერთმანეთი მოვიკითხეთ. ვკითხე, ტურნირზე რა ქენი-მეთქი? მესამე ადგილზე გავედიო, სერიოზულად მიპასუხა. ვაა, ძაან მაგარია, ეგრე გააგრძელე-მეთქი, — ვუთხარი. ამან მადლობაც არ გადამიხადა. კარგადო და წავიდა. დავრჩი გაღიმებული. მერე კი გავიგე, რატომ მოიქცა ასე და ბოდიშიც მოვუხადე, მაგრამ აბა, რაში ვიყავი დამნაშავე? საიდან უნდა მცოდნოდა, თუ შეჯიბრებაზე მხოლოდ 3 მოთამაშე იქნებოდა და ეს ბოლო ადგილზე გავიდოდა? რა ვიცი.... რა ვიცი... აბეზარა“. ■

„გზავნილების“ მომდევნო თემად გთავაზობთ

—

„რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია...“

გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე:

marorita77@yahoo.com

„ციხეში სხვა გასართობი არ ჰქონდა და შენით გაერთო“

„მის გამო ერთი ცრემლიც არ ჩამოაგდო“

„გზის“ №12-ში დაიბეჭდა სალის მესიჯი. გოგონა გვწერდა, რომ შეუყვარდა პატიმარი, რომელიც ბოლო დროს აღარ ეხმიანება და ამის გამო, ძალიან ნერვიულობს.

ლიკა ქაჯაია

ლუნა:

„თავზარდაცემული ვარ. ცუდად გავხდი, როცა შენი მესიჯი წავიკითხე, გული საშინლად მეტკინა. მტკივა შენი და ყველა იმ გოგოს ტკივილი, ვინც უგულო პატიმრების ქსელში „ეხვევა“. რასაც ახლა გეტყვი, ვიცი, გულს გატკენს, მაგრამ ასე სჯობს. დამიჯერე, ეგ „შენი“ შევჩენკო მატყუარაა და სხვა არაფერი. სხვათა შორის, მას შორიდან ვიცნობ. ერთხელ, ერთმა მგზავნელმა (რომლის სახელსაც შეგნებულად არ ვწერ) მეც ჩამაგდო ირაკლის ძმაკაცის კლანჭებში, მაგრამ გამიმართლა და ჩემი მეგობრის წყალობით, მისგან თავი გავითავისუფლე. გთხოვ, ეგ ბიჭი დაივიწყე. ის შენით გაერთო, თავისი გაისწორა და ალბათ, ახლა სხვა გოგოს აბრუებს, ლამაზი სიტყვებით. დედას გაფიცებ, მის გამო ერთი ცრემლიც არ ჩამოაგდო. მესმის შენი და მაპატიე, სიმართლის თქმით გული თუ გატკინე. უფალი გფარავდეს“.

მისტერ:

„მსურს, ორიოდე სიტყვა ვთქვა პატიმარ ხალხზე. მინდა, გულითადი „საღოლ“ ვუთხრა მათ, ვისაც შესწევს ადამიანების ყურადღების მიპყრობის უნარი და მათთან კარგი კონტაქტის დამყარება... მაგალითისთვის, სალის მესიჯიც კმარა. ამ გოგონაზე ხომ უზარმაზარი ზეგავლენა მოახდინა ჭკვიანმა პატიმარმა — ჯერ ვირტუალურად დაუმეგობრდა, მერე თავი შეაყვარა და საბოლოოდ, სალიმ საჯაროდ აღიარა: მიყვარსო! ირაკლი შევჩენკო, მინდა, შენი თამადობით, ასეთ საკითხში განათლებულ ყველა პატიმარს ვუთხრა, რომ მაგრები ხართ! საღოლ, თქვენ, რომ ადამიანის ამ დონემდე მიყვანის უნარი შეგწევთ — ამას ხომ დიდი ძალისხმევა სჭირდება?! P.S. რა მატყუარა ვარ, მე ხომ 2 სიტყვით მსურდა კომენტარის გაკეთება და არა — 80-ით :))“.

უდარდელა:

„ძვირფასო სალი, მინდა მოგახსენო, რომ ციხე იზოლირებული 4 კედელია და პატიმარი შეზღუდულ პირობებში იმყოფება. შეიძლება, რაღაც პრობლემა აქვს და შენთან დარეკვას ამიტომაც ვერ ახერხებს. გირჩევ, მოთმინება იქონიო და თავი ცუდი ფიქრებით არ დაიტანჯო. თუ სიყვარული წრფელია, მას წინ ვერაფერი დაუდგება. ხომ გაგიგონია, — მოთმინებითა შენითაო... ჰოდა, ცოტა კიდევ მოითმინე და ყველაფერი კარგად გექნებათ! წარმატებებს და დიდ სიყვარულს გისურვებ!“

ბამბუჩა:

„გატყუებს ეგ შენი ირაკლი! ციხეში სხვა გასართობი არ ჰქონდა და შენით გაერთო. მაპატიე, უხეშად გამომივიდა, მაგრამ ასეთი რამ ხშირად ხდება. სჯობს, მას ახლავე შეეშვა“.

ჭრიჭინა:

„რადგან შეიყვარე, მგონი, შეგუებული უნდა იყო იმ ფაქტსაც, რომ ირაკლის თავისუფლება აღკვეცილი აქვს და მის სურვილზე არაა დამოკიდებული, თუ როდის მოგწერს და როდის დაგირეკავს“.

ანასტასია 23:

„სიხარულო, არ ინერვიულო, ის აუცილებლად მოგწერს. თუ მართლა გიყვარს, დაელოდე. არ დაგავიწყდეს, პატიმარია და ალბათ, გარკვეული მიზეზების გამო ვერ გწერს“.

რუსპირი:

„სალი, ჩემო კარგო, ვირტუალურ ურთიერთობაზე, იმედგაცრუებასა და სინანულზე იმდენი ვილაპარაკე, ამ ყველაფრის გამეორება უკვე „მიტყდება“. მოდი, ასე მოვიქცეთ, აიღე „გზის“ წინა ნომრები და ჩემი გზავნილები წაიკითხე. მერწმუნე, იქ იპოვი პასუხს ყველა იმ კითხვაზე, რომელიც გაწუხებს... ვფიქრობ, ირაკლის არ ესიამოვნება, „გზაში“ რომ გამოაჭენე“.

გრუზინკა:

„იცი, პატიმრებს ხან ანგარიშზე არა აქვთ, ხანაც — ტელეფონს ანათხოვრებენ ხოლმე. არ გაშინებ, მაგრამ იქნებ, იჩხუბა?! ნუ დარდობ, გთხოვ, ის აუცილებლად შეგეხმიანება“. ■

თინეიჯერები გვწერენ

რუსპირი:

„რა ლამაზი დღეა, რა ლამაზი თვეა, იმიტომ რომ დღეს „გზის“ დაბადების დღეა! „გზა“, გილოცავ იუბილეს. გისურვებ უამრავ ჭრიჭინას, შოკოლადას, ლუნას, კლეოპატრას, ფლამინგოს... ეს ხალხი ანუ მგზავნელები (მისტერ, პანკუშკა და სხვები) ძალიან მაგრები არიან, თქვენ კი, „გზის“ ჟურნალისტები ყველაზე ობიექტური და საყვარელი ხალხი ხართ. ყველა მგზავნელს და „გზის“ მოყვარულს, ყველა ჟურნალისტსა და სრულიად საქართველოს, გილოცააავთ! უგემრიელესია ჩვენი ჩაკბეჩილი ვაშლი; ვაშლი, რომელსაც 10 წელია, ვჭამთ და არ გვბეზრდება. მიყვარხართ“.

სანტა:

„ვაიმე, რა ამბავია, ყველა ერთმანეთს რომ ახევს შეყვარებულს. ხალხო, რამდენი თავისუფალი და სიყვარულს მოწყურებული ადამიანი დადის ამქვეყნად, იმათ შეხედეთ. ნათესავმა შეყვარებულის ახევა რომ დამიპიროს, სამუდამოდ დავივიწყებ. არა, რა, ზოგიერთმა სულ გარეკა“.

ფლამინგო:

„იცი, ლიკ, ძალიან მიყვარს რუბრიკის — „ყველა ერთისათვის“ წაკითხვა. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს, მოზარდებს რჩევას გამოცდილი ფსიქოლოგები აძლევენ. განსაკუთრებით, რუსპირის რჩევებს გამოვყოფ. ზოგჯერ, სიმართლე მწარეა, მაგრამ თუ რჩევაა, რჩევა უნდა იყოს. ეტყობა, რომ ეს ბიჭი კეთილი სულის ადამიანია და ხალხის დახმარება გულით სურს, რაც კარგად გამოსდის კიდეც. გაიხარე“.

ბოთე, *20 წლის:*

„გმადლობთ დახმარებისთვის. ყველანი ძალიან მიყვარხართ. თქვენი რჩევა მართლაც, დამეხმარა და ეს მახარებს. ახლა ბედნიერი ვარ. თქვენც ბედნიერებასა და დიდ სიყვარულს გისურვებთ! სხვათა შორის, ბოთე კი არა, უკვე ძლიერი ადამიანი ვარ. გაკოცეეეთ. სიყვარულისთვის იბრძოლეთ, ხალხო. არ დათმოთ საყვარელი ადამიანი! უფალი გფარავდეთ!“ ■

„სიყვარულის გამო კლასელების დაკარგვა არ ღირს“

„ერთი წელია, ვიტანჯები, ცრემლად ვიღვრები“

„გზის“ №12-ში უცნობი გოგონა გვწერდა: „შეიძლება, ჩემი პრობლემა სისულელედ მოგეჩვენოთ, მაგრამ ჩემთვის ბევრს ნიშნავს... საქმე ისაა, რომ კლასელებს ვუყვარვარ: ერთი ჩემი უახლოესი დაქალის ძმაა, მეორე კი მეც ძალიან მომწონს. არ მინდა, კლასელებთან ურთიერთობა გავიფუჭო და არც ის მინდა, დაქალს გული ვატკინო. თავს საშინლად ვგრძნობ, სკოლაში მისვლა აღარ მინდა“.

გრუზინკა:

„თავი ორივესგან შორს დაიჭირე და მათ წინაშე თავს დამნაშავედაც არ იგრძნობ. სიყვარულის გამო კლასელების დაკარგვა არ ღირს“.

რუისპირი:

„უცნობო, პრობლემას არაფრისგან ქმნი. ხალხნო, ვცდილობ, 180 გრადუსით შემოვუარო, 50 თვალით შევხედო თქვენს პრობლემას და შედეგი არ გაინტერესებთ? — არავითარი პრობლემა. აბა, რა არის ცუდი იმაში, თუ ბიჭებს მოსწონხარ?.. „გზა“ №11-ში გოგო მოსთქვამდა, — ბიჭებს ვერ ვიზიდავო, ახლა კი შენ გვთხოვ: ბიჭების „განზიდვაში“ დამეხმარეთო. კი, მაგრამ ჩვენ რა ვქნათ, ამ პატარა საყვარელმა ხალხმა?! და კიდევ, ბიჭს რომ მოსწონხარ, მისი და ანუ შენი დაქალი რა შუაშია? არ ვიცი, შენი გასაჭირი და „გულისხმიერი“ რაში მდგომარეობს. მგონი, ეს არც შენ იცი და ჩვენ რაღას გვერჩი? აბა, შენ იცი, პირადში წარმატებებს გისურვებ!. P.S. ამ მესიჯს რომ წაიკითხავ, გთხოვ, ბევრი არ მაგინო. დამიჯერე, შენთვის ასე სჯობს :))“.

ფერია:

„პირველად გწერთ. ჩემო კარგო, ვინც გიყვარს, ის აირჩიე, გულისთქმას მიენდე; დაქალის ძმა კი რეალობას უნდა შეეგუოს“.

ანასტასია 23:

„გასაბრაზებელი არაფერია. თუ მართლა შენი დაქალია, გაგიგებს და კიდევ, გულს ვერაფერს უბრძანებ. დაქალს თუ არ ენდობი, ე.ი. ამის მიზეზი გაქვს. ჯობია, გამოსცადო“.

ლუნა:

„რა შენი ბრალია, მეგობარი ბიჭები სხვა თვალით თუ გიყურებენ? ვერაფერს გირჩევ, გარდა იმისა, რომ ეს წერილი შენს კლასელებსაც წააკითხო — ისინი მიხვდებიან შენს გულისტკივილს და ალბათ, გაგიგებენ კიდეც. რაც შეეხება ნდობის ფაქტორს, ახლა სანდო აღარავინაა. ჯერ კარგად დაფიქრდი და ნაბიჯი შემდეგ გადადგი“.

დუშეთი:

„თუ უცნობს დაქალის ძმა უყვარს, ეს აუცილებლად, მეგობარსაც უნდა უთხრას და იმედია, ის გაუგებს. წარმატებებს ვუსურვებ! P.S. მე ახალი ვარ“.

მანო:

„გამარჯობა. პირველად გწერთ და იმედია, ჭკუის დარიგებას უზრდელობაში არ ჩამომართვათ. უცნობო, ვინც მოგწონს, ის აირჩიე, მეორეს კი დაელაპარაკე, გაგიგებს!“

ჭრიჭინა:

„ღმერთო ჩემო, რა არეული და უაზრო სიტუაციაა. ვერ გავიგე, თუ მეორე კლასელი შენც მოგწონს, დაქალს გული რატომ უნდა ეტკინოს? ან მას რატომ აღარ ენდობი? მგონი, პრობლემას თავად იქმნი! P.S. ლიკა, ვითმინე, ვითმინე, მაგრამ ახლა უნდა გითხრა: მგონი, უცნობზე გაცილებით დიდი და მართლაც, ძნელად გადასაჭრელი პრობლემა სხვა ახალგაზრდებს აქვთ და ხომ არ ჯობია, „გზის“ ფურცლები უფრო სერიოზული სადარდებლის მქონეებს დაუთმო? არა, ღმერთმა ქნას, ამაზე დიდი პრობლემა ვინმეს ჰქონდეს, მაგრამ ასე თუ გაგრძელდა, „თინეიჯერულ პონტებს“ თავისი მუღამი და ხიბლი აღარ ექნება. P.S.S. ენიგმა, გმადლობ, რუისპირზე რომ ზრუნავ, გაიხარე“.

გადარეული:

„უცნობო, მართლა რა სისულელეს წერ? ეს გადარეული ბიჭი სულ გადავირიე. პრინციპში, ეგ ბავშვური გატაცებაა. როცა სკოლაში ვსწავლობდი, მეც მიყვარდა კლასელი გოგონა, თანაც — ის ჩემი მეზობელი გახლდათ... ეჰ, მაშინ ჭკუა არ მქონდა :))“.

გოდო:

„ჩემო კარგო, მე ერთი ბიჭი მიყვარს, მას კი არ ვუყვარვარ და ამის გამო ერთი წელია, ვიტანჯები, ცრემლად ვიღვრები. მხოლოდ ერთ რამეს გირჩევ, იმ ბიჭს, რომელიც მოგწონს (რა თქმა უნდა, თუ მასაც უყვარხარ), შენი გრძნობების შესახებ დაელაპარაკე — ამ ნაბიჯის შემდეგ შენც დაისვენებ და იმ ბიჭსაც დაასვენებ!“

ნევროზა:

„ჩემო კარგო, ვფიქრობ, დაქალის ძმის შეყვარება „ტეხავს“ — ის ხომ შენი ძმა გამოდის. ჯობია, ისე მოიქცე, როგორც საჭიროდ ჩათვლი. შენი დაქალი ვალდებულია, გაგიგოს“.

უდარდელა:

„იქ, სადაც ორი კაცი ერთ ქალზე ფიქრობს, ქალი დამნაშავეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ შორის ინტრიგას თესავს... ჩემო კარგო, ადექი და შენი ნაზრევი ორივეს გაანდე, მათ საკუთარ გრძნობებზე დაელაპარაკე და დამიჯერე, ამის შემდეგ დაბლა კაცი ვერ გაგამტყუნებს და მაღლა — ღმერთი! ნუ, ეშმაკი დარჩება ცოტა უკმაყოფილო :)). გისურვებ წრფელი გადაწყვეტილების მიღებას! აბა, ჰე, შენ იცი!“

„შეყვარებულს ჩემი აღარ სჯერა“

უცნობი გოგო:

„გამარჯობა. თქვენ ადრეც დამეხმარეთ და იქნებ, ახლაც მიშველოთ რამე. უკვე 3 წელია, შეყვარებული მყავს. საქმე ისაა, რომ ჯგუფელსაც ვუყვარვარ, მაგრამ ჩვენი ურთიერთობა მოკითხვას არ სცილდება. მისი არსებობის შესახებ ჩემმა „ლოვემ“ არაფერი იცოდა (უბრალოდ, მასთან ყოფნისას ის არც კი მახსენდებოდა), ახლა კი შემთხვევით გაიგო და მეჩხუბა, — რატომ არ მითხარიო? შევეცადე, მისთვის ყველაფერი ამეხსნა, დავიფიცე, რომ ამის დამალვა არც მიფიქრია, მაგრამ ამაოდ — მას ჩემი აღარ სჯერა. დამეხმარეთ და მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?..“

*P.S. მაშ ასე, თუ **უცნობი გოგოს** წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.*

ფოტო, რომელმაც წარწერა დაკარგა



• „ცოლმა თუ არ გიღალატა, მაშ ამ შკაფში რა გინდოდა?“

• „მარტოხელა ქალის ფიქრები“.

• „თუ შენ არ შეიცვლები და კიდევ მოხვალ მთვრალი, იცოდე, რომ მოგიწევს დაძინება „შკაფში“. ვამპირა.

• „ჩამოკიდეთ სადაც გინდათ, თუნდაც გარეთ, გასაყიდად“.

• „ასეთია საყვარლების ბედი, ქმრის შიში გულში უდევს მუდამ და ცხოვრების ნახევარზე მეტი, კარადაში კანკალებდეს უნდა. კოზანოსტრა“.

• დედამ თავისი პატარა ბიჭი კარადაში შეახედა და უთხრა: „აი, შვილო, ასე დაგემართება, მამასავით ხშირად თუ ივლი მივლინებებში“.

• „ასეთია საყვარლის ბედი, ფათერაკი უკან დასდევს მუდამ“. ლევანი, ახალციხე, კიბორჩხალა.

• „კაცი-ნაფტალინი“. პანურგი.

• „ქალო, ამ უცხო მამაკაცს ჩემი ხალათი რატომ აცვია?“ პანურგი.

• „ადრე მოწონებულები, ახლა დაწუნებულები“.

• „ასეთია იმპოტენტის ბედი“.

• „მისი ადგილი მანდაა, ასეთი ქმრები მანდ უნდა იყვნენ“.

• „ქმრის მოლოდინში ჩაძინებული საყვარელი“.

• „ჩემი ნახმარი ხალათი მე შემოვაცვი ქმარს, ორივე „შკაფში“ დავკიდე, ახლა ვუყურებ მათ“.

• „ჩემი სიცოცხლე ჩემს საყვარელ ხალათში და ჩემს ნივთებთან დავასრულო, მინდა“.

• „იქნებ საყვარლის ქმარმა ვერ მიცნოს“.

• „კარადაში შეპარულა გელა, ლელას ეჩურჩულებოდა ნელა, შენა, ქალო, გააჩუმე ენა, შენი ქმარი გაგვიგებს და ვაი, ნენა, ნენა“. კოზანოსტრა (ბისკვიტი).

• „ისე, კი ვიცოდი, რომ ქალები საყვარლებს კარადაში მალავდნენ, მაგრამ თუ საკიდზე ჰკიდებდნენ, ეგ არ ვიცოდი“. ბაჭია.

• „ნეტავ რას მალავ, ქვეშაო, ბეჩავ, რამ გაგაშეშაო“.

• „კაცი არა ვარ, არა! „ვეშოლკა“ ვარ, „ვე-შოლ-კა“.

• „ახლა რომ გითხრა, აქ სარეცხის მანქანას ველოდები-მეთქი, დაიჯერებ?“

• „მომავალ ახალ წელს ქალაქში ზამთარი მოვა, მომავალ ახალ წელს კეთილი სანტა მაჩუქებს ვოვას. მომავალ ახალ წელს აღარ ვიქნები მარტო სახლში, მომავალ ახალ წელს მე და ვოვა შევხვდებით „შკაფში“. კოზანოსტრა, ბისკვიტი.

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. გავიცნობ პატიოსან, ერთგულ, დასაქმებულ, დასაოჯახებელ, თბილისელ მამაკაცს. ვისაც სურს წმინდა, მოსიყვარულე ოჯახი. ვარ 32 წლის, დასაოჯახებელი.

2. მინდა, სერიოზული ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო მოსიყვარულე მამაკაცი. ვარ 28 წლის გოგო. არასერიოზულებმა თავი შეიკავეთ. მქვია მარიკა.

3. ვარ 21 წლის, ლამაზი გოგო. გავიცნობ თავისუფალ, ლამაზი გარეგნობის, 20-27 წლამდე ასაკის, გაგებულ ბიჭს.

კაცები

4. გავიცნობ ლამაზ, თბილისელ, ჰიგიენურ, დასაქმებულ მანდილოსანს. ვარ თბილისელი, 29 წლის, სიმპათიური მამაკაცი. მომწერეთ თქვენ შესახებ. გიო.

5. გავიცნობ 20-24 წლამდე გოგონას. ვარ 26 წლის, ჯანმრთელი ბიჭი.

6. გავიცნობ „გზა“ №11, 21 წლის გოგონას. ვარ 29 წლის.

7. ვარ 29 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ ქალბატონს. ქვრივზე და შვილიანზე არ მაქვს პრობლემა. უბრალოდ, იყოს სულით და ფიზიკურად ლამაზი. გია.

8. ვეხმაურები 23 წლის, მოსიყვარულე გოგოს, რომელიც სიყვარულს ეძებს. „გზის“ 11.3.2010 ნომერში წერდა, როგორ უნდა დავუკავშირდე?

9. ვარ ეკლესიური ადამიანი. გავიცნობ ეკლესიურად მაცხოვრებელ, 17-18 წლის ლამაზ, შავგვრემან, ჭკვიან გოგოს. ვარ 18 წლის. ზაზა.

ვეძებ

10. ვეძებ ზუგდიდელ, ნუგზარ გვიდონის ძე ჯიქიას. დამირეკეთ სასწრაფოდ თუ შეგიძლიათ. პატივისცემით, ზაზა ძიძიგური, ქუთაისიდან.

სხვადასხვა

• მარტოხელა და მარტოსული ადამიანისთვის „გზა“ გულის მალამოა, „გზავნილები“ — სულის ელექსირი, მგზავნელები კარგი და მართალი ადამიანები. მტკვარი54.

• იცით, რა მაინტერესებს ძალიან? რამდენი წლის არის თითოეული თქვენგანი და რას საქმიანობს. :) მოდი, მოკლედ მოვყვეთ ყველამ საკუთარ თავზე, ცოტ-ცოტა, ა? ვერძი.

• გრუზინკა, როგორ ხარ, რა ხდება შენკენ? შენი ნომერი წამეშალა და ველარ გეხმიანები. აღარც შენ მწერ და... იქნებ ეს წერილი მაინც ნახო. პატივისცემით, ბარამა. კასპი.

• მე ASHLEY და სოფი19 გავიცანი. საყვარლებო, ძალიან კარგები ხართ. კლეოპატრა, მიყვარხარ. ცდუნებავ, მენატრები. რუისპირო, რავა ხარ? ჭრიჭინა.

• მაპატიე, არ მინდოდა, შენი სახის დაღონება, მაგრამ მიქელ გაბრიელმა, მაინც ცრემლი მოგიტანა. შენ რომ მაშინ მიმატოვე, ღმერთს შევთხოვე — წამიყვანე, ჩემი თხოვნა შეისმინა და დღეს უკვე მისი ვარ მე. ასე საშინლად გამწირე, არ შემინდე ცოდვა, ასეთი სასტიკი როგორ ხარ? შენთვის ვლოცულობდი მუდამ. წლები გავიდა, შენ ისევ დარჩი ისევე გულქვა, მე გიყურებდი ზეციდან, შენი სიცივე მძულდა. ტკივილიანი თვალები და ცრემლიანი ღამე, შენ მუდამ მე გეყვარები, ვერ დამივიწყებ ამ დღეს. ავტორი ედელვაისი.

• ბავშვებო, როგორ მოგეწონათ ჩემი დაწერილი ლექსი? ედელვაისი ყველას გაფასებთ და ყველა უზომოდ უყვარხართ. მარიამულო, გთხოვ შემიფასე ლექსი. მიყვარხართ. ედელვაისი.

• პირველად გწერთ და გთხოვთ,

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

დამიბეჭდოთ. აქ თუ მოიპოვება ადამიანი, რომელსაც როკმუსიკა უყვარს და ეს პრობლემებს უქმნის იმის გამო, რომ ცოტა გაუბერა.

• თურმე რა კარგი ყოფილა საკუთარი მესიჯების „გზაში“ ნახვა. ბავშვებო, მიყვარხართ და თქვენთან მეგობრობა მინდა... სოფ.

• ნომრის გასაგებად ორი ზარი გამოვუშვი და არ გამომიგზავნეთ, სიაფანდებო.

• ყურადღება! რამდენჯერ უნდა გააბრაზოთ მარი, მოჩხუბარენო და არაეთიკური მესიჯების ავტორებო? თქვენს ასეთ საქციელს სხვა მგზავნელების ინტერესები რომ ეწირება, ამაზე არ გიფიქრიათ? ეს რატომ არ გადარდებთ? არ შეგიძლიათ, ამ სამყაროში მაინც იყოთ დადებითები და კეთილები? სულაც არაა საინტერესო თქვენი ქიშპობისა და უზრდელობის კითხვა „გზის“ ფურცლებზე. დაზავდით, ბოლოს და ბოლოს! თქვენც დაისვენეთ და ჩვენც დაგვასვენეთ, სანამ საბოლოოდ აევსება მარის მოთმინების ფიალა და სამუდამოდ გაგაბუნძულებთ „გზიდან“. მართლა ბევრს ითმენს ეს პატიოსანი ადამიანი და მასთან ერთად, მკითხველიც. არ შეიძლება ასე, ჩემო კარგებო და დროა ამას მიხვდეთ. იმედია, მოხვალთ აზრზე. ვერძი.

• ცეცხლს ნუ ეთამაშები რეალ, ღამე არ ჩაგეფსას და სიტყვებით თამაშს მორჩი. ოქრო ოქრომჭედლებთან ფასობს და თუ შარს ეძებ, იპოვი და გული გეტკინება და ვეღარ იბრწყინებ.

• მის რეალ, კარგი გოგო ხარ, საინტერესო და მხიარული. :) ერთი კოცნა ჩემგან, მგზავნელური. :) გრუზინკა, მშვენიერი ადამიანი ხარ, კარგო, დიდ პატივს გცემ. :) ვერძი.

• ბერბიჭავ, შენ სადღა მიდიოდი, კაცო? კიდევ კარგი, გადაიფიქრე, თორემ დაგიპადიეზდებდი და ძალით დაგაბრუნებდი „გზაში“. :) მიყვარხარ მგზავნელურად. :) მპუა. ვერძი.

• მე ახალი ვარ, მაგრამ მუდმივი მკითხველი. მგზავნელებო, ერთმანეთს ნუ აკრიტიკებთ. ძალიან მიყვარხართ სუყველა. იმედი მაქვს, მიმიღებთ. მიმიღებთ, სიხარულებო? ანასტასია23.

• ძალიან დამწყდა გული, 9717 რომ წავიდა. :(ძალიან მინდა ბერბიჭავ, შენი გაცნობა. დიდი სიამოვნებით ვიმეგობრებდი შენთან. ძალიან მაგარი ადამიანი ხაარ. პუკუ.

• გამარჯობა მგზავნელებო, ყველანი ძალიან მიყვარხართ. ყოველ ხუთშაბათს გულის ფანცქალით ველი. მარი, ნამდვილი საოცრება ხარ. პუკუ.

• მაპატიეთ, ჩემს ერთ-ერთ გზავნილში პროექტის ნაცვლად პროდუქტი დამიწერია, წინა ნომერში. :(P.S. „გზა“, გულწრფელი სიხარულით გილოცავ 10 წლის იუბილეს! თქვენივე ღვაწლით, პროფესიული ნიჭითა და საკმაოდ საინტერესო, სასარგებლო რუბრიკებით, ამ ჟურნალის უკვდავყოფას გისურვებთ და ვისურვებ! :-) სარვიეტა.

• ვაა, მოკლედ, ზოგიერთი ეს ჩემისა ვერ მოვიშორე. ასეთი ბუზები (ჯერ უ და მერე ო-ზე გადავალ) მერცხლების კუჭში ამთავრებენ არსებობას. მის მსმენლებს გასწავლით, რომ ასეთ ჩემისას ხშირად ეთანხმებით, ეს ჩემისა შეგიყვარებთ, მარა არასდროს დაგაყენებთ თავის თავზე მაღლა და კიდევ, მეგობრის როლს ყველაზე უკეთ მლიქვნელი ასრულებს. ენიგმა.

• SWEET BOY, როგორი ნიკიც გაქვს, სინამდვილეშიც ეგეთი ხარ? ახალ მგზავნელებს გულთბილი სალამი (მეც ახალი ვარ, სულ რამდენიმე კვირის). მოკითხვა ყველას, მიყვარხართ. ნინია.

• გამარჯობა მგზავნელებო, ყველანი ძალიან მიყვარხართ. „გზის“ ერთგული მკითხველი ვარ და დიდი სიხარულით ვკითხულობ თქვენს გზავნილებს. ყველანი კარგები ხართ. :) პუკუ.

• აღტაცებული ვარ ბერბიჭას გამჭრიახობით. მაგარი ადამიანი ხარ და ძალიან მინდა შენთან მეგობრობა. რა თქმა უნდა, თუ თავად არ იქნები წინააღმდეგი. :) პუკუ.

• გაიხარე ჭრიჭი, შენ ჩემი მფარველი ანგელოზი ხარ, რადგან სიკეთე, სილამაზე და ერთგულება შენ გარდა სხვაში თავმოყრილი არ მეგულება. ძალიან მიყვარხარооо. ფლამინგო.

• ედე, ჩემო საყვარელო დაიკო, ძალიან მიყვარხარ, გეხუტუნე გულში. ჩემო ძვირფასო აზიელო, მენატრები ძალიანო. კლეოპატრა, რუისპირ, ოლეგარიო, 9717, ძალიან მიყვარხართ. ფლამინგო.

• ნახტომში მეტრნახევრიანი SWEET-ი რა დღეშია, ნახეეეთ (ვხარხარებთ). მგზავნელ ბიჭებს ცინგლიანი სახოცივით იცვლის, მერე ლანძღავს. ალბათ სიმაღლეში იმიტომ აღარ იზრდება.

• რა მოგდით ხალხო, რას გადაეკიდეთ ამ დოლარას? ათჯერ მეტად თქვენ ხართ შეტევაზე გადასულები. რაო, ბლოკი შეუკარით? ბერბიჭას ლექსებზე ბნედა გემართებათ და დოლარა ცუდი ტიპია და საერთოდ მარი, რატომ არ უბლოკავ მასეთ SMS-ს ბერბიჭას? ვიბრატორი, ბოზი, ათას გარყვნილობას აკადრებს მგზავნელს. სირცხვილი დაუკარგავს და თავი „ზვეზდა“ ჰგონია. დათო.

• ბერბიჭ, ახლა შენ არაფერი სისულელე არ გამირითმო და ყურად მიიღე, რაც გითხარი. კაცი ხარ და გოგონას მასეთ პახაბნი სიტყვებს ნუ აკადრებ! გამიგე მგონი, ხომ? დათო.

• მინდა შემოვიდე „მობილი-ზაციაში“. ვარ 14 წლის, მქვია ქეთი. გაგეცნობით და ვიმეგობროთ, OK?

• ჩვენს ფოტოგალერეაში ისეთი საყვარელი ბავშვია დაბეჭდილი, ჩემი ბავშვობა გამახსენდა. :) ასეთი ღორმუცელა და ბუთხუზა ვიყავი. გაკოცე, მაგ ბუთხუზა ლოყებში. ედელვაისი.

• მისტერავ, თუ 1 კვირაში მანდილოსნებს ბოდიშს არ მოუხდი, ვაგზალს დაგავიწყებთ, ენას მოგაჭრით და შენს მიფინგალებულ როჟას მარის გავუგზავნით.

• ნასტია, ნეტავ როდის ჩამოხვალ? ძალიან მენატრები, გეხუტუნე. ჭრიჭი, შენ ჩემთვის ძალიან ძვირფასი ხარ, როგორც ნატა და იმედია, შენ მაინც ჩაგეხუტები, სულ მალე. :) ფლამინგო.

• მიყვარხარ ჩემო სხეულო, ბაგევ, ყელო და ხელებო, სიზმარში ბერბიჭასაგან, ჯიუტად მონაფერებო, ღამეო, დიდხანს გაგრძელდი, ოცნებით გაგათენებო. ბერბიჭ, ჩაგკოცნეო. ცისია.

• მე არ მადარდებს, ვინც მიღალატა, ერთგულად მდარაჯობს ანგელოზი, ეს ჩემი გული არის პალატა, სადაც დარდი წევს საქართველოსი. დათო.

• ილო, ჩემო მამიკო, როგორ მიყვარხარ და მენატრები, როგორ მომენატრა შენთან ჩახუტება. ბავშვებსაც ძალიან ენატრები. შენი თინიკო.

• ილო, მენატრები უზომოდ. ყველაფერს ვაკეთებთ, რომ მალე ერთად ვიყოთ. გამაგრდი და უფლის იმედი არ დაკარგო. უფლის აღდგომას გილოცავ წინასწარ. მზია.

• ცხრათვალას: შენ ხარ სხივი მზისა და ნაკადული ღელესი, შენ ხარ ტკბილი გალობა, გაბნეული ბგერებში, შენ ხარ ჩემი ცხოვრება, უუუთვალისმომჭრელესი! გაკოცე. ბერბიჭა.

• ვერძო, თუნდა დარდი მკლავდეს, სულიერად მიჭირდეს, თქვენი სითბო მიხარია, თქვენ ხართ ჩემი სიმდიდრე. ინტელექტზე გატყობ, რომ ხარ „გზის“ უცნობი სიდიდე! გაკოცე. ბერბიჭა.

• ემიგრანტო, გულს ვერ გეკვრები და ამის მიზეზია მანძილი დამყოფი. გმადლობ, მიწილადე სითბო ძვირფასი და მუდამ სამყოფი (ცხოვრება მკაცრია, დედინაცვალი, გერთა გამყოფი). მემე.

• ოდესღაც ენიგმა შეგვპირდა საკუთარ ლექსებს და მას შემდეგ ვუცდი ყველა ნომერში. რატომ? მინდა, ღირებული რითმა ქარგული. ნიჭი მადლიანი. მომენატრე, ძამი. გეხუტე. მემე.

• ფეშეენ, ხალას ოქროდ მიგიჩნევ და რაოო, აღარ მჯერა მაგისიო? ნწუ... ნწუ... სიკეთის გზა უთუოდ მიდის მარადისობამდე და ვისაც გვჯერა, გაგვატარონ, თანაც გამოგვყვნენ. მემე.

• ემიგრანტს და ქ-ნ ნანის დაგვიანებული ჩემგან, თქვენ მოკითხვა. გწყალობდეთ უფალი სიკეთის მომკითხ-

ავთ. გულში გიხუტებთ და მიზეზი ცხადია, რატომო? ნუ მკითხავთ... მემე.

• რუისპირ, ზაფხულში თუ თელავს ვესტუმრე, ჩემს გიდობას ვერ ასცდები. :) კარგი ხარ, გენაცვალე. ძალიან გაფასებ. კლეოპატრა, უთბილესი ადამიანი ხარ. ჭრიჭ, მიყვარხარო. ფლამინგო.

• ბავშვებოოო... ჩვენ რომ სახინკლეში ვიყავით, იმას ჩვენი წამოსვლიდან რამდენიმე საათში ხანძარი გაუჩნდა. ჰაა, ახლა გამოტყდით, რომელმა იმაიმუნეეეთ? თან იმ გამწოვს გასჩენია, მე რომ შემიწოვა კინაღამ და გამყინა. ნეტავ, რამე ხომ არ შევტენე სიცივის დასახშობად და აღარ მახსოოოვს? რა ვიცი, რა ვიცი... SWEET-GIRL.

• რუისპირს უუუღრმესი მადლობა საჩუქრისთვის და ეგეთები აღარ დავინახო, თორემ ვიჩხუბეეებთ. უხერხულად ვარ, როცა ჩემ გამო წუხდებიან ხოლმე. SWEET-GIRL.

• ალბათ არ მაქვს ამის თქმის უფლება, მაგრამ, ისეთი რაღაცები მესმის, არ შემიძლია არ ვთქვა. ზოგიერთს სულ ტყუილად აქვს მგზავნელის სტატუსი, რადგან ნამდვილი მგზავნელი მგზავნელს არ შეიძლება, ფიზიკურობის მიხედვით არჩევდეს და მისივე სიტყვებით, თუ რომელიმე არ დაევასა, მის ნაცნობობას მალავდეს და უარყოფდეს. ყველამ სარკეში ჩაიხედოს და საკუთარი შესაძლებლობები კარგად შეაფასოს. ოღონდ, ისეთ სარკეში, სადაც სული ჩანს და დარწმუნებული ვარ, საკუთარი გარეგნობით ნამდვილად არ დარჩებიან აღფრთოვანებულები. მით უმეტეს, რომ არც ფიზიკურობით სხლავენ. ვიღაც-ვიღაცებს ავიწყდებათ, რომ ეს გაცნობის ბიურო კი არა, „გზავნილებია“, სადაც ერთმანეთს ნატკენი გულები უნდა შევუვსოთ და არა — პირიქით. „სიტყვა და საქმე“ იყიდეთ ხოლმე „გზასთან“ ერთად და აშენდებით. აშხფოთებული ვარ, პირდაპირ. SWEET-GIRL.

• მაარ, „გზავნილების“ როლი კიდევ უფრო დაასვამს მოუშორებელ დაღს ჩემს ცხოვრებას, „სიტუაციებს“ თუ არ დაურთავ ხოლმე, რომ საზოგადოებრივი თავშეყრის, ან ხალხმრავალ ადგილებში შენი „სიტუაციის“ კითხვა არ შეიძლება, თორემ ერთხელაც იქნება და ასათიანიდან მომიწევს მოწერა. მართალია, მასალები უხვად მექნება, მაგრამ არ მინდა ბატონო, არაა! აქაც არ მაკლია თავგადასავლები. SWEET-GIRL.

• აუუუ, ისეთი ენერგიააკრეფილი ვარ დღევანდელი დღისგან, რომ ახლა კოსმოსურ რაკეტას რო მიმაეართონ, ეგრევე გაფრინდება... კარგები ხართ, ბავშვებოოო... არა, მაინც საიდან შევიყარეთ ასეთი ერთნაირებიიი? სიგიჟის სტადიას ვგულისხმობ, სხვას კი არაფერს... SWEET-GIRL.

• ვაااი! ერთი თურმე მისიკვდილებას, თმით თრევას თუ რაღაც ამდაგვარს მიპირებს დაა... ნუ მართალია, საქმის გარჩევის მასტერკლასი არ გამივლია, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ნახალოვკაში ვცხოვრობ და დაპადიეზდებას არავის ვურჩევ... ჩემს პირდაპირობას დადებითად აფასებდნენ, როგორც მახსოვს, მაგრამ საქმე კონკრეტულად მათ რომ შეეხო და ვთქვი, აღარ მოეწონათ. ან რა ვთქვი ისეთიიი? რასაც ვამბობ, იმაში ყოველთვის ვარ დარწმუნებული. ასე რომ... SWEET-GIRL.

• საღამო მშვიდობის, მარ, ახლა ამ ყველაფერს ემოციებით დახუნძლული, დატვირთული, გაჟღენთილი და არ ვიცი, კიდევ რა სიტყვა გამოვიყენო, აი ასე გწერ. მოკლედ, გიოს და ჩემი მოლაპარაკების შედეგად, როგორც იქნა მოვახერხეთ მგზავნელების თავშეყრა. ჯერ იყო და 27-ში გიოს პირობა შევასრულებინეთ, შეპირებული ხინკალი შევსუსნეთ, თავის ატრიბუტებიანად და მისი ბიუჯეტის შემცირება წარმატებით განვახორციელეთ... შემდეგ კი ასე, ექსპრომტად გადავწყვიტეთ ზემოხსენებული იდეის განხორციელება... ყველას „დავუსკაიპ“-„დავუადნოეთ“ და შეხვედრაზეც შევთანხმდით, რაც სამების ეზოში შეკრებას გულისხმობდა... დრო 12 საათი... დადგა ნანატრი, 28 მარტი და ეს ვაჟბატონი დილის 10:30 საათზე დამადგა თავზე (კი ვიცოდი გიო, რომ გიყვარდა მგზავნელები, მაგრამ ამდენაად? მგონი ღამეც არ დაუძინია). ისე, ოპერატიულად მოვემზადე, საკუთარი თავის გამიკვირდა... მერე იმ დილაადრიან კროსი ჩამატარებინა და მეტროსადგურ „ელდეპომდე“ კისრისტეხით ჩამარბენინა, პუნქტუალობა მიყვარსო და რა გამოვიდა? რაა და სამების ეზოში შეფორთხებული, ღამის ყინულის ლოდად ვიქეცი... მოვიყარეთ თავი როგორც იქნა, მაგრამ გიო და დუჩი გაგვექცნენ, რამაც გაგვანაწყენა, მაგრამ რას ვიზამდით? თან გავიგეთ, რომ სოფი19 და რუისპირი შემოგვიერთდებოდნენ კახეთიდან და თქვენი მონა-მორჩილი SWEET-ი, სესი, პარიჟანკა, ლიმონა, ჩუპი და ნიკოლ-დამავოი გახარებულები და აღფრთოვანებულები გავემართეთ „ხინკლის სახლისკენ“. ჩამოვდივართ ამ თქვენთვის კარგად ნაცნობ დაღმართზე, რომ ვიღაც ყვირის — ბზა ხომ არავის გაქვთ? ბზა? ეს ნიკოლმა გაიგონა როგორც „გზა“ და ღამის უკან გაეკიდა იმ ბიჭს, ჩანთაში მაქვსო. აქეთ ჩუპი აკავებდა, დაანებე თავი, ნამდვილი მგზავნელი ხუთშაბათსვე იყიდდაო და ამ სცენის შემყურეები რა დღეში ვიქნებოდით, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს. ის იყო, მეტროში ჩავედით, რომ ესკალატორზე შესკუპებულებმა ერთმანეთს თვალი გადავავლეთ და ეს ჩვენი ლიმონჩიკა არსად ჩანს... არიქა, გაგვისკდა გულები, ხომ არავინ გაგვტაცა ბალღიო, მაგრამ გადავრჩით. თურმე ტრენინგებს უტარებდა ერთს, თუ როგორ უნდა ჩაეგდო ჟეტონი და ამდენ ამბავში ჩამოგვრჩენია... შემოვიბით მაჯაზე, რომ აღარსად დაგვკარგვოდა და მივადექით სახინკლეს... ისე გვციოდა, ხინკლის ოხშივარზე ვითბობდით ხელებს. შევუკვეთეთ რაც გვსურდა და არ გვეყოფაო, გაჩნდა აზრი, მაგრაააამ... ამდენი პირაქაფებული მგზავნელი რომ ერთად მოიყრის თავს, იქ ჭამისთვის ვის სცხელა? რაც იყო, ისიც დაგვრჩა... ვისაუბრეთ, ვიცინეთ, ვიგიჟეთ და მანამ, სანამ სახინკლედან გამოგვყრიდნენ, ჩვენი ნებით წამოვედით... გარეთ გავმართეთ ბჭობა, თუ ვის რა ტრანსპორტი აწყობდა. ჯერ ჩუპის გამგზავრებაზე უნდა გვეზრუნა, რაც პარიმ წარმატებით ითავა და ეს პატარა გოგო სულ გადაგვირია. მიაჩემდა, გინდა თუ არა, შენკენ რა უდგებაო... ამის გაგონება იყო და შეშინებული ზღარბი როგორ გამოიყურება, იციით? აი, სწორედ ისე დავმრგვალდით სიცილისგან... სული ძლივს მოვითქვით... რაას გვიშვრება ეს ქართული ენა, ჰაა? არადა, სულაც არ გაუვლია გულში, „ისეთი“ რამე ეთქვა. მერე თავისუფლებამდე ჩავგორდით ფეხით, რა თქმა უნდა, სიცილ-კისკისით და რაც პატარა ქანდაკებები იყო, ყველა რომელიღაც მგზავნელს მივამსგავსეთ (შეგიძლიათ, თქვენც დაათვალიეროთ და საკუთარი თავი ამოიცნოთ). კიდევ ბევრი რამ გამომრჩა და რაც დავწერე, ესეც ბატიფეხურად, მაგრამ მომიტევეთ ეს შეცოდება ბავშვებოოო... დაღლილი ვარ ემოციებიიიით. უყვარხართ SWEET-ს უძალიანესადოოო. SWEET-GIRL.

• ბიჭოოო... SWEET-BOY რომ არ დაგერქმია, სხვა ნიკი ვერ მოიფიქრეე? თუ SWEET-ობაში უნდა გამეჯიბროოო? ნუუ, ინტრიგა მომწოონს... SWEET-GIRL.

• წუხელის ბიჭი დაბადებულა, ნიკად ჰქონია მას რუისპირი, დაბადებულა ოლეგარიო, მგზავნელთა მამა, დიდების შვილი, წუხელის ჩუპი დაბადებულა, დაბადებულა თურმე ლიმონა, ქალი, რითმების სხლარტი მწყობელი, მისმა ლექსებმა მე დამიმონა. წუხელ ის ქალი დაბადებულა, დაურქმევიათ სოოფ19, წუხელ SWEET GIRL-იც დაბადებულა, საყვარელი და ტკბილი კანფეტი. წუხელ სიკვდილა დაბადებულა, დაბადებულა თურმე ვერ-

მახტიც და მის რეალიც დაბადებულა, დაურქმევიათ მისთვის ლიკვარდი. დაბადებულა წუხელის პრინცი, წუხელ პრინცესაც დაბადებულა, დაბადებულა გადარეული და „გზავნილები“ გადარეულა. წუხელის კიკოც დაბადებულა და ზეცა სუმთლად განათებულა, დაბადებულა თურმე თოლია, სითბოთი სავსე გული ჰქონია, დაბადებულა ქალი ცდუნება, მე მასზე გრძნობამ ამიყოლია. მის რეალი.

• ჩემი მეგობარი 8 წლის წინ უზომოდ იყო შეყვარებული თავისივე ჯგუფელზე და ეს გოგონაც არ იყო მის მიმართ გულგრილი. საქმე იქამდე მივიდა, რომ ოჯახებიც ჩაერივნენ და ყველა თანახმა იყო. ერთხელაც, არ ვიცი ამ ჩემს მეგობარს რა შეუჩნდა და თავისი შეყვარებულს მეგობრებთან ერთად დახვდა მანქანით ქუჩაში, გადმოხტნენ და ძალით, წივილ-კივილით ჩატენეს მანქანაში. მოიტაცეს, მოატარეს მთელი ქალაქი. ბოლოს, ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე ჩამოსვა თავისმა ლოვემ და უთხრა, დღეს 1 აპრილია, მოტყუება ადვილიაო. ამის მერე დაშორდნენ და ახლაც ცალ-ცალკე დადიან. იმ გოგოს დანახვაც არ უნდა ჩემი მეგობრის, მისივე სულელური ხუმრობის გამო. გუნი.

• გაზაფხულს გილოცავ, გაზაფხულს! რუსულ ენაზე ყვირილით შემორბის ჩემს ოთახში პატარა ბიჭი, ლოგინზე მიცოცდება და გაზაფხულის პირველ დღეს კოცნით მილოცავს. მე ვარაუდითა და ხელის ცეცებით მოვძებნე სათვალე, მოვირგე (მასთან ერთად მკაცრი იერიც) და საპასუხო მილოცვის შემდეგ მორგებული მკაცრი გამომეტყველებით ვამბობ: აბა სირბილით, სააბაზანოში და კიდევ, საქართველოში ქართულად ვლაპარაკობთ. ყურებამდე გაღრეჭილი მაქსი მართლაც მიდის სააბაზანოში, მე კი ზლაზვნით ვიწყებ ჩემი დღის რეჟიმის შესრულებას (ანუ პირველ რიგში ბუზღუნს). წუწუნით დაწყებულ დილას კი ყოველთვის სიმღერით ვაგრძელებ. სახლში ყველა თავის სტიქიაშია. ჩემი თვალებდასიებული ძმა კომპიუტერს ვერ ელევა. მე და დედა მაკიაჟს ვიკეთებთ. მე პარალელურ რეჟიმში მაქსთან ერთად ვმღერი რაღაც აკვიატებულ სიმღერას. ყავის ჭიქას თითს დავაკარებ თუ არა, მამა ეზოდან იწყებს ისტერიულ სიგნალს (და ჩემი ტელეფონი რეკვას), ჩქარა ჩამოდი, გელოდებიო. მე და მაქსი სინათლის სიჩქარით ჩავრბივართ კიბეებზე. მანქანაში მაქსის ბაღის ლექსებს ვიმეორებთ და მე და მამა მარტო განვაგრძობთ სკოლისკენ გზას. უკვე თითქმის სკოლის ეზოსთან ვაცნობიერებ, რომ ფეხზე გამოსასვლელი ფეხსაცმლის ნაცვლად რბილი, ვარდისფერი ჩუსტები მაცვია, რომელიც საოცარ კონტრასტს ქმნის ჩემს მკაცრ სტილთან. სახლისკენ მიმავალი გზა სიმწრის სიცილით გავლიე. 15-20 წუთის შემდეგ კი როგორც იქნა, ნორმალურად გამოწყობილმა მივაღწიე სკოლამდე. კიბეს კი ამჯერად იმაზე ფიქრით გაბრუებული ავუყევი, თუ რით გამემართლებინა დღევანდელი დაგვიანება. გაზაფხულის პირველი დილა ტრადიციულად, ტყუილით და ნამდვილად ქაოსური სიტუაციით დავიწყე. ღმერთმა არ ქნას, ასევე ქაოსურად გაგრძელდეს. ჩუპი.

• ე.ი. „გზას“ რომ წიგნები მოჰყვება და ძნელად იშოვება, ეს უკვე ყველამ ვიცით, ხომ? სამაგიეროდ, მე უკვე ადვილად ვყიდულობ. მგზავნელობამ ისე ამამაღლა ჯიხურის გამყიდველის თვალში, რომ უკვე ყოველ ხუთშაბათს მინახავს „გზას“ (წიგნთან ერთად, ცხადია). თუ ვინმე ჩემი ახლობელი რაიმე საინტერესოს მოჰკრავს ყურს, ყველა ყველაფერს მიყვება, იქნებ გზავნილად გამოგადგესო (ამის წყალობით ნამდვილი ვასასი გავხდი. ყველა გზა ხომ მიდის რომში, ჰოდა ყველა ჭორი და მართალი კიდევ — ჩუპისთან. ყოველ პარასკევს, დიდ დასვენებაზე, ჩემი სკოლის ბუფეტი ზარალს ნახულობს, იმიტომ რომ ხუთშაბათს ნაყიდი ჩემი „გზა“ პარასკევს სკოლაში დასვენებზე (და ზოგ გაკვეთილზეც) სახალხოდ განიხილება (ამიტომაც ბუფეტესთვის ვის სცალია). ჰო კიდევ, მე ხომ ჟურნალისტიკაზე დავდივარ (ცოტა ხანია, მარა მაინც). ერთხელ იქაც წამომცდა (წამომცდა რა, გავიბლატავე!) ჩემი მგზავნელობის ამბავი. ამას მოჰყვა ის, რომ ჩვენმა ქეთი მასწმა შეიძინა „გზა“ და შემდეგ გაკვეთილზე მითხრა ჩემი ნიკიც (წერის სტილით მიცნო). ამავე გაკვეთილზე, როდესაც პამფლეტსა და ფელეტონზე გვესაუბრებოდა ქეთი მასწი, მაგალითად მოიყვანა ჩვენი, „გზის“ პროვოკატრის პროვოკაციები, რომელმაც კიდევ ერთი ადამიანის, ჩემი მასწის მოწონება დაიმსახურა. ანუ ამით იმის თქმა მინდა, რომ „გზა“ მარტო ჟურნალი კი არა, სადღაც, სახელმძღვანელოც კია.

• ჯერ-ო, რა თქმა უნდა ვიცანი. მიხარია, რომ დამიჯერა და ბოლოს და ბოლოს გაბედა დამესიჯება. :) და ციყვებო (ესენიც მგზავნელები ვართ, მარი. მე გავაციყვე უბრალოდ, ზოგიერთი) და არა მხოლოდ ციყვებო... არა სვჭამოთ პურრი? კი არა და არ შევეფეთოთ? თქვენი ბოდიალა ჩუპი.

• გადავშალე „გზის“ ფურცლები, ერთსა ნიკს მოვკარ თვალი, გულს ეამა, დავიმორცხვე, ვყოფილიყავ თითქოს მთვრალი. ოცნებებიც ხდება თურმე, დაბრუნებულა ლიმონა, მონატრებულმა რითმებმა ჩემი გული დაიმონა. ჩემს სულამდე შეაღწია, მის გულწრფელმა აღსარებამ, ჩამაფიქრა და მომნუსხა, დამიმონა აღმაფრენამ. „გზის“ ფურცლებზე მე უშენოდ, თითქოს მაკლდა ცალი ხელი, ვანათებდი უკვდავ ხმასა, თუმც არ იყო ასე მწველი. გფარავდეს მადლი უფლისა, ძალა გიცავდეს ღვთისაო, სიყვარულისთვის ხარობდე, და ახარჯებდე ნიჭსაო. ქედს ვიხრი მე შენს წინაშე, მის რეალს ჰყავხარ გულშია, ერატო დაგენაცვლება, უკვდავ ხმის სიყვარულშია. P.S. ვიყოთ და ვთესოთ სიკეთე, მას შევაცვითოთ რითმაო, „გზა“ დაიმონოს სიმართლემ, და არა ურცხვმა მითმაო. უკვდავი ხმა.

• მარი ჯაფარიძე, მართალი ხარ დეიდა, ვინც არ გიჯერებს, მესიჯი უნდა დაუბლოკო, მე ხომ დამჯერი ბიჭი ვარ და ხომ არ ვხრავ არავის? მაინც კარგი ხარ. გადარეული.

• ვერძი, სახლში არ იციან, ცოლმა არ იცის. რა ცოლი? ჯერ 21 წლის ვარ. შენც კარგი ხარ, გოგოვ. გაკოცე. გადარეული.

• რუისპირის მესიჯმა გამაოგნა. ბავშვი თავისუფალი აზრის გამოთქმისთვის და გულწრფელობისთვის სკოლიდან დაითხოვეს? მისი დირექტორი ვარლამ არავიძეს ხომ არ ენათესავება? რუისპირო, ვიამაყებდი შენისთანა მოსწავლით. საბოდიშო არაფერი ჩაგიდენია. ცდები, ასეთი შურისმაძიებელი პედაგოგი კარგი ვერ იქნება და არც სიყვარულს იმსახურებს და მაინც, რადგან ასე განიცდი მომხდარს, გირჩევ, მომავალში უფრო წინდახედული იყო, რომ შენი კახური პირდაპირობით შენი ახლობელი ადამიანები არ გაანაწყენო. გამხნევდი, ღმერთი გფარავდეს. ემიგრანტი.

• მგზავნელებო, მე ახალი ვარ, მაგრამ „გზას“ და განსაკუთრებით „გზავნილებს“ ყოველკვირა ვკითხულობ და ძალიან მომწონს. გამიხარდება, თუ მიმიღებთ. დუშეთი.

• იცით, რა გახარებულ ვარ? რატომ? რატომ და როგორც იქნა, ჩემს „გზასაც“ მოჰყვა წიგნი და სიხარულისგან ცას ვეწიე. მადლობა „გზას“. მატიტელა.

• აუ, ხალხო, მაგრად დამღალეთ რა, ყველამ. აუტანლები ხართ. „გზიდან“ მივდივარ! დაიჯერეთ? დღეს პირველი აპრილია. მიყვარხართ. კლეოპატრა.

• ბერბიჭავ, რა ხარ, რაა, გამაცინებ ხოლმე, შენი მესიჯებით. კოზანოსტრა, სად დაიკარგე, მაფიოზო? სულ აღარ მწერ. მოიწყინა ეგვიპტემ უშენოდ. გაკოცე. კლეოპატრა.

• ვისი სიცოცხლეც ვიყავ, მინდა სიცოცხლე ვიყო, ვისი ერთგულიც ვარ, ვფიცავ, ერთგული ვრჩები. მე რომ მენატრება, მასაც ხომ ვენატრები, მალე შემახვედრე, ღმერთო, გევედრები. სევდამ აატირა, ეს ტანჯული გული, კმარა, მის მაგივრად ფიქრებს ვეფერები, მართლა მენატრება ჩემი სიყვარული, მალე დამიბრუნე, ღმერთო, გევედრები. იიარგიონა.

• ემიგრანტს: ცხრა მთას იქით შრომობ, ოჯახს მონატრებული, შენი ნი-

მგონი 8 წლის ასაკში დავინტერესდი ქალებით სერიოზულად, — ძალიან გულახდილი პასუხი გაგვცა.

— შეგიძლია, რამდენიმე მამაკაცი გაიხსენო, ვინც შენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა?

— კი, მამა, ბაბუა და კიდევ ერთი მამაკაცი, ვინც პირველი სექსუალური გამოცდილება მიმაღებინა, — გულიანად გაიცინა კახამ.

— ოდესმე გინდოდა, გოგო ყოფილიყავი? — ძალიან უცნაური კითხვები აქვს ამ მარგარეტს, ჩემი აზრით, მაგრამ ნიზა თავს ვალდებულად მიიჩნევს, მაინც დასვას.

— გაწყენინე რამე? — თვალები ააფახულა კახამ, — შენ წეღან სხვა რამე ხომ არ იფიქრე? სექსუალური გამოცდილების მიღებაში ის ვიგულისხმე, რომ იმ კაცმა ქალებში წამიყვანა, თორემ... მე გენაცვალე, ნამდვილი მამაკაცი ვარ და ვინმეს რამე არ შეეშალოს.

— არა, რას ბრძანებთ? — დაიბნა ნიზა, — ეგ არ მიგულისხმია. უბრალოდ, დავინტერესდი.

— არასოდეს მდომებია ქალობა და არც ახლა მინდა! — ძალიან მტკიცედ თქვა.

— რატომ? — ეს კითხვა „სახელმძღვანელოში“ არ ეწერა, მაგრამ მაინც დაუსვა.

— იმიტომ! — საკმაოდ „არგუმენტირებული“ პასუხი გასცა მამაკაცმა.

— პირველი პაემანი როდის გქონდა?

— არ მახსოვს.

— ვისთან?

— ალბათ გოგოსთან.

— იმის მერე ვის ხვდებოდი კიდევ? — არ ისვენებდა ნიზა და არც იმას აქცევდა ყურადღებას, რომ ფეხს ფეხზე ისე ვაჭერდი, როგორც გაქანებული მანქანის მძღოლი — მუხრუჭის სატერფულს, მაგრამ ის მაინც არ ცხრებოდა.

— ნანას, ლიას, მადონას, ვალიას, კატიას, მაგრამ ეს არა მგონია, საინტერესო იყოს.

— რომ შეგეძლოს გახდე ის, რაც გსურს, რას აირჩევდი?

— დიდი სიამოვნებით გავხდებოდი შენი ქმარი.

— ვინ გაგანათლა სექსის საკითხებში? — წინა პასუხით კმაყოფილმა ნიზამ უადგილო შეკითხვა დასვა...

არა! ეს არ უნდა ეკითხა! მაგრამ გაფრენილ სიტყვას უკან ვერ დააბრუნებ...

— ამ კითხვაზე არ გიპასუხებ! — კახა როგორც ჩანს, შეეგუა იმას, რომ კიდევ უამრავ კითხვაზე მოუწევდა პასუხის გაცემა და ტაქტიკა შეცვალა. თუ აქამდე კითხვას არ აგდებდა, ახლა უკვე არჩევით დაიწყო პასუხების გაცემა.

— რა შეხედულების ხარ სექსზე? ვინ უნდა ასწავლოს სექსი და ვინ უნდა მიიღოს სიამოვნება? — თავისას უბერავდა ნიზა და მისი საქციელი ძალზე მაღიზიანებდა.

— ეს ძალიან საინტერესო კითხვაა. თუ საქმე ისე წავიდა, რომ შენ მასწავლი სექსს, მაშინ არა მგონია, ჩვენი ოჯახი შედგეს, — დანანებით დააქნია თავი.

— რამე თუ აგიშენებია?

— მე უკვე გითხარი, რომ სამშენებლო ფირმის ხელმძღვანელი ვარ და თუ არ ამიშენებია, აბა რა გამიკეთებია?

— მოდი, შემდეგი სადღეგრძელო შემოგვთავაზე, — ინიციატივა ავიღე, რადგან მივხვდი, კახას ჩემზე მეტად აღიზიანებდა შექმნილი სიტუაცია.

— მოდი, შენ თქვი, — მე დამითმო თამადობა.

— იცი, მე მინდა, ნატურალური და საღი ურთიერთობა ვადღეგრძელო, მარგარეტის დედაც, ჯეკ! — დავაყოლე ბოლოს.

— ეს მარგარეტი ვინაა? — იკითხა კახამ, როდესაც ჭიქა გამოცალა.

— ეს მარგარეტი ერთი ქალია, რომელიც გასათხოვარ ქალებს საშინელ რჩევებს აძლევს. მოდი, გულახდილად მითხარი, რა კითხვებიც მოისმინე, მოგეწონა?

— არა.

— მაშინ ახლა ნიზამ რომ შემოგთავაზოს, ბალახზე ფეხშიშველმა ვიაროთო, რას გაიფიქრებ? — ყურადღება არ მივაქციე ნიზას მუჯლუგუნებს.

— ვიფიქრებ, რომ ცოტა ვერაა და თავში უქრის, — კიდევ კარგი, არაფერი წამოსცდა.

— ჩემთან რედაქციაში რომ მოგიყვანოს იმის სანახავად, როგორ ვმუშაობ, ამაზე რას იტყვი?

— რაში მაინტერესებს? მზა პროდუქციას უფრო დიდი სიამოვნებით გავეცნობი და დაბეჭდილ ჟურნალს წავიკითხავ, ვიდრე მისი მომზადების პროცესს.

— საყურიან ქალს თუ აკოცებ? ან ბიბლიოთეკაში თუ დადიხარ?

— საყურიან ქალს რატომ არ უნდა ვაკოცო ვითომ? ბიბლიოთეკაში კი ნამდვილად არ დავდივარ.

— ნიჩბოსნობის სექციას თუ სწყალობ?

— მარი, გეყოფა! — სასოწარკვეთილი ხმით დაიძახა ნიზამ...

— რატომ მეყოფა? ჯერ კიდევ ბლომადაა კითხვები. მაგალითად, საინტერესოა, რას ფიქრობს ბატონი კახა აბორტზე, ვინ შეწუხდება მისი ურიგო გარეგნობით, ვის უმალავს ნამდვილ ფინანსურ მდგომარეობას, ვის უმალავს სასიყვარულო საქმეებს, მისი გულისკენ მიმავალი გზა მართლა კუჭზე გადის თუ სხვა ორგანოზე, ვის უმალავს ემოციურ კონფლიქტებს... — ვეღარ გამაჩერა ნიზამ, — გვიპასუხეთ, ბატონო კახა, კიდევ გვაქვს კითხვები და დააჩქარეთ, თუ შეიძლება, წასვლამდე უნდა მოვასწროთ. ამოიღე „შპარგალკა“, — მივმართე ნიზას.

ის როგორც ჩანს, მიხვდა ჩემი გაღიზიანების მიზეზს და ფურცელზე ჩამოწერილი კითხვები უხმოდ დამიდო წინ.

— აი, კითხვები და შეგიძლიათ, წერილობით გვიპასუხოთ, — მივუჩოჩე ფურცელი კახას.

იმან გადახედა კითხვებს და მერე ხმამაღლა გადაიხარხარა.

მე და ნიზამ ერთმანეთს გადავხედეთ. ჯერ გაგვეღიმა, მერე ჩვენც ავყევით... გულიანად ვიცინეთ და ძლივს დავწყნარდით.

— მოკლედ, ახლა ყველაფერი გასაგებია ჩემთვის. ნიზა ხელმძღვანელობს ვინმე მარგარეტის რჩევებით, შენ კი ამის წინააღმდეგი ხარ...

— დიახ.

— ჰოდა, მართალი ხარ. რა საჭიროა, ეს კითხვები და რჩევები? ბუნებრივად როცა ხდება ყველაფერი, მაშინ გაცილებით კარგად გამოდის. ნიზა, დამიჯერე, მაგ კითხვებით ჩემი პიროვნების გამოცნობა გაგიჭირდება. ჯობია, მეორე პაემანზე შევთანხმდეთ, მარის გარეშე ან მარისთან ერთად, თუ გსურს და ნახავ, უფრო გაგიიოლდება ჩემი ამოცნობა. მე კი ამ უცნაური კითხვების მიუხედავად, მაინც მომეწონე. ვხვდები, რომ ტანისამოსიც მარგარეტის რჩევებით შეარჩიე და გაოცებამაც გამიარა... პირველად რომ დაგინახე და შეგათვალიერე, გავიფიქრე, ნეტავ, უსამკაულოდ რატომაა, ნუთუ ბიჟუტერიაც არ ჰქონდა რომ დაებნია-მეთქი? მოკლედ, შევეშვათ მარგარეტს და ჩვენს ცხოვრებას მივხედოთ. რას იტყვი? — კახამ მისი ხელი აიღო და თვალებში შეხედა.

— მე ახლავე დავბრუნდები, — ვთქვი და გარეთ გამოვედი.

გაზაფხულის წვიმიანი, ქარიანი და სუსხიანი ამინდი იყო, მაგრამ მე მაინც რაღაც მიხაროდა...

რა? მგონი, ჩემმა მეგობარმა მეორე ნახევარი იპოვა! ტაქსი დავიჭირე და ჩემს მანქანასთან მივედი...

კახას კითხვაზე რა უპასუხა, დღემდე არ ვიცი, არც არავის დაურეკავს ჩემთვის, სად დაიკარგე, რატომ აღარ დაბრუნდი სუფრასთანო, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს... ნიზას ღიმილიანი სახე და გაბრწყინებული თვალები იმის დასტურია, რომ რაღაც სასიამოვნო ხდება ჩემი მეგობრის ცხოვრებაში... ■

ზაიმ-აუტი

დაუსრულებელი ნაწარმოებები

მოცარტი, „რეკვიემი"

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, კომპოზიტორს უცნობი კაცი ეწვია და გარდაცვლილი მეუღლის პატივსაცემად, რეკვიემის დაწერა სთხოვა. მოცარტი მოულოდნელად გარდაიცვალა და ნაწარმოები მისმა მოსწავლემ — ფრანც ზიუსმაიერმა დაასრულა.

და ვინჩი, „გრან ჯავალო"

ლეონარდოს ერთ პროექტზე მუშაობა მალევე ჰბეზრდებოდა და ამიტომაც, მრავალი ხელოვნების ნიმუში დაუსრულებელი დარჩა. XV საუკუნეში, მილანის ჰერცოგის დაკვეთით, მას ცხენის 7-მეტრიანი ბრინჯაოს ფიგურა უნდა დაემზადებინა. და ვინჩი 12 წელი მუშაობდა ცხენის ფორმის შექმნაზე. ბოლოს, ქმნილებისთვის განკუთვნილი 200 ათასი გირვანქა (1 გირვანქა — 445 გრამი) ბრინჯაოს ზარბაზნის დამზადებაზე დაიხარჯა, რადგან სწორედ იმ პერიოდში, საფრანგეთსა და იტალიას შორის ომი დაიწყო.

გაუდი, კათოლიკური ტაძარი

კათოლიკური ტაძრის მშენებლობა 1882 წელს დაიწყო. ცნობილმა არქიტექტორმა, ანტონიო გაუდიმ მისი მაკეტის შექმნას 40 წელი მოანდომა და სიცოცხლის უკანასკნელი 15 წელიც ტაძრის მშენებლობას შეალია, მაგრამ საბოლოოდ, მის დასრულებას მაინც ვერ ეღირსა. მშენებლობის დასრულება მისმა კოლეგამ ითავა, მაგრამ სამოქალაქო ომმა შეუშალა ხელი. 1936 წელს გაუდის სახელოსნოს ხანძარი გაუჩნდა და მრავალი ესკიზი, მაკეტი განადგურდა. ბარსელონის მერმა განაცხადა, რომ ტაძარს 2010 წლის ბოლოსთვის დაასრულებენ.

გილბერტ სტიუარტი, ვაშინგტონის პორტრეტი

სტიუარტი მეფეებისა და პრეზიდენტების პორტრეტებს ხატავდა. ერთ-დოლარიანზე გამოსახული ვაშინგტონის პორტრეტიც მან შექმნა, მაგრამ ამ ნამუშევარს დასრულებული სახე არა აქვს. ამბობენ, მხატვარმა პორტრეტი სპეციალურად არ დაასრულა, რათა მისი ასლები შეექმნა (სულ 70 ცალი) და ცალი 100 დოლარად გაეყიდაო.

ჩარლზ დიკენსი, „ედვინ დრუდის საიდუმლო"

ინგლისელ მწერალს რომანის დასრულება არ დასცალდა — იგი ინსულტით გარდაიცვალა. ნაწარმოები ვინმე თომას ჯეიმსმა დაასრულა და განაცხადა, რომ სხეულში დიკენსის სული ჩაუსახლდა და რომანის დასასრული დააწერინა.

ჯიმი ჰენდრიქსი, „ამომავალი მზის სხივები"

60-იან წლებში გიტარისტმა სამი ალბომი ჩაწერა. ჯგუფის დაშლის შემდეგ კი სოლოალბომის შექმნაზე დაიწყო მუშაობა, მაგრამ ძილის წამლის გადაჭარბებული დოზა მიიღო და გარდაიცვალა.

ბრიუს ლი, „სიკვდილის თამაშები"

ჰონკონგელმა კუნგ-ფუისტმა ამერიკაში დიდ წარმატებას მიაღწია და მას აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნების დიდოსტატად მიიჩნევდნენ. „სიკვდილის თამაშები" მისი მეოთხე ფილმი იყო — გადაღებების დროს თავის ტკივილის გასაყუჩებლად რაღაც აბი მიიღო და გარდაიცვალა. კვეთის შედეგად გაირკვა, რომ აბმა ტვინის 13 პროცენტით გაფართოება გამოიწვია.



ციფრების მაგია

ასტროლოგები ერთხმად აცხადებენ, რომ 2010 წელი საინტერესო და მოულოდნელობებით აღსავსე იქნება. თუ გაინტერესებთ, რა გელით, დაბადების თარიღი შეკრიბეთ, ერთნიშნა ციფრამდე დაიყვანეთ და მიღებული შედეგი წაიკითხეთ.

ერთი — ვეფხვის წელში წარმატებას შრომა და საკუთარი თავის რწმენა მოგიტანთ. მნიშვნელოვანი ცვლილებები, განშორებები მინიმუმამდე დაიყვანეთ.

ორი — წარმატებას მოგიტანთ ბიზნესის გაფართოება, რისკი და სამსახურის შეცვლა. შესაძლოა, ძველ პარტნიორს დაუბრუნდეთ.

სამი — უმჯობესია, ამ წელს დაისვენოთ, განსაკუთრებული არაფერი მოიმოქმედოთ. თავისუფალი დრო მეგობრებისა და ნათესავების გარემოცვაში გაატარეთ.

ოთხი — დროის უმეტესი ნაწილი საკუთარ თავს დაუთმეთ. მიიღეთ ცოდნა, ივარჯიშეთ, იმოგზაურეთ. ახალი იდეები ბლოკნოტში ჩაინიშნეთ და 2011 წელს განახორციელეთ.

ხუთი — წელი მატერიალურ კეთილდღეობას მოგიტანთ. წინსვლა გელით სამსახურშიც. შესაძლოა, კონკურენტებს დაუმეგობრდეთ და წარმატებისთვის ერთად იბრძოლოთ. თუ წარმატების მიღწევა გსურთ, თავდაუზოგავად უნდა იშრომოთ.

ექვსი — დაისახეთ მიზანი და მის განსახორციელებლად იბრძოლეთ. ვალების გასტუმრებას შეძლებთ. გადახედეთ განვლილ წლებს და ეცადეთ, დაშვებული შეცდომები აღარ გაიმეოროთ.

შვიდი — იაქტიურეთ. კარგი პერიოდია იდეების განსახორციელებლად, ახალი ნაცნობობისთვის. კარგია, თუ დაქორწინდებით.

რვა — დაძაბული წლის შემდეგ დასვენება და ძალების აღდგენა არ გაწყენდათ. თუ თავს ენერგიულად გრძნობთ, წამოიწყეთ რემონტი, აგარაკის მშენებლობა. საკუთარი სახლი ციხესიმაგრედ აქციეთ.

ცხრა — საინტერესო წელი გელით. კონკურენტებს ჩამოიცილებთ და დასახულ მიზნებს წარმატებით განახორციელებთ. პირად ცხოვრებაშიც წარმატებას მიაღწევთ. რომანტიკული შეხვედრები ქორწინებით დაგვირგვინდება.

ერთ მუშტად შეკრული, 6 ათასი ქართველი და ქვეყანა, რომელიც რაგბითი ცხოვრობს

ქართველ მორაგბეთა მიერ ტრაბზონში რუსთა მორიგი „გვემით“ გამოწვეული აჟიოტაჟი ჯერაც არ ჩამცხრალა. ბორჯღალოსანთაგან რუსი „დათვების“ დაბრიყვება ნამდვილად არ გვიკვირს, თუმცა, თურქეთში ჩატარებული მატჩი მაინც გამორჩეული იყო — ჩვენების თამაშითაც და საოცარი ქომაგობითაც. შესაძლოა, აღნიშნული მატჩის ირგვლივ მართლაც, ზედმეტი ხმაური ატყდა, მაგრამ მავანთა შეფასებები მაინც, მეტისმეტია. მაგალითად, ერთ-ერთმა პოლიტიკოსმა ისიც კი თქვა: — რუსთათვის უმნიშვნელო მატჩი იყო და ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეებიც აკლდათო. ქართველ ხალხს არასდროს გამორჩენია, — ვის და რამდენი აკლდა!.. ტრაბზონული მატჩისა და მთლიანად, განვლილი სეზონის შეფასების გარდა, რაგბის კავშირის თავმჯდომარეს — გია ნიჟარაძეს კომენტარი ამ გამონათქვამთან დაკავშირებითაც ვთხოვეთ. ბატონი გია ახლა საქართველოს A ნაკრებთან ერთად, სამხრეთ აფრიკაში გახლავთ, სადაც გუნდს ორკვირიანი სასწავლო შეკრება აქვს.

ქართველი მორაგბეები ყველცხს აფრიკაშიც შეღებავენ...

რატი შელეგია

— შესანიშნავ პირობებში ვართ და ეს არც უნდა იყოს გასაკვირი — სამხრეთი აფრიკა ხომ მსოფლიო რაგბის მექა გახლავთ. მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სარაგბო აკადემიის ბაზაზე, ფანტასტიკურ პირობებში ვვარჯიშობთ. ეს ქვეყანა რაგბითი ცხოვრობს და ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ ქალაქ სტელენბოშშიც, სადაც ჩვენ ვიმყოფებით, ხეებზეც კი რაგბის ბურთები კიდია... საითაც გაიხედავ, ყველგან სარაგბო აკადემიები და უთვალავი მოედანია. რაც მთავარია, უკვე შევძელით უმთავრესი — მჭიდრო კავშირი დავამყარეთ ადგილობრივ სარაგბო თემთან. საქართველოს ნაკრები აქ გამოცდილების მისაღებად ჩამოვიდა და ამ დღეების განმავლობაში, მსოფლიოს უძლიერესი მწვრთნელების მეთვალყურეობის ქვეშ ვივარჯიშებთ.

— ამ შეკრების ორგანიზება როგორ მოხდა?

— ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ რომელიმე დიდი სარაგბო ქვეყნის დახმარების გარეშე, განვითარება ძალიან გაგვიჭირდება. ბევრი ფიქრის შემდეგ, არჩევანი სამხრეთ აფრიკაზე შევაჩერეთ. მენტალური თვალსაზრისითაც, ჩვენთვის მათთან ურთიერთობა ადვილია და რაც მთავარია, მსოფლიოში საუკეთესო სარაგბო აკადემიები, სკოლები და მწვრთნელები სწორედ სამხრეთ აფრიკაშია. ჩემი პირადი კონტაქტებისა და ჩვენი სამწვრთნელო შტაბის დახმარებით ეს უმნიშვნელოვანესი შეკრება მოხდა. აქ ჩამოსვლიდან მეორე დღესვე გავმართეთ ძალიან საინტერესო შეხვედრები, სადაც გრძელვადიან თანამშრომლობასთან დაკავშირებითაც ბევრი ვილაპარაკეთ.

— რაც შეეხება უშუალოდ ვარჯიშებს...

— აფრიკაში წამოსაყვანი მოთამაშეების შერჩევისას, აქცენტი, ძირითადად, ახალგაზრდებზე გავაკეთეთ, რადგანაც მათ პლანეტის უძლიერესი მწვრთნელებისგან მიღებული დარიგებები ძალიან გამოადგებათ. შერკინება, ფეხით თამაში, აუტის მოწოდება, პასი, ტაქტიკური აზროვნება — თითოეულ ამ კომპონენტში ჩვენებს ერთმანეთზე უკეთესი სპეციალისტები ავარჯიშებენ და მახარებს ის ფაქტი, რომ ბიჭები ღრუბელივით ისრუტავენ ყველანაირ ინფორმაციას. დასამალი არ არის, ჩვენი მწვრთნელების დიდი მეცადინეობის მიუხედავად, ახალგაზრდა მორაგბეებს კიდევ ბევრი რამ აქვთ სასწავლი!..

— თუმცა, არც ეროვნული ნაკრების მორაგბეებს „აწყენდათ“ მსგავსი შეკრება...

— რა თქმა უნდა და ეს არის კიდეც მოლაპარაკების ერთ-ერთი თემა... ამ ქვეყანაში უბრალო სტუმრის სტატუსით ყოფნაც კი მორაგბისთვის ბევრის მომცემია.

— როგორც ვიცი, სამხრეთ აფრიკაში ახლა ძალიან ცხელა...

— ჩვენს ჩამოსვლამდე მართლაც, სიცხე ყოფილა, თუმცა ახლა საკმაოდ გრილა, ნიავიც უბერავს. მოკლედ, სათამაშოდ ზედგამოჭრილი ამინდია. არც ადაპტაციასთან დაკავშირებით შეგვქმნია პრობლემა — საქართველოსა და სამხრეთ აფრიკას შორის, საათობრივი სხვაობა მხოლოდ ორი საათია...

— სამხრეთ აფრიკის დასავლეთ პროვინციის აკადემიის ნაკრების გარდა, აფრიკაში ყოფნისას კიდევ, ვის უნდა ეთამაშოთ?

— პირველი შეხვედრა აკადემიის 22-წლიანთა ნაკრებთან ჩავატარეთ — ჩვენი გუნდის საშუალო ასაკიც 22 წელი გახლავთ და იმიტომ; 3 აპრილს კი სტელენბოშიდან 400 კილომეტრში მდებარე ქალაქში გავემგზავრებით, სადაც სარაგბო ფესტივალი იმართება და ჩვენს დასახვედრად სპეციალურ მიღებასაც გამართავენ, უფრო ძლიერ გუნდს დაგვახვედრებენ. თბილისში 7 აპრილს დავბრუნდებით. რადგან აღდგომის დღესასწაულზე აქ მოგვიწევს ყოფნა, საქართველოდან ენდრო წამოვიღეთ და კვერცხს წითლად სამხრეთ აფრიკაშიც შევღებავთ...

— ძალიან კარგი. ახლა ქართული რაგბის წლევანდელი სეზონის



ვიღაცებმა, თავიანთი დაუკვირვებლობით, გული ატკინეს იმ ბიჭებს, რომლებმაც საკუთარი ქვეყნისთვის თავი არ დაზოგეს

შეფასება უნდა გთხოვოთ...

— ქართული რაგბისთვის წლევანდელი სეზონი წარმატებული იყო. რაც დაგეგმილი გვქონდა, შევასრულეთ — მსოფლიო თასის საგზურიც მოვიპოვეთ და რუსეთის ნაკრებიც დავამარცხეთ. რაც შეეხება რუმინეთში წაგებულ მატჩს, ამას ჩავარდნად არ მივიჩნევ — რა გასაკვირია, რომ გუნდი, რომელიც სერიოზულ თამაშამდე კალათბურთის დარბაზში ვარჯიშობს, მარცხდება?! დარწმუნებული ვარ — მომზადებულები რომ ვყოფილიყავით და ეს მატჩი მაინცდამაინც რუსეთთან შეხვედრის წინ არ ყოფილიყო, რუმინელებს საგრძნობი სხვაობით დავამარცხებდით.

— ბევრმა დღემდე ვერ გაიგო, რატომ ვერ მოიგო საქართველოს ნაკრებმა წლევანდელი ერთა თასი. იქნებ, მკითხველისთვის მცირე განმარტება გაგეკეთებინათ...

— ერთა თასის გამარჯვებული წელს რუმინეთის ნაკრები გახდა, რადგან ფირამ (რაგბის საერთაშორისო ფედერაცია) ამ ტურნირის ახალი ფორმატი შემოიღო და თასს ყოველ წელს ახალი გამარჯვებული ეყოლება. რუმინეთის ნაკრებს მეორე წრეში თამაში არ წაუგია და ერთა თასი მას დარჩა. როგორც იცით, ადრე გამარჯვებული ორწლიანი ციკლის ბოლოს გამოვლინდებოდა, მაგრამ იმისთვის, რომ ეს ტურნირი ინვესტორებისა და სპონსორებისთვის უფრო მიმზიდველი გაეხადათ, ერთწლიან გათამაშებაზე გადაიყვანეს.

— ახლა, „ტკბილ ლუკმაზე“ — რუსეთთან მატჩზე ვილაპარაკოთ...

— სიმართლე გითხრათ, დღემდე არ მჯერა, რომ ამ ყველაფრის ორგანიზება შევძელით. მიუხედავად იმისა, რომ ტრაბზონის მატჩისთვის მზადება ერთი წლით ადრე დავიწყეთ, მაინც ძალიან გაგვიჭირდა. მინდა, თქვენი ჟურნალის მეშვეობით, დიდი მადლიერება გამოვხატო თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს და საკონსულოს მიმართ. გულშემატკივართა უდიდესი არმიის მიერ საზღვრის გადალახვის დროს, საბაჟო სამსახურმაც შესანიშნავად იმუშავა... რაც შეეხება მატჩს, ბიჭებმა მთელი სული და გული ჩადეს თამაშში, ქომაგი არ გააწბილეს, მოედანს რომ ტოვებდნენ, სხეულზე დაუზიანებელ ადგილს ვერც ერთს ვერ უპოვიდით... რუსებზე უკეთესი გუნდი გვყავს, უფრო მებრძოლი ხასიათი გვაქვს და ეს გამარჯვებაც ჩვენს ქვეყანას უფრო სჭირდებოდა... მინდა, ქომაგებს უდიდესი მადლობა ვუთხრა საოცარი მხარდაჭერისთვის. ასე ერთ მუშტად შეკრული, ექვსი ათასი ქართველი და გასაოცარი ქომაგობა პირველად ვნახე. აქვე, გულშემატკივარს შევახსენებ, რომ რუსეთის გარდა, სხვა გუნდებთანაც ხშირად გვაქვს არანაკლებ მნიშვნელოვანი მატჩები და თუ ასეთი მხარდაჭერა გვექნება, ძალიან ძლიერი ნაკრებების დამარცხებასაც შევძლებთ!..

— სამწუხაროდ, ასეთი განცხადებაც მოვისმინეთ — რუსებისთვის ეს უმნიშვნელო მატჩი იყო და მეორე შემადგენლობით ითამაშესო...

— ამასთან დაკავშირებით რაგბის კავშირმა უკვე გააკეთა განცხადება და ამ საკითხზე დამატებით რამის თქმა საჭიროდ არ მიმაჩნია...

— შესაძლოა, საქართველო-რუსეთის მატჩის გარშემო მართლაც, ზედმეტი აჟიოტაჟი ატყდა, მაგრამ გამარჯვების დაკნინების მცდელობა ვის რაში უნდა სჭირდებოდეს?

— მინდა, ყველას ვთხოვო: დაუფიქრებლად ნურავინ ნურაფერს იტყვის. ვიღაცებმა, თავიანთი დაუკვირვებლობით, გული ატკინეს იმ ბიჭებს, რომლებმაც საკუთარი ქვეყნისთვის თავი არ დაზოგეს. რაც შეეხება „მეორე შემადგენლობას“, სინამდვილეში, რუსებს მხოლოდ სამი მოთამაშე აკლდათ, რომლებიც ერთად აღებულნიც კი ვერ აჯობებენ მამუკა გორგოძეს, რომელიც ტრავმის გამო ვერ დაგვეხმარა. მამუკას გარდა, შემადგენლობაში გვაკლდა გიორგაძე, ქუბრიაშვილი, სამხარაძე და კიდევ, მოედანზე მყოფთაგან ნახევარზე მეტი ტრავმირებული თამაშობდა. იცის ვინმემ, რა დღეში იყვნენ და როგორი ტრავმებით გავიდნენ მინდორზე? საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება ყველას აქვს, მაგრამ ნუ ვატკენთ გულს იმათ, ვინც ამას არ იმსახურებს...

— რუსმა მორაგბეებმა როგორ მიიღეს დამარცხება?

— ღირსეულად! ჯერ კიდევ თამაშამდე ვამბობდი, — ხალხო, ჩვენ პუტინს კი არა, რუსეთის ნაკრებს ვეთამაშებით-მეთქი. რუსმა მორაგბეებმაც დაამტკიცეს, რომ ისინიც ღირსეული კაცები არიან. ნამატჩევს, მაყურებელს ტაში დაუკრეს და ყველა ინტერვიუში აღნიშნავდნენ, რომ წააგეს ბევრად ძლიერ მეტოქესთან. ისინი თამაშის ორგანიზაციითაც აღფრთოვანებულები იყვნენ და დახვედრითაც. ჩვენ მათ ისე ვუმასპინძლეთ, როგორც ღირსეულ მასპინძელს შეშვენის... ■

მინდა, ქომაგებს უდიდესი მადლობა ვუთხრა საოცარი მხარდაჭერისთვის

საკუთარ მსმენელზე შეყვარებული მომღერალი

მას ჩვენ, როგორც მომღერალს, ისე ვიცნობთ. სინამდვილეში, პროფესიით მხატვარია და იყო დრო, როცა დღეებს ხატვაში ატარებდა. რატი დურგლიშვილს პედაგოგები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მერე მუსიკამ გაიტაცა და ახლა, როგორც თავად ამბობს, — ხელი აღარ ემორჩილება...

„ბედნიერი ვიყავი, ვხატავდი და ვხატავდი...“

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგივრ

— რატი, სამხატვრო აკადემიაში საკუთარი სურვილით ჩააბარე?

— ხატვა 4-5 წლის ასაკიდან დავიწყე. ერთხელ დედამ ჩემი ნახატები პედაგოგს უჩვენა, მას კი ძალიან მოეწონა, — ერთ სიბრტყეზე არ არის შესრულებული, ჩრდილები და სიღრმეები ისე კარგად აქვს გაკეთებული, რომ ბავშვის ნამუშევარს არ ჰგავსო. სამხატვრო აკადემიაში გამოცდები წარმატებით ჩავაბარე. ჩემი ნამუშევრები ლექტორებსაც მოსწონდათ. ჰოდა, ბედნიერი ვიყავი, ვხატავდი და ვხატავდი.

— ახლა აღარ ხატავ?

— როცა ძალიან მომინდება, ვხატავ, მაგრამ ხელი აღარ მემორჩილება; უფალი ნიჭს რომ მოგცემს, მას უდიერად არ უნდა მოეპყრა. ძველი ნახატები შენახული მაქვს. უმეტესად, გრაფიკაში ვმუშაობდი, მაგრამ ფერწერაც ძალიან მომწონდა. მახსოვს, მამამ გერმანიიდან „ტემპერას“ ხარისხიანი, ძვირად ღირებული საღებავები ჩამომიტანა — ოღონდ მეხატა და მშობლები ყველანაირ პირობას მიქმნიდნენ.

— შენი საყვარელი მხატვრები ვინ არიან?

— სალვადორ დალიზე ვგიჟდები, ლეონარდო და ვინჩი და რემბრანდტიც მომწონს, ქართველებიდან — ელენე ახვლედიანი და ლადო გუდიაშვილი.

— საყვარელი მწერლები თუ გყავს?

— სულხან-საბას იგავ-არაკები მიყვარს, პოეტებიდან — ტარიელ ჭანტურია. მისი ლექსების კრებული უამრავჯერ მაქვს წაკითხული. ამ ავტორს სადღაც, სხვაგან „მიჰყავხარ“, მისი სამყარო ძალიან საინტერესოა. ამ ბოლო დროს ლექსის კითხვას სხვისი წაკითხულის მოსმენა მირჩევნია.

— წიგნი თუ მოგიპარავს?

— არა, წიგნი არ მომიპარავს (*იცინის*). ერთხელ სხვა რაღაც მოვიპარე და დავისაჯე კიდეც: 8 მარტს დედისთვის საჩუქრის გაკეთება მინდოდა, მაგრამ ფული არ მქონდა და მაღაზიიდან გეტრი მოვიპარე. მაშინ 6-7 წლის ვიყავი.

— რატი, შენს პირად ცხოვრებაში რა ხდება?

— მნიშვნელოვანი არაფერი.

— შეყვარებული არ ხარ?

— ჩემს მსმენელზე ვარ შეყვარებული.

— ვინ არის ავტორი მურმან ლებანიძის ტექსტზე შექმნილი სიმღერისა — „გაბაფხული შემოსულა, ლენ“?

— ო! ეს სიმღერა ძალიან მიყვარს. როგორც მახსოვს, მუსიკის ავტორი ჯემალ სეფიაშვილია.

— დიახ. სოკრატეს აზრით, რა იბადება კამათში?

— ჭეშმარიტება.

— რას უწოდებენ ცრუმოძრობას ფეხბურთში?

— არ მახსოვს.

— ფინტს. თანამედროვე ქართულთან შედარებით, რამდენით მეტი ასო იყო ძველ ქართულში?

— 5-ით.

— გვაქვს 7 ქვა, რომელთა წონაა: 1, 2, 3, 4, 5, 6 და 7 კგ. როგორ გავანაწილოთ ეს ქვები 4 ყუთში ისე, რომ თითოეულში ერთნაირი წონა იყოს?

— დავფიქრდები და გეტყვი (*პაუზის შემდეგ*) ე.ი. როგორც მე გამოვიანგარიშე, ერთ ყუთში ჩაიდება 7-კილოგრამიანი ქვა, მეორეში — 1 და 6-კილოგრამიანი, მესამეში — 2 და 5-კილოგრამიანი, ხოლო მეოთხეში — 3 და 4-კილოგრამიანი.

— მათემატიკა კარგად გცოდნია. ვის ეკუთვნის ანდაზების პირველი კრებული?

— არ ვიცი.

— შუმერებს. ამ ქვეყანაში ექიმებს კარგ ხელფასს უხდიდნენ, მაგრამ თუ იმპერატორი გახდებოდა ავად, მკურნალს მის გამოჯანმრთელებამდე ფული არ ეძლეოდა. რომელ ქვეყანაში ხდებოდა ასე?

— ვერ გიპასუხებ, ეს ამბავი პირველად მესმის.

— ჩინეთში.

— რა კარგია, რომ შეგხვდი: რაც ვიცი — გიპასუხებ, რაც არ ვიცი — ვისწავლი.

— პროფესიით მხატვარი ხარ და როგორც ვიცი, მხატვართა ბიოგრაფიებს კითხულობ, მეცნიერული გამოგონებებიც გიზიდავს. წესით, შემდეგ კითხვაზე პასუხის გაცემა არ უნდა გაგიჭირდეს.

— ძალიან დამაინტერესე. აბა, გისმენ.

— რომელი მხატვარი ასაიდუმლოებდა თავის მეცნიერულ გამოგონებებს, რის გამოც, მისმა ნოვატორულმა აღმოჩენებმა ფიზიკის განვითარებაზე გავლენა ვერ მოახდინა?

— ლეონარდო და ვინჩი. იცი, რა ფორმით ასაიდუმლოებდა?

— მარჯვნიდან მარცხნივ წერდა.

— მისი ნაშრომები მხატვრის გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგ, სარკის საშუალებით წაიკითხეს, მაგრამ იმავე აღმოჩენების ავტორები უკვე სხვები იყვნენ.

— როგორ იწყება „ვეფხისტყაოსანი“?

— „იყო არაბეთს როსტევან...“

— „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა, ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა...“

— (*იცინის*) მე მეორე თავიდან დავიწყე.

— კანტს ჰკითხეს: რომელი ქალი უფრო ერთგულია, შავგვრემანი თუ ქერაო? მისი პასუხი მეტად ორიგინალური იყო. რა უპასუხა კანტმა?

— არ ვიცი.

— შენ რომ იგივე კითხვა დაგისვან, რას უპასუხებ?

— (*ფიქრობს*) ერთგულება ფერით არ განისაზღვრება.

— კანტმა კი უპასუხა, — ყველაზე ერთგული ჭალარა ქალიაო.

— (*იცინის*) მაგარი იუმორი ჰქონია.

— ვინ არის რომანის — „გარგანტუა და პანტაგრუელი“ — ავტორი?

— ვერ ვიხსენებ.

— ფრანსუა რაბლე. ადამიანს საკვების გარეშე შეუძლია 5 კვირა გაძლოს, წყლის გარეშე — 5 დღე. რამდენ ხანს ძლებს ადამიანი ჟანგბადის გარეშე?

— მაქსიმუმ, 5 წუთი.

— რომელი ქვეყნის ტერიტორიაზე იღებს სათავეს მდინარე მტკვარი?

— ალბათ, თურქეთის ტერიტორიაზე, არა?

— დიახ. რომელ კონტინენტზე მიედინება მდინარე ამაზონი?

— გეოგრაფია კარგად არ ვიცი.

— საბრძოლ ამერიკის. თევზი, ბაყაყი, ობობა, გველი — ამათგან, რომელს არა აქვს ხერხემალი?

— ალბათ, ობობას არა აქვს.

— გამოიცანი. ამერიკის რომელი პრეზიდენტი მოკლეს 1963 წელს?

— კენედი. ეს ცნობილი და ბურუსით მოცული მკვლელობა იყო.

— ამ მხატვარს „განსწავლულობის სასწაულს“ ეძახდნენ. 13 წლისამ 7 უცხო ენა იცოდა. გატაცებული იყო ისტორიითა და ანატომიით. 21 წლის ასაკში აღიარებული მხატვარი გახლდათ. ვის ვგულისხმობ?

— სხვა მინიშნებას ვერ მეტყვი?

— მას ეკუთვნის ცნობილი ტილო — „ჯვარცმა“. ხელოვნებათმცოდნეები სხვებისგან იმითაც გამოარჩევენ, რომ მისი სურათებიდან განდევნილია სიბნელე, სევდა, მწუხრი...

— რადგან „ჯვარცმა“ ახსენე, ე.ი. რუბენსია. მე ამ ტილოზე ხელოვნებათმცოდნეების ეს შეფასება დამამახსოვრდა: სისხლი, რომელიც ქრისტეს ხელზე მოწანწკარებს, თბილი გგონიაო. ამ სურათის ორიგინალი ჯერ არ მინახავს, ეს ბედნიერება წინ მაქვს.

— ერთხელ ბიჭმა მეგობრებს უთხრა, — გუშინწინ 8 წლის ვიყავი, მომავალ წელს კი 10-ის გავხდებიო. ბიჭი რომელი თვის რომელ რიცხვშია დაბადებული?

— (*ფიქრობს*) 31 დეკემბერს. გამოვიცანი?

— რა თქმა უნდა! „ის სოფლის ხალხის იმედი იყო. ყველას უხაროდა მასთან საუბარი და მისი მოსმენა. უფრო ხშირად, პოეტს ძველი გლეხები ესაუბრებოდნენ, ის სოფელში ხშირად მოდიოდა. სამაგიეროდ, მისი ცოლი იშვიათად გვწყალობდა. მახსოვს, ერთ ზაფხულს ჩამოვიდა, თან ჩამოიყვანა მოხდენილი რუსის გოგოები. ეს გოგოები რომ წყაროზე ჩამოვიდნენ, მთელი ჩვენი სოფლის ბიჭები იქ შეიყარნენ“, — ვკითხულობთ ამ პოეტის თანასოფლელის მოგონებებში. რომელ პოეტზეა ლაპარაკი?

— (*ფიქრობს*) ე.ი. რუსი მეუღლე ჰყავდა.

— დიახ და წარმოშობით იმერეთის ერთ-ერთი რაიონიდან იყო.

— ვერ გიპასუხებ.

— აკაკი წერეთელი. რომელი ფრინველი იძინებს ფეხზე მდგომი?

— წერო.

— ვინ არის მოთხრობის — „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“ ავტორი?

— ეს მოთხრობა ვიცი, მაგრამ ავტორს ვერ ვიხსენებ.

— იაკობ გოგებაშვილი. რომელი ქვეყნის იმპერატორი იწოდებოდა კაიზერად?

— არ ვიცი.

— გერმანიის. „ბენტლი,“ „დაიმლერი“, „იაგუარი“, „ლენდროვერი“, „როლს-როისი“, „ჯენსენი“ — რომელი ქვეყანა აწარმოებს ამ ავტომობილებს?

— დიდი ბრიტანეთი.

— რომელ ესპანელ მხატვარს უწოდეს ფუნჯის ტორეადორი?

— გოიას.

— ეს კომპოზიტორი მუსიკას 5 წლიდან წერდა, ხოლო 6 წლისამ ევროპა ტრიუმფით შემოიარა. გაჭირვებაში ცხოვრობდა, 37 წლის ასაკში გარდაიცვალა და 626 მუსიკალური ნაწარმოები დაგვიტოვა, აქედან — 17 ოპერაა. დაასახელე იგი.

— (*ფიქრობს*) ავსტრიელია?

— დიახ. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, თქვა: „მაშფოთებს ჩემი რეკვიემი“.

— მოცარტი.

— ეს პოეტი წალენჯიხიდან იყო. 5 წლის ასაკში დედა გარდაეცვალა, მოგვიანებით კი მამამისი ხიდან ჩამოვარდა და დაკოჭლდა. მომავალმა პოეტმა წალენჯიხა დატოვა და თბილისისკენ გამოემგზავრა. აქ ბინა არ ჰქონდა — ღამეს ხან სად ათევდა და ხან — სად. 1924 წელს მწერალთა კავშირის განკარგულებით, რაღაც პერიოდის განმავლობაში სასტუმრო „გლეხთა სახლშიც“ ცხოვრობდა. ეს ფაქტი მის დღიურებშიც არის დადასტურებული. რომელ პოეტზეა ლაპარაკი?

— არ ვიცი.

— ტერენტი გრანელზე.

— გრანელზე ვფიქრობდი, მაგრამ არ გითხარი.

— მისი ნამდვილი გვარი თუ იცი?

— სამწუხაროდ, არა.

— კვირკველია იყო. რას უწოდებენ ფშავში ახალდაქორწინებულებს?

— არც ეს ვიცი.

— ახალყოილნი. რომელია მზესთან ყველაზე ახლოს მდებარე პლანეტა?

— მერკური.

— რომელ ქალაქში მდებარეობს მსოფლიო არქიტექტურის შედევრი — ტაჯ-მაჰალი?

— ინდოეთში, ქალაქ აგრაში.

— „მადონა ლიტა“, „სიქსტის მადონა“, „მადონა მიხაკით“, „მადონა ბენუა“ — ამ ფერწერული ტილოებიდან, რომლის ავტორი არ არის ლეონარდო და ვინჩი?

— „სიქსტის მადონა“ რაფაელის დახატულია.

— დაასახელე ერთმანეთს მიყოლებული 5 დღე ისე, რომ არ იხმარო სიტყვები — ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი და ა.შ.

— ეგ როგორ?

— დაფიქრდი და მიხვდები.

— (*პაუზის შემდეგ*) დღეს, ხვალ, ზეგ... მეტი არ ვიცი.

— გუშინ და გუშინწინ ვერ მოიფიქრე?

— (*იცინის*) აბა, ეგ რამ დამავიწყა?!

— რა ჰქვია მანძილს ყველაზე დაბალ და მაღალ ბგერებს შორის?

— დიაპაზონი.

— ვინ არის ავტორი სიქსტის კაპელაში მოხატული ცნობილი ფრესკისა — „განკითხვის დღე“?

— ვერ ვიხსენებ.

— მიქელანჯელო. რომელი ქართველი მოქანდაკე მუშაობდა როდენთან?

— იაკობ ნიკოლაძე.

— „უსერხულია, შენ გერქვას ცოლი,/ შენ უნდა ცისფერ ღრუბელთან იწვე./ აჰა, დამბაჩა და სველი თოვლი!/ მე შენს მეუღლეს დუელში ვიწვევ...“ — ვინ არის ამ სტროფის ავტორი?

— ტარიელ ჭანტურია. მისი პოეზიიდან ეს ლექსი გამორჩეულად მიყვარს, მაგრამ ზეპირად არ ვიცი.

— რომელია საქართველოს უმაღლესი მწვერვალი?

— შხარა.

— დაბოლოს, დაასრულე გერმანელი ფილოსოფოსის, არტურ შოპენჰაუერის ცნობილი გამონათქვამი: „ჩვენ იშვიათად ვფიქრობთ იმაზე, რაც გვაქვს, მაგრამ ყოველთვის ვწუხვართ იმაზე, რაც...“

— „...არ გვაქვს“.

ანეკდოტები

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. რას ეძახიან „კვებულას“?
2. დაასახელეთ ქვეყანა, სადაც მსოფლიოში ყველაზე სწრაფმზარდი მოსახლეობაა.
3. ვის ეკუთვნის სიტყვები: „მიჩვენეთ ყველაზე პატიოსანი კაცის მიერ დაწერილი ექვსიოდე სტრიქონი და მე მასში ვიპოვი რაიმე ისეთს, რის გამოც, მისი ჩამოხრჩობა გახდება შესაძლებელი“?
4. რა არის გრაკლა?
5. დაასრულეთ ჯოზეფ პულიტცერის სიტყვები: „ნურასოდეს დაბეჭდავთ გაზეთში რაიმე ისეთს, რისი გაგებაც...“
6. როგორ ჟღერს ფრაზა — „კრასატა სპასიოტ მირ“ მას შემდეგ, რაც მიხაილ ჟვანეცკიმ მასში ერთი ასო ჩაამატა?
7. სად და როდის შეარქვეს ინგლისის მეფეს — რიჩარდ I-ს ლომგული?
8. დაასახელეთ ორი ქვეყანა, რომელიც განქორწინებათა სიმრავლით მსოფლიოში პირველ ადგილზეა.
9. ეს საოპერო მომღერალი ბრწყინვალედ ხატავდა კარიკატურებს. მას უამრავ ფულს სთავაზობდნენ ნახატებში, მაგრამ ყოველთვის უარზე იყო: „მე ფულს სიმღერით ვშოულობ, იმაში კი, რაც მხოლოდ და მხოლოდ სიამოვნებას მანიჭებს, ფულს არასდროს ავიღებ“. დაასახელეთ იგი.
10. რა არის „პოლორჭიკი“?
11. რომელი უმაღლესი სასწავლებელი აქვს დამთავრებული ლიკა ქავჟარაძეს?
12. ვის ეკუთვნის სიტყვები: „ქვეყნად მხოლოდ ორი რამ არის უსაზღვრო — სამყარო და სისულელე. თუმცა, სამყაროს თაობაზე ბოლომდე არა ვარ დარწმუნებული“?

* * *

— გელა, როცა გაიზრდები, ვინ გამოხვალ?
— პოლიციელი.
— გია, შენ?
— მე კოსმონავტი.
— ვაჟა, შენ?
— მე მფრინავი.
— შოთიკო, შენ?
— მე სპილო გამოვალ, დღე და ღამე ზოოპარკში ვიქნები.

* * *

ქალიშვილი სარკის წინ დგას და ტანსაცმელს იხდის. ყველაფერი გაიხადა. ჯერ ერთ მხარეს შეტრიალდა, მერე — მეორე მხარეს, ხელები თეძოებზე ჩამოისვა, მკერდი წინ წამოსწია. უცებ, ხედავს, ფანჯრიდან მლესავი იყურება. გოგოს მოულოდნელობისგან თვალები გაუფართოვდა, კაცი კი აყვირდა:
— რა იყო, რას მომშტერებიხარ, მლესავი არ გინახავს?!

* * *

სვანი კონსერვატორიაში გამოცდას აბარებს.
— მე როიალზე ნოტს ავიღებ და შენ გამოიცანი, — ეუბნება გამომცდელი.
— მიდი! — რიხიანად ეუბნება სვანი.
გამომცდელი აიღებს ნოტს, სვანი შემოტრიალდება:
— შენ იყავი, ვერ მომატყუებ!

* * *

მეგრელი და გურული წაკამათდნენ:
— რაია, ძამა, ვინცხა კონსტანტინე გყავდათ, გამსახურდია და რაცხა მოთხრობა დაწერა — „დიდოსტატის მარჯვენა“. ჰოდა, რას წაგვჭამეთ თავი ტრაბახით?!
— აუ, „დიდოსტატის მარჯვენა“ თუ მოთხრობაა, თქვენი ეგნატე ნინოშვილის „გოგია უიშვილი“ დეპეშა ყოფილა!..

* * *

— ალო, თუ შეიძლება, ზოიას სთხოვეთ!
— ვთხოვე, მაგრამ არ მომცა!
— თქვენ ვერ გამიგეთ, ტელეფონთან სთხოვეთ.
— ტელეფონთანაც ვთხოვე, მაცივართანაც და ტელევიზორთანაც, ახლა არაბულ ტახტზე ვეხვეწები, მაგრამ შენც არ მომიკვდე, უარზეა!..

* * *

სვანს თავის მოკვლა უნდა და მანქანას ბორბლებქვეშ შეუვარდება — არ მოკვდება; მეორე მანქანას შეუვარდება, მაინც არ მოკვდება; მესამესაც შეუვარდება, მაგრამ — ამაოდ. ბოლოს, როგორც იქნა, მოიფიქრა და მოძრავ მანქანას შეუვარდა ბორბლებქვეშ...

* * *

— ზაქრო, ერთი, ნაჯახი გადმომიგდე, რა!
— დაიჭი!.. ხმას რატომ არ იღებ, ბიჭო?!

* * *

— ვერ ვიტან ტოლსტოის, რამ დააწერინა „ომი და მშვიდობა“, ოთხი უზარმაზარი ტომია!
— რა იყო, წაიკითხე?
— ეგღა მაკლია!.. ქსეროქსზე ვიღებდი!..

* * *

— მამა, მათხუე მაშინა, ქორწილში მივდივარ, — ეხვეწება გურული მამას.

— კაი, მარა ფრთხილად იარე, არაფერი მოსწიო, იცოდე.

მეორე დღეს შვილმა მანქანა უკან მოიყვანა. უყურებს მამამისი — მთელი სახურავი ჩიტის სკორეთია დასვრილი.

— სა იყავი, შე კვდარძაღლო, გუშინ?

— სა ვიყავი და ქორწილში.

— რომელ ქორწილში, ჩხიკვთა ქორწილში?!.

* * *

მოსაზრება: ორი აგურის დახმარებით, ცუდი ბალერონისგან კარგი საოპერო მომღერლის მიღება ძალზე ადვილია.

* * *

— ბიჭო, დღის განმავლობაში გურულები ამდენ სისულელეს ერთად რაფერ ამბობთ?

— სხვისი არ ვიცი, ძამა და პირადად, მე უთენია ვდგები.

* * *

სვანი მანქანის საჭეს უზის. ძმაკაცი მობილურზე ურეკავს:

— ფრთხილად იყავი, ახლა რადიოში გამოაცხადეს, რომ ქალაქში ერთი გადარეული სულ „პროტივ დვიჟენია“ დადის!

— ბიჭო, აქ ერთი კი არა, ყველა „პროტივ დვიჟენია“ დადის!

* * *

პატარა ბიჭუნა ფანჯარაში იყურება:

— დედი, ნახე, მამიკო მოდის! რა ვუჩვენოთ პირველად — შენი ახალი კაბა თუ ჩემი დღიური?!

* * *

სამხედრო სასწავლებლის უფროსს ურეკავენ:

— თქვენი კურსანტი დაკავებულია, გაუპატიურების მცდელობისათვის.

— მცდელობისათვის თუ გაუპატიურებისათვის?

— მცდელობისათვის.

— არ იქნება ეგ ჩვენი კურსანტი.

* * *

სვანი ქალი ექოსკოპიაზე მივიდა.

— თქვენ ფეხმძიმედ ხართ, — ეუბნება ექიმი.

— დარწმუნებული ხართ, რომ ბავშვი ჩემია?

* * *

— ამ ფოტოზე ხუთი წლისა ვარ.

— ამ ასაკშიც მელოტი იყავი?

— სურათი უკუღმა გიჭირავს.

* * *

ერთ შეკრებაზე მომხსენებელი საწარმოო ძალების არასწორ განლაგებას აკრიტიკებდა, — ნედლეული სადაც არის, იქ გადამამუშავებელ საწარმოებს არ აშენებენო.

— მედიცინაშიც ეგრეა, — წამოიძახა დარბაზიდან ვიღაცამ. — ნედლეული გურიაშია, საგიჟეთი — თბილისში!

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ერთი წლის ხბოს ან ზაქს.
2. ინდოეთი.
3. კარდინალ რიშელიეს.
4. დეკორატიული ბუჩქი.
5. „...თქვენს შინამოსამსახურეს გაუჭირდება“.
6. „კრასატა სპასიოტ მიმრ“.
7. პალესტინაში, ციხესიმაგრე აკრის აღების შემდეგ.
8. ფინეთი და რუსეთი.
9. ენრიკო კარუზო.
10. ხის პატარა, მრგვალი და ირგვლივ ამოღარული ფირფიტა ტიკის ნახვრეტებში ჩასასმელად; მეორენაირად მას ხარატულს ეძახიან.
11. კონსერვატორია.
12. ალბერტ აინშტაინს.

ჩვენი ფოტო გაღეარეა

ჰოროსკოპი

1-7 აპრილი

ვეძერი:
მოსალოდნელია ახალი რომანის დაწყება ან ძველ პარტნიორთან ურთიერთობის აღდგენა. სამსახურში უამრავი საქმე დაგიგროვდებათ. ეცადეთ, უფროსის რისხვა აიცილოთ და პრობლემები სწრაფად მოაგვაროთ.

ჯუჯი:
შესაძლებელია, ისეთი სამუშაოს შესრულება მოგიხდეთ, რომელიც არ გევალებათ. სამაგიეროდ, თვის ბოლოს, გაწეული სამუშაოსთვის პრემიას მიიღებთ. უქმე დღეები შინ, ოჯახის წევრებთან ერთად გაატარეთ.

ტყუპი:
საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა გამოსწორდება. მეგობრების დახმარებით უამრავ პრობლემას მოაგვარებთ. შესაძლოა, მატერიალური არასტაბილურობა ოჯახში ხშირი კონფლიქტის მიზეზი გახდეს.

ჯიგრისხიტი:
კარგი პერიოდია ნათესავებთან შესახვედრად, საოჯახო წვეულებების მოსაწყობად. სამსახურში აჩქარებას არ გირჩევთ. ახალი პროექტები კოლეგებთან ერთად განახორციელეთ. კვირადღე შვილებთან გაატარეთ.

ღომი:
გაღიზიანებული ხართ და შესაძლოა, გარშემო მყოფებს უმიზეზოდაც წაეჩხუბოთ. კარგი იქნება, თუ ცოტა ხნით დასასვენებლად გაემგზავრებით. კვირის ბოლოს შეიძლება, ნათესავებს თქვენი დახმარება დასჭირდეთ.

ულაგწუღი:
თქვენს ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება. მოსალოდნელია ახალი სამსახურის, სასიყვარულო ურთიერთობის დაწყება, საზღვარგარეთ სასწავლებლად ან სამუშაოდ წასვლა. ყველაფერი გამოგივათ, მთავარია, არ აჩქარდეთ.

ხანსწიჩი:
განწყობილებას მეგობრებთან შეხვედრა და გართობა გამოგისწორებთ. ნუ მიიღებთ დაუფიქრებელ გადაწყვეტილებებს. კვირის ბოლოს საყვარელი ადამიანი რომანტიკულ შეხვედრას მოგიწყობთ.

ბოჩიბეღი:
სამსახურში წარმატება და ოჯახის წევრებთან ურთიერთობა თქვენს გუნება-განწყობილებაზე იქნება დამოკიდებული. ეცადეთ, გარშემო მყოფები პრეტენზიებითა და ჭირვეული ხასიათით არ გატანჯოთ.

ბუვიგდოსხაფი:
ახალი საქმის დასაწყებად გავლენიან პარტნიორებს მიმართეთ. შუა კვირაში ხალხმრავალ ადგილებში სიარულს მოერიდეთ. შესაძლოა, შორეულმა ნათესავებმა საზღვარგარეთ, დასასვენებლად მიგიპატიჟონ.

თხის რქა:
ყველაფრის ერთდროულად და მოკლე დროში შესრულებას ნუ ეცდებით. მშვიდად და აუჩქარებლად იმოქმედეთ. მოერიდეთ ხელმძღვანელობასთან კონფლიქტს. კვირის ბოლო შვილებთან ერთად გაატარეთ.

ბეჩწუუღი:
კარგი პერიოდია პროფილაქტიკური მკურნალობის, დიეტის დასაწყებად. ახალ სამსახურს მეგობრების დახმარებით იშოვით. კვირის ბოლო საყვარელ ადამიანთან ერთად, ქალაქგარეთ გაატარეთ.

თეზეტი:
საყვარელ ადამიანთან საერთო ენას იპოვით. ამაღლებული განწყობილების წყალობით, სამსახურის საქმეებსაც ბრწყინვალედ მოაგვარებთ. კვირის ბოლოსთვის საქმეები დაასრულეთ და დასასვენებლად გაემგზავრეთ.

პატარები მეინოსობენ

გაზეთ „კვირის პალიტრის“ არქივიდან

წვიმიანი დილაა. 1 წლისა და 9 თვის ანანო მჟავანაძე დედას სთხოვს:

— დედიკო, გამიკეთე თოვლის ბაბუა, ლა...

— თოვლის ბაბუას ვერ გაგიკეთებ, ახლა არ თოვს, ახლა წვიმს, — უპასუხა დედამ.

— წვიმის თოვლის ბაბუა გამიკეთე, ლა...

2 წლის ლუკა თოჯინით ერთობა. მას ეკითხებიან:

— ლუკა, თოჯინას რამდენი თვალი აქვს?

— ეთი, ოლი, — ითვლის ლუკა.

— ყურები?

— ეთი, ოლი.

— ცხვირი?

ლუკა ჩაფიქრდა და „ძაან ცოტაო“, — უპასუხა.

6 წლის დათუნა სიჭინავა უყურებს, თუ როგორ ასხამს ბიძამისი მანქანაში წყალს და ეკითხება:

— ინვერი ბიძია, შენს მანქანას წყალი სწყუროდა?!

4 წლის მადონამ დილით გაიღვიძა და თავის დაიკოს, 5 წლის ხატიას ეჩხუბება:

— გოგო, რა გინდოდა, სიზმარში რას მეუბნებოდი?

— მე შენს სიზმარში სულაც არ ვყოფილვარ, მე მამიკოს სიზმარში ვიყავი და მუშთაიდის ბაღში წამიყვანა, — პასუხობს ნაწყენი ხატია.

ორწლინახევრის ანა თათელაშვილმა იმდენ ხანს უყურა სატელევიზიო წინასაარჩევნო რეკლამებს, რომ ერთ დღესაც განაცხადა:

— დედიკო, მეც მოვდივარ არჩევნებზე. ჟუჟუნა ბებოს უნდა მივცე ხმა!

შინ დაბრუნებულ ვაჟა ბაბუას 2 წლის მარიამ გუჯაბიძე ხელგაშლილი შეეგება:

— მარიკუნა, დასაბანი ვარ, მერე მოგეფერები.

— ბაბუ, დედა გყავს? — ეკითხება მარიამი.

— არა, ბაბუ, არ მყავს.

— მაშ, ვინ უნდა გაბანაოს?



ზინა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. დერმატინი; 2. მატერიკი; 3. ბანანი; 4. მიდამო; 5. ნეკერჩხალი; 6. იალტა; 7. დანაე; 8. ბულიტი; 9. ნაპრალი; 10. ორლეანი; 11. კილერი; 12. ნაპრალი; 13. ხემი; 14. ხახა; 15. კულინარია; 16. ხაშური; 17. ალიკაპი; 18. პოლიკლინიკა; 19. რეტი; 20. ნიკა; 21. შალი; 22. ავარია; 23. სტადიონი; 24. არგენტინა; 25. აგორა; 26. გურია; 27. იუდა; 28. აკაი; 29. იენა; 30. ვენერა; 31. ისარი; 32. სტატია; 33. სააბი; 34. დაცანი; 35. ზრო; 36. ფანჯარა; 37. ისპანახი.

სურათებზე: 1. დრიუ ბერიმორი; 2. ტომ გრინი.

სპეციალური კროსვორდი



შევსების წესი: **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

გ. საჭადრაკო პარტიის ისეთი დასაწყისი, როდესაც თეთრები შეტევაზე სწრაფად გადასვლის მიზნით წირავენ პაიკს ან რომელიმე სხვა ფიგურას; **ზ**. ვისიმე მეფობის ხანა; **ა*. თავისებური წარმოთქმა, უნებური დამახინჯება ამა თუ იმ ენის ბგერებისა ადამიანის მიერ, ვისთვისაც ეს ენა მშობლიური არ არის; **გ*. ვულკანური წარმოშობის ცხელი წყარო, საიდანაც პერიოდულად სცემს წყლისა და ორთქლის შადრევანი; **ზ*. რა ჰქვია კამეჩის შვილს; **ი*. მონასტრის წინამძღვარი; **ს*. რისიმე მოხაზულობა, აღქმული შორი მანძილიდან, ბურუსში ან სიბნელეში; **თ*. ცხოველი, რომელიც ენის გასატეხის თანახმად „თეთრი“ იყო და „თეთრ თრთვილზე თრთოდა“; **ვ*. მემამულე ფეოდალი შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში, რომელიც დამოკიდებული იყო სხვა, უფრო მსხვილ ფეოდალზე; **ი*. უწყინარი ხასიათის დამცინავი დამოკიდებულება რაიმესადმი; **ს*. ინგლისელი მწერალი, „აივენჰოსა“ და „რობ როის“ ავტორი; **ა*. ცელქი, მოუსვენარი; **ო*. რა ერქვა ხევისბერი გოჩას შვილს; **მ*. წინასწარმეტყველ მუჰამედის მშობლიური ქალაქი; **კ*. მომსახურე პერსონალი კაზინოში; **ი*. საზაფხულო საძოვარი მთაში; **თ*. მცენარე, რომლის ტოტისგანაც ამზადებენ ჩიჩილაკს; **ხ*. მდინარის ფსკერზე ჩასმული ძელი ხიდის საყრდენად; **ვ*. ქალის პირბადე; **ე*. სცენა, სადაც გამოდიან მომღერლები; **ლ*. რა ერქვა არსენა ოძელაშვილის ცხენს; **ი*. ფაშიზმის სამშობლო; **ს*. ბრინჯის არაყი; **თ*. აკაკი წერეთლის ტიტული; **ვ*. ჯარის უფროსი ძველ რუსეთში; **ი*. სისხლის აღრევა; **ს*. შეჯიბრება თხილამურებით მთიდან სწრაფდაშვებაში მიხვეულ-მოხვეული გზებით; **ა*. რა ერქვა ანარქისტს მხატვრულ ფილმში „ლაზარე“, მღვდელს რომ უშრობდა სისხლს, ქრისტე ღმერთი გამხდარი იყო, შენ რამ გაგასუქაო; **ო*. რა ერქვა ბალზაკს.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**დ*. დეკადა; **ა*. აკიდო; **ი*. იადონი; **ს*. სმეტანა; **ვ*. ვივალდი; **ე*. ეშმაკი; **ნ*. ნაიკი; **ე*. ეშვი; **ჩ*. ჩხართვი; **ვ*. ვექილი; **ე*. ელარჯი; **ნ*. ნიჩაბი; **ს*. სვანეთი; **ჟ*. ჟალუზი; **უ*. უნიკუმი; **რ*. რემარკი; **ნ*. ნოე; **ა*. არქიელი; **ლ*. ლიუგერი; **თ*. თოდაძე; **ა*. ამერიკა; **ნ*. ნისანი; **ე*. ერთაოზი; **რ*. რეალი; **თ*. თუნგი; **ა*. ანანასი; **დ*. დრო.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:

კიდევ მივა ქაჩალი მეძუძესთანაო

იაპონური სენსაცია სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

7	1	5	9	6	4	2	8	3
4	6	8	2	7	3	5	1	9
3	2	9	5	8	1	4	7	6
1	9	7	6	5	2	3	4	8
8	4	6	3	1	9	7	5	2
2	5	3	7	4	8	9	6	1
9	8	4	1	3	5	6	2	7
5	7	2	8	9	6	1	3	4
6	3	1	4	2	7	8	9	5

3	8	4	9	7	6	5	1	2
5	6	7	1	3	2	4	9	8
9	1	2	4	5	8	7	6	3
7	3	8	2	4	1	6	5	9
6	4	1	8	9	5	2	3	7
2	5	9	3	6	7	1	8	4
8	7	6	5	2	9	3	4	1
4	9	5	7	1	3	8	2	6
1	2	3	6	8	4	9	7	5

6	1	7	2	8	4	9	5	3
8	9	3	1	5	6	4	2	7
2	4	5	7	3	9	8	1	6
4	8	6	5	9	3	2	7	1
1	5	2	6	7	8	3	9	4
3	7	9	4	1	2	5	6	8
5	6	4	3	2	1	7	8	9
9	2	1	8	4	7	6	3	5
7	3	8	9	6	5	1	4	2

* მარტივი

1				4		3		
4	8		9				6	
	5		1	2		9		8
		7	8			5		9
	9			7	1		8	
8		4	5			1		
6		2		3	9		1	
	4				5		3	2
		8		1				4

** საშუალო

		2			9			1
		7			6	5		2
		1		8				7
		9	5	3			1	
3				4				9
	8				7	2		
1				6		9		
2		8	4			3		
5			9			1		

*** რთული

2				4			6	
	3			8				2
		9	6					
		5		1		3		8
		7				2		
6		4			8	9		
					1	4		
5				3			8	
	4			6				9

ფოტოკუთხეები







ყოველთვიურად მიიღეთ ერთი ახალი ტომი საყმაწვილო სერიიდან -„ ეს სამყაროა“. სამყარო, რომელიც უფროსებსაც გააოცებს!

ეს სამყარო

სამგანზომილებიანი (3D) გამოსახულებები

წიგნების კიდევ ერთი საოცარი სერია „კვირის პალიტრისგან“



ტომი №2 ეგვიპტე

29 მარტიდან - 5 აპრილამდე

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის

სპეციალური ფასი 15 ლარი!

შეიძინეთ „კვირის პალიტრასთან“ ერთად

„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ! წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდით „ელვა.ჯი“-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ.

659/14

სერია „ეს სამყაროა“-ს I ტომი „რაინდები და ციხე კოშკები“ გაყიდვაშია წიგნების მაღაზიებში